ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ზვიად ტყაბლაძე

ეგვიპტის არაბული რესპუბლიკისა და აშშ-ს საგარეო-პოლიტიკური ურთიერთობები XX ს-ის 70 - 90 - იან წლებში

სპეციალობა 07.00.03 - მსოფლიო ისტორიის

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო
ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია

თბილისი 2006

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი.
გამოყენებული წყაროებისა და ლიტერატურის მიმოხილვა.
თავი I ეგვიპტის არაბული რესპუბლიკის საგარეო-პოლიტიკური კურსი XX საუკუნის 60-70-იან წლებში.
ა) პრეზიდენტ ნასერის საგარეო პოლიტიკა.
ბ) ანვარ სადათის მოსვლა ხელისუფლების სათავეში და ცვლილები საგარეო-პოლიტიკურ კურსში.
თავი II აშშ-სა და საბჭოთა კავშირის ძირითადი სტრატეგია 1973 წლის ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტში.
ა) აშშ-სა და სსრკ-ს ინტერესების დაპირისპირება ახლო აღმოსავლეთში 60-70-იანი წლების დასაწყისში.
ბ) კონფლიქტის შეჩერების ზესახელმწიფოთა მცდელობები.
გ) ომის შედეგები.
თავი III სადათის პროამერიკული პოლიტიკა და მისი შედეგები.
ა) «ღია კარის» პოლიტიკა და სოციალურ-პოლიტიკური ვითარება ეგვიპტეში.
ბ) სადათის ვიზიტი იერუსალიმში და კემპ-დევიდის მოლაპარაკების პროცესი.
გ) შეთანხმებების მნიშვნელობა და არაბული ქვეყნების რეაქცია.
თავი IV რელიგიური ექსტრემიზმი ეგვიპტეში და ანვარ სადათის მკვლელობა.
ა) ისლამური ფუნდამენტალიზმი ეგვიპტეში სადათის მმართველობის პერიოდში.
ბ) ანვარ სადათის მკვლელობა.
თავი V ჰოსნი მუბარაქის მოსვლა ხელისუფლების სათავეში და აშშ-ს პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთში.
ა) ეგვიპტის პრეზიდენტ ჰოსნი მუბარაქის პოლიტიკა 80-90-ანი წლების მიჯნაზე.
ბ) გვიპტისა და აშშ-ს საგარეო-პოლიტიკური ურთიერთობები თანამედროვე ეტაპზე.
დასკვნა.
გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

ეგვიპტის არაბული რესპუბლიკა, რომელიც არის ყველაზე გავლენიანი სახელმწიფო არაბულ სამყაროსა და მთელ ახლო აღმოსავლეთში, დიდი ავტორიტეტით სარგებლობს მსოფლიო პოლიტიკურ ასპარეზზეც.

ასეთი ინტერესი იზრდება კიდევ იმითაც, რომ მისი მოსახლეობა არაბულ სამყაროში ყველაზე მეტად მრავალრიცხოვანია (აშშ-ს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს

მონაცემებით ეგვიპტის მოსახლეობა 2005 წლის ივლისისათვის 77 მლნ.-მდე ადამიანს შეადგენს), ხოლო ტერიტორია (1 001 450 კვ. კმ.) წარმოადგენს ერთგვარ შემაერთებელ ხიდს მაშრიკსა და მაღრიბს შორის (15).

ერთდროულად თანამედროვე ეგვიპტე საერთაშორისო ასპარეზზე წარმოადგენს ისლამის ტრადიციების ერთ-ერთ დამცველს, ასევე სხვა რელიგიების მიმდევარი ხალხების ქვეყანას, რაზეც მეტყველებს ის ფაქტი რომ, არაბული ქვეყნებიდან ყველაზე მეტი ქრისტიანი სწორედ ეგვიპტეში ცხოვრობს.

ეგვიპტე ასევე ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთი მთავარი მოკავშირეა არაბულ აღმოსავლეთში და მისი ძირითადი პარტნიორი ახლო აღმოსავლურ პოლიტიკაში.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში ბევრი არაბული ქვეყანა დაადგა თავისი სოციალური და ეკონომიკური დამოუკიდებელი განვითარების გზას, რასაც საფუძველი ჩაუყარა 1952 წლის ეგვიპტის რევოლუციამ. დამოუკიდებელი განვითარების ეგვიპტურმა მოდელმა დიდი გავლენა მოახდინა არა მარტო არაბულ აღმოსავლეთზე, არამედ აზიისა და აფრიკის ბევრ სხვა ქვეყანაზე.

«1952 წლის 23 ივლისის რევოლუციამ, რომელმაც შეცვალა ცხოვრება ეგვიპტეში, შეასრულა უდიდესი როლი დამოუკიდებლობის გამტკიცებაში მოძმე არაბული ქვეყნების, აფრიკისა და ისლამური ქვეყნებისათვის 50-60-იან წლებში», აღნიშნა ეგვიპტის არაბული რესპუბლიკის პრეზიდენტმა მუჰამად ჰოსნი მუბარაქმა, დიპლომატიის დღისადმი მიძღვნილ გზავნილში (316;6).

ეგვიპტის არაბული რესპუბლიკა დიდი პოლიტიკური მოღვაწის გამალ აბდ ან-ნასერის ხელმძღვანელობით გახდა «გაერთიანებისა და ინტეგრაციის ლოკომოტივი» მთელ არაბულ აღმოსავლეთში. სწორედ ამ პერიოდში არაბული სამყარო დაიყო პროსაბჭოური და პროდასავლური ორიენტაციის მქონე ქვეყნებად (129).

XX ს. 50-60-იანი წლების არაბული ინტეგრაციის «ლოკომოტივმა» ახალი პრეზიდენტის მუჰამად ანვარ ას-სადათის მმართველობის პერიოდში აიღო ორიენტაცია დასავლეთისაკენ და აირჩია ქვეყნის განვითარების ეკონომიკური ლიბერალიზაციის გზა. აქედან მოყოლებული ეგვიპტე, არაბული და მუსლიმური ტრადიციების გათვალისწინებით თანდათან გახდა დასავლეთის განვითარებული ქვეყნების და პირველ

რიგში აშშ-სათვის (ისრაელთან ერთად) მთავარი საყრდენი ძალა მის ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკაში.

ატლანტიის ოკეანიდან ინდოეთის ოკეანემდე გადაჭიმულ არაბულ სამყაროში, რომლის მოსახლეობა 290 მლნ. აჭარბებს, თანამედროვე «პირამიდების» და «ფარაონების» ქვეყანა დღეს ყველაზე თვალსაჩინო და მნიშვნელოვანი სახელმწიფოა.

თუ როგორ და რა გზით მიაღწია ეგვიპტემ ყოველივეს, სწორედ ამის გარკვევას ვცდილობთ ჩვენს სადისერტაციო ნაშრომში. საკვლევად აღებული საკითხი მნიშვნელოვანია იმით, რომ დღევანდელი ეგვიპტის ისტორია სულ სხვა სცენარით განვითარდებოდა, რომ არ მომხდარიყო ის მოვლენები, რომელთა შესახებ საუბარი გვექნება წარმოდგენილ ნაშრომში.

ამრიგად ნაშრომის მთავარი მიზანია წარმოვაჩინოთ ეგვიპტის უახლესი ისტორიის ის მონაკვეთი, რომელიც ქრონოლოგიურად მოიცავს XX ს.-ის 60-90 –იან წლებს: 1. შევისწავლოთ XX საუკუნის 60-70-იან წლებში ეგვიპტეში არსებული საგარეო-პოლიტიკური ვითარება, პოლიტიკური ასპარეზიდან გამალ აბდ ან- ნასერის წასვლა და ანვარ სადათის მეთაურობით ახალი ხელმძღვანელობის მმართველობის პერიოდი; 2. გავაანალიზოთ ახლო აღმოსავლეთის რეგიონში აშშ-სა და საბჭოთა კავშირის ინტერესების დაპირისპირების მიზეზები, ეგვიპტეზე ზეგავლენის მისაღწევად; 3. გავაშუქოთ ეგვიპტის სათავეში ანვარ სადათის გარდაცვალების მიზეზები და ჰოსნი მუბარაქის მოსვლის შემდეგ ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური კურსში მომხდარი ცვლილებები, რამაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ახლო აღმოსავლეთის პროცესების შემდგომ განვითარებაზე.

მის კვლევას დიდი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე ეგვიპტის საშინაო და საგარეო პოლიტიკის წინაშე მდგარი ამოცანების გარკვევისათვის. რამდენადაც ყოველივე ეს მჭიდროდ არის დაკავშირებული ახლო აღმოსავლეთში არსებული მოსაგვარებელ პრობლემებთან, ისევე როგორც აშშ-ს თანამედროვე საგარეო პოლიტიკასთან ახლო აღმოსავლეთში.

წყაროებისა და ლიტერატურის მიმოხილვა

დისერტაციაში გამოყენებული გვაქვს როგორც არაბული, ისე ევროპულ ენებზე არსებული წყაროები, მონოგრაფიები, სტატიები; აღმოსავლური, დასავლური და რუსული

პერიოდული პრესის მასალები, აგრეთვე ინტერნეტში მოძიებული სხვადასხვა სახელმწიფოების სამეცნიერო-კვლევითი, ანალიტიკური ცენტრების მიერ გამოქვეყნებული სხვადასხვა საინფორმაციო მასალა; დიდი დახმარება გაგვიწია არაბულ და ევროპულ ენებზე მასმედიის ვებ-გვერდებზე განთავსებულმა ინფორმაციამ.

არაბულენოვანი წყაროებიდან აღსანიშნავია ახლო აღმოსავლეთში ცნობილი პუბლიცისტის, ჟურნალისტის, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწის ეგვიპტელ მუჰამად ჰასანაინ ჰაიქალის რამდენიმე შრომა, რომლებიც სამამულო ორიენტალისტიკაში ნაკლებად არის ცნობილი და გამოყენებული. ჰაიქალის შრომები იმითაც არის საინტერესო, რომ ავტორს ეკავა სხვადასხვა მნიშვნელოვანი თანამდებობები ეგვიპტის მთავრობაში, იყო არამარტო დაახლოებული ეგვიპტის ორ უკანასკნელ პრეზიდენტთან, არამედ უშუალო მნახველი და მონაწილე საკვლევად აღებული პერიოდის ეგვიპტეში მიმდინარე ყველა პოლიტიკური მოვლენებისა. მისი შრომებიდან ყურადსაღებია პირველ რიგში სამტომეული, რომელიც ეხება არაბულ ქვეყნებსა და ისრაელს შორის მიმდინარე საიდუმლო მოლაპარაკებებს და შეთანხმება-გარიგებებს. აღნიშნული სამტომეული ქრონოლოგიურად მოიცავს XIX ს. ბოლოსა და XX ს. 90-იანი წლების პერიოდს. ჩვენთვის დიდი ინტერესი გამოიწვია მეორე და მესამე წიგნებმა: «წიგნი მეორე _ ომისა და მშვიდობის ქარცეცხლში. საიდუმლო მოლაპარაკებები არაბებსა და ისრაელს შორის» (341;244-245) და «წიგნი მესამე _ სამშვიდობო ილუზია _ ოსლო _ მის წინ და მის შემდეგ. საიდუმლო მოლაპარაკებები არაბებსა და ისრაელს შორის» (342;328-329). ჰაიქალის წიგნებიდან ასევე აღსანიშნავია: «73-ის ოქტომბერი. იარაღი და პოლიტიკა» (340;331-602), რომელშიც სრულყოფილად არის აღწერილი ეგვიპტე-ისრაელს შორის უკანასკნელი დიდი კონფლიქტი, აშშ-სა და საბჭოთა კავშირის როლი აღნიშნულ კონფლიქტში. წიგნი საინტერესოა იმითაც, რომ ავტორს მოყავს მასში მეტად საინტერესო, შეიძლება ითქვას უნიკალური დოკუმენტური მასალები, სადაც მოთავსებულია ეგვიპტის, ისრაელის, აშშ-სა და სსრკ-ს პოლიტიკური ლიდერებისა და სამხედრო პირების საუბრის ჩანაწერები, მათ შორის მიმდინარე მოლაპარაკებები, დადებული საიდუმლო შეთანხმებები. აშშ-სა და ეგვიპტეს შორის ურთიერთობების ისტორიის შესწავლისათვის მნიშვნელოვანი წყაროა ცნობილი ეგვიპტელი პოლიტიკური მოღვაწის, გაეროს ყოფილი გენერალური მდივნის ბუტროს ბუტროს ღალის წიგნი «ეგვიპტის გზა იერუსალიმში», რომელშიც დაწვრილებით

არის აღწერილი სადათის პოლიტიკური მიზნები და იერუსალიმში მისი ისტორიული ჩასვლის შედეგები. სწორედ ამ ვიზიტით საფუძველი ჩაეყარა ეგვიპტესა და ისრაელს შორის მომავალ სამშვიოდბო მოლაპარაკებებს (327;20-109).

სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის დროს გამოვიყენეთ მემუარები იმ პოლიტიკოსებისა, რომლებიც მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული ეგვიპტის ხელმძღვანელ პირებთან და განსაკუთრებით ეგვიპტის ორ უკანასკნელ პრეზიდენტთან: სადათთან და მუბარაქთან. მათ შორის მნიშვნელოვანია ეგვიპტელი პუბლიცისტის მაჰმუდ ფავზის ოთხტომეული «ეგვიპტის მმართველები», რომელიც შეიცავს საინტერესო ინფორმაციას ეგვიპტის XX ს-ის ყველა ხელმძღვანელის შესახებ. იმასაც უნდა გაესვას ხაზი, რომ ეს პუბლიკაციები აღიარებულ იქნა 1985, 1987, 1989 წ.წ. ეგვიპტეში საუკეთესო ჟურნალისტურ პუბლიკაციებად, ხოლო 1993 წ. ისინი ითარგმნა ფრანგულ ენაზე (328;13). ინტერესს მოკლებული არ არის ეგვიპტის საზოგადო მოღვაწის მუსა საბრის წიგნი: «სადათი, ისტორიული სინამდვილე» (322;26-678), რომელშიც აღწერილია სადათის მკვლელობის მიზეზები და შეფასებულია მის მიერ გატარებული პოლიტიკა.

ფასდაუდებელია ეგვიპტის ყოფილი დიპლომატის ასმათ აბდ ალ-მაჯიდის წიგნი «წარმატებებისა და მარცხის დრო», რომელიც ეხება არაბული სამყაროსა და საერთაშორისო დიპლომატიას (332;139). სხვა არაბი ავტორებიდან აღსანიშნავია აბდ ალ-ლაჰ იმამის «მოგონებები სადათის შესახებ» (311;52-63) და «სინამდვილე სადათის შესახებ, რომელმაც გაუსწრო წინ თავის ეპოქას» (310;79-80), სამირ ‘აბდუს «სადათის ფსიქოანალიზი» (324;13-23), დ. აბდ ალ-ჰამიდ რამადანის «ეგვიპტე სადათის პერიოდში» (317;145-150), იუსუფ ჰილალის «სადათი. მკვლელობის საიდუმლო ოპერაცია» (343;35), აჰმად ბაჰა‘ ად-დინის «ჩემი დიალოდგები სადათთან» (315;79), აბდ ას-სითარ ატ-ტავილას «სადათი, რომელსაც ვიცნობდი» (323;262-263) და ‘ადილ ჰამუდას «სადათის ბოლო დღეები» (314;8) და სხვა.

რაც შეეხება ეგვიპტის უახლესი ისტორიის ბოლო მონაკვეთს (მუჰამად ჰოსნი მუბარაქის მმართველობა), ამ პერიოდიდან აუცილებელია გამოვყოთ არაბი საზოგადო მოღვაწეების შემდეგი თხზულებები: ავტორთა კოლექტიური კრებული «მუბარაქი და არაბული სამყარო» (312;45-208), აჰმად აშ-შაიბის «ჩემი მეგობარი პრეზიდენტი» (321;206-207), და მაქრამ მუჰამად აჰმადის «საუბრები პრეზიდენტთან» (336;145). პირველი წიგნი ეხება ჰოსნი მუბარაქის დამსახურებას ეგვიპტის არაბულ სახელმწიფოთა ლიგაში

დაბრუნების საქმეში, ხოლო დანარჩენ წიგნებში აღწერილია მისი პოლიტიკური ცხოვრების მნშვნელოვანი ეტაპები.

სადისერტაციო შრომისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ისეთი მასალების გაცნობას, რომლებშიც გაშუქებულია თანამედროვე ეგვიპტეში მიმდინარე ყოველდღიური პოლიტიკური მოვლენები. კერძოდ, აქ იგულისხმება ჩვენს მიერ გამოყენებული საქართველოს საგარეო უწყებაში პერიოდულად არაბული ქვეყნებიდან შემოსული სხვადასხვა საინფორმაციო მასალები, განსაკუთრებით, ეგვიპტის საგარეო საქმეთა სამინისტროს ორგანოს «ად-დიბლუმასის» უკანასკნელი წლების ნომრები, რომლებშიც მოთავსებულია ინფორმაცია თანამედროვე ეგვიპტის საგარეო-პოლიტიკური მიზნების შესახებ [316;6,319;18-19,320;48,338;22-23].

ამ ჟურნალის გარდა გამოვიყენეთ არაბულ პერიოდულ პრესაში და Bბეჭდვით ორგანოებში გამოქვეყნებული მასალები ეგვიპტის გავლენიანი გამომცემლობა «ათ-თაჰრირის» გაზეთი «ალ-გუმჰურია»-ში [318,334]; კაიროს ანალიტიკური ცენტრის «ალ-აჰრამის» ინერნეტ გამოცემა _ “Al-Ahram Weekly” [199, 236,248,256]. მეტად საინტერესო ინფორმაცია მოვიძიეთ ეგვიპტური საერთაშორისო პოლიტიკური ჟურნალის «ას-სიასა ად-დავლიას» ცალკეულ ნომრებშიც [228,284].

ნაშრომში გამოვიყენეთ აგრეთვე საინფორმაციო მასალები, მოპოვებული სხვა არაბული და ევროპული ქვეყნების არაბულენოვანი საინფორმაციო საშუალებებიდან, კერძოდ როგორიცაა დიდი ბრიტანეთის «ალ-კუდს ალ-არაბი» (330), საუდის არაბეთის «აშ-შარკ ალ-ავსატ» (335), “Arab News” (205) და ა.შ.

არაბული პერიოდული პრესის გარდა მნიშვნელოვანი დახმარება გაგვიწია ეგვიპტის სახელმწიფო ტელევიზიის ფოტო და ვიდეო მასალებმაც, ასევე კატარის ცნობილი სატელევიზიო არხის «ალ-ჯაზირას» ოფიციალურმა ვებ-გვერდმა (54). ყველა ამ მასალის დიდი ნაწილი ჩვენს მიერ მოპოვებულ იქნა ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკაში 1997-98 წლებში სასწავლებლად ყოფნისას და მოგვიანებით კიდევ პერიოდულად ეგვიპტეში სტაჟირების დროს 2002/2003 და 2005 წლებში.

დასავლეთის ქვეყნების პოლიტოლოგების ნაშრომებიდან პირველ რიგში გამოვყოფდით ცნობილი ამერიკელი მკვლევარისა და პოლიტიკური მოღვაწის უილიამ კვანდტის წიგნს (William B. Quandt – The United State and Egypt. A Brookings Institution Book.

The American University in Cairo Press) (266;9-29), რომელიც ეხება აშშ-ეგვიპტის ურთიერთობებს 80-90-იან წლებში, აშშ-ს პლიტიკას ახლო აღმოსავლეთში და ეგვიპტე-საბჭოთა კავშირის ურთიერთობებს. აღსანიშნავია ასევე მისი მეორე ნაშრომი "The Middle East. Ten Years after Camp David. The Brookings Institution, Washington D.C." (265;94-115).

საინტერესო კვლევა-ძიება ჩაატარა მეორე ამერიკელმა მკვლევარმა უილიამ ბერნსმა (William J. Berns – Economic Aid and American Policy toward Egypt, 1955-1981. State University of New York Press) (215;117-201), ისევე როგორც ჯონ უოტერბერმა (John Waterbury – The Egypt of Nasser and Sadat. The Political Economy of Two Regimes. Princeton University Press) (301;123). სხვა ავტორებიდან გამოვიყენეთ არტურ გოლდშმიტის (Arthur Goldschmidt, Jr. – Modern Egypt. Westview Press, Colorado & Hutchinson, London) (230;138-145) და ჯოზეფ ნაის წიგნი (Joseph S. Nye, Jr. – Understanding International Conflicts. Harvard University) (258;174-176).

ჩვენი ყურადღება მიიპყრო აგრეთვე ისეთმა შრომებმა, რომლებშიც განხილულია ეგვიპტის, ისრაელისა და პალესტინის საკითხები. მათ შორის აღსანიშნავია ამოს პერლმიუთერის (Amos Perlmutter – The Life and Times of Menachem Begin. Garden City, New York) (263;48-357), აურელ ბრაუნის (Aurel Braun – The Middle East in Global Strategy. Westview Press, Colorado & Mansell Publishing Limited, London (211;93-97), ზეევ შიფის (Ze`ev Schiff – A History of the Israel Army, 1874 to the Present. London) (280;86-228), დავიდ ჩანოფის (Warrior. The Autobiography of Ariel Sharon by Ariel Sharon with David Chanoff. A Touchstone Book. New York, London) (281;374), ეჰუდა ლუკასის (Yehuda Lukacs – Documents on the Israeli-Palestinian Conflict, 1967-1983. Cambridge University Press) (25;220-231), რაიმონდ ბეიკერის (Raymond William Baker – Sadat and After. Harvard University Press) (206;200), ეჰუდ ლუკასის და აბდ ალ-ლაჰ ბატაჰის (Yehuda Lukacs and Abdalla M. Battah – The Arab-Israeli Conflict. Westview Press, London) (247;184-201), დონ პერეცის (Don Peretz – The Middle East Today. New York, London) (262;265), ჰირშ გუდმენისა და სეთ კარუსის (Hirsh Goodman, W.Seth Carus – The Future Battlefield and the Arab-Israeli Conflict. Transaction Publishers, U.S.A. and U.K.) (231;4-5), როჯერ ოუენის (Roger Owen – State, Power and Politics in the Making of the Modern Middle East) (261;150), მიხაილ როსკინის და ნიკოლას ბერის (Michael G.Roskin and Nicholas O.Berry – The New World of International Relations, Prenticle Hall Inc.,

Simon&Schuster) (269;138-139), ჯეიმს ბილისა და რობერტ სპრინგბორგის (James A. Bill and Robert Springborg – Politics in the Middle East. Longman, New York, Madrid) (210;157-191), ჯ. ბეილისის და ს.სმიტის (J.Baylis and S. Smith., The Globalization of World Politics. An Introduction to International Relations. Second Edition. OXFORD University Press) (207;82-83).

სადისერტაციო თემის დამუშავებისას დიდი დახმარება გაგვიწია ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტების _ რიჩარდ ნიქსონის, ჯიმი კარტერისა და რონალდ რეიგანის ჩანაწერებისა და მოგონებების პუბლიკაციებმა [26,32,33,218].

საკვლევად აღებული პრობლემის დამუშავებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ამერიკული და ევროპული კვლევითი ინსტიტუტების და სტრატეგიული ცენტრების მასალის გაცნობამ, რომლებიც ასახავენ თანამედროვე ეგვიპტის ურთიერთობებს აშშ-სთან. კერძოდ, “The Washington Institute for Near East Policy” [201, 274,279]; “The Middle East Quarterly” [219,223]; “Policy Review” (250), “Middle East Review of International Affairs (MERIA)” [220,254,272]; “Congressional Research Servise. The Library of Congress (CRS)” [16,17,252,285]; “The Centre for Defence & International Security Studies (CDISS)” (267), “The Washington Quarterly” [200,240]; “EIR International” [203,204]; “THE STRATFOR” (20), “The Foreign Affairs” [227,268,271]; «The American Foreign Policy Council” (209), “Foreign Policy in Focus (FPIF)” (298), “The Center for Defense Information (CDI)” (242), “The Centre for Defence & International Security Studies (CDISS)” (267), «FOREIGN POLICY” (270), «THE GLOBAL SECURITY” [224,241,260]; “Federation of American Scientists” (251). ასევე პოლიტიკურმა ჟურნალებმა და გაზეთებმა “THE WALL STREET JOURNAL (WSJ)” (149), “TIME” (272), “The New York Times” (282), “The Washington Post” (213), “The Christian Science Monitor” (288), “Newsweek”, “In The National Interest” (232), “The Middle East Research and Information Project (MERIP)” (225). დახმარება გაგვიწია ისრაელისა და ახლო აღმოსავლეთის საკითხებში კვლევით-ანალიტიკურმა ცენტრებმა. მათ შორის აღსანიშნავია “Jaffe Center for Strategic Studies Tel Aviv University” [246,291]; “MAOF Analytical Group” (195), “Jewish Virtual Library” [46, 237,277]; გაზეთმა “The Jerusalem Post” (204) და ა.შ.

ევროპული ინგლისურენოვანი ანალიტიკური ხასიათის ჟურნალებიდან აღსანიშნავია “The Economist” (222), “The Financial Times” (243), “The Times” (287), “Daily Telegraph” (297), “The International Herald Tribune” (245), “Guardian Unlimited” (303) და დიდი ბრიტანეთის

სატელევიზიო გიგანტის “BBC NEWS” ვებ-გვერდი (257). გარდა ამისა დიდი დახმარება გაგვიწია ფრანგულენოვანმა კვლევითი ცენტრებისა და პერიოდული პრესის მასალებმა, კერძოდ, გავლენიანი “Le Monde Diplomatique” [50,51]; “Le Figaro” (306), “L’Express” [304,305]. გერმანულენოვანი მასალებიდან ჩვენი ყურადღება მიიპყრო ისეთმა ჟურნალ-გაზეთებმა როგორიცაა “Suddeutsche Zeitung” (309), “Die Welt”, “Die Spiegel” (308) და ცნობილი საინფორმაციო არხის “DEUTSHE WELLE”-ის ვებ-გვერდზე გაშუქებულმა სტატიებმა (120). იტალიური ჟურნალებიდან გამოვიყენეთ “Corriere della Sera” (307), “La Stampa” (110).

სტატისტიკური მონაცემებისა და სხვა მნიშვნელოვანი ფაქტების დაზუსტების მიზნით ფართოდ გამოვიყენეთ აშშ-ს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს (CIA) [15,31,217,290] და რუსეთის ფედერაციის საგარეო დაზვერვის სამსახურის (CBP) (85) ოფიციალური ვებ-გვერდები და აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტთან არსებული ორგანო “Washington Profile” [69,171].

1973 წლის კონფლიქტის პერიოდში განვითარებულ მოვლენების კვლევა-ძიებისათვის მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს აშშ-ს ეროვნული უშიშროების არქივში დაცულმა მასალებმა, რომელიც პირველად შეგვაქ ქართულ აღმოსავლურ ისტორიოგრაფიაში და ხელი შეუწყო ჩვენი სადისერტაციო თემის შესახებ პრობლემატიკის განხილვას. საქმე ეხება აშშ-ს პოლიტიკას ახლო აღმოსავლეთში აღნიშნულ პერიოდში, მოიცავს კონფლიქტში მონაწილე მხარეებს შორის საიდუმლო მოლაპარაკებებს, მიმოწერას, სტენოგრამებს, ეგვიპტის, ისრელის, აშშ-სა და საბჭოთა კავშირს ლიდერების შორის საიდუმლო შეთანხმებებს და გადაწყვეტილებებს კონფლიქტის მსველეობის პერიოდში. დოკუმენტები პრველად გახდა ცნობილი ფართო საზოგადოებისათვის ორი წლის უკან და გამოქვეყნდა ინტერნეტში ეროვნული უშიშროების ოფიციალურ ვებგვერდზე ულიამ ბურის რედაქტირებით (William Burr, The October War and U.S. Policy, U.S. NATIONAL SECURITY ARCHIVE) (216). იგი აღწერს, რომ ოქტომბრის ომის მნიშვნელოვანი დეტალების მცოდნეები, მკვლევარები და ანალიტიკოსები, როგორიცაა რიჩარდ ნედ ლებოუა, ჯენსი გროს სტეინი, ულიამ ბ. კვანდტი და კენეტ ვ. სტეინი, სხვებთან ერთად გამოიკვლიეს აღნიშნული მასალები, გამოიძიეს საკვანძო საკითხები და მოვლენები, ეგვიპტისა და სირიის მიზნები, ამერიკისა და ისრაელის დაზვერვის შეცდომები, მოსკოვისა და

ვაშინგტონის როლი კონფლიქტის გაღვივებსა და შეწყვეტაში, და საკვანძო პირების _ კისინჯერისა და სადათის დიპლომატიურმა ძალისხმევამ.

გამოვიყენეთ ამერიკის გამოჩენილი პილიტიკური და საზოგადო მოღვაწის ჰენრი კისინჯერის წიგნები და პუბლიკაციები, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ეგვიპტისა და აშშ-ს შორის ურთიერთობების გამყარებაში და ეგვიპტე-ისრაელის მოლაპარაკებათა წარმართვაში (244;524-749).

საკვლევ საკითხთა გასაშუქებლად განსაკუთრებით ღირებულია აგრეთვე გაეროს უშიშროების საბჭოს და გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული რეზოლუციები და სხვა დოკუმენტები, რომლებიც წლების განმავლობაში ანელებდნენ ახლო აღმოსავლეთში არსებულ დაძაბულ ვითარებას. აღნიშნული მასალები განთავსებულია გაეროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე [34,35,36,37]. ასევე საინტერესო და სასარგებლო იყო ინტერნეტში გამოქვეყნებული სხვა საერთაშორისო თუ სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაციების, მაგალითად NATO-ს პუბლიკაციების გაცნობა (42).

საკვლევი თემის ნათლად წარმოსაჩენად განვიხილეთ ეგვიპტესა და ისრაელს შორის კონფლიქტის წარმოშობის მიზეზები, შევისწავლეთ და გავაანალიზეთ მათ შორის არსებული ხელმოწერილი შეთანხმებები და ხელშეკრულებები, რომელთა მოძიება მოხერხდა აღნიშნული სახელმწიფოთა საგარეო საქმეთა სამინისტროების არქივებსა და ოფიციალურ ვებ-გვერდებზე.

გარდა ამისა ოფიციალური ინფორმაციის მოპოვებაში დაგვეხმარა აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის, დიდი ბრიტანეთის საგარეო და თანამეგობრობის ოფისის, რუსეთის საგარეო უწყების, ეგვიპტის პრეზიდენტის, ისრაელის პრემიერ-მინისტრის და პარლამენტის (ქნესეთის) ოფიციალური ვებ-გვერდი.

აღსანიშნავია ის წვლილი, რომელიც ეგვიპტის ისტორიის კვლევაში შეიტანეს რუსმა აღმოსავლეთმცოდნეებმა. საბჭოთა კავშირის აღმოსავლური პოლიტიკის, მისი ლიდერების ეგვიპტისა და აშშ-ს პრეზიდენტებთან შეხვედრებისა და საუბრების შესახებ მასალებს გავეცანით ცნობილი რუსი აღმოსავლეთმცოდნეს, პოლიტიკური მოღვაწის, აკადემიკოს ევგენი პრიმაკოვის ნაშრომების მთელ სერიის მეშვეობით, რომელთა შორის გამოირჩევა «История одного сговора (Ближневосточная политика США в 70-е начале 80-х годов)» (153;12-83).

სადისერტაციო ნაშრომისათვის მნიშვნელოვანი მასალების მოპოვებაში ასევე დაგვეხმარა ა. კნიაზევის წიგნი «Египет после Насера, 1970-1981» (123;3-284) და მისმა პუბლიკაციამ «К вопросу о создании в Египте новой правящей партии (1971-1978). Арабские страны: история и современность» (124;158-164); ა. ოსიპოვის ნაშრომი «США и арабские страны. 70-е начале 80-х годов» (146;14-223), ა. ეგორინის მონოგრაფია «Египет нашего времени» (101;150-160); მოსკოველი აღმოსავლეთმცოდნეს ბ.სეირანიანის მონოგრაფიებმა და სტატიებმა, მათ შორის «Хосни Мубарак. Начало политической деятельности» (161).

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს კიდევ იმ პოლიტიკურ მოღვაწეთა გამოკვლევები და მოგონებები, რომლებსაც უშუალო კავშირი ჰქონდათ საბჭოთა კავშირის ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკასთან და ურთიერთობებთან არაბულ ქვეყნებთან. ამ მხრივ საინტერესოა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეტა მინისტრის ა. გრომიკოს მემუარები: « Памятное. Книга Вторая» (96;194).

საინტერესო მასალას შეიცავს რუსული პერიოდიკაც, თანამედროვე რუსული ანალიტიკური ცენტრების, სამეცნიერო ჟურნალებისა და მასმედიაში გამოქვეყნებულმა მკვლევართა და ჟურნალისტთა ნაშრომებმა, სტატიემბა. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ცნობილი სამეცნიერო-ბეჭდვითი ორგანოს «Азия и Африка сегодня»-ში [65,84,188,189], «Международная жизнь»-სა [125,143] და «Новое Время»-ში [79,174] გამოქვეყნებული სტატიებმა და მასალებმა, რომლებიც დაგვეხმარა შეგვექმნა საერთო წარმოდგენა თანამედროვე რუსეთის ახლო აღმოსავლური პოლიტიკის შესახებ. ყველაზე მნიშვნელოვანი როლი სადისერტაციო ნაშრომისათვის ჰქონდა რუსული ანალიტიკურ-პოლიტიკური ცენტრის _ «Институт изучения Израиля и Ближнего Востока»-ს გვერდებზე გამოქვეყნებულ რუსი და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან სხვა მკვლევართა და მეცნიერთა პუბლიკაციებს, რომელთა მეშვეობით სრული წარმოდგენა შეგვექმნა არაბულ ქვეყნებსა და ისრაელის მიმართ რუსული საზოგადოებრივი აზრის შესახებ ახლო აღმოსავლეთში, რუსეთის და დასავლეთ ქვეყნების მიერ გატარებული საგარეო პოლიტიკის შესახებ ჩვენთვის საინტერესო პერიოდში [77,89,129,155,190].

სხვა სტრატეგიული კვლევითი ცენტრების ვებ-გვერდებზე გამოქვეყნებული მასალებიდან აღსანიშნავია “GLOBAL AFFAIRS”-ის (186) და “Agentura”-ს პუბლიკაციები [100,113,116,117]. ინტერესს მოკლებული არ არის რუსეთის პერიოდული პრესის

ინფორმაციაც. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა რუსეთის ფედერაციის საინფორმაციო სააგენტოს «ИТАР-ТАСС»-ის ბიულეტენში _ «Компас»-ში მოთავსებული ანალიტიკური სტატიებიც [67,73,99,186].

სხვა ჟურნალ-გაზეთებიდან გამოვყოფდით «Коммерсант-Ъ»-ის [164,183], «Время Новостей»-ს [91,168], «Независимая Газета»-ს [173,118,111] «Известия»-ს [169,74], ასევე "Inosmi"-სა და "Inopressa"-ს ვებ-გვერდებზე განთავსებულ პუბლიკაციებს [90,110,149].

ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური ვითარებისა და აშშ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობების შესწავლაში მნიშვნელოვანი დახმარება გაგვიწია თსუ აზიისა და აფრიკის ქვეყნების ახლო და უახლესი ისტორიის კათედრის მიერ უკანასკნელ წლებში ქართულ ენაზე გამოცემულმა სამეცნიერო კრებულებმა. მათ შორის პირველ რიგში აღსანიშნავია _ «საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია» I-ში (თსუ,თბ.,2004) გამოქვეყნებული ზაზა მენთეშაშვილის სტატია: «შარმ აშ-შაიხი და კემპ-დევიდში მოლაპარაკებათა სამიტები» (136;583-584); კრებულში «ახლო და შუა აღმოსავლეთი» I-ში, (თსუ,თბ.,2005) გამოქვეყნებული მისი მეორე სტატია «ისრაელის პოლიტიკური განვითარების თავისებურებები» (58;145); კოლექტიური კრებული «აზიისა და აფრიკის ქვეყნების ისტორიის საკითხები» I (თსუ,თბ.,1993), რომელშიც მოთავსებულია ალბერტ მენთეშაშვილის ნაშრომი _ «სუნიტური ფუნდამენტალიზმი და ექსტრემიზმი თანამედროვე მაშრიკში» და ლეილა კიკნაძის «მუსლიმი ექსტრემისტები და ქრისტიანი კოპტები თანამედროვე ეგვიპტეში» (55;143-165). განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ალ.მენთეშაშვილის გამოკვლევა «XX საუკუნის გამოჩენილი პოლიტიკოსები და დიპლომატები» (თსუ, 2005), სადაც სხვებთან ერთად შესწავლილია ეგვიპტის სამივე პრეზიდენტის და წარმოშობით ეგვიპტელი ბ. ბ. ღალის ცხოვრება და მოღვაწეობა (57;372-576).

ასევე არ შეიძლება არ ავღნიშნოთ ის დახმარება რომელიც გაგვიწია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს «საგარეო პოლიტიკისა, კვლევისა და ანალიზის ცენტრის» პუბლიკაციებმა და ეგვიპტეში საქართველოს საელჩოდან მოწოდებულმა ყოველდღიურმა საინფორმაციო მასალებმა, სადაც მოცემულია თანამედროვე ეგვიპტის პოლიტიკური ცხოვრების საჭირბოროტო საკითხების ფართო ანალიზი.

დიდი როლი ითამაშა აგრეთვე ჩვენმა პირადმა საუბრებმა, როგორც კაიროს უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებთან, ასევე ეგვიპტის საგარეო პოლიტიკით დაინტერესებულ პირებთან და პოლიტოლოგებთან.

თავი I

ეგვიპტის არაბული რესპუბლიკის საგარეო-პოლიტიკური კურსი მე-XX საუკუნის 60-70-იან წლებში

ა) პრეზიდენტ ნასერის საგარეო პოლიტიკა

XX საუკუნის 60-70-იანი წლების მიჯნაზე ეგვიპტის არაბულ რესპუბლიკამ დიდი სახელმწიფო მოღვაწის გამალ აბდ ან-ნასერის ხელმძღვანელობით მნიშვნელოვანი ღონისძიებები გაატარა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და საზოგადოებრივი სფეროების განვითარებისაკენ, რამაც ეგვიპტე არაბული აღმოსავლეთის გავლენიან და ძლიერ სახელმწიფოდ გადააქცია. 1952 წლის რევოლუციის გამარჯვების წყალობით, ქვეყანა სოციალისტური სისტემის აღმშენებლობის განვითარების გზას დაადგა და არაბულ აღმოსავლეთში საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტრატეგიული მოკავშირე გახდა. მაგრამ ნასერის მოულოდნელი გარდაცვალება 1970 წლის 28 სექტემბერს, ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური და საშინაო კურსის მკვეთრი ცვლილების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი გახდა (123;3-7). გამალ აბდ ან-ნასერმა, როგორც მიუმხრობელი ქვეყნების ერთ-ერთმა გამოჩენილმა პოლიტიკურმა მოღვაწემ, მოიპოვა საყოველთაო აღიარება სოციალისტური ბანაკის და განსაკუთრებით, საბჭოთა კავშირის თვალში (199). სამხედრო გადატრიალების შედეგად, ხელისუფლების სათავეში მოვიდა «თავისუფალ ოფიცერთა» ორგანიზაციის ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობდა მუჰამად ნაგიბი. მეფე ფარუკი გადადგა, ხოლო ერთი წლის შემდეგ მონარქია გაუქმდა და ეგვიპტე 1953 წ. 18 ივნისიდან რესპუბლიკა გახდა. მუჰამად ნაგიბი გახდა პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი, ხოლო ნასერი პრემიერ-მინისტრის მოადგილე და შინაგან საქმეთა მინისტრი. 1954 წლის 23 თებერვლიდან ქვეყანას უკვე მართავდა ნასერი (16). 1952 წ. ივლისის რევოლუციის აქტივში შევიდა ინგლისურ-ფრანგული სუეცის არხის კომპანიის და სხვა მსხვილი უცხოური საკუთრების ნაციონალიზაცია, აგრარული რეფორმის გატარება და ა.შ.

რევოლუცია მთავარ ამოცანად ისახავდა ეგვიპტის გადაქცევას თანამედროვე განვითარებულ სახელმწიფოდ, მოწინავე მრეწველობით, სოფლის მეურნეობით, კულტურით, აგრეთვე ცხოვრების მაღალი დონით (210;157-158). ეგვიპტეში ნასერის მმართველობის ხანაში განხორციელებული რეფორმების გარკვეულ წარმატებებს, ვერ უარყოფენ მისი რეჟიმისადმი კრიტიკულად განწყობილი მეცნიერები. ასე, მაგალითად, თანამედროვე ფრანგი პოლიტოლოგი პ. მირელი აღნიშნავდა, რომ «მიუხედავად ყველა ნაკლოვანებებისა, ნასერის ექსპერიმენტი იყო უპრეცენდენტო მცდელობა მუჰამად ალის დროიდან (იგი მართავდა ეგვიპტეს 1805-1849 წ.წ., ზ.ტყალაძე) გარდაექმნა ეგვიპტე, მისი სამრეწველო და სამხედრო სტრუქტურა» (123;4).

XX საუკუნის 40-60-იან წლებში, ევროპის სახელმწიფოთა ყოფილი კოლონიების ტერიტორიებზე აღმოცენებული ახალი ქვეყნები აფრიკასა და ახლო აღმოსავლეთში საბჭოთა კავშირისა და აშშ-ს დიდ ყურადღებას იპყრობდა. ამ პერიოდში მთელი მსოფლიო დაყოფილი იყო ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილ ბანაკად, სადაც ერთ მხარეს იდგა საბაზრო-ეკონომიკური ურთიერთობების მქონე დასავლეთის განვითარებული ქვეყნები აშშ-ს სათავეში, ხოლო მეორე მხარეს სოციალისტური ბანაკი _ საბჭოთა კავშირის მეთაურობით. აღნიშნული დაპირისპირება ასევე ორი სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის NATO-სა და ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციაში (ОВД) შემავალი ქვეყნების ინტერესების შეჯახების ასპარეზიც იყო (148;64-65). ეგვიპტეში არსებული ვითარებით ისარგებლა სსრკ-მ და ახალ ხელმძღვანელობასთან აქტიური თანამშრომლობით ახალგაზრდა რესპუბლიკა მისი მნიშვნელოვანი პარტნიორი და წლების მანძილზე რეგიონში სოციალისტური პროპაგანდისა და საბჭოეთის საგარეო-პოლიტიკური კურსის აქტიურ ხელშემწყობად და გამტარებელად აქცია (130). გამალ აბდ ან-ნასერის ხელმძღვანელობით დაიწყო მაშტაბური ცვლილებები არა მხოლოდ ცალკე აღებულ ეგვიპტეში, არამედ კარდინალური ცვლილებები მოხდა აგრეთვე ახლო აღმოსავლეთის რეგიონის ძალთა განლაგებაშიც. ნასერი არაერთხელ უსვამდა ხაზს ეგვიპტის სტრატეგიული და განსაკუთრებული ურთიერთობების ხასიათზე სსრკ-თან და აღნიშნავდა, რომ ეს ურთიერთობები წარმოადგენენ ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირობას ეროვნული დამოუკიდებლობისა და ქვეყნის განვითარების გზაზე. «ჩვენ მშვენივრად გვესმის, _ თქვა მან 1970 წლის ივლისში, _ რომ არ ყოფილიყო სსრკ-ს მხარდაჭერა, ეგვიპტე

ვერ გადაწყვიტავდა რთულ ამოცანებს, როგორც ეკონომიკურ, ისე პოლიტიკურ სფეროებში» (123;6). როგორ აღმოჩნდა ეგვიპტე საბჭოთა კავშირის გავლენის ქვეშ და რა პოლიტიკას ახორციელებდა აშშ ეგვიპტის ახალგაზრდა რესპუბლიკასთან ?

დიპლომატიური ურთიეთობები ეგვიპტესა და სსრკ-ს შორის დამყარდა ჯერ კიდევ 1943 წლის 26 აგვისტოს (6). რუსი მეცნიერი ციგანკოვი აღნიშნავს, რომ 1952 წ. რევოლუციამდე სსრკ-ს ინტერესებში არ შედიოდა ახლო აღმოსავლეთის რეგიონის «ათვისება», ვინაიდან მას ტრადიციულად დიდი ბრიტანეთის გავლენის ზონად მიიჩნევდა. 1943 წელს საბჭოთა კავშირმა არ დაუჭირა მხარი ეგვიპტის მონარქიას, რომლემაც მიმართა საბჭოთა ლიდერს დახმარებისათვის (ამ შემთხვევაში სტალინის გადაწყვეტილება სავსებით გასაგებია – მძვინვარებდა მეორე მსოფლიო ომი და მეორე ფრონტის გახსნის მოლოდინში, სტალინი ვერ დაუპირისპირდებოდა ანტიფაშისტური კოალიციის წევრ დიდ ბრიტანეთს, ზ.ტ.). რევოლუციის პირველ წლებშიც საბჭოთა კავშირის ურთიერთობები ეგვიპტესთან დაბალ დონეზე იდგა. მოსკოვში «თავისუფალ ოფიცერთა» ორგანიზაციის რევოლუცია აღქმულ იქნა ჩვეულებრივ სამხედრო გადატრიალებად, ხოლო ეგვიპტელ ლიდერებს ბურჟუეზებად აღიქვამდა. ასეთი დამოკიდებულება, შეიძლება ვეძებოთ საბჭოთა იდეოლოგიაში, რომელსაც «თავისუფალ ოფიცერთა» იდეასთან საერთო არაფერი ჰქონდა: პირველ რიგში, ეგვიპტის რევოლუცია ატარებდა ეროვნულ-განმანთავისუფლებელ ხასიათის, ვიდრე კლასობრივს, მეორედ, ახალმა ლიდერებმა აკრძალეს კომუნისტური პარტია ეგვიპტეში (184;329).

გასული საუკუნის 50-იან წლებში ნასერი ვერ ხედავდა საბჭოთა კავშირში ისეთ სახლემწიფოს, რომელიც დაეხმარებოდა ეგვიპტეს საგარეო თუ საშინაო პრობლემების გადაჭრაში და ამიტომ მიზანშეწონილად ჩათვალა ურთიერთობების განვითარება სხვა ზესახელმწიფოსთან _ აშშ-სთან. თუ როგორ განვითარდა ეს ურთიერთობები ნასერის პერიოდში კარგად ვიცით, მაგარამ 1952-53 წლებში ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მუდმივი წარმომადგენელი უკვე კაიროში იჯდა და ეგვიპტის ახალ ხელმძღვანელობასთან თანამშრომლობდა (116). ამერიკელთა ერთ-ერთი პირველი წარმომადგენელი იყო ჯეიმს იგლერბერგი, რომელიც მეგობრობდა ეგვიპტის ცნობილ პუბლიცისტთან და საზოგადო მოღვაწესთან ჰ. ჰაიქალთან, მაშინ გაზეთ «ალ-აჰრამის» მთავარ რედაქტორთან და ნასერის ნდობით აღჭურვილ პირთან. ჰაიქალი აღნიშნავს, რომ

ნასერი ესწრებოდა რევოლუციური საბჭოს სხდომას, სადაც განიხილებოდა სატელევიზიო ანძის მშენებლობის საკითხები. პრეზიდენტი განცვიფრებული დარჩა როცა გაიგო რომ ამერიკის სპეცსამსახურმა მისთვის გამოყო 3 მლნ. დოლარი, რომელიც თავის მოსყიდვად ჩათვალა, დასცინა ამერიკელთა ინიციატივას და გადასცა ფული ანძის ასაშენებლად (116).

1952 წ. ნასერმა დახმარება სთხოვა ამერიკას მიეწოდებინა ეგვიპტესათვის შეიარაღება. მაგრამ აშშ-მ აღუთქვა ეგვიპტეს ეკონომიკური და სამხედრო დახმარება იმ შემთხვევაში თუ ეგვიპტე რეგიონალურ ანტისაბჭოურ ბლოკში შევიდოდა, რაც ნასერისათვის ქვეყნის ოკუპაციის გაგრძელებას ნიშნავდა ამერიკის დროშის ქვეშ. ამას გარდა შეერთებულმა შტატებმა, დიდმა ბრიტანეთმა და საფრანგეთმა კოდევ ორი პირობა წაუყენეს: მისთვის გადაცემული შეიარაღება ეგვიპტეს არ უნდა გამოეყენებინა დასავლეთისა და ისრაელის წინააღმდე; იარაღის საფასური ეგვიპტეს მყარ ვალუტაში უდა გადაეხადა (184;330-331).

1953 წლის 11 მაისს კაიროში ჩამოვიდა სახელწიფო მდივანი ჯ. ფ. დალესი, რათა დაერწმუნებინა ეგვიპტე მიერთებოდა კოლექტიური უსაფრთხოების პაქტს. ნასერი თავისი მხრიდან სთხოვდა კრედიტს ასუანის კაშხალის მშენებლობისათვის და იარაღის შეძენისათვის (მოგვიანებით კაშხალის მშენებლობა დაიწყო სსრკ-ს დახმარებით 1959 წ. და გაგრძელდა 11 წელი, რომლის მშენებლობაზე დაიხარჯა 2 მლრდ. აშშ დოლარი) (262;265). შეხვედრაზე ნასერმა აღნიშნა, რომ მას საერთოდ არ აწუხებს საბჭოთა მუქარა და დასძინა, რომ მისთვის საშიშროებას წარმოადგენს უფრო დიდი ბრიტანეთი, რომელიც 70 წელი (1882 წლიდან) ქვეყნის ოკუპაციას ახდენდა: «კომუნისტები ისარგებლებენ პაქტში ჩემი მონაწილეობით, რათა თქვან, რომ მე მარიონეტი ვარ» (236;48). ამერიკის რეაქციამ არ დააყოვნა. ეკონომიკური დახმარება 270 მლნ. შემცირდა 40 მლნ. აშშ დოლარამდე. დიდმა ბრიტანეთმა თავის მხრიდან შეწყვიტა ეგვიპტური ბამბის შესყიდვა, ხოლო ნასერის მიერ ალჟირელი პარტიზანებისათვის დახმარების მიზეზით, საფრანგეთმა ისრაელს იარაღი მიაწოდა (104). ნასერის უარის შემდეგ შეიქმნა ცნობილი ბაღდადის პაქტი ეგვიპტის გარეშე, რომელსაც ნასერი «ხალხთა ციხეს» უწოდებდა (92).

რეგიონში არსებული ვითარების ფონზე ნასერს უნდა შეემცირებინა დასავლეთის გავლენა ეგვიპტეზე და შეექმნა ძლიერი ხელისუფლება ქვეყნის შიგნით ოპოზიციური ძალების ლიკვიდაციით. მან გააუქმა 1953 წელს ყველა ოპოზიციური პარტია (261;150). დაიწყო კომუნისტების დევნა და რადიკალური ისლამური ორგანიზაცია «ძმები

მუსლიმების» წევრების მასობრივი დაპატიმრებები, განსაკუთრებით პრეზიდენტზე 1954 წლის 26 ოქტომბერს მისი ერთ-ერთი წევრის აბდ ალ-ლატიფის უშედეგო თავდასხმის შემდეგ, ალექსანდრიაში მიტინგზე (310;79). ამის შედეგად, ყველა საშინაო საფრთხის თავიდან აცილებისა და 1954 წლის ოქტომბერში დიდ ბრიტანეთთან ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, ჯარების სუეცის არხიდან ევაკუაციის შესახებ, ნასერის ხელისუფლებამ გაამყარა თავისი პოზიციები (170).

ამ დროისათვის ახლო აღმოსავლეთში ვითარება დაძაბული იყო. არაბულ ქვეყნებში საშინაო მდგომარეობის მიუხედავად, მათი დამოკიდებულება ახლად შექმნილი ისრაელის სახელმწიფოსთან ყოველთვის მტრული იყო. 1949 წელს დაწყებული ფედაინთა (პარტიზანთა) რეიდები მდ. იორდანის დასავლეთ სანაპიროსა და ღაზას სექტორიდან ისრაელში სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა ქვეყნის სტაბილურობას, რომლებიც 1949-56 წლებში სამხედრო მომზადებას გადიოდნენ ეგვიპტეში, ლიბანსა და იორდანიაში. ისრაელი საპასუხო დარტყმებს ახორციელებდა ეგვიპტურ და იორდანულ ტერიტორიებზე. მათი რეიდები ისრაელის ტერიტორიაზე სულ უფრო ხშირ ხასიათს ატარებდა. თანდათან ამ «პატარა ომში» ჩათრეულ იქნა ეგვიპტის, იორდანიისა და ისრაელის რეგულარული ჯარები. ქვეყნებს შორის დაძაბულობა იზრდებოდა. ეგვიპტემ ტირანის სრუტეს გასასვლელთან არტილერია დააყენა, რასაც მოყვა აკაბის ყურისა და სუეცის არხის ბლოკირება და ჩაიკეტა გასასვლელი ისრაელის გემებისათვის, რომლებიც აკაბის ყურიდან ინდოეთის ოკეანეში გადიოდნენ (238;40).

როცა 1955 წლის 24 თებერვალს შეიქმნა ბაღდადის პაქტი (NATO-ს აღმოსავლური ვერსია) (244;527), რომელშიც გაერთიანდა ირანი, თურქეთი, პაკისტანი, დიდი ბრიტანეთი და ერაყი, აშშ-მ შეიარაღება მიაწოდა ისრაელს და აღმოუჩინა ფინანსური დახმარება ერაყს. ნასერმა მოკავშირის ძიებაში ყურადღება მიაქცია სირიას, რომლის სათავეში მოვიდნენ მემარცხენე ძალები. 1955 წელს ჩამოყალიბდა საერთო სამხედრო კავშირი, რომელსაც შემდგომ შეუერთდა იორდანია და საუდის არაბეთი და რამაც საფუძველი ჩაუყარა ინტეგრაციულ პროცესებს არაბულ სამყაროში (1958 წლის თებერვალში ეგვიპტე სირიასთან ერთად შექმნის გაერთიანებულ არაბულ რესპუბლიკას. ეს სახელწოდება შენარჩუნდება 1961 წლის სექტემბერში გაერთიანებიდან სირიის გამოსვლის შემდეგაც, ხოლო 1971 წლიდან დღემდე, ეგვიპტის ოფიციალური სახელწოდებაა - ეგვიპტის

არაბული რესპუბლიკა) (1;15). მაგრამ, ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად, რამაც გაამყარა ნასერის რეჟიმის პრესტიჟი, ჩაითვალა 1955 წელს 18-24 აპრილში ინდონეზიის პრეზიდენტ სუკარნოს ინიციატივით ბანდუნგის კონფერენციაში მონაწილეობა. 29 ქვეყანამ მიიღო გადაწყვეტილება «მიუმხრობელი ქყევნების ბლოკის» შექმნა, რათა გამოსულიყვნენ «კოლონიალიზმის და იმპერიალიზმის» წინააღმდეგ. ამიერიდან ეგვიპტის ლიდერობა არაბულ სამყაროში ეჭვს აღარ იწვევდა (338;22-23).

სერიოზული პოლიტიკური საფრთხის მოშორებით ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო ავტორიტეტის ამაღლებით ნასერს აღარ სჭირდებოდა აშშ-ს დახმარება. ბანდუნგის კონფერენციაზე ჩინეთის პრემიერ-მინისტრის ჩჟოუ ენ ლაიას შუამავლობით ნასერმა ჩეხოსლოვაკიასთან შეთანხმებას მიაღწია იარაღის მიღების თაობაზე, რომელიც იყო არაბული ქვეყნის პირველი შეთანხმება სოციალისტური ბლოკის სახელმწიფოსთან (205). ძლიერი შეიარაღებული ძალების შექმნის სურვილით ნასერმა საბჭოთა კავშირსაც მიმართა. დასავლეთიდან დახმარების მიღების გეგმის ჩაშლამ ხელი შეუწყო ნასერის დაახლოებას კომუნისტურ ბლოკთან. ამ სიტუაციით ისარეგებლა საბჭოთა კავშირმა და გაგზავნა თავისი წარმომადგენელი სამხედრო ატაშე ვ.ნიმიჩენკო მოლაპარაკებების საწარმოებლად. 1955 წ. 20 სექტემბერს ვარშავაში ხელი მოეწერა ხელშეკრულებას, რომელიც ითვალისწინებდა ეგვიპტესათვის შეიარაღების მიწოდებას 250 მლნ. აშშ დოლარის ოდენობით, კონკრეტულად: გამანადგურებლების, ბომბდამშენების, საშუალო და მძიმე ტანკების, არტილერიის ასევე სამი გემის და სამი წყალქვეშა ნავის მიღებას. ამასთან ერთად გაიგზავნა საბჭოთა სამხედრო ინსტრუქტორები ტექნიკის ასათვისებლად (251). თუ ეგვიპტის ხელმძღვანელობა ცდილობდა ბრძოლისუნარიანი არმიის შექმნას და თავისი დამოკიდებულების მოხსნას დასავლეთისაგან, სსრკ-ს გეგმებში ახლო აღმოსავლეთში თავის პოზიციების გამყარება შედიოდა. ხრუშჩოვი თავის მემუარებში წერდა: «ნასერის ბურჟუაზიული ხელისუფლების მხარდაჭერა ჩვენს ინტერესებში შედიოდა იმიტომ, რომ ამით ინგლისური კოლონიალიზმის დასუსტება ხდებოდა ახლო აღმოსავლეთში, - რაც ასევე სსრკ-ს ინტერესებში შედიოდა. . .» (292;432).

როცა აღმოსავლეთის ბლოკიდან ნასერმა შეიარაღება მიიღო, დალესმა დაუყოვნებლივ მოითხოვა საბჭოთა იარაღის მიწოდებასთან დაკავშირებით შეთანხმების ანულირება და დაემუქრა ეგვიპტეს ზღვიდან ბლოკირებით, რათა არ დაეშვა იარაღის

ჩამოტვირთვა ეგვიპტის ნავსადგურში (244;530-531). ხოლო, როცა ეგვიპტის ჯარებმა დაიკავეს სუეცის არხის ზონა დიდმა ბრიტანეთმა და საფრანგეთმა შემოიღეს ეკონომიკური სანქციები ეგვიპტის წინააღმდეგ და დაიწყეს ინტერვენციისათვის მზადება, მაშინ აშშ ცდილობდა საქმის მშვიდობიანად მოეგვარებას (170). ნასერი თვლიდა, რომ დახმარების მიღება შეიძლება ნებისმიერი ქვეყნიდან თუ ის გარკვეულ პირობებს არ წაუყენებდა მას. ხოლო აღნიშნულ ვითარებაში საბჭოთა კავშირის ვარიანტი მისაღები აღმოჩნდა, თუ გავითვალისწინებთ საბჭოთა სამხედრო მანქანის სიძლიერეს. მაშინ ნასერი არ ფიქრობდა იმ შედეგებზე რაც ამ პარტნიორობას მოყვებოდა, მან მხოლოდ იცოდა, რომ ის რაც უნდა ეგვიპტეს, უნდა სსრკ-ს – დასავლეთის გავლენის მოშორება.

ნასერის ასეთმა პოლიტიკურმა მანევრებმა ისრაელის მძაფრი რეაქცია გამოიწვიეს. 1956 წლის ივლისში ისრაელის ლიდერი დავიდ ბენ-გურიონი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ისრაელმა უნდა განახორციელოს ეგვიპტეზე პრევენტიული დარტყმა. 1956 წლის მარტში დიდ ბრიტანეთში შემუშავდა «ნასერის სამხედრო საშუალებებით» მოშორების გეგმა (280;86). ისრაელის ინტერესებში შედიოდა პარტიზანთა რეიდების ნეიტრალიზება სინასა და ღაზას სექტორიდან, ასევე თავისი გემებისათვის ტირანის სრუტეს გახსნა. საფრანგეთის ინტერესებში იყო ალჟირელებისათვის ეგვიპტის დახმარების შეწყვეტა, ხოლო დიდი ბრიტანეთის სუეცის არხზე თავისი ბატონობის შენარჩუნება (51). მათ უშლიდათ ერთი ადამიანი – გამალ აბდ ან-ნასერი. ასე დაიწყო 1956 წელს სუეცის კრიზისი, რომელიც არაბ - ისრაელის მეორე ომით არის ცნობილი (244;530). აქ საინტერესოა აშშ-ს ძალისხმევა აღნიშნული კონფრონტაციის თავიდან აცილების მიზნით. ამერიკის ადმინისტრაცია მიხვდა, რომ ომი გარდაუვალია და გადაწყვიტა ჩარევა. შეერთებული შტატების VI სამხედრო საზღვაო ფლოტის ძალებმა გადასხეს ალექსანდრიაში საზღვაო ქვეითი ჯარი, რათა შეეჩერებინათ აგრესორები, თუმცა უკვე გვიან იყო. აღნიშნული ომი სულ ცოტა ასი საათი გაგრძელდა, მაგრამ ეგვიპტეზე სამხედრო კამპანია წარმატებით მიმდინარეობდა, რომელიც შეჩერებულ იქნა აშშ-სა და სსრკ-ს ძალისხმევის შედეგად (172). ეს იყო ორი ზესახელმწიფოს მოქმედებისა და თანამშრომლობის უნიკალური მაგალითი მშვიდობის დამყარებისათვის. ეს თანამშრომლობა გამოწვეული იყო სხვადასხვა მიზეზით. საბჭოეთს არ აწყობდა დაენახა თუ როგორ ნადგურდებოდა თავისი მოკავშირე «პოტენციური მოწინააღმდეგის» მიერ, ხოლო აშშ-მ გადაწყვიტა საბოლოოდ ჭკუა ესწავლებინა NATO-ს

მოკავშირეებისათვის _ ვაშინგტონის გარეშე არ მიეღოთ მონაწილეობა რაიმე სახის სამხედრო ოპერაციის ჩატარებაში. როგორც ანვარ სადათი ამბობდა, სუეცის კრიზისის დროს, ინგლისსა და საფრანგეთს მიუჩინეს თავიანთი ადგილი, როგორც ზესახელმწიგოებს, რომლებიც არც დიდები და არც ძლიერები არიან (192). ინგლისი, საფრანგეთი და ისრაელი დამარცხდა, რამაც უფრო მეტად შეუწყო ხელი ეგვიპტის ინტეგრაციას აღმოსავლეთის ბლოკში (170). მართალია, ხრუშჩოვის არადიპლომატიური ტაქტიკისა (არაერთხელ ჩააგდო უხერხულ მდგომარეობაში სსრკ-ს საგარეო უწყება) და არაბი ლიდერის იმპულსივობის გამო ეგვიპტესა და სსრკ-ს შორის ურთიერთობები მერყეობდა, მაგრამ ამან არ იქონია არსებითი გავლენა ორი ქვეყნის დაახლოებაზე (102). ხოლო, როცა ხრუშჩოვმა თავისი ინიციატივით, მოულოდნელად მიანიჭა ნასერს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება, კიდევ უფრო გააოცა პოლიტბიუროს წევრები (111). 1957 წლის ოქტომბერში მოსკოვში პოლონეთის საელჩოში გამართულ მიღებაზე, ხრუშჩოვმა აღნიშნა: «ჩვენ მხარს ვუჭერთ გამალ აბდ ან-ნასერს, თუმცა ვიცით, რომ იგი არ არის კომუნისტი და თავის ქვეყანაში კომუნისტებს ციხეში სვამს. მაგრამ ეს საშინაო საქმეა, რომელიც მას და მის ქვეყანას ეხება, და ჩვენ მხარს უჭერთ მას, ვინაიდან იგი ეროვნული ლიდერია, რომელიც თავისი ხალხის იმედს წარმოადგენს . . .» მას შემდეგ, რაც 1964 წელს ხრუშჩოვი გადააყენეს ნასერმა შესძახა: «ო ალაჰ! თავიდან მომიწევს მოსკოვთან ყველაფრის დაწყება!», მაგრამ მოვლენებმა გვიჩვენა, რომ საბჭოეთის ახალმა ლიდერმებმა უფრო ღრმად ჩაითრიეს ეგვიპტის რესპუბლიკა თავისი გავლენის სფეროში (102).

XX საუკუნის 60-70-იანი წლების მიჯნაზე ეგვიპტემ დაიწყო გამოსვლა აშშ-ს ინრერესების სფეროდან, რამაც ხელი შეუწყო საბჭოთა გავლენის გაძლიერებას რეგიონში. ეგვიპტის პოლიტიკური მოღვაწის ალი საბრის აზრით, სწორედ 60-იანი წლების პერიოდში დაიწყო ე.წ. «ინფითაჰის» პერიოდი და არა ნასერის შემდეგ, როცა სინამდვილეში ეგვიპტე ჩაიკეტა და იგი მიატოვა მთელმა მსოფლიომ და ურთიერთობა ჰქონდა მხოლოდ აშშ-სთან (311;63). გაიზარდა ეგვიპტის საერთაშორისო ავტორიტეტი აღმოსავლეთის ბლოკის თვალში, ხოლო აშშ-ს პრესტიჟი არაბულ სამყაროში საგრძნობლად დაეცა, ვინაიდან ამერიკის ძირითადი სტრატეგიული პარტნიორი და მოკავშირე ახლო აღმოსავლეთის რეგიონში არაბული ქვეყნების №№1 მტერი ისრაელი იყო, რომლის მხარდაჭერაზე უარის თქმა, ახლო აღმოსავლეთის ამერიკული პოლიტიკის სტრაეგიული ამოცანებისა და აშშ-ში

ებრაული ლობის გათვალისწინებით, შეუძლებელი იყო. ზბიგნევ ბჟეჟინსკი ამბობდა: «არაბებმა უნდა გაიგონ, რომ ამერიკა-ისრაელის ურთიერთობებსა და ამერიკა-არაბთა ურთიერთობებს შორის პარალელის გავლა არ შეიძლება, ვინაიდან ამერიკა-ისრაელის ურთიერთობები ემყარება იმ ისტორიულ და სულიერ მემკვიდრეობას, რომელიც დამკვიდრებულია ამერიკელი ებრაელების მიერ, როცა ამავე დროს ამერიკა-არაბთა ურთიერთობები არ შეიცავს ასეთ ელემენტებს» (206;200). ამავე დროს, თავისი პოზიციების შეჯერებისას ახლო აღმოსავლეთის საკითხებთან დაკავშირებით, პრეზიდენტ ლ.ჯონსონისა და მის შემდეგ მომდევნო რ.ნიქსონის, ჯ.ფორდის, ჯ.კარტერის ადმინისტრაციებმა გაითვალისწინეს ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის რეგიონში განხორციელებული რევოლუციური ძვრები, მაგრამ ვერ შეირიგეს ეგვიპტე და არაბული ქვეყნები იმ მიზეზით, რომ აშშ მხარს უჭერდა ისრაელს. აღნიშნულ პერიოდში მოქმედებდა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც ხელს უშლიდა აშშ-ს გავლენის გაფართოებას და საგრძნობლად ასუსტებდა მის ზეწოლას არაბულ ქვეყნებზე, ეს იყო საბჭოთა კავშირის აქტიური საგარეო პოლიტიკა რეგიონში (146;14).

ასეთი პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარების ფონზე, ახლო აღმოსავლეთში არაბ-ისრაელის ახალი კონფლიქტის ესკალაცია დაიწყო. ეს იყო რიგით მესამე, ე.წ. «ექვსდღიანი» არაბ-ისრაელის ომი, რომელიც დაიწყო 1967 წლის 5 ივნისის, რის შედეგად ისრაელმა 60 ათ. კვ. კმ. მეტი არაბული ტერიტორიები მიიერთა. მის ხელში გადავიდა ეგვიპტის სინას ნახევარკუნძული და ღაზას სექტორი, იორდანიის კონტროლის ქვეშ მყოფი პალესტინის ტერიტორია მდ. იორდანის დასავლეთ სანაპიროზე და სირიის სასაზღვრო რაიონი - გოლანის მაღლობები (258;181). ისრაელის სამხედრო კამპანია 1967 წ. ომში ჩატარდა კოდური სახელწოდებით - ოპერაცია «მტრედი» (75). ისრაელის გენერალური შტაბის გეგმებით, უპირატესობა ეძლეოდა ავიაციის მოულოდნელ დარტყმებს, რათა ქვეით ჯარებს საშუალება ჰქონოდა შეტევის განხორციელებისათვის. 5 ივნისს, ისრაელის დროით დილის 7.10 საათზე ისრაელმა სირიის, ეგვიპტისა და იორდანიის საჰაერო ავიაციაიის ძირითადი ძალები გაანადგურა, თუმცა ეგვიპტის საზენიტო-სარაკეტო დანადგარებმა მოახერხა 35 თვითმფრინავის ჩამოგდება, მაგრამ ინიციატივა უკვე დაკარგული იყო. აღნიშნული ომის მონაწილე, იმ პერიოდში სსრკ-ს სამხედრო ატაშე ს.ტარასენკო იხსენებს, რომ: «ერთ საათში ჩვენ უკვე ვიცოდით, რაც ხდებოდა. საელჩოში მოვიდა საბჭოთა

სპეციალისტების ჯგუფი, რომლებიც მუშაობდნენ ეგვიპტურ სამხედრო ბაზებზე. კითხვაზე თუ რა მოხდა, უფროსმა ოფიცერმა გვიპასუხა - ეგვიპტეს სამხედრო საჰაერო ძალები აღარ ჰყავს, აღარ არის «კაირო უესტის» ბაზაც. გასაკვირი იყო მხოლოდ ეგვიპტელთა გენერლების სიმშვიდე, რომლებიც დარწმუნებულები იყვნენ, რომ მათმა ომი დაიწყეს არა ისრაელთან, არამედ აშშ-სთან, რომელშიც აუცილებლად ჩაებმებოდა საბჭოთა კავშირი და მიცემდა სამხედრო მოქმედებებს სხვა მიმართულებას». ამ დროს ისრაელის ჯარებმა მთლიანად დაიპყრეს სინას ნახევარკუნძული და გავიდნენ სუეცის არხის აღმოსავლეთით (75).

უინსტონ ჩერჩილის შვილიშვილის, პარლამენტარის და ჟურნალისტის უინსტონ ჩერჩილის აზრით, მართალია ეგვიპტელებმა საბრძოლო მოქმედებების დროს თავი ვერ გამოიჩინეს, მაგრამ დიპლომატიურ ომს ისინი მიუდგნენ მთელი სერიოზულობით. მათ ბრალი დასდეს აშშ-ს ისრაელთან ფარულ კავშირში, რაც გახდა აშშ-ეგვიპტის დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტის და 6 ივნისს სუეცის არხის დახურვის მიზეზი. საბჭოთა დელეგაციამ გაეროს უშიშროების საბჭოში განაცხადა, რომ ეს არის თელ-ავივის ექსტრემისტული დროებითი წარმატება. ისრაელი პასუხს აგებს მთლიანად ჩადენილ დანაშაულზე (156;115-116).

შეერთებული შტატების ურთიერთობები გაერთიანებულ არაბულ რესპუბლიკასთან განსაკუთრებით გაუარესდა სწორედ ამ კონფლიქტის შემდეგ და მასთან ურთიერთობების შემდგომი განვითარება ძირითადად ისრაელთან დაპირისპირების ჭრილში განიხილება. საბჭოთა კავშირის, აღმოსავლეთის ბლოკის და არაბული ქვეყნების მიერ ისრაელის სამხედრო კამპანია განისაზღვრებოდა როგორც აგრესია არაბულ ქვეყნებზე, ხოლო ისრაელისათვის ეს იძულებული პრევენტიული სამხედრო ოპერაცია იყო. (156;24-25).

აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით ჩვენ გვინდა ებრაელი მეცნიერისა და მკვლევარის დოქტორ ალეკ ეპშტეინის მოსაზრება მოვიყვანოთ. იგი ამბობს, რომ ისრაელსა და არაბებს შორის არსებობს უთანხმოება თითქმის ყველა პრობლემასთან დაკავშირებით, მათ შორის 1949 წლის შეთანხმებებისადმი, რომელიც ითვალისწინებდა ცეცხლის შეწყვეტას. მისი აზრით ისრაელი გრძნობდა, რომ არაბები განიხილავენ ამ შეთანხმებას არა როგორც მშვიდობიანი მოლაპარაკებების გზას (ომის მდგომარეობის შეწყვეტას), არამედ როგორც მომდევნო სამხედრო კამპანიისათვის მზადებას. 1967 წლის ომის შედეგად

ისრაელის სამხედრო და ადმინისტრაციულ დაქვემდებარებაში ბევრი არაბული ტერიტორია აღმოჩნდა, როგორც ისტორიული მნიშვნელობის (იერუსალიმის ძველი ქალაქი, ჰებრონი და წმინდა მიწის სხვა ადგილები), ისე სტრატეგიული (სინას ნახევარკუნძული და გოლანის მაღლობები) (194). როცა ებრაელები გაეშურენ მანდელბაუმის კარებიდან ძველი ქალაქისაკენ, რათა დაენახათ გოდების კედელი, არაბებსა და ებრაელებს შორის მომავალი განხეთქილების საბაბი გახდა დაიანის სიტყვები: «ჩვენ გულრწფელად ვუწოდებთ მშვიდობის ხელს ჩვენ არაბ ძმებს, მაგრამ დავბრუნდით იერუსალიმში, რათა არასოდეს დავტოვოთ იგი» (156;116).

რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის პროფესორის ევგენი პირლინის აზრით, კონფლიქტის მოგვარების სერიოზული ხელის შემშლელი ფაქტორი იყო არაბული ქვეყნების კატეგორიული უარი რაიმე ფორმით ეღიარებინათ ისრაელის სახელმწიფო, რასაც ბევრი დასავლეთისა და ებრაელი მკვლევარი ეთანხმება. საბჭოთა პოზიცია განისაზღვრებოდა მაშინ ე.წ. «ეგვიპტეცენტრიზმით», რომელიც ყოველთვის არ იყო ლოგიკური (არაბული ტერმინოლოგიით, ისრაელს მიიჩნევდენ, როგორც «უკანონო სიონისტურ წარმონაქმნს») (155;195). 1967 წლის ხარტუმის კონფერენციაზე არაბი ლიდერები ვერ შეურიგდნენ დამარცხებას: არა - მშვიდობა ისრაელთან! არა - ისრაელის აღიარება! არა – მოლაპარაკებები! (108). არაბ-ისრაელის კონფლიქტთან დაკავშირებით დიპლომატიურმა ძალისხმევამ გაეროშიც, ვერ შეამცირეს დაძაბულობა (196;197). ნასერი ამბობდა: «რაც იყო აღებული ძალით, შეიძლება დაბრუნებულ იქნას ისევ ძალით». შემდგომში შიმონ პერესი აღიარებდა, რომ ასეთი გამარჯვების შემდეგ ისრაელი ისევ აღმოჩნდა ძალიან დიდი საშიშროების წინაშე «დაუძლურების» ომის პერიოდში. ზუსტად ამ ომმა დაბადა მომავალი შეიარაღებული წინააღმდეგობა (121).

საერთოდ უნდა ითქვას რომ კონფლიქტის დაწყების წინ ისარელი ცდილობდა დაემყარებინა საიდუმლო კავშირები ისლამურ, მათ შორის არაბულ ქვეყნებთან. 1965 წელს ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ შექმნა იორდანულ-ებრაულ-ამერიკული კომიტეტი ანტიტერორისტული მოქმედებების კოორდინაციისათვის. იორდანიიდან მიღებული ინფორმაცია შესაძლებლობას აძლევდა ისრაელს პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის სამხედრო შეტევების მოგერიება. 1967 წელს ც.ს.ს. გააფრთხილა მეფე ჰუსეინი ისრაელისა და ეგვიპტეს შორის ომის დაწყების შესახებ და

ურჩია მას არ ჩარეულიყო ამ კონფლიქტში. მაგრამ ჰუსეინი ჩაება კონფლიქტში და დაკარგა კიდეც მდ. იორდანის დასავლეთ სანაპირო (186).

კონფლიქტის მოგვარების ინიციატორებს _ აშშ-სა და საბჭოთა კავშირს შორის მოლაპარაკებები ძალიან რთულ ვითარებაში მიმდინარეობდა. ამ კონფლიქტმა გაამწვავა აშშ-ს ურთიერთობები არა მარტო არაბულ ქვეყნებთან, არამედ მის ევროპელ მოკავშირეებთანაც, რომელთა დამოკიდებულება არაბულ ნავთობზე მნიშვნელოვანი იყო. მაგრამ ამერიკის ადმინისტრაციას უფრო მეტად, აღელვებდა საბჭოთა კავშირის ავტორიტეტის გაზრდა ახლო აღმოსავლეთში და იმისათვის რომ ნეიტრალიზებულ ყოფილიყო აღნიშნული ფაქტორი, აშშ ხანგრძლივი მოლაპარაკებების შედეგად მხარს უჭერს უშიშროების საბჭოში მიღებულ რეზოლუციას, რომელმაც განსაზღვრა ახლო აღმოსავლეთში სამართლიანი და მყარი მშვიდობის პრინციპები (34). ამას გარდა მის მთავარ საგარეო-პოლიტიკურ პრობლემად ვიეტნამის კონფლიქტი რჩებოდა, ხოლო სსრკ-სათვის 60-70-იან წლებში იზრდებოდა დაძაბულობა ჩინეთთან. საბჭოთა, შემდეგ იუგოსლავიისა და ლათინოამერიკული რეზოლუციების ჩაშლის შემდეგ, 1967 წლის 22 ნოემბერს მიღებულ იქნა № 242 რეზოლუცია, რომელიც ითვალისწინებდა ცეცხლის შეწყვეტას და ისრაელის ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანას ოკუპირებული არაბული ტერიტორიებიდან. ინდოეთის წარმომადგენელი გაეროში არტურ ლალი მიიჩნევდა, რომ № 242 რეზოლუცია ნიშნავდა ახლო აღმოსავლეთში დიპლომატიური მიღწევების ახალი ეტაპის დაწყებას. მაგრამ, როგორც ებრაელი მეცნიერი თვლის ეს იყო არა პირველი და არა საბოლო დილპომატიური ილუზია, რომელიც თან სდევდა არაბ-ისრაელის კონფლიქტის მოგვარების პროცესს (194). პროფესორ პირლინის აზრით, რომელიც საბჭოთა-ამერიკული კონსულტაციების უშუალო მონაწილე გახლდათ, ამერიკული მხარე ცდილობდა დაეყვანა საქმე დოკუმენტის მიღების შემოკლებულ ვარიანტამდე, ხოლო დანარჩენი საკითხების შემუშავება მიენდო კონფლიქტის მხარეთათვის. შემდეგ უნდა გამართულიყო მხარეებს შორის პირდაპირი მოლაპარაკებები, მაგრამ განცდილი მარცხი ჯერ არ იყო ამოშლილი არაბთა მეხსიერებიდან, ხოლო საბჭოთა კავშირი კონფლიქტის მოგვარების ყველა საკითხს უდგებოდა ე.წ. «ეგვიპტეცენტრიზმის» ნიშნით (155;196). ამის ნათელი მაგალითია ისრაელთან დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტა 1967 წლის 10 ივნისს, როცა კონფლიქტურ მხარეებს შორის ვითარება უკიდურესად დაიძაბა. ახლო

აღმოსავლეთში შექმნილი ვითარება განხილულია ლეონიდ ბრეჟნევის 1967 წ. 20 ივნისის საიდუმლო ანგარიშში კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენარულ სხდომისათვის: «საბჭოთა პოლიტიკა ისრაელის აგრესიის პერიოდში ახლო აღმოსავლეთში», სადაც ჩანს, რომ მოსკოვი არ აპირებდა ახლო აღმოსავლეთის საომარ კონფლიქტში ჩაბმას და რომ 1967 წლის ომში საბჭოეთს არ შეუძლია არაბების კონტროლი (47).

საბჭოთა კავშირის მიერ ისრაელთან დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტამ წლების განმავლობაში დასვა ღრმა კვალი ისრაელის ურთიერთობებს საბჭოთა ბლოკთან, რომლის გადალახვა შესაძლებელი გახდა მხოლოდ გორბაჩოვბის მოსვლის შემდეგ. უნგრეთის კომუნისტური (სოციალისტური შრმის) პარტიის არქივებში აღმოჩენილია 1967 წ. 13 ივნისის იანოშ კადარის პოლიტბიუროს სხდომაზე გამოსვლის მოხსენების სტენოგრამა, რომელიც ეხება კომუნისტური პარტიის ყველა ლიდერების საიდუმლო შეხვედრას მოსკოვში, ისრაელსა და ეგვიპტეს შორის კონფლიქტთან დაკავშირებით 9 ივნისს. კადარის მოხსენებიდან ჩანს, რომ ისრაელის გამარჯვებამ საბჭოთა ბლოკში დიდი დაბნეულობა გამოიწვია, რომ არაბებმა ვერ გამოიყენეს საბჭოთა შეიარაღება. შეხვედრაზე იმყოფებოდა იოსიფ ბროზ ტიტო, რომელსაც ჯავაჰარლარ ნერუსა და სუკარნოსთან ერთად უფრო მჭიდრო ურთიერთობები გააჩნდა ნასერთან, ვიდრე საბჭოეთს. პირველ რიგში ეს დოკუმენტი საინტერესოა იმით, რომ ნასერმა გაიარა კონსულტაციები ტიტისთან და არა სსრკ-სთან, როდესაც ჩაკეტა აკაბის ყურე და გაიყვანა გაეროს ჯარები სინაიდან. კადარი ამბობს, რომ ეს სავსებით გასაგებია «ვინაიდან იუგოსლავიას უფრო ძველი და მჭიდრო ურთიერთობები გააჩნია ეგვიპტესთან!» ტიტომ დუყოვნებლივ მიიღო გადაწყვეტილება საჰაერო ხიდით იარაღის მიწოდების შესახებ ეგვიპტისათვის. აღნიშნული ფაქტები ახლებურად აჩვენებენ ტიტოს როლს ახლო აღმოსავლეთში. კადარი ამბობს, რომ ტიტოს იდეა იყო ისრაელი ეწოდებინათ «აგრესორად». კადარის ტექსტი უნიკალურია იმითაც, რომ იგი იძლევა შესაძლებლობას შიგნიდან შევხედოთ საბჭოთა ბლოკის მოქმედებას 1967 წლის კრიზისის დროს, სადაც იყო უთანხმოებები წევრებს შორის. სხვათაშორის, მხოლოდ ჩაუშესკუს რუმინეთმა არ გაწყვიტა კავშირები ისრაელთან. მაგრამ ზუსტად ტიტოს და არა რუსებს მიმართა ნასერმა (204).

კონფიდენციალური აშშ-საბჭოთა მოლაპარაკებების ჩატარების შემდეგ (საბჭოთა კავშირი მხარს უჭერდა გაეროს სპეციალური წარმომადგენლის ახლო აღმოსავლეთში გ.იარინგის (შვედეთის ელჩი სსრკ-ში) მისიას და გამოდიოდა კონფლიქტური მხარეთა შორის პირდაპირი მოლაპარაკებების წინააღმდეგ), 1969 წელს, აშშ-მ გააქტიურა დაბალანსირებული ძიება კონფლიქტის მოგვარების საქმეში. ვინ წარმოიდგენდა მაშინ, რომ გარდაიცვლებოდა ნასერი და ეგვიპტესთან საბჭოთა ურთიერთობები შეიცვლებოდა, ხოლო აშშ არაბებსა და ისრაელს შორის არსებულ დაპირისპირებაში ერთადერთი შუამავალი გახდებოდა (155;197).

1969 წ. აშშ-ს ახალი პრეზიდენტის რიჩარდ მილჰაუს ნიქსონის არჩევის შემდეგ, გავრცელდა თეზისი ამერიკის ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკის სწრაფი ცვლილებების შესახებ. თვით ნიქსონმა 1969 წლის 6 თებერვალს განაცხადა, რომ აშშ «იღებს თავის თავზე ინიციატივას» ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის მოგვარების საქმეში და მხარს უჭერს იარინგის მისიას. 1969 წლის 9 დეკემბერს სახელმწიფო მდივანმა უილიამ როჯერსმა საჯაროდ მოახდინა ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის მოგვარების რესპუბლიკური ადმინისტრაციის გეგმა: «მოუწოდით ისრაელს ჯარები გაიყვანოს 242 რეზოლუციის შესაბამისად ისე, სამშვიდობო შეთანხმების გარეშე, ეს ნიშნავს არაბების მხარეზე ყოფნას, ხოლო მოუწოდო არაბებს მშვიდობისაკენ ისრაელის ჯარების გაყვანის გარეშე, ეს ნიშნავს რომ იყო ებრაელთა მხარეზე» (41;8-9).

გეგმა ითვალისწინებდა შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე სამი თვით, თუმცა ღიად რჩებოდა ღაზას სექტორისა და შარმ აშ-შაიხის სტატუსი. ამერიკული წინადადება დავიდა ფორმულამდე «ომის შეწყვეტა - მოლაპარაკებების დაწყება» (24;19-23). ნასერმა, რომელიც უკვე გრძნობდა საბჭოთა კავშირის მზარდ პოლიტიკურ გავლენას ეგვიპტეზე, გამოთქვა მზადყოფნა მიეღო აღმიშნული გეგმა, რომელიც მიიღო იორდანიამაც. აშშ-ს ზეწოლის შედეგად, მიუხედავად აშკარა პროტესტისა, ისრაელი დათანხმდა «როჯერსის გეგმას» (108). შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე შევიდა ძალაში 1970 წლის 8 აგვისტოს. 1970 წლის 24 აგვისტოს, იარინგმა გამოაცხადა მოლაპარაკებების დაწყების შესახებ გ.ა.რ., იორდანიასა და ისრაელს შორის. მაგრამ 1970 წლის 6 სექტემბერს ისრაელმა დაადანაშაულა ეგვიპტე ცეცხლის შეწყვეტის პირობის დარღვევაზე, ეგვიპტის მიერ სუეცის არხზე სარაკეტო დანადგარების დაყენების გამო, რამაც «აიძულა» აშშ სამხედრო დახმარება

აღმოეჩინა ისრაელისათვის. სსრკ-მ კი, გააფართოვა 1970 შემოდგომისათვის ეგვიპტისათვის სამხედრო შეიარაღებისა და აღჭურვილობის გადაცემა (იგულისხმება ოპერაცია «კავკასია», ზ.ტ.) (94;48).

აშშ-ს პოლიტიკამ ახლო აღმოსავლეთში არაბული ქვეყნების დიდი გაღიზიანება გამოიწვია, ისრაელისათვის პოლიტიკური, მატერიალური, სამხედრო დახმარების მიზეზით და ბევრმა ქვეყანამ როგორიცაა ალჟირი, ერაყი, იემენი, ეგვიპტე, სირია და სუდანი გაწყვიტა მასთან დიპლომატიური ურთიერთობები.

ამას გარდა ნავთობმომპოვებელმა ქვეყნებმა (ალჟირი, ერაყი, ქუვეითი, ლიბია და საუდის არაბეთი) ეკონომიკური სანქციები შემოიღეს იმ დასავლეთის ქვეყნების წინააღმდეგ, რომლებმაც მხარი დაუჭირეს ისრაელის სამხედრო კამპანიას არაბული ქვეყნების წინააღმდეგ. კონფლიქტის დაწყების შემდეგ ნავთობის ექსპორტის შეწყდა აშშ-ში, ბრიტანეთსა და საფრანგეთში.

1968 წლის 25 აპრილს, კაიროს უნივერსიტეტში ინტელიგენციის წარმომადგენლებთან შეხვედრისას ნასერმა განაცხადა, რომ «ისრაელის აგრესიის შედეგების ლიკვიდაციის პრობლემა, არ ნიშნავს მხოლოდ ისარელის ჯარების გამოყვანას სინაიდან . . . ის შედგება შემდეგისაგან: ვიარსებოთ ჩვენ, თუ არ ვიარსებოთ. აგრესიის შედეგების ლიკვიდაციის პრობლემა უფრო მეტია ვიდრე სინაის განთავისუფლება, დავრჩებით თუ არა ჩვენ დამოუკიდებელი ქვეყანა, თუ მოვექცევით გავლენის სფეროების ქვეშ?! ჩვენ დაჭრილები ვართ . . . მაგრამ ამის გამო განა ვიტყვით უარს ჩვენს იდეალებსა და უფლებაზე და დავჯდებით მოლაპარაკებების მაგიდასთან ისრაელთან პრობლემების გადასაწყვეტად? ეს სურთ ამერიკასა და ისრაელს» (57;439). აშკარაა რომ ასეთი ვითარების ფონზე აშშ-ს ურთიერთობა ეგვიპტესთან საგძნობლად გაუარესდა. ამას ხვდებოდნენ აშშ-შიც, რომლესაც მიემატა იარინგის მისიის უგულებელყოფა და ისრაელის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების ათვისება და შეიარღებული კამპანიების გატარება. ისრაელის თავდაცვის მინისტრის მ.დაიანის თქმით, ისრაელის ჯარებმა 1967 წლის 13 ივნისიდან 1969 წლის 30 ნოემბრამდე 7,5 ათ. მეტი სამხედრო ოპერაცია ჩაატარეს, აშშ-ს მიერ აქტიური სამხედრო დახმარებით (146;21).

აშშ-ს პრეზიდენტის მრჩეველმა ეროვნული უშიშროების საკითხებში ჰენრი კისინჯერმა პირდაპირ განუცხადა სახელმწიფო მდივანს ჯ.სისკოს, 1969 წლის

თებერვალში, რომ «ჩვენ არ გვინდა სწრაფი წარმატება ორმხრივ კონსულტაციებზე გაეროში». თავისი პოზიცია კისინჯერმა ასე განმარტა: «მე ვთვლი, რომ გაჭიანურება მთლიანობაში ჩვენს ინტერესებში შედიოდა, ვინაიდან ის გვაძლევდა საშუალებას გვეჩვენებინა რადიკალურად განწყობილი არაბებისთვისაც კი, რომ ჩვენ ვართ აუცლებლები ნებისმიერი წინსვლისათვის კონფლიქტის მოგვარების საქმეში, რომ მოლაპარაკებებზე პროგრესი არ შეიძლება მიღწეულ იქნას საბჭოთა კავშირის მეშვეობით». თავის მემუარებში კისინჯერი ღიად საუბრობდა აღმოსავლური პოლიტიკის მთავარ მიზანზე _ სსრკ-ს ჩამოშორება მოგვარების პროცესიდან და არაბულ ქვეყნებზე გადაწყვეტილებების მოხვევა ამერიკული რეცეპტებით. საერთაშორისო ძალისხმევის ჩავარდნამ, ახლო აღმოსავლეთის დარეგულირების საქმეში, უნდა აიძულოს არაბული ქვეყნები გაიგონ, რომ «აშშ-ს და არა საბჭოთა კავშირს უდევს იმის გასაღები, რაც არაბებს უნდათ» (146;25). შემდგომში, ამ უდიდესი პილიტიკური მოღვაწის მოსაზრება გამართლდება ნაწილობრივ მაინც, ეგვიპტესთან მიმართებაში.

ამერიკის პოლიტიკურ მიზნებზე ახლო აღმოსავლეთში 60-70-იან წლების მიჯნაზე, გაერთიანებული არაბული რესპუბლიკის ეროვნული ორიენტაციის ყოფილი მინისტრი, ჰაიქალი წერდა: «ამერიკელები, არაბული ლიდერების წინ, ისეთებისთვის როგორიც ნასერი იყო და რომელსაც უნდოდა ჩიხიდან გამოსვლა, მხოლოდ ერთ ღია კარს ტოვებდნენ: ის რომელიც მიდიოდა ვაშინგტონთან პირდაპირი მოლაპარაკებებისაკენ . . . ამერიკელები ეუბნებოდნენ არაბებს: თუ თქვენ გინდათ რაიმეს მიღწევა, თქვენ უნდა მოხვიდეთ ჩვენთან და გამართოთ მოლაპარაკებები ჩვენთვის მისაღებ პირობებში» (146;26).

ასე გაგრძელდა 70-იანი წლების ბოლომდე, როცა გარდაიცვალა გამალ აბდ ან-ნასერი. ეგვიპტელი ხალხის თვალში, ნასერი იმდენად პოპულარული იყო, რომ საბჭოთა დიპლომატის მოწმობით გლოვის დღეებში კაიროს ქუჩებში გამოვიდა 5 მლნ. მეტი ადამიანი, ხოლო რამდენიმე სასოწარკვეთისაგან გარდაიცვალა კიდეც (125;62-64). ხოლო ახალმა ხელმძღვანელობამ აღარ ისურვა ძველ მოკავშირესთან თანამშრომლობა და ქვეყნის განვითარების სხვა საშუალებებს მიმართა.

რუსი მკვლევარის ა.კნიაზევის აზრით, ახალი მთავრობის მიერ ნასერის კურსის საფუძვლიანი შეცვლა განაპირობა იმ ნეგატიურმა მოვლენებმა, რომელიც თან სდევდა ნასერის რეჟიმს. ნასერის საგარეო და საშინაო პოლიტიკის ძირითად მიმართულებად

შეიძლება გამოვყოთ შემდეგი: დაგეგმარების ეკონომიკა, ფორსირებული ინდუსტრიალიზაცია, მსხვილ მფლობელთა საკუთრების ნაციონალიზაცია, სსრკ-სთან აქტიური თანამშრომლობა და პანარაბიზმის იდეოლოგია ეგვიპტეში, რომელიც იყო აგრარული ქვეყანა, საბჭოთა კავშირის დახმარებით განვითარდა ეკონომიკის სხვადასხვა სფეროები, ამუშავდა მძიმე მრეწველობის დარგები, ტრანსპორტი და ა.შ. (311;52-53).

ეგვიპტის პოლიტიკას ძირითადად ნასერის პირადი ავტორიტეტი განსაზღვრავდა. ნასერმა ვერ შექმნა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ინსტიტუტები, რომლებიც უზრუნველყოფდა მისი კურსის შენარჩუნებას (123;7-8).

ნასერი ცდილობდა თავისი პირადი სოციალისტური თეორიის შემუშავებას. ქარტიაში ნათქვამი იყო «სოციალისტური განვითარება, - აღნიშნულია მასში, - იყო ისტორიული აუცილებლობა, რომელიც განპირობებული იყო მასების მოთხოვნებისა და მე-XX საუკუნის II ნახევარში მსოფლოს ცვალებადი ბუნების საფუძველზე . . .» როგორც ნასერი თვითონ ამბობდა «სინამდვილეში, სოციალიზმი ერთია, მაგრამ მისკენ მიმავალი გზები სხვადასხვა. ჩვენ განვსხვავდებით კომუნისტური ქვეყნებისაგან სოციალიზმის გაგებასთან დაკავშირებით. მათში რეჟიმი დაფუძნებულია პროლეტარიატის დიქტატურაზე, ე.ი. მუშათა კლასის დიქტატურაზე, ჩვენ კი არ მოუწოდებთ დიქტატურაზე, არამედ დემოკრატიაზე მშრომელი ხალხისათვის» (337;81). ეგვიპტელი მკვლევარის ტარიკ ჰიგის აზრით, ეგვიპტე არასოდეს იყო კომუნისტური, მაგრამ ნასერის დროს მრეწველობის ნაციონალიზაციამ და ეკონომიკის დაგეგმარებამ შედეგად გამოიწვია მასიური – რაც მოსალოდნელი იყო ეკონიმკური სტაგნაცია (250).

ვინაიდან ეგვიპტეში სოციალისტური სისტემის დანერგვამ გამოიცვია სოციალურ-პოლიტიკური ვითარების გართულება 70-იანი წლების დასაწყისში, კონტრრევოლუციის გატარების წინაპირობა გამოჩნდა. ამიტომ ნასერის შემდეგ მოსულ სადათს არ დასჭირვებია დიდი ძალისხმევა შეეცვალა ეგვიპტეში იმ მომენტისათვის არსებული ვითარება მისთვის საჭირო მიმართულებით და ქვეყანა სწრაფად გადავიდა პროდასავლური ძალების ხელში. მართალია ქვეყანაში არსებობდნენ ძალები, რომლებიც მხარს უჭერდნენ ნასერის კურსის გაგრძელებას, მაგრამ მათ ვერ შეძლეს მის გარშემო პოლიტიკურად დარაზმვა და არსებულ ვითარებაზე გავლენის მოხდენა. ნასერის მცდელობას აეშენებინა სოციალისტური საზოგადოება არ გააჩნდა მყარი ნიადაგი. ნათელი იყო, როცა რევოლუციური

ხემძღვანელობა ებრძოდა ე.წ. «უცხოურ ბაზებს» ქვეყნის გარეთ, ასეთი ბაზები უკვე მის საზოგადოებაში არსებობდა. როგორც კნიაზევი თვლის, ის რაც დაემართა ეგვიპტეს გასული საუკუნის 70-იან წლებში არ შეიძლება ჩავთვალოთ ისტორიულ შემთხვევითობად და მივაწეროთ მხოლოდ ახალი ხელმძღვანელობის და კერძოდ ეგვიპტის პრეზიდენტის ანვარ სადათის ავანტიურიზმს (123;6).

ბ) ანვარ სადათის მოსვლა ხელისუფლების სათავეში და საგარეო-პოლიტიკურ კურსში ცვლილებების შეტანა

მუჰამად ანვარ ას-სადათი დაიბადა 1918 წლის 25 დეკემბერს დაბა მით აბუ ალ-ქუმში ნილოსის დელტაში, რომელიც 40 კმ.-ით კაიროს ჩრდილოეთით არის განლაგებული (მანუფიის საგუბერნატორო) (324;13).

1914 წელს დიდმა ბრიტანეთმა გამოაცხადა ეგვიპტეზე თავისი პროტექტორატი. 1919-21 წლებში ქვეყანაში ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის გააქტიურების შემდეგ პროტექტორატი გაუქმდა და ეგვიპტე გამოცხადდა დამოუკიდებელ სამეფოდ (1922 წ.) მაგრამ ქვეყანაში ბრიტანეთის ჯარები დარჩნენ (222).

ანვარის ყველა ნათესავი ითვლებოდა მართლმორწმუნე მუსლიმად და იგი ბავშვობიდან რელიგიურ სკოლაში სწავლობდა (329;9). 1925 წელს სადათის ოჯახი საცხოვრებლად კაიროს გარეუბანში გადავიდა, სადაც სადათმა მიიღო საშუალო განათლება. როცა 1936 წელს დაბალი კლასის ფენებს მიეცათ საშუალება ესწავლად სამხედრო აკადემიაში, ანვარ სადათი ჩაირიცხა აბასიას სამხედრო აკადემიაში და სადაც გაიცნო გამალ აბდალ ნასერი და 1938 წელს კოლეჯის დამთავრების შემდეგ მისი ერთ-ერთი მეგობარი გახდა (66;21).

ანვარ სადათის საქმიანობის დიაპაზონი 1952 წლის რევოლუციამდე ფართო იყო. ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომამდე იგი ინგლისის გავლენის წინააღმდეგი იყო და ჰიტლერის გერმანიას აღმერთებდა. საქმე არა მარტო იმაშია, რომ ის განიხილავდა გერმანიას როგორც ინგლისის მთავარ მოწინააღმდეგედ, არამედ მას მოსწონდა ნაცისტური გერმანისი ლოზუნგები და მათი წესრიგი. საინტერესოა, რომ მის საპრეზიდენტო სასახლეში იდგა ფიურერის ბიუსტი. 1953 წელს თავის «წერილში გარდაცვლილ ჰიტლერს» წერდა: «თუ შენ

წააგე ომი, მაინც გამარჯვებული ხარ. შენ შეძელი ჩერჩილი და მისი მოკავშირეები წაგეკიდებინა ერთმანეთს». პროფესორი იაკოვ ეტინგერი თვლის, რომ გერმანელებმა გამოიყენეს არაბული ნაციონალიზმი, როგორც ბრძოლის იარაღი ინგლისისა და საფრანგეთის წინააღმდეგ. თავის მხრივ არაბი ნაციონალისტები ხედავდნენ გერმანიაში ობიექტურად პოტენციურ მოკავშირეს კოლონიური იმპერიების წინააღმდეგ ბრძოლისათვის» (185). მეორე მსოფლო ომის დროსაც სადათი თანამშრომლობდა გერმანიის დაზვერვასთან, რისთვისაც დაიჭირეს კიდეც (328;13). სადათი თავისი ახალგაზრდული გატაცების შესახებ წერდა: «ჩემი აღფრთოვანება გერმანული მილიტარიზმით, არ ექვემდებარება აღწერას, მე რომ მეცადა კიდეც ამის აღწერა, ვერ მოვძებნიდი არაბულ ენაში საკმარის სიტყვებს, რათა გამომეხატა ჩემი დიდი სიყვარული და აღტაცება . . .» (278;13-34). სადათის სიმპატიებზე გერმანიისა და მისი სამხედრო მანქანის მიმართ, მეტყველებს ის ფაქტი, რომ როცა იგი პრეზიდენტი გახდა, შემოიღო ახალი ფორმა ეგვიპტის არმიისათვის, რომელიც ძალიან წააგავდა «მესამე რაიხის» უნიფორმას. 1942 წ. იგი ჩასვეს ციხეში, საიდანაც გაიქცა ორი წლის შემდეგ და ომის დამთავრებამდე არალეგალურად ცხოვრობდა, იცვლიდა სამუშაოს, მისამართს და გარეგნობას (153;20).

1938 წელს სადათი გაანაწილეს სამუშაოდ აღმოსავლეთ ეგვიპტეში. აქ სადათმა ნასერთან და სხვა ოფიცრებთან ერთად შექმნა «საიდუმლო რევოუციური საზოგადოება განთავისუფლებისათვის», რომელიც მიმართული იყო ეგვიპტეში ინგლისელთა ბატონობის წინააღმდეგ. ასე ჩაეყარა საფუძველი «თავისუფალ ოფიცერთა» ორგანიზაციას (324;19-23). მაგრამ არსებობს არაბი მკვლევარის სხვა ვერსიაც სადათის «თავისუფალ ოფიცერთა» ორგანიზაციაში საქმიანობასთან დაკავშირებით. ჰაიქალი შემდეგი სახით ახასიათებს სადათის მონაწილეობას ორგანიზაციაში და იმ მოტივებს რამაც ის მიიყვანა ამ მოძრაობაში: «1951 წლის ბოლოსათვის (!) სადათი ნასერმა ოფიციალურად მოიწვია «თავისუფალ ოფიცრეთა» ორგანიზაციაში. მაგრამ დანარჩენი წევრები ამის წინააღმდეგი იყვნენ, ვინაიდან იცოდნენ სადათის დამოკიდებულება გერმანელების მიმართ, ასევე მისი კავშირების შესახებ მეფე ფარუკთან. ჰაიქალის სიტყვებით, მთავარი მიზეზი, რის გამოც მიიღეს სადათი ორგანიზაციაში, იყო ნასერის სურვილი გამოეყენებინა მისი

ურთიერთობები მეფის კართან ორგანიზაციის ინფორმირებისათვის, ან თვითონ ორგანიზაციის შესახებ მეფის კარის დეზინფორმირების მიზნით (233;27).

ბევრი წიგნში და მათ შორის ეგვიპტეში გამოცემულში, აღწერილია ეგვიპტეში რევოლუციის დაწყების წინ სადათთან დაკავშირებული ეპიზოდი. როცა უკვე დასახელდა ამბოხების დაწყების საათი, ყველაზე მნიშვნელოვან მომენტში 1952 წლის 22 ივლისს სადათი თავის ოჯახთან ერთად კინოთეატრში იმყოფებოდა ფილმის სეანსზე. სადათის ოჯახის წევრების მიერ კინოთეატრში მოწყობილი სკანდალის შედეგად, ყველა აღმოჩნდა პოლიციის განყოფილებაში, სადაც შედგა ოქმი მათი იქ ყოფნის შესახებ 23 ივნისის შუაღამის შემდეგ. ცნობილი რუსი მვლევარი და პოლიტიკური მოღვაწე ევგენი პრიმაკოვი თავის წიგნში «ერთი გარიგების ისტორია», სვამს კითხვას: ხომ არ ცდილობდა სადათი, შეექმნა თავისათვის ალიბი, რევოლუციის უშედეგოდ დამთავრების შემთხვევაში? (153;20). მაგრამ ამას არ შეუშლია მისთვის ხელი გამოეცხადებინა კაიროს რადიოთი 23 ივლისის რევოლუციის შესახებ (230;138).

ნასერის მმართველობის პერიოდში, სადათი შეუმჩნეველი პილიტიკური ფიგურა იყო და შესაბამისად ნასერი მასში ხედავდა უამბიციო პიროვნებას და ყველაზე მეტად ენდობოდა მას, იმ შემთხვევაში თუ შეექმნებოდა საფრთხე მის ძალაუფლებას. სადათი შეგნებულად მალავდა თავის ამბიციებს და როგორც თვითონ იხსენებდა: «თუ ნასერმა შეგამჩნია პატივმოყვარეობა, შენ დაღუპული ხარ» (159). ანვარ სადათს წლების განმავლობაში ეკავა საპატიო, მაგრამ საოქმო ხასიათის თანამდებობები. 1955-56 წლებში იგი იყო ეგვიპტის გაზეთ «ალ-გუმჰურიას» რედაქტორი და სახელმწიფო მინისტრი. 1960-68 წლებში, ეროვნული ასამბლეის თავმჯდომარე, პრეზიდენტის რწმუნებული იემენში, როცა იქ მძვინვარებდა სამოქალაქო ომი. სადათი, რომლიც ცნობილი იყო თავისი პროისლამური შეხედულებებით და ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში აქტიურად თანამშრომლობდა ექსტრემისტული რელიგიური ორგანიზაცია «ძმები მუსლიმებთან», ნასერის გეგმით გამოდიოდა «მესამე ძალის» როლში (324;21). 1964-66 წლებში, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ნასერმა დანიშნა ანვარ სადათი ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობაზე, რომელიც 1969-70 წლებშიც ეკავა. მაგრამ მას არ ეკისრებოდა რაიმე სერიოზული ფუნქცია. მისი დანიშვნა აღნიშნულ თანამდებობაზე აღქმულ იქნა ისე, რომ მას რეალური წონა არ ექნებოდა და ეს პოსტი სიმბოლური ხასიათის იქნებოდა (123;229).

მიუხედავად ამისა, სადათი არ წარმოადგენდა შემთხვევით ფიგურას ეგვიპტის პოლიტიკურ ასპარეზზე და იგი გახლდათ ერთ-ერთი მსხვილი სოციალური ფენის სოფლის ბურჟუაზიის წარმომადგენელი, რომელიც ეროვნულ-რელიგიური შეხედულებებს იზიარებდა. ხოლო, როცა 1970 წლის 28 სექტემბერს გარდაიცვალა ნასერი, სადათი ავტომატურად მისი მემკვიდრე გახდა (78;27). 1970 წლის სახალხო რეფერენდუმის შემდეგ, რომელიც გათვალისწინებული იყო 1964 წლის ქვეყნის დროებითი კონსტიტუციით, ანვარ სადათი გახდა ეგვიპტის პრეზიდენტი. აგვისტო-სექტემბრის თვეებში ნასერი შეუძლოდ გრძნობდა თავს. დიდი სტრესი გადაიტანა ახლო აღმოსავლეთში არსებული ვითარების ფონზე.

საინტერესოა აღვნიშნოთ, რომ საბჭოთა და არაბი მკვლევარების აზრით ნასერის გარდაცვალება ბურუსით არის მოცული. ცნობილი ეგიპტელი პუბლიცისტის ღალი შუქრის ვერსიით, როდესაც ნასერმა ცუდად იგრძნო თავი აეროპორტში, გარდაცვალებამდე 2 საათის განმავლობაში, არ იქნა გამოყენებული ყველა სამედიცინო საშუალება რათა გადააერჩინათ ნასერი (იგულისხმება სარეანიმაციო ავტომობლი, რომელიც აეროპორტში არ ახლდა პრეზიდენტს, ზ.ტ.) (283;47-48). ამ მოსაზრებას ეთანხმება ასევე პრიმაკოვი და მოჰყავს ეგვიპტელი პუბლიცისტის ღალი შუქრის სიტყვები: «ჩვენ, მაგალითად, ვიცით, რომ საბჭოებმა გადასცეს პრეზიდენტ ნასერს მობილური სარეანიმაციო ავტომობილი-დანადგარი, რომელიც აღჭურვილი იყო მსოფლიოში თანამედროვე სამედიცინო ტექნიკით. სად იყო ეს ავტომობილი, როცა პრეზიდენტი იმყოფებოდა აეროპორტში? (ნასერმა ცუდად იგრძნო თავი კაიროს აეროპორტში ქუვეითის ამირას გაცილებისას) რატომ არ იქნა გამოყენებული დაუყოვნებლივ, როცა პრეზიდენტი სახლში მიიყვანეს? ჯერ კიდევ რჩებოდა ორ საათ ნახევარი, რომლის განმავლობაში მედიცინამ არაფერი გააკეთა როცა სახელმწიფოს მეთაურის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა. ვინ იღებს ამაზე პასუხისმგებლობას . . . როცა იცი პრეზიდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ დაწვრილებითი ინფორმაცია და შექმნა პირობები რომელიც არღვევს ამ მდგომარეობას და მერე სიკვდილისაკენ მიგყავს, - ყველაფერი ეს შესაძლებელია. ყოველი შემთხვევისათვის პრეზიდენტის სიციცხლის ბოლო საათების შესახებ კითხვები უპასუხოდ დარჩა. ჩვენ შეგვიძლია ამასთან დაკავშირებით ვთქვათ, რომ ეს ბოლო საათები აჩვენებს «სერიოზულ

დაუდევრობას» და შეიძლება ითქვას, რომ ამ დაუდევრობის გამო პრეზიდენტს «აცალეს გარდაცვლილიყო» (153;12).

სადათის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ბევრი დამკვირვებელის აზრით მისი პრეზიდენტობა გაგრძელდებოდა რამდენიმე თვე. ასეთი დასკვნებისათვის სერიოზული საფუძველი არსებობდა. სადათის ფიგურის «დროებითობის» შესახებ იმათი პროგნოზი, ვინც მის გვერდით იმყოფებოდა და ვის ხელშიც რეალური ხელისუფლება იყო (ალი საბრი, აბდალ მუჰსინ ან-ნური, ქამალ აჰმადი, შარაუი გომა, გენერალი ფავზი, სამი შარაფი და სხვები) მცდარი აღმოჩნდა (153;13). მნიშვნელოვანი როლი, ქვეყანაში შექმნილი ფაქტორების გარდა, ითამაშა თვით სადათის პიროვნებამ. იგი აღმოჩნდა საკმაოდ ნიჭიერი და მოხერხებული პოლიტიკური მოღვაწე. მან გახსნა შეთქმულება მის წინააღმდეგ (117). სამთავრობო სტრუქტურებში გადაადგილებების შედეგად პოლიტიკური ჰორიზონტიდან ჩამოშორებულ იქნა ნასერის პროსაბჭოური ორიენტაციის მომხრეები. სადათმა ამ გამარჯვებას «კორექტირებული რევოლუცია უწოდა» (128). პრიმაკოვის აზრით კი სადათმა მიუჩინა ე.წ. «ძველი გვარდიისა» და რევოლუციის გამოჩენილ პირებს თავიანთი ხალხი, რომლებიც საიდუმლოდ თანამშრომლობდნენ პრეზიდენტთან. მან აჯობა ყველა მოწინააღმდეგეს კრიზისის დროს. როცა ისინი დემონსტრაციულად გადადგნენ და მოუწოდეს სადათს მათთვის მოესმინა, პრეზიდენტის დაცვამ, დიდი ძალისხმევის გარეშე დააპატიმრა ისინი. ქვეყნის საკვანძო სამინისტროები სადათის ხალხის ხელში გადავიდა და უკვე ამ მომენტიდან, 1972 წლის 14 მაისიდან, ანვარ სადათმა ქვეყნის ერთპიროვნული მართვა დაიწყო (153;14-15).

სადათის მიერ ჩაფიქრებული შიდაპოლიტიკური ცხოვრების გარდაქმნის გეგმაში პირველ რიგში შევიდა ნასერის მთავარი შვილობილის, ქვეყნის ერთადერთი პოლიტიკური ორგანიზაციის – არაბული სოციალისტური კავშირის რეორგანიზაცია (124;158). სახალხო კრებაზე გამოსვლისას 1978 წლის 23 ივლისს, 1952 წლის რევოლუციის წლისთავთან დაკავშირებით სადათმა ოფიციალურად განაცხადა თავის გადაწყვეტილებაზე შეექმნა ეროვნულ-დემოკრატიული პარტია. ამასთანავე მან გააუქმა არაბული სოციალისტური კავშირის საქმიანობა (124;164). ვიცე-პრეზიდენტის პოსტის დაკავების შემდეგ სადათმა ხელისუფლების მაღალ ეშელონებში თავისი საყრდენი შექმნა ისე, რომ ნასერის გარდაცვალების შემდეგ ხელისუფლებისათვის ბრძოლაში მას

ეგვიპტური საზოგადოების დიდი ნაწილი უჭერდა მხარს. ნასერის დიდი პოპულარობა და ქვეყანაში მის მიერ დაწყებული რეფორმები, აიძულებდენ სადათს პირველ ეტაპზე გაეგრძელებინა რევოლუციის ლიდერის მიერ დაგეგმილი კურსი, მიუხედავად ნასერისაგან განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებებისა. ამის წინააღმდეგ წასვლა მისთვის პოლიტიკურ თვითმკვლელობას ნიშნავდა. მას ჯერ კიდევ სჭირდებოდა საბჭოთა კავშირის დახმარება, განსაკუთრებით ისრაელის წინააღმდეგ.

სადათის გამოსვლებში და მის გარემოცვაში თანდათან სულ უფრო ისმოდა «წარსულის პერიოდის შეცდომების გამოსწორების» სიტყვები. მალე ამ სიტყვებს კონკრეტული ნაბიჯების გადადგმაც მოჰყვა (123;25). ასე, 1976 წლის დეკემბერში მიღებულ იქნა ახალი კანონი, რომელიც ითვალისწინებდა ქვეყნის ეკონომიკაში უცხოური კაპიტალის მოზიდვას და კერძო საკუთრების განვითარებას. ე.წ. «ინფითაჰის» (ღია კარის) პოლიტიკის გატარებამ არა მარტო საშინაო პოლიტიკა შეცვალა, არამედ გავლენა მოახდინა საგარეო-პილოტიკურ სისტემის პრიორიტეტულ მიმართულებებზე (83;4-5).

ამ პეროიდში სადათის საშინაო და საგარეო-პოლიტიკური გეგმები საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობის დიდ ინტერესს იწვევდა. კერძოდ, საბჭოთა კავშირის საგარეო დაზვერვამ 1971 წლის დასაწყისისათვის დაადგინა, რომ სადათს საგარეო პოლიტიკაში განზრახული აქვს თანდათან საბჭოთა კავშირისაგან დისტანცირება და აშშ-თან მჭიდრო თანამშრომლობაზე გადასვლა (188;57). საშინაო საქმეებში კი ნასერის კურსიდან გადახვევა და ყველა ეკონომიკური კავშირის დასავლეთის მიმართულებით ორიენტირება. რაც შეეხება ახლო აღმოსავლეთის პრობლემას, ეგვიპტის ხელმძღვანელობა მზად იყო დაემყარებინა ისრელთან სეპარატული მშვიდობა მის მიერ ოკუპირებული სინაის ნახევარკუნძულის დაბრუნების სანაცვლოდ. დაზვერვისათვის ასევე ცნობილი გახდა სადათის განზრახვა შეემცირებინა სამხედრო სფეროში სსრკს-სთან თანამშრომლობა და გაეწვია ეგვიპტიდან საბჭოთა სამხედრო სპეციალისტები. დაზვერვამ დროულად აცნობა ქვეყნის ხელმძღვანელობას სადათის მიერ 1973 წლის «ოქტომბრის ომის» წამოწყების შესახებ, ასევე სადათის გეგმებზე ისრაელთან სეპარატული მშვიდობის დამყარების თაობაზე (85).

ნასერის გარდაცვალების შემდეგ, ეგვიპტის ხელმძღვანელობამ დაამყარა აქტიური კონტაქტები შეერთებული შტატების ადმინისტრაციასთან, მიუხედავად იმისა რომ

დიპლომატიური ურთიერთობები კაიროსა და ვაშინგტონს შორის შეწყდა 1967 წლის 5 ივნისის ისრაელის აგრესიის დროს, აშშ-ს მიერ ისრაელისათვის მხარდაჭერის მიზეზით (40). ეს კონტაქტები ძირითადად დიპლომატიური არხებით და ქვეყნების სადაზვერვო სამსახურთა შორის ურთიერთობების მეშვეობით დახურულ ხასიათს ატარებდა. სადათის ინიციატივით მოხდა მისი შეხვედრა აშშ-ს ადმინისტრაციის წარმომადგენელთან რიჩარდსონთან, სადაც განაცხადა, რომ ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის დამყარების მომხრეა და მოუწოდა ამერიკელებს მასთან ერთად მოქმედება. 1970 წლის ნოემბერში სადათმა საუდის არაბეთის ემისრის ქამალ ადჰამის მეშვეობით, რომელიც საიდუმლოდ ჩავიდა კაიროში, აცნობა ამერიკელებს, რომ მას შეეძლო გარკვეული პირობების სანაცვლოდ საბჭოთა კავშირისაგან «დაშორება», «აიძულებდა რუსებს წასვლზე», «თუ ებრაელთა გასვლის პირველი ფაზა განხორციელდებოდა» (153;14-15). აშშ-ში მაღალი შეფასება მისცეს ქამალ ადჰამის მისიას. წიგნში «მრისხანების შემოდგომა» ახლო აღმოსავლეთში ერთ-ერთმა ინფორმირებულმა და სადათის ნდობით აღჭურვილ პირმა ჰასანაინ ჰაიქალმა აღნიშნა: «ამერიკელებმა იცოდნენ რომ ადჰამი, რომლის უწყება მოქმედებდა ც.ს.ს.-თან კოორდინაციაში, ამავე დროს სადათთან დაახლოებული პირი იყო და მათი მეგობრობა დაიწყო ისლამური კონფერენციის პირველივე დღეებიდან და გამყარდა იემენში ომის დროს, ადჰამი 60-იან წლებში «სადათის მუდმივი შემოსავლის წყარო იყო». ეს ფაქტი მოყვანილია იმ სხვა ფაქტებთან ერთად, რომელიც მოყვა «უოტერგეიტის საქმეს» და ამერკის სპეცსამსახურების საიდუმლო დოკუმენტების გახსნას. როგორც არ უნდა ყოფილიყო, რაც სადათი პრეზიდენტი გახდა, ადჰამი ერთ-ერთი პირველი იყო ვინც იგი მოინახულა». (ხომ არ ნიშნავს ეს, რომ უკვე 60-იან წლებში სადათი ამერიკის სპეცსამსახურების მიერ იყო გადმობირებული, ზ.ტ.) (153;16).

თვით სადათიც მიზანდასახულად ანიშნებდა ამერიკელებს, რომ მათ უნდა გააქტიურონ თავიანთი პოლიტიკა და სწრაფად იმოქმედონ. 1971 წლის 7-8 იანვარს ამერიკის ტელევიზიისათვის მიცემულ ინტერვიუში, სადათმა განაცხადა: «პირველ რიგში მინდა დაგარწმუნოთ, რომ მზად ვარ მშვიდობიანი მოლაპარაკებებისათვის. . . მე არ ვარ დამოკიდებული არანაირი საბჭოთა გარანტიებზე . . . ჩემი პოლიტიკა კაიროში კეთდება ჩვენს მიერ და არა სხვა სახელმწიფოთა მიერ». ამ საერთო ჯამში სამართლიანი

გამონათქვამების კონტექსტი (რომლის წინააღმდეგ, რაიმეს თქმა რთულია – ამას აღიარებს რუსი მკვლევარი), არ ტოვებდა ეჭვს იმაში, რომ სადათი აშშ-ს ე.წ. «ნიშანს» აძლევდა.

ამერიკის სატელევიზიო გადაცემაში «სახით ერისკენ» გამოსვლისას 10 იანვარს, სადათმა აჩვენა თავისი დამოკიდებულება სეპარატული მოლაპარაკებებთან მიმართებაში, რომელიც ეწინააღმდეგებოდა საერთო არაბულ ინტერესებს. მან ხაზი გაუსვა: «რათქმაუნდა, პალესტინის პრობლემა, - ეს ისევე ჩემი პრობლემაა, მაგარამ პირველი რაც უნდა გაკეთდეს, - 1967 წლის აგრესიის შედეგების ლიკვიდაციაა. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ უნდა დაუბრუნდეთ 4 ივნისის 1967 წლის საზღვრებს. ეს არ დააკმაყოფილებთ პალესტინელებს, მათ აქვთ უფლება დამადანაშაულონ», და ამასთან ერთად აღნიშნა, რომ პალესტინელების რეაქცია მას არ შეაჩერებს (153;16).

რათქმაუნდა მთავარი «ნიშანი» ამერიკელებისათვის იყო სადათის მიერ გამოტანილი წინადადება 1971 წ. 4 თებერვალს, სუეცის არხის გახსნასთან დაკავშირებით, ისრაელის ჯარების ზოგიერთი ნაწილების გაყვანის შემთხვევაში არხიდან აღმოსავლეთით, რომელიც ფაქტიურად არანაირ კავშირში იყო ისრაელის მიერ ოკუპირებულ სხვა არაბულ ტერიტორიებთან. მისი «ინიციატივა» არხის გახსნასთან დაკავშირებით ოროენტირებული იყო აშშ-ს ჩათრევზე მოგვარების პროცესში (333;60).

ამერიკელებს ასევე არ შეიძლება არ მიეღოთ სათვალავში სადათის ფსიქოლოგოუირი თავისებურებები, მისი პოლიტიკური წარსულის სპეციფიკა. ყოველივე ამ ფაქტებისა და სადათის გამოსვლების, საუდის არაბეთიდან წყაროების ანალიზისას აშშ-მ გადაწყვიტა მიეღო სადათის «ნიშანი». პირველად შედგა ნაწილობრივი კონტაქტი – სახელმწიფო მდივანი უ.როჯერსი შეხვდა ეგვიპტის საგარეო საქმეთა მინისტრს მაჰმუდ რიადს, შემდეგ კი 1971 წლის მაისის დასაწყისში როჯერსი ვიზიტით იმყოფებოდა კაიროში და შეხვდა სადათს პირადად (220). სწორედ ამ ვიზიტის შემდეგ დაპატიმრებულ იქნა ის საზოგადო მოღვაწეები და პოლიტიკური ლიდერები, რომლებიც ნასერის კურსის გაგრძელების მომხრეები იყვნენ, რაც ბევრი მკვლევარის აზრით, ნიშნავდა ამირიკისათვის შემობრუნების ჟესტს. როჯერსთან გამართული შეხვედრა დავიდა გარკვეულ შეთანხმებამდე. «მე შევპირდი ბილ როჯერს, რომ პირველ ეტაპზე ისრაელის ჯარების გაყვანის შემდეგ როგორც კი საბჭოთა სპეციალისტები დატოვებენ ეგვიპტეს, ჩვენ

მთლიანად აღვადგენთ აშშ-სთან დიპლომატიურ ურთიერთობებს» _ აღნიშნა სადათმა Newsweek-ის მავარ რედაქტორ ა. დე ბორჩგრეივთან ინტერვიუში (153;16-17).

მაგრამ სადათი ჯერ არ იწყებდა მთლიანად თავისი პოლიტიკური ორიენტაციის შეცვლას ვაშინგტონზე. ამას გააჩნდა ორი მიზეზი: სსრკ იყო ერთადერთი მომარაგებელი შეიარაღებისა, ხოლო მშვიდობიანი შეთანხმებისათვის ისრაელთან პირობები ჯერ მომწიფებული არ იყო; აშშ კი, ჯერ არ აპირებდა ისრაელისათვის ზეწოლის განხორციელებას, რათა ის წასულიყო რაიმე კომპრომისზე.

1971 წლის 4 თებერვალს, იმ დღეს როცა სადათმა გამოაცხადა თავის განზრახვაზე გაეხსნა სუეცის არხი – ეს იყო ვაშინგტონის მისამართით გადადგმული ნაბიჯი, მან გაუგზავნა წერილი საბჭოთა ხელმძღვანელობას, რომელშიც მოთხოვა საბჭოთა მხარეს წინააღმდეგობა გაეწიათ «პროგრესის, თავისუფლებისა და მშვიდობის მტრების უსაფუძვლო კავშირისათვის». მარტის თვეში სადათმა, როგორც ჰაიქალის მემუარებიდან ჩანს, აცნობა საბჭოებს, რომ აპირებს ამერიკელებთან დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენას, თუ ისინი «დაძრავენ ისრაელის პოზიციას მკვდარი წერტილიდან», მაგრამ არ თქვა ადჰამის მეშვეობით ამერკელებისათვის გადაცემულ პირობაზე, რომ გაიყვანდა საბჭოთა სამხედრო პერსონალს ეგვიპტიდან.

საბჭოთა ხელმძღვანელობისათვის ახალ გზავნილში, ის წინადადებას იძლეოდა სსრკ-ეგვიპტის ურთიერთობების გამყარების თაობაზე შეთანხმების დადებას. 1971 წლის 27 მაისს ხელი მოეწერა ეგვიპტესა და საბჭოთა კავშირს შორის ხელშეკრულებას თანამშრომლობისა და მეგობრობის შესახებ. აპრილის თვეში მოსკოვში მეორე ვიზიტისას კი განაცხადა: «მე ყოველთვის ვეუბნები ჩემ ხალხს, რომ იდექით ჩვენს გვერდით გაჭირვების ჟამს . . . მე დარწმუნებული ვარ, რომ ამერიკის სურვილია საბჭოთა არსებობის ლიკვიდაცია რეგიონში და შუღლის ჩამოგდება საბჭოთა კავშირსა და არაბებს შორის» (234;242). ამავე დროს სადათმა ყველაფერი გააკეთა იმისათვის რათა მიეწვდინა კონფიდენციალურად ამერიკელებს თავისი სურვილი მათთან თანამშრომლობის გაგრძელების თაობაზე (273;144-153).

ჰაიქალის მოწმობით, 1971 წლის შემოდგომისათვის მოხდა საიდუმლო კავშირის არხის გახსნა უშუალოდ სადათისა და თეთრი სახლის დაზვერვას შორის, ოღონდ მისი შუამავლობის გარეშე. მაგრამ კისინჯერის აზრით, საიდუმლო არხი დამყარდა უფრო გვიან

1972 წლის 5 აპრილს, რომლის შესახებ იგი წერს თავის წიგნში «წლები თეთრ სახლში» (153;28).

საიდუმლო არხი ამუშავდა და სადათი უფრო მეტად ინფორმირებული გახდა ამერიკის მხარის გეგმებისა და მიზნების შესახებ. კისინჯერმა აღნიშნა, რომ პრეზიდენტ ნიქსონის დაავალების შემდეგ ჩარეულიყო ახლო აღმოსავლეთის საქმეებში, მან გადაწყვიტა საბჭოთა კავშირის ჩათრევა «ხანგრძლივ განუსაზღვრელ მოლაპარაკებებში». ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკის შემუშავებაში როჯერსის მიმდგომის შეცვლა კისინჯერის სტრატეგიით, ნიშნავდა ვაშინგტონის გამოსვლას ახლო აღმოსავლეთის პრობლემის ყოვლისმომცველი მოგვარების საქმიდან. «1971 წლის დეკემბერში, წერს კისინჯერი, - ნიქსონმა გადადგა ნაბიჯი, რის შედეგად დაიწყო ჩემი ოპერატიული კონტროლი ახლო არმოსავლეთის დიპოლმატიაზე» (153;31).

1971 წლის ბოლოსა და 1972 წლის დასაწყისში, დაიწყო სადათისა და კისინჯერის შეხედელუბების თანხვედრა ახლო აღმოსავლეთის კრიზისის საკითხებთან დაკავშირებით, რაც ეგვიპტის, აშშ-სა და ისრაელის ინტერესების თანხვედრას ნიშნავდა. ასეთ ვითარებაში დაიწყო კისინჯერის კონსულტაციები ახლო აღმოსავლეთის ვითარებასთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირის ელჩთან აშშ-ში ა. დობრინინთან და შემდეგ საგარეო საქმეთა მინისტრთან ა. გრომიკოსთან მოსკოვში, 1972 წლის აპრილში უმაღლესი დონის შეხვედრების მომზადებისას და აშშ-ში, სადაც მიმდინარეობდა მოლაპარაკებები სტრატეგიული შეიარაღების (SALT) შემცირების შესახებ (244;749). სადათი რეგულარულად იღებდა ინფორმაციას საიდუმლო არხის მეშვეობით მოლაპარაკებების შესახებ.

მართალია ისრაელი ცდილობდა შეენარჩუნებინა ოკუპირებული ტერიტორიები, მაგრამ 1967 წ. ომის შემდეგ მდგომარეობის სტაბილიზაციისათვის ისრაელს სჭირდებოდა მასთან კონფლიქტში მონაწილე ერთ-ერთი არაბული ქვეყანის კონფრონტაციიდან გამოეყვანა მაინც. საუკეთესო არჩევანი ამისათვის ეგვიპტე იყო. ხოლო აშშ-სათვის მდგომარეობა «არც ომი, არც მშვიდობა» დაეხმარებოდა მას საბჭოთა პიზიციების დასუსტებაში. აშშ ცდილობდა გამოერიცხა კონფლიქტის ყოვლისმომცველი მოგვარება, ვინაიდან მას შეიძლება ზიანი მიეყენებინა მათი მთავარი «კლიენტისათვის» ახლო აღმოსავლეთში – ისრაელისათვის. სადათის მთავარი სტრატეგია და ტაქტიკა შედგებოდა

გამოსვლა ისრაელთან კონფრონტაციიდან და სინას განთავისუფლება სხვა ოკუპრებული ტერიტორიების დაბრუნების იგნორირებით. ჰაიქალი და სხვა არაბი ავტორები მიიჩნევენ, რომ სადათი თვლიდა ისრაელთან შეთანხმებას, როგორც პირველ ნაბიჯს ისრაელის მიერ შეთანხმებების მისაღწევად სხვა არაბულ ქვეყნებთან და პალესტინელებთან. აღნიშნული გადაწყვეტილების განხორციელების ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი იყო საბჭოთა სპეციალისტების დათხოვნა ეგვიპტიდან (244;739).

პირველად ამის შესახებ სადათმა განაცხადა 1972 წლის ივლისში. ამასობაში, როგორც ვიცით ის ორჯერ იყო მოსკოვში. მაისში, კაიროში იმყოფებოდა საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრი მარშალი ა.გრეჩკო. ივნისში კი მოსკოვში ვიზიტით იმყოფებოდა ეგვიპტის თავდაცვის მინისტრი გენერალი სადეკი. 15 ივნისს სადეკმა გადასცა სადათს დოკუმენტი თავის მოლაპარაკებების თაობაზე მოსკოვში. «რა მოხდა სადათის თავში, ამ თარიღსა და 6 ივლისს შორის, როცა სადათმა მიიღო გადაწყვეტილება საბჭოთა სპეციალისტების გაწვევის შესახებ, არ ვიცი», ამბობდა ჰაიქალი (153;36).

მაგარამ, როცა მან მიიღო გადაწყვეტილება პრობლემის ნაწილობრივ მოგვარებაზე სხვა არაბთა ინტერესების იგნორირებით, სადათს უკვე აღარ შეეძლო საბჭოთა კავშირის მხარდაჭერის იმედი ჰქონოდა. უფრო მეტიც, მისი მეგობრობა და თანამშრომლობა საბჭოთა კავშირთან ხელს შეუშლიდა მას აშშ-სთან ერთად თავისი გეგმების განხორციელებაში. სადათი კი სულ უფრო მეტად თვლიდა, რომ პოლიტიკიური გადაწყვეტილების გასაღები აშშ-ს ხელშია. საბჭოთა სპეციალისტების მისიის შეწყვეტის შემდეგ, სადათმა გამართა კონფიდენციალური ბრიფინგი, რომელზეც მოწვეულ იქნა კაიროს გაზეთების მთავარი რედაქტორების პატარა ჯგუფი, რომელზეც განაცხადა, რომ ჯერ ჯიდევ 1971 წლის დეკემბერში გადაწყვიტა ე.წ. «პაუზის» გაკეთება ეგვიტისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობებში. სადათმა დაამატა, რომ თავი შეიკავა რაიმე ქმედებებისაგან საბჭოთა-ამერიკული მაღალი დონის შეხვედრებამდე, რომელიც შედგა 1972 წლის მაისში, რომლის შედეგებზე დამოკიდებული ორო პოლიტიკური ბლოკის NATO-სა და ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის ურთიერთობები. სადათი ცდილობდა ეჩვენებინა აშშ-სათვის, რომ ისრაელთან ერთად ისიც შეძლება ყოფილიყო აშშ-ს მთავარი პარტნიორი ახლო აღმოსავლეთის რეგიონში (153;38).

ისრაელმა სწრაფი რეაგირება მოახდინა ეგვიპტის მიერ დაწყებულ ახალ თამაშზე. უკვე 1972 წლის ივლისში ისრელის მთავრობამ მიმართა სადათს წინადადებით მასთან შეხვედრაზე და არწმუნებდა სადათს, რომ «არ აპირებს რეგიონში დღევანდელი მდგომარეობის გაყინვას». მაგრამ მაშინ ეგვიპტის პრეზიდენტი თელ-ავივთან მოლაპარაკებებისათვის მზად არ იყო (157).

1973 წლის თებერვალში სადათმა გაგზავნა აშშ-ში თავისი სპეციალური წარმომადგენელი ჰ.ისმაილი, რომელმაც გამართა მოლაპარაკებები აშშ-ს პრეზიდენტ ნიქსონთან და პრეზიდენტის მრჩეველთან უშიშროების საკითხებში ჰ.კისინჯერთან. მოგვიანებით ჰ.ისმაილის ვიზიტის შედეგების კომენტირებისას სადათმა განაცხადა, რომ ამერიკელებმა ძალიან დელიკატურად აგრძნობინეს ერთი დილემის შესახებ: «ან ეგვიპტე დათანხმდება იმას, რომ დამარცხებულია და ისრაელის პირობებს მიიღებს, ან მან უნდა «იმოქმედოს» აშშ-სათვის სასურველი მიმართულებით» (153;33).

თავი II

აშშ-სა და საბჭოთა კავშირის სტრატეგია 1973 წლის ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტში

ა) აშშ-სა და სსრკ-ს ინტერესების დაპირისპირება ახლო აღმოსავლეთში 60-70-იანი წლების დასაწყისში

აშშ-სა და საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტული მიმართულება წარმოადგენდა ახლო აღმოსავლეთის რეგიონში პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიკური ზეგავლენის განხორციელება.

უკვე 30 წელზე მეტი გავიდა რაც ახლო აღმოსავლეთში დაიწყო არაბულ ქვეყნებსა და ისრაელს შორის ყველაზე მსხვილმაშტაბიანი ომი, რომელიც შეიძლება 1967 წლის «ექვსდღიანი ომის» ლოგიკურ გაგრძელებად ჩაითვალოს. 1967 წლის კონფლიქტში დამარცხება არაბებს ძალიან ძვირი დაუჯდათ, რომლებმაც დაკარგეს ძველი იერუსალიმი, სინას ნახევარკუნძული, ღაზას სექტორი, მდ. იორდანის დასავლეთ სანაპირო და გოლანის მაღლობები. ამ კონფლიქტიდან მოყოლებული არაბები რევანშისათვის ემზადებობდნენ, მაგრამ ისრაელი ამის საშუალებას არ აძლევდა (247;200).

ამერიკელი მკვლევარის უილიამ ბურის აზრით, დღევანდელ ახლო აღმოსავლეთის კრიზისთან შედარებით, რომელიც ძირითადად შემოიფარგლება პალესტინელთა მშვიდობიანი პროტესტით, ხოლო რადიკალური პალესტინური დაჯგუფებების მხრიდან ტერორისტული აქტებით და «ინთიფადით» ისრაელის ქმედებების წინააღმდეგ, მიზეზი რომელმაც გააღვივა 1973 წლის ომი იყო 1967 წლის არაბ-ისრაელის «ექვსდღიანი» კონფლიქტის შედეგი (216). კონფლიქტის დაწყების წინ მეზობელი ქვეყნები უარყოფდენ ისრაელის აღიარებას და ემუქრებოდენ ისრაელის არსებობას. არაბთა მხრიდან დარტყმა გარდაუვალი რომ იქნებოდა, ისრაელმა დაიწყო პრევენტიული დარტყმების განხორციელება 1967 წლის 5 ივნისს, რის შედეგად დაიკავა ბევრი არაბული მიწა. ექსტრაორდინალურმა ისრაელის გამარჯვებამ საფუძველი ჩაუყარა ერთის მხრივ, როგორც მკვლევარი ამბობს «დაუმარცხებლობის თამამ გრძნობას» თელ-ავივში და მერე მხრივ გაღვივა ეგვიპტეში და სირიაში «ირედენტიზმის» გრძნობა (ირედენტისტთა პარტიის მომხრე _ პოლიტიკური და საზოგადოებრივი მოძრაობა იტალიაში XIX ს. ბოლოსა და XX ს. დასაწყისში, _ გამოდიოდა იტალიასთან იტალიური მოსახლეობით ავსტრია-უნგრეთის მოსაზღვრე მიწების მიერთების მხარეზე) (18).

2003 წელი, ეგვიპტე-ისრაელის ურთიერთობებისა და ახლო აღმოსავლეთის ისტორიაში შევიდა როგორც კემპ-დევიდის შეთანხმების 25-ე და 1973 წლის ოქტომბრის ომის 30-ე წლისთავი (97).

1973 წლის ოქტომბრის ომი (6-24 ოქტომბერი), იყო რიგით მეოთხე ომი არაბებსა და ებრაელებს შორის, რომლის მთავარი მონაწილეები ეგვიპტის არაბული რესპუბლიკა და ისრაელი გახლდათ. ეს სამხედრო კონფლიქტი არაბთა ისტორიოგრაფიაში «რამადანის» ან «თიშრინის» ომის (იგი დაემთხვა ისლამური მთვარის კალენდრის მიხედვით რამადანის თვეს), საბჭოთა (რუსულ) ისტორიოგრაფიაში «ოქტომბრის ომი»-ს, ხოლო დასავლეთისა და ისრაელისათვის «განკითხვის დღის» («იომ ქიფურის») სახელით არის ცნობილი, რომელიც დაიწყო ებრაელთა რელიგიური დღესასწაულის «განკითხვის დღის» პერიონდში (19).

პირველ რიგში, 1973 წლის ომი, სხვა ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტებთან შედარებით გამოირჩეოდა თავისი დიდი მასშტაბებით (19). გარდა ისრაელის წინააღმდეგ შექმნილი არაბული კოალიციის მთავარი წევრის ეგვიპტისა, ომში აქტიური მონაწილეობა

მიიღეს სირიის არაბულ რესპუბლიკამ, იორდანიამ, ალჟირმა, ერაყმა, ქუვეითმა, მაროკომ, თუნისმა, სუდანმა და საუდის არაბეთმა, პაკისტანმა, ჩრდილოეთ კორეამ, კუბამ, პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციამ, რომ არაფერი ვთქვათ კონფლიქტის მთავარ სპონსორებზე, შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირზე, რომელთა აქტიურმა ჩარევამ გადაწყვიტა ომის მსვლელობის ძირითადი შედეგები.

მოვლენები ისე განვითარდა, რომ ზესახელმწიფოთა კონფლიქტში ჩარევა, გადაიზარდა სსრკ-სა და აშშ-ს შორის მკვეთრ დაპირისპირებაში, რაც «ცივი ომის» პერიოდში ხშირ ხასიათს ატარებდა. მართალია, აშშ-სა და სსრკ-ს ერთი შეხედვით, პირდაპირი მონაწილეობა არ მიუღია ომში, მაგრამ მათმა ფაქტორმა შეცვალა დღეისათვის ახლო აღმოსავლეთში არსებული ტერიტორიული თუ სამხედრო სტრატეგიული ბალანსი ისრაელსა და არაბულ ქვეყნებს შორის. მხოლოდ ორივე ქვეყნის დიპოლომატიური ძალისხმევის შედეგად აცილებულ იქნა მოვლენათა ცუდი განვითარება, რომელიც შეიძლება გადაზრდილიყო ქვეყნებს შორის დიდ კონფრონტაციაში.

ვიდრე ომის მსვლელობაზე გადავიდოდეთ, თქვენი ყურადღება გვინდა გავამახვილოთ აშშ-სა და საბჭოთა კავშირის ინტერესებზე კონფლიქტის დაწყების წინ ახლო აღმოსავლეთში, რათა უფრო ნათელი გახდეს ორი ზესახელმწიფოს პოლიტიკური მიზნები 1973 წლის პერიოდში.

როგორც ადერე მოგახსენეთ, ახლო აღმოსავლეთის რეგიონი წარმოადგენდა ორი ბლოკის NATO-სა (NATO, რომელიც დაარსდა 1949 წ. CENTO–სთან (Central Treaty Organization – ცენტრალური შეთანხმების ორგანისაცია) და SEATO–სთან (South-East Asia Treaty Organization – სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის შეთანხმების ორგანიზაცია) ერთად წარმოადგენდა სამხედრო-პოლიტიკური წინააღმდეგობის ბლოკს საბჭოთა კავშირის ექსპანსიური პოლიტიკის წინააღმდეგ (178;163)) და ვხო-ს ინტერესების შეჯახების ასპარეზს (როცა სსრკ-ს უარი უთხრეს NATO-ში გაწევრიანებაზე, ამის საპასუხოდ 1955 წლის გაზაფხულს შეიქმნა ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაცია - Организация Варшавского Договора (ОВД), რომელშიც გაწევრიანდა საბჭოთა კავშირის მოკავშირე სოციალისტური ქვეყნები) (141). ეს რეგიონი განიხილებოდა NATO-ს ხელმძღვანელობის მიერ, როგორც მთავარი პლაცდარმი საბჭოთა კავშირის სამხრეთ საზღვრებზე დასარტყმელად (76). ხმელთაშუა ზღვაში ყოველთვის იმყოფებოდა აშშ-ს VI სამხედრო

საზღვაო ფლოტი და შექმნილი იყო NATO-ს საკმაოდ ძლიერი ხმელთაშუა ზღვის საზღვაო და სამხრეთ-ევროპული სახმელეთო დაჯგუფება (148;17-18). ჩრდილოეთ ატლანტიკური ორგანიზაციის ინტერესები ამ რეგიონში იხნებოდა იმით, რომ ევროპაში აშშ-ს შეიარაღებული ძალების დიდი ნაწილი იყენებდა ახლო აღმოსავლეთის ბუნებრივ რესურსებს და კერძოდ ნავთობს.

საბჭოთა კავშირი თვალს ადევნებდა შესაძლო მოწინააღმდეგის გაძლიერებას მის სამხრეთ საზღვრებთან. აშშ-ს საწინააღმდეგოდ საჭირო იყო ბალისტიკური რაკეტები და XX საუკუნის 60-იან წლებში დაიწყო სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების გაზრდა (Strategic Offensive Arms) (76). მართალია საბჭოთა კავშირმა შექმნა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქი _ ძლიერი დაჯგუფება თურქეთის, როგორც NATO-ს ბლოკში აშშ-ს შემდეგ ყველაზე მრავალრიცხოვანი შეიარაღებული ძალების მქონე ქვეყნის საწინააღმდეგოდ (1952 წელს თურქეთი ამ ორგანიზაციაში გაწევრიანდა) (42), მაგრამ ძლიერი საზღვაო ოპერაციების განხორციელებისათვის საბჭოთა კავშირს იმ პერიოდში საჭირო საშუალებები არ გააჩნდა. ამას გარდა 50-70-იან წლებში კოსმოსური ტექნოლოგიების განვითარებით და კოსმოსის ათვისებით, სსრკ-მ და შეერთებულმა შტატებმა დაიწყეს თანამგზავრების ფართოდ გამოყენება ბირთვული იარაღის ცენტრების, საკონტინენტთაშორისი რაკეტების, სხვა სტრატეგიული სამხედრო და საკომუნიკაციო ობიეწტების თვალთვალისათვის (267).

ცენრტალური სადაზვერვო სამმართველოს ექსპერტების აზრით 60-ან წლებში საბჭოთა კავშირი ცდილობდა შეიარაღებული ძალების ყველა მიმართულების განვიტარებას და გაზრდას _ სტრატეგიული, ჩვეულებრივი, სახმელეთო და საზღევაო იმ დონემდე, რომ სსრკ შეძლებდა წინააღმდეგობის გაწევას ნებისმიერი კოალიციისათვის (აშშ-ჩინეთის ალიანსის შემთხვევაშიც) და გაავრცელებდა თავის ძლიერებას მსოფლიოს ნებისმიერ რეგიონზე (189). ამიტომ გადაწყდა საზღვაო სამხედრო ფლოტის განვითარება, კერძოდ კი ოკეანური ფლოტის, რომლიც დაიცავდა საბჭოთა კავშირის ინტერესებს მთელ მსოფლიოში (211;96-97).

მხოლოდ ორ სამხედრო ფლოტს - ჩრდილოეთისა და წყნარი ოკეანის ფლოტს საშუალება ჰქონდა სამხედრო ოპერაციები ჩაეტარებინა ოკეანეში. მაგრამ მთელი ჩრდილოეთ ატლანტიკა NATO-ს კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა, ხოლო ოკეანესთან

მოსაზღვრე ამ ორგანიზაციის წევრ-სახელმწიფოთა ტერიტორიებზე საბჭოთა კავშირი თავის ბაზებს ვერ განათავსებდა. ძირითადი სამხედრო საბრძოლო მოქმედებები NATO-სა და ვხო-ს შორის განხორციელდებოდა ცენტრალურ და ჩრდილოეთ ევროპაში. ამასთან ერთად საბჭოთა კავშირის ბალტიის ფლოტი წარმოადგენდა დამატებითი დამხმარე ძალას სახმელეთო ოპერაციების განხორციელებისათვის (76).

სულ სხვა სცენარით ვითარდებოდა მდგომარეობა ვხო-ს სამხრეთ-დასავლეთ საზღვრებთან. ხმელთაშუა ზღვაში აშშ-სა და NATO-ს შეიარაღებული ძალების გაზრდა და საბჭოთა კავშირისადმი ლოიალურად განწყობილი ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის გაძლიერება ახლო აღმოსავლეთში და ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნებში, ხელს უწყობდა საბჭოთა სამხედრო საზღვაო ფლოტის გამოსვლას ხმელთაშუა ზღვაში. მნიშვნელოვანი როლი ამაში შეასრულა ახალმა სამხედრო-პოლიტიკურმა დოქტრინამ, რომელიც ითვალისწინებდა თავისი პოლიტიკის გამყარებას სტრატეგიულად მნშვნელოვან რაიონებში (211;93-95). ასეთ რაიონებად განიხილებოდა კუბა, ეგვიპტე, სირია, ერაყი, სამხრეთ იემენი, ანგოლა, მოზამბიკი, ეთიოპია, ავღანეთი, ვიეტნამი. აქედან გამომდინარე მნიშვნელოვანი როლი მიენიჭა შავი ზღვის ფლოტის დაჯგუფებას, რომელიც მთლიანად სამხედრო საზღვაო ფლოტთან ერთად მონაწილეობდა საბჭოთა საგარეო პოლიტიკის გატარებაში. თუ აშშ-ს საზღვაო ფლოტისათვის, რომელიც NATO-ს ძირითად ბირთვს წარმოადგენდა, მთავარ დამრტყმელ ძალად წარმოადგენდა ავიამზიდები, («აშშ-ს საზღვაო მოძრავი ტერიტორიები»,ზ.ტ.), საბჭოთა კავშირის მიერ წყალქვეშა ნავების ინფრასტრუქტურის განვითარებით და განსაკუთრებულად ატომური წყალქვეშა ნავების, ორი ბლოკის ძალები გათანაბრდა, მითუმეტეს ასეთ ნავებს შეეძლო რამდენიმე თვის განმავლობაში ავტონომიურად ემოქმედათ (148;80-81).

1968 წელს კ. გასტეიგერი წერდა Foreign Affairs-ში: «1967 წლის არაბ-ისრაელის კონფლიქტის შემდეგ საბჭოთა კავშირმა გააძლიერა თავისი სამხედრო და პოლიტიკური არსებობა ხმელთაშუა ზღვის რეგიონში წინა პერიოდთან შედარებით. ახლო აღმოსავლეთი იმყოფებოდა ძალიან ახლოს საბჭოთა საზღვრებთან, ხოლო საბჭოთა გავლენის გაზრდა აუცილებელი იყო ქვეყნის უშიშროების განხორციელებისათვის» (226; 676).

«პროგრესულ» ქვეყნებთან თანამშრომლობით (საბჭოთა ოფიციალური მოსაზრების შესაბამისად) სსრკ აძლიერებდა თავის პოზიციებს ახლო აღმოსავლეთში. მაგრამ არსებობდა ზოგიერთი სიძნელეები, ესენია:

არაბული ქვეყნები განიხილავდნენ კომუნიზმს, როგორც ისლამის საწინააღმდეგო პოლიტიკურ წყობას. ამ მიზეზით, მოსკოვმა ვერ შეძლო თავისი გავლენის განხორციელება ისეთ ქვეყნებში როგორიცაა ირანი, საუდის არაბეთი, ომანი, გაერთიანებული არაბთა საამიროები. ხოლო სსრკ-ს მიერ არაბულ ქვეყნებთან ურთიერთობების ჩამოყალიბებაში ძირითადი ყურადღება ექცეოდა უკანასკნელთა «სოციალისტურ ორიენტაციას» (76). თავის მემუარებში საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიის რუსი მკვლევარი აღმოსავლეთის საკითხებში კ. ბრუტენცი წერდა: «ჩვენ გადავაჭარბეთ ნაციონალისტთა პოტენციალის შეფასებაში და მათი სოციალისტური იდეებით დაბრმავებული ვერ შევაფასეთ მათი ხასიათი» (80;367). საბჭოთა ხელმძღვანელობა იმედოვნებდა, რომ არაბული ქვეყნები, რომლებმაც გამოაცხადეს სოციალისტური ორიენტაცია რეალურად განახორციელებდნენ მას. მიუხედავად ყველა სიძნელეებისა საბჭოთა კავშირის პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთში გასული საუკუნის 50-ან წლებში დაიწყო და 60-ან წლებში წარმატებულად განვითარდა. ხოლო ეკონომიკურ ინტერესებში შედიოდა ძირითადად სავაჭრო ურთიერთობების განვითარება და ეკონომიკური დახმარების აღმოჩენა. რათქმაუნდა ექსპორტში მთავარი როლი შეიარაღების მიწოდებას ეკავა. არასწორია ვთქვათ, რომ საბჭოთა კავშირი აწვდიდა შეიარაღებას უსასყიდლოდ. მხოლოდ შეიარაღების მოწოდებისათვის არაბულ ქვეყნებში საბჭოთა კავშირმა 1966-1975 წ.წ. მიიღო 6 მლრდ. აშშ დოლარი (76). თუ გავითვალისწინებთ საბჭოთა კავშირის უზარმაზარ სამხედრო ხარჯებს CIA-ს მონაცემებით მარტო 1974 წლისათვის სსრკ-ს სამხედრო ბიუჯეტი შეადგენდა 100 მლრდ. აშშ დოლარს, რაც 20%-ით მეტი იყო ამავე დროს აშშ-ს სამხედრო ხარჯებთან შედარებით, რომელიც შეადგენდა 80 მლრდ. აშშ დოლარს (189).

XX ს. 70-იანი წლების დასაწყისისათვის, ახლო აღმოსავლეთში საბჭოთა კავშირის ძირითად ინტერესებში შედიოდა:

პოლიტიკური ინტერესები: საბჭოთა კავშირის გავლენის გაზრდა რეგიონში და არაბული ქვეყნების «პროგრესულ» რეჟიმებთან კავშირების გამყარება; ახლო აღმოსავლეთის რეგიონში დასავლეთისა და ჩინეთის გავლენის წინააღმდეგ გამოსვლა.

სამხედრო ინტერესები: სამხრეთ საზღვრების უშიშროების უზრუნველყოფა; სამხედრო-საზღვაო ბაზებისა და აეროდრომების განთავსება ხმელთაშუა ზღვაში და ამერიკული ატომური წყალქვეშა ნავებისა და ავიამზიდების წინააღმდეგ ბალისტიკური რაკეტების განთავსება ინდოეთის ოკეანში.

ეკონომიკური ინტერესები: სავაჭრო ურთიეთობების განვითარება, ბუნებრივი წიაღისეულის იმპორტი და შეიარაღების ექსპორტი (76).

აზერბაიჯანის საერთაშორისო სანავთობო აღმოსავლური აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის, პროფესორ სულტანოვ ჩაპაი ალი ოღლის აზრით, ჯერ კიდევ სტალინიცდილობდა საბჭოთა კავშირის სამხრეთით მოსაზღვრე და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებზე გავლენის განხორციელებას. საბჭოთა კავშირი ერთ-ერთი პირველი ქვეყანა იყო, რომელიც მხარს უჭერდა ისრაელის სახელმწიფოს შექმნას, ვინაიდან თუ ისრაელი სსრკ-ს ძლიერი მოკავშირე გახდებოდა, სტალინის აზრით იგი შეძლებდა გავლენის განხორციელებას ნავთობმომპოვებელ არაბულ ქვეყნებზე (165). მოსკოვი გამომდინარეობდა იქიდან, რომ საერთაშორისო ურთიერთობების ეს ახალი ელემენტი ახლო აღმოსავლეთის სისტემაში შექმნიდა სიძნელეებს არაბულ სამყაროსა და დასავლეთის ურთიერთობებს შორის (179;185).

გოლდა მაბოვიც მეირი თავის მემუარებში წერდა, რომ როცა 1948 წლის 3 სექტემბერს იგი ვიზიტით იმყოფებოდა ოდესაში, სადაც ებრაელთა სათვისტომო ფართოდ იყო წარმოდგენილი მას დიდი სიხარულით და აღფრთოვანებით შეხვდნენ, რომელიც არ მოხდებოდა საბჭოთა ხელმძღვანელობისა და კერძოდ სტალინის ბრძანების გარეშე (გ.მეირს ეწოდა ისრაელის პოლიტიკის «რკინის ლედი» სანამ ამ სახელს მ.ტეჩერს მიანიჭებდენ. ისრაელის ცნობილი პილიტუკური მოღვაწე დავიდ ბენ-გურიონი ამბობდა _ გოლდა მეირი ერთადერთი «კაცი» იყო მთავრობაში) (282).

მაგრამ, როგორც ისტორიამ გვიჩვენა მოვლენები სხვანაირად განვითარდა. რაც შეეხება ამერიკის შეერთებულ შტატებს, მას შემდეგ, რაც დიდმა ბრიტანეთმა და საფრანგეთმა დაკარგეს თავის გავლენა ახლო აღმოსავლეთის რეგიონში მათ ადგილზე პრეტენდენტობა გამოაცხადა ამერიკამ. აშშ-ს ხელმძღვანელობა შიშობდა, რომ მისი პოლიტიკა ასოცირებულ იქნებოდა ევროპული ქვეყნების ძველ კოლონიალურ პოლიტიკასთან. კისინჯერი ამასთან დაკავშირებით წერდა: «ტრუმენი და ეიზენჰაუერი

ეწინააღმდეგებოდნენ ბრიტანელთა სამხედრო მოქმედებებს ირანში და ეგვიპტეში, დარწმუნებულები იყვნენ იმაში, რომ ასეთი სახის პრობლემები უნდა გადაწყდეს გაეროს მეშვეობით. სინამდვილეში, მათ არ სურდათ ამერიკის პოლიტიკა აღქმული ყოფილიყო ბრიტანეთის პოლიტიკურ მემკვიდრეობათ» (244;524). მაგრამ რეგიონის ქვეყნებს არ სურდათ, რომ დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის ნაცვლად მოვიდეს სხვა სახელმწიფო. ზოგიერთი ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკოსი კი თვლიდა საბჭოთა-ამერიკული პაექრობაზე ეთამაშა თავიანთი მიზნების მისაღწევად, რაც განახორციელა კიდეც სადათმა.

დუაიტ დ. ეიზენჰაუერის 1957 წლის ახლო აღმოსავლეთის დოქტრინის მიხედვით, ისეთი ნაციონალისტები როგორიც იყო ნასერი, საბჭოთა შეიარაღებისა და დახმარების მიღებით, თვითონ გახდებოდნენ კომუნისტები. პრეზიდენტი საბოლოოდ ვერ გაერკვია თუ რა განსხვავება იყო არაბულ ნაციონალიზმსა და კომუნიზს შორის. მისი დოქტრინა მხოლოდ საუდის არაბეთმა და იორდანიამ მიიღო (76).

რაც შეეხება ჯორჯ კენედის პოლიტიკას, მან გააგრძელა რესპუბლიკელთა მიდგომა, მაგრამ შედარებით ფრთხილად და გააზრებულად. მან გამოაცხადა «ახალი საზღვრების» პოლიტიკა, მათ შორის აფრიკის ქვეყნებთან მიმართებაში იყენებდა პროპაგანდას, ეკონომიკურ და სამხედრო საშუალებებს (84;18). მისი სურვილი იყო აშშ-სა და ეგვიპტეს შორის ურთიეთობების გაუმჯობესება. 1962 წლის 10 იანვარს აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა დინ რასკიმ გაუგზავნა პრეზიდენტ კენედის დეტალური სამოქმედო გეგმა გაერთიანებულ არაბულ რესპუბლიკასთან მიმართებაში, რომელიც ითვალისწინებდა ეკონომიკური ურთიეთობების განვითარებას ამერიკული დახმარების სხავადსხვა ფორმით და ასევე ნასერის მოწვევას აშშ-ში (247;201). პრეზიდენტის დავალებით აშშ-ს ელჩი ეგვიპტეში ლარგ ჩესტერ ბოულსი შეხვდებოდა ნასერს და გადასცემდა აშშ-ს პრეზიდენტის ინიციატივას. ასევე მისის შესასრულებლად გაიგზავნა ცნობილი ამერიკელი ეკონომისტი, ჰარვარდის უნივერსიტეტის დოქტორი ედუარდ ს. მაიზონი კაიროში 1962 წლის მაისში და მარტში (27). მაგრამ იემენში რევოლუციის შედეგად აშშ-მ მხარი დაუჭირა საუდის არაბეთს, რომელიც მონარქისტთა მხარეზე იდგა, ხოლო ეგვიპტელები მხარს უჭერდნენ რევოლუციურ იემენს (საბჭოთა სპეციალისტების დახმარებით გაგზავნა ჯარები) რომელიც ამერიკის ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა და აშშ-ს ინიციატივა ჩაიშალა.

პრეზიდენტ ლინდონ ჯონსონის სტრატეგიული კურსი ითვალისწინებდა განვითარებულ ქვეყნებში კონფლიქტურ სიტუაციებზე აშშ-ს კონტროლსა და გავლენას. მაგრამ ვიეტნამის ომის მიზეზით, ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკა მეორე პლანზე გადავიდა, თუ არ ჩავთვლით აშშ-ს დაახლოებას ისრაელთან. ეს იყო მოვლენათა კანონზომიერი შედეგი, ისრაელის პოლიტიკის და ამერიკაში ისრაელის ლობის ძლიერი გავლენის გათვალისწინებით (26).

1969 წლის იანვარში, საპრეზიდენტო არჩევნებში რესპუბლიკური პარტიის გამარჯვების შემდეგ აშშ-ს სათავეში მოვიდა ახალი ხელისუფლება რიჩარდ ნიქსონის მეთაურობით. ნიქსონის ადმინისტრაციის მიდგომა ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტთან პირველ რიგში, განიხილებოდა საბჭოთა-ამერიკული ურთიერთობების ჭრილში და შემდეგ ისრაელის გამოსვლით არაბული ქვეყნების წინააღმდეგ (215;177).

ახალი მიდგომა ითვალისწინებდა არაბულ ქვეყნებთან მიმართებაში ზომიერ მიდგომას და ისრაელის სამხედრო უპირატესობის შენარჩუნებას. Aამას გარდა შეერთებულ შტატებისათვის მნიშვნელოვანი როლი მასში ითამაშა ნავთობის ფაქტორმა. იმ პერიოდისათვის ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს გააჩნდა მსოფლიოს ნავთობის მარაგის 60%-ზე მეტი, ხოლო ნავთობის მოპოვებისა და დამუშავების 60%-ზე მეტი ამერიკული ნავთობკომპანიების ხელში იყო და აშშ დაინტერესებული იყო ნავთობის იმპორტით. კომპანია AMOCO-ს ანალიტიკოსთა შეფასებით სპარსეთის ყურის სახელმწიფოთა ტერიტორია მოიცავს ნავთობის მსოფლიო მარაგის ორ მესამედს (171). ახლო აღმოსავლეთის ნავთობი უზრუნველყოფდა ასევე აშშ-ს ევროპელ მოკავშირეთა მოთხოვნილებებს. ახლო აღმოსავლეთის ნავთობის საბადოების საერთო მარაგი შეადგენდა 300 მლნ. ბარელ ნავთობს (1 ბარელი უდრის დაახლოებით 160 ლიტრს). «შავი ოქროთი» ყველაზე მდიდარია საუდის არაბეთის სამეფო (262 მლრდ. ბარელი), ერაყის რესპუბლიკა (115 მლრდ. ბარელი), სახელმწიფო ქუვეითი (101 მლრდ. ბარელი), არაბთა გაერთიანებული საამიროები (97,8 მლრდ. ბარელი), ირანის ისლამური რესპუბლიკა (132 მლრდ. ბარელი) (48). ამავე დროს ნავთობით მოთხოვნილება იზრდებოდა. შესაბამისად ეკონომიკური ინტერესების უზრუნველყოფისათვის აშშ-ს უნდა გაემყარებინა პოზიციები არაბულ ქვეყნებში. 70-ანი 80-ანი წლებში ქვეყნის მოთხოვნილებების გაზრდის შესაბამისად ნავთობის მოწოდებაზე შეზღუდვები იქნებოდა კატასტროფული. აშშ ასევე

შიშობდა, რომ თავიანთი ნავთობკომპანიები გაძევებული იქნებოდა იმ ქვეყნებიდან სადაც არიან, ან მოახდენდნენ მათ ნაციონალიზაციას, როგორც ეს ლიბანის, ერაყის და შემდეგ ირანის მაგალითზე გამოჩნდა.

შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკურ ინტერესებს შეერთებული შტატები პირველ ადგილზე აყენებდა. ასე, რომ 70-იანი წლებისათვის ახლო აღმოსავლეთში აშშ-ს ეკონომიკურ ინტერესებში შედიოდა ნავთობის გარანტირებული მიღება და ეკონომიკური პოზიციების შენარჩუნება პოლიტიკური და სამხედრო თვალსაზრისით ამერიკული პოზიციების გაძლიერება საბჭოთა გავლენის საწინააღმდეგოდ და მეგობრული ურთიერთობების დამყარება არაბულ ქვეყნებთან; საბჭოთა კავშირის სამხრეთ საზღვრებთან სამხედრო ბლოკის შექმნა და საზღვაო ფლოტის ინდოეთის ოკეანეში განლაგება, შავი ზღვის სრუტეებისა და სუეცის არხის კონტროლი (76).

ბ) კონფლიქტის შეჩერების ზესახელმწიფოთა მცდელობები

1973 წლის «განკითხვის დღის» ომის ძირითადი ინიციატორი იყო ეგვიპტის არაბული რესპუბლიკის პრეზიდენტი მუჰამად ანვარ ას-სადათი, რომელმაც გადაწყვიტა, ახლო აღმოსავლეთის რეგიონში ეგვიპტის პოზიციების გამყარება, ისრელისათვის სამხედრო-პოლიტიკური ძალის დემონსტრირება და ისრაელის მიერ დაპყრობილი ტერიტორიების დაბრუნება, მსოფლიოში ეგვიპტის, როგორც არაბულ სამყაროში ძლიერი ქვეყნის პრესტიჟის აღდგენა (144).

1972 წლის შემოდგომისათვის ანვარ სადათი დარწმუნდა იმაში, რომ ერთადერთი საშუალება არასასურველი დიპლომატიური უმოქმედობის გადალახვისათვის ისრაელის წინააღმდეგ ახალი ომის დაწყება იყო. ამ იდეას დაუყოვნებლივ შეუერთდა სირიის არაბული რესპუბლიკა. ებრაელ მკვლევართა აზრით, ომის მთავარი მიზანი სინას ნახევარკუნძულის მთლიანი დაბრუნება წარმოადგენდა, რომელიც 1967 წელს «ექვსდღიანი» ომის შედეგად მიიერთა ისრაელმა (71). ჰარვარდის უნივერსიტეტის ამერიკელი მკვლევარი ჯოზეფ ნაის აზრით, ანვარ სადათი ომის გზით გეგმავდა რამდენიმე ფსიქოლოგიური გამარჯვების მოპოვებას, ვიდრე გადაიდგმებოდა შემრიგებლური ნაბიჯები ისრაელთან მშვიდობის დამყარების მიზნით (258;174-176).

ეგვიპტე აწარმოებდა რთულ პოლიტიკურ თამაშს ძველ მოკავშირე საბჭოთა კავშირსა და შეერთებულ შტატებს შორის. ამერიკა-ეგვიპტის კონტაქტების დასაწყისიდანვე, რომელიც ძირითადად მიმდინარეობდა საიდუმლოდ, ეგვიპტის ახალმა ხელმძღვანელმა გამოხატა მზადყოფნა წასულიყო ისრაელთან სეპარატულ მოლაპარაკებებზე, სხვა არაბული ქვეყნებისა და პალესტინელთა ინტერესების იგნორირებით. მაგრამ ვაშინგტონმა ვერ მოძებნა რეალური საშუალება თავისი ძველი მოკავშირის ისრაელისა და ეგვიპტის ინტერესების თანხვედრისათვის. ებრაელები უარს ამბობდენ დათმობაზე, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ამერიკელები გამოიყვანდნენ სსრკ-ს ზეგავლენიდან არაბული სამყაროს ისეთ მნიშვნელოვან ქვეყანას, როგორიც ეგვიპტე იყო (193).

სადათი გრძნობდა, რომ ისრაელთან ომი აღქმული იქნებოდა არაბული ქვეყნების სახალხო მასების მიერ, როგორც სამართლიანი ბრძოლა ეროვნული სახელმწიფო და სუვერენული ინტერესების აღსადგენათ. ამავე დროს, სადათი ხედავდა ომში თავისი მიზნების მიღწევას საშინაო და საგარეო პილიტიკაში. როგორც ოქტომბრის ომის არაბი მკვლევარი მაგდი ქამალ ალ-მასრი წერდა: «ეგვიპტის რეჟიმი ცდილობდა გამოსულიყო ქვეყნის შიგნით კრიზისული მდგომარეობიდან შეზღუდული ომის მეშვეობით» (144).

1973 წლის 6 ოქტომბერს, არაბებმა დაიწყეს თავიანთი გეგმის განახორციელება – მიეყენებინათ ისრაელისათვის პირველი დარტყმა (216). ამ მიზნით, თავდაპირველად, გავრცელდა დეზინფორმაცია, რათა ისრაელი დარწმუნებულიყო ეგვიპტესა და საბჭოეთს შორის კონფლიქტის არსებობაში. ომის დაწყების თარიღად არჩეულ იქნა 1973 წლის 6 ოქტომბერი, როდესაც ისრაელის ყურადღება გადატანილ იქნებოდა დიდ რელიგიურ დღესასწაულზე «იომ ქიფური» (განკითხვის დღე), როცა ამ დროს ისრაელში დასვენების დღეა და არავინ მუშაობს. მაგრამ ისრაელის ხელმძღვანელობა გრძნობდა არსებული თავდასხმის საშიშროებას და ყოველი შემთხვევისათვის დაიწყო თავდაცვითი ღონისძიებების გატარება (71). ახლო აღმოსავლეთის რეგიონში დაიწყო გამალებული შეიარაღება.

1967 წლის «ექვსდღიანი ომის» შემდეგ სამხედრო-სტრატეგიული ბალანსი ახლო აღმოსავლეთში ისრაელის სასარგებლოდ ჩამოყალიბდა. როგორც უკვე ავღნიშნეთ, არაბული ქვეყნების მიერ ისრეალზე რევანშის აღება მხოლოდ პოლიტიკური მეთოდებით შეუძლებელი იყო. შესაბამისად ომში დაზარალებული ქვეყნები და კერძოდ ეგვიპტე,

დამარცხების დღიდან მოყოლებული ფიქრობდენ შეიარაღებული ძალების გაზრდაზე და გაძლიერებაზე. ამიტომ საინტერესო იქნებოდა განვიხილოთ თუ როგორ ვითარდებოდა ეგვიპტისა და ისრაელის სამხედრო მანქანა და რა სამხედრო ფაქტორებმა გადააწყვეტინა ანვარ სადათს ისრელთან კონფლიქტის დაწყება.

მოვლენები, რომლეთა შესახებ იქნება საუბარი, მოხდა 35 წლის უკან, ხოლო პირველად ინფორმაცია პრესაში გამოჩნდა მხოლოდ 80-ანი წლების ბოლოს გორბაჩოვის პეიროდში. ამ ოპერაციის მონაწილეები აღიარეს სამხედრო-ინტერნაციონალისტებათ, დააჯილდოვეს საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელებით, მედლებითა და ორდენებით. აღნიშნული ფაქტები პირდაპირ დაკავშირებულია გასული საუკუნის 70-ანი წლების დასაწყისში ახლო აღმოსავლეთში განვითარებულ მდგომარეობასთან, რომლის გაგრძელება იყო 1973 წლის ოქტომბრის ომი (181).

XX ს. 60-ანი წლების ბოლოსათვის ისრაელმა პრაქტიკულად გაანადგურა ეგვიპტის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვა და დარტყმებს ახორციელებდა ეგვიპტის ტერიტორიებზე. 1969 წელს ნასერი საიდუმლოდ გაემგზავრა მოსკოვში და დახმარება სთხოვა საბჭოთა კავშირს დაეცვა ეგვიპტის საჰაერო სივრცე ისრაელისაგან (128). საბჭოთა ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა სპეციალური სარაკეტო დივიზიების ფორმირება და საბჭოთა სამხედრო პერსონალის გაგზავნა. და ამ შემთხვევაში საუბარი მიდიოდა არა ინსტრუქტორებზე, თარჯიმნებსა და სამხედრო აკადემიის მასწავლებლებზე, არამედ 20000 (კისინჯერის მიხედვით 15 ათასი (244;738)) სამხედრო პირზე საომარი მოქმედედბების საწარმოებლად. თავდაცვის სამინისტრომ და ჰაერსაწინააღმდეგო ჯარების აპარატმა შეიმუშავა საიდუმლო ოპერაცია სახელწოდებით «კავკასია». იგი იმდენად გასაიდუმლოებული იყო, რომ თავდაპრველად, ოპერაციაში მონაწილეობისათვის არჩეული საუკეთესო ოფიცერთა და ჯარისკაცთა ჯგუფმა არ იცოდა მიზეზები და მიზნები, კამპანიის ჩატარების ადგილმდებარეობის შესახებ.

1970 წელს საბჭოთა კავშირის თავდაცვის სამინისტროს დელეგაცია ჩაფრინდა კაიროში მოლაპარაკებების მიზნით. მალე საზენიტო სარაკეტო კომპლექსის და სხვადასხვა ჰაერსაწინააღმდეგო საბრძოლო ტექნიკით დაკომპლექტებული დივიზიები შავი ზღვის პორტებიდან შავი ზღვის სანაოსნოს კუთვნილი გემი «როზა ლუქსემბურგი» და სხვა ხოლალდები სოფლის მეურნეობის ტექნიკის სახით შენიღბული შევიდნენ ალექსანდრიის

ნავსადგურის აკვატორიაში და გადმოსხეს საბჭოთა «სამხედროები-ინტერნაციონალისტები» (128).

კონსპირაციის მიზნით ყველა ოფიცერი და ჯარისკაცი გემებში იმყოფებოდა პირადობის დამადასტურებელი საბუთების გარეშე და გადაცმული იყო სამოქალაქო ტანსაცმელში. «ალექსანდრიაში ჩავედით გვიან ღამით. გადმოვტვირთეთ ტექნიკა და გადავღებეთ ქვიშის ფერში; ჩააგვაცვეს ეგვიპტური საველე სამხედრო ფორმები. მომდევნო დღეს გავედით პოზიციებზე»- ამბობს ერთ ერთი მონაწილე.

1970 წლის იანვრისათვის საბჭოთა ჰაერსაწინააღმდეგო დაჯგუფება შექმნილი იყო და პირველი დივიზიები შეუდგნენ მორიგეობას ღამით 1970 წლის 14-15 მარტისათვის. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა სამხედროები განლაგდნენ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საბჭოთა პრესის, რადიოსა და ტელევიზიის მეშვეობით გაკეთებულ განცხადებეში საბჭოთა ჯარები ეგვიპტეში არ იმყოფებოდნენ.

ოპერაცია «კავკასიის» გასაიდუმლოების მიუხედავად, 1970 წლის 1 ივლისს ერთ-ერთმა ამერიკულმა ჟურნალმა გამოაქვეყნა მონაცემები საბჭოთა სამხედროების განთავსების შესახებ. «ცივი ომი» ახლო აღმოსავლეთში საბჭოთა კავშირსა და დასავლეთს შორის ახალ ფაზაში შევიდა. ამერიკისა და ისრაელის პროპაგანდა აუწყებდა საბჭოების მიერ ეგვიპტის ოკუპაციაზე, ხოლო სადათს საზოგადოებისათვის ეგვიპტეში უცხოური ჯარების აუცილებლობაზე მოუწია ახსნა განმარტების მიცემა: «როცა ომის დროს ჩერჩილმა და რუზველტმა დახმარებისათვის მიმართეს სტალინს, ამაში გასაკვირი არაფერი იყო. როცა ჩვენ ვთხოვთ საბჭოებს დაგვეხმაროს ეს ცოდვაა, მაგრამ როცა ისინი აკეთებდნენ ამას, ეს კანონიერად ითვლებოდა.»

თვითმხილველი გენერალის მტკიცებით პირველი ამერიკული თვითმფრინავი ჩამოგდებულ იქნა 1970 წლეს 30 ივნისს. ბოლო ბრძოლა ისრაელის მფრინავებსა და საბჭოთა სამხედროებს შორის მოხდა 3 აგვისტოს, რომლის შემდეგ ფრენები შეწყდა და ისრაელმა მოლაპარაკებები დაიწყო ეგვიპტესტან პერმანენტული ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე.

დივიზიების ჩამოსვლამ და ბომბდამშენების, თვითმფრინავების და საზენიტო-სარაკეტო დანადგარების მიღებით საგრძნობლად შესუსტდა ისრაელის საჰაერო რეიდები ეგვიპტის ტერიტორიაზე, მაგრამ საბჭოთა კავშირის დახმარების მიუხედავად საბჭოებმა

დატოვეს ეგვიპტე. უკვე 1973 წლის ომის მსვლელობისას მოწინააღმდეგის მხარე გაკვირვებული იყო ეგვიპტის არმიის მომზადების მაღალი დონით. სადათმა ერთხელ თქვა: «მოვა დღე და ყველას მოუყვებით იმის შესახებ რაც საბჭოთა კავშირმა გააკეთა ჩვენთვის, მათმა სამხედრო სპეციალისტებმა და შეიარაღებამ ეგვიპტის მოგებისათვის». «მაგრამ ეს დღე არ დადგა», როგორც აღნიშნა ამ ოპერაციის ერთ-ერთმა მონაწილემ (181). აზერბაიჯანელი პროფესორის აზრით ისრაელი ეგვიპტის საჰაერო სივრცეში ბატონობდა მხოლოდ 1970 წლის ზაფხულამდე, სანამ ეგვიპტეში არ ჩამოვიდნენ რუსები გენერალ-მაიორის ალექსანდრე სმირნოვის მეთაურობით. საბჭოთა უახლესი ტექნიკის შეყვანა ეგვიპტეში, მოდიოდა ოპერაცია «კავკასიას» ფარგლებში. ეს იყო პირველი რუსეთ-ისრაელის ომი, სადაც იბრძოდა 22 ათ. მეტი რუსი, რომლის გაგრძელება 1973 წლის კონფლიქტი იყო (165;45-46).

ოპერაცია «კავკასიისა» და მისი შედეგების შესახებ ინფორმაცია დაიბეჭდა საბჭოთა კავშირის და მერე რუსეთის თავდაცვის სამინისტროს გაზეთ Красная Звезда-ს ნომერშიც.

ნასერის თხოვნის შემდეგ პოლიტბიუროს სხდომაზე გადაწყდა საბჭოთა ჰაერსაწინააღმდეგო დივიზიების გაგზავნა. ოპერაციამ მიიღო პირობითი სახელწოდება «კავკასია». დაჯგუფების ბირთვს შეადგენდა სპეციალური საზენიტო სარაკეტო დივიზია (რომელიც შედგებოდა საზენიტო სარაკეტო სისტემის კომპლექსებიდან,ნსაზენიტო თვითმავალი დანადგარისაგან, გადამტანი საზენიტო სარაკეტო კომპლექსებისა და საავიაციო ჯგუფისაგან რომელშიც შედიოდა დაზვერვითი გამანადგურებელი ესკადრილია (მეთაური პოლკოვნიკი ი. ნასტენკი) და განმანადგურებელი დაზვერვითი პოლკი (მეთაური კ.კოროტიუკი). ამას გარდა, სამხედრო საზღვაო ფლოტის ცალკეული ნაწილები, თვითმფრინავები, ნავსადგურ ალექსანდრიასა და პორტ-საიდის საბრძოლო გემები და ხმელთაშუა ზღვის მე-V ოპერატიული ესკადრილიის გემები (152).

1970 წლის ზაფხულისათვის როგორც მას უწოდებენ «დაუძლურების ომის» მსვლელობამ იკლო. ისრაელმა ბრძოლებში დაკარგა მარტო 1969 წლის აგვისტოდან 1970 წლამდე თავისი საბრძოლო თვითმფრინავების პარკის 50% (94 ცალი მანქანა) და მიიღო როჯერსის გეგმა. მთავარი სამხედრო მრჩევლის, ეგვიპტეში არმიის შტაბის ყოფილი უფროსის გენერალი მაჰმუდ გარეევი, იხსენებს თუ როგორ ძლიერდებოდა და მზადდებოდა ეგვიპტის ბრძოლისუნარიანობა ისეთი ხალხის ხელში, როგორიც იყო

ეგვიპტის სამხედრო საჰაერო ძალების გენერალური შტაბის უფროსი გენერალ-მაიორი, ეგვიპტის მომავალი პრეზიდენტი ჰოსნი მუბარაქი.

საინტერესოა, რომ ერთი წლის შემდეგ გაზეთ Время Новостей-ს ჟურნალისტისათვის მიცემულ ინტერვიუში კითხვაზე, თუ რატომ მიიღო საბჭოთა ოპერაციამ ეგვიპტეში სახელწოდება «კავკასია», მაჰმუდ გარეევმა უპასუხა, რომ არაფერი იცის ოპერაცია «კავკასიის» შესახებ და რომ ჟურნალისტებს უყვართ სხვადასხვა სახელწოდებების მოგონება (168).

აღნიშნული ფაქტების ჩამოთვლისას, სადაც ავტორები ამტკიცებენ, რომ საბჭოთა სპეციალისტებმა დიდი ზიანი მიაყენეს ისრაელის მხარეს, ისრაელის მონაცემებით საბჭოთა მფრინავები მარცხს განიცდიდენ საჰაერო შეტაკებებში. როგორც War Online-ს ვებ გვერდზე, ლეონიდ იოფე თავის სტატიაში «ეგვიპტე და ისრაელი 1967-70 წ.წ. ომებში» წერს, საბჭოები ხშირად მარცხდებოდნენ საჰაერო შეტაკებებში. მეტიც, დიდმა დამარცხებამ დაწია საბჭოთა საჰაერო ძალების პრესტიჟი მსოფლიოში (107). ამ მიზეზების გასარკვევად კაიროში ჩამოფრინდა მარშალი პ.კუტახოვი. Mossad-ის (სპეციალური ამოცანებისა და დაზვერვის ინსტიტუტი) ჯაშუშების მტკიცებით მან შესძახა _ ეს კატასტროფაა! და 2 აგვისტოს გასცა ბრძანება შეეწყვიტათ მფრინავებს გასვლები სუეცის არხის ზონაში. Washington Post-ის ისრაელის რეპორტიორმა აღწერა კუტახოვის ვიზიტის დეტალები, სადაც საბჭოთა მარშალმა აუკრძალა მფრინავებს ებრაელებთან შებრძოლება თუ არ მიაღწევდენ რაიმე შედეგს. შემდეგ, წერს ავტორი, რომ კონფრონტაციამ შედეგი მოიტანა _ საბჭოთა ხელისუფლებამ აცნობა ეგვიპტის მხარეს, რომ ვერ მისცემდა ეგვიპტის საჰაერო საზღვრების დაცვის გარანტიას, ხოლო რუსების გარეშე ნასერი ვერ გააგრძელებდა ისრაელთან კონფრონტაციას და დათანხმდა ზავის დადებაზე, რომელიც შევიდა ძალაში 7 - 8 აგვისტოს და რომელიც რეალურად გაგრძელდა რამდენიმე ფაქტს თუ არ ჩავთვლით 1973 წლამდე (107). «დაუძლურების ომის» 1141 დღის განმავლობაში ისრაელმა ჩამოაგდო 113 ეგვიპტური თვითმფრინავი. ხოლო ისრაელმა დაკარგა 17 თვითმფრინავი. თუმცა აღიარებს, რომ საბჭოთა ჰაერსაწინააღმდეგო ძალებმა ისრაელს დიდი დანაკარგი მიაყენეს. ამერიკული ჯურნალი Newsweek-ი 1970 წლის 1 ივნისს წერდა, რომ ამ ომის დროს ეგვიპტის პოზიციებზე მარტო 1969 წელს გარდაიცვალა 12 და 95 საბჭოთა სამხედრო დაიჭრა, ხოლო 5 ივლისს 1970 წ. გარდაიცვალა საბჭოთა გენერალ-მაიორი.

1973 წლის კონფლიქტის განხილვისას საინტერესოა გავიგოთ თუ რა ინფრომაციას ფლობდენ მხარეები ომის დაწყების წინ.

აი, როგორ იხსენებს ომის დაწყების წინა მოვლენებს საკდესი-ს (TACC) კორესპონდენტი კ.შჩენიკოვი: «ვიქტორ დომოვთან (ვიქტორ დომოვი ფსევდონიმია), საკდესი-ს პირად კორესპონდენტთან ერთად ბევრი წელი ვმუშაობდი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში. ერთხელ ჩემთან შეხვედრისას მან განაცხადა, რომ დაზვერვის ოფიცერია და მსახურობდა «აკვარიუმში» (ან როგორც უწოდებენ საბჭოთა კავშირის თავდაცვის სამნისტროს მთავარი სადაზვერვო სამმართველოს (ГРУ)-ს თანამშრომლები თავიანთ შტაბ-ბინას _ შუშაში)». პოლკოვნიკის გარდაცვალების შემდეგ, შჩენიკოვმა გადაწყვიტა დაზვერვის თანამშრომელთან საუბრის ჩანაწერების გამოქვეყნება, რომელთაგან საინტერესოა ვიქტორ დომოვის მოღვაწეობა ეგვიპტეში სადათის მმართველობის პერიოდში და განსაკუთრებით ომის დაწყების თარიღის დადგენის შესახებ ინფორმაცია (187;55).

საბჭოთა კავშირისათვის იყო ცნობილი, რომ არაბული ქვეყნები ეგვიპტის ხელმძღვანელობით ამზადებდა იერიშს ისრაელზე. სამხედრო დაზვერვამ მიიღო ამოცანა სამხედრო მოქმედებების ზუსტი თარიღის დაწყებისათვის. მალე ერთ-ერთი ეგვიპტის მაღალჩინოსანი ოფიცერის მეშვეობით დადგინდა, რომ 1973 წ. 6 ოქტომბერს ეგვიპტელები, ისრაელის რელიგიური დღესასწაულის დროს, აპირებდენ ბარ-ლევის ხაზის გარღვევას და მსხვილმაშტაბიანი ომის დაწყებას (160 კმ. ფორტიფიცირებული ხაზი, ცნობილია ისრაელის თავდაცვის არმიის გენშტაბის მეთაურის ჰაიმა ბარ-ლევის სახელთ. ის წარმოადგენდა ჯაჭვს 30 გამაგრებული პუნქტებისაგან, სატანკო ბაქნებით მათ გვერდით და საარტილერიო პოზიციებით 8-10 კმ. მათ უკან) (7). 20 სექტემბერს მოსკოვში გაიგზავნა პირველი შიფროგრამა ომის დაწყების შესახებ. ეს ინფორმაცია უნდა გადამოწმებულიყო. ერთი წლის უკან სადათმა საბჭოთა სპეციალისტები გააძევა, ხოლო მათ გარეშე ეგვიპტელები ვერ იომებდენ. 1973 წლის თებერვალში ეგვიპტეში ჩამოვიდა საბჭოთა სამხედრო დელეგაცია არმიის გენერალ პ.ლაშჩენკოს ხელმძღვანელობით, რომელმაც შეისწავლა ბარ-ლევის ხაზი. პორტ-საიდის რაიონში დააყენეს ოპერატიულ-ტაქტიკური სარაკეტო კომპლექსი. საბჭოეთმა გაუშვა კოსმოსში სამხედრო თანამგზავრი, რის

მეშვეობითაც ეგვიპტელები იღებდენ ინფორმაციას ისრაელის რეგულარული ჯარების გადაადგილების შესახებ (188;58).

ცნობილი ჟურნალისტი და პუბლიცისტი, რომელიც 12 წელი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში მოღვაწეობდა და არ არის გამორიცხული საბჭოთა კავშირის სპეცსამსახურების ყოფილი თანამშრომელი კონსტანტინე კაპიტონოვი (სხვათაშორის, იგი ერთი წლის უკან ისრაელში «პერსონა ნონ გრატად» გამოაცხადეს (150)) აღწერს, რომ ეგვიპტის მოულოდნელი თავდასხმის წარმატებას, ბევრად შეუწყო ხელი ცრუ ინფორმაციამ ეგვიპტელი ჯაშუშისა, რომელიც რამდენიმე წელია ნდობით სარგებლობდა Mossad-ში (118). მის მიერ მოწოდებული ინფორმაცია ყოველთვის მნიშვნელოვანი და ზუსტი იყო. მაგრამ გადამწყვეტ მომენტში, როცა უნდა გაეფრთხილებინა ებრაელები თავდასხმის შესახებ, მან შეგნებულად შეიყვანა თავისი კურატორები შეცდომაში. ეს სიტყვები ეკუთვნის გადამდგარ გენერალ-მაიორს ელი ზაირეს, რომელიც მაშინ მეთაურობდა AMAN-ს (ისრაელის სამხედრო დაზვერვას) (118). მოსადმა ეს ფაქტი უარყო. მაგრამ გენერლის სიტყვებს ადასტურებს დოქტორ აარონ ბერგმანი თავის წიგნში «ისრაელის ომები 1947-1993 წ.წ.» დაზვერვის დოკუმენტებში ის გადიოდა ფსევდონიმით «ქვისლი» თავის ნათესაური კავშირის გამო ეგვიპტის პრეზიდენტ ნასერთან. მან მოსადის თვალში ნდობა დაიმსახურა იმით, რომ ყოველთვის მნიშვნელოვან და სწორ ინფორმაციას აწვდიდა. მნიშვნელოვან დოკუმენტებს შორის იყო ნასერისა და ბრეჟნევის 22 იანვრის 1970 წლის მოსკოვის საუბრის ჩანაწერები. ასევე 30 აგვისტოს 1972 წლის საიდუმლო მიმოწერა ბრეჟნევსა და სადათს შორის, რომელიც ეხებოდა უახლოესი იარაღის მოწოდებას (118). მან აცნობა არაბთა გეგმაზე მოულოდნელად დაერტყა ისრაელისთვის 1972 წელს და 1973 წ. დაასახელა 15 მაისი (ისრაელის დამოუკიდებლობის დღე). სწორედ ამ ინფორმაციის საფუძველზე ZAHAL-მა (ისრაელის თავდაცვის არმია) ჩაატარა ორი ძვირადღირებული მობილიზაცია საიდუმლო პროგრამის მიხედვით _ კოდური სახელწოდება «კახოლ-ლავანი» (თეთრი-ცისფერი). ამ ოპერაციის ჩატარება ისრაელს დაუჯდა 45 მლნ. აშშ დოლარი, რომელიც 12 აგვისტოს შეწყდა. დღეს ზუსტად არის ცნობილი, რომ 1973 წლის გაზაფხულზე სადათი არ აპირებდა ისრაელზე თავდასხმას. ეგვიპტის გენერალური შტაბის ოპერატიული განყოფილების მაშინდელი მეთაურის გენერალ გამასის სიტყვებით, «ჩვენი მობილიზაცია აპრილ-მაისში ისრაელის დაზვერვის შეცდომაში შეყვანისათვის

კეთდებოდა» (118). მობილიზაციის ხარჯები იმდენად დიდი იყო, რომ როცა სინამდვილეში გახდა საჭირო მობილიზაცია მეთაურები ვერ აცხადებდნენ მას იმის შიშით, რომ ისევ სიცრუე აღმოჩნებოდა. აღსანიშნავია, რომ 25 სექტემბერს მოსადის ერთ-ერთ შენობაში (გერცლიში) იორდანიის მეფე ჰუსეინი შეხვდა პრემიერ-მინისტრს გოლდა-მეირს, რომელიც გააფრთხილა სირიისა და ეგვიპტის თავდასხმის შესახებ ისრაელზე. უცნაური შეხვედრა! იორდანია ოფიციალურად საომარ მდგომარეობაში იმყოფებოდა ისრაელთან. მეფემ გააფრთხილა მტერი თავდასხმის შესახებ (118). (თუ რა მოტივები ამოძრავებდა იორდანიის მეფეს, ამის გაგება შესაძლებელია მხოლოდ ისრაელის და იორდანიის გასაიდუმლოებული მასალების შესწავლისა შედეგად, მაგრამ ჩვენი ვარაუდით, იორდანია, ცდილობდა ნებისმიერი პრობლემის გადაწყვეტას მხოლოდ მშვიდობიანი გზით ან შესაძლოა ისევ მოქმედებდა 1965 წ. CIA-ს მიერ შექმნილი იორდანულ-ებრაული-ამერიკული კომიტეტი, რომელზეც ჩვენ გვქონდა საუბარი, ზ.ტ.)

ღამით, განკითხვის დღეს (1973 წლის 5-დან 6 ოქტომბრამდე) ლონდონში «ქვისლი» შეხვდა მოსადის ხელმძღვანელს ცვიზ ზამირს. ამ შეხვედრაზე ეგვიპტელმა აცნობა, რომ ომი დაიწყება 6 ოქტომბერს საღამოს 18 საათზე და ისევ მოატყუა ებრაელები, ვინაიდან როგორც ვიცით ომი დაიწყო დღის 14 საათზე. კონფლიქტის დაწყებამდე დარჩენილი იყო 10 საათი, ხოლო ხუთ საათიანი კამათის შემდეგ გადაწყდა მთლიანი მობილიზაცია (118).

ამ ფაქტის შესახებ საუბრობს ასევე ჰასანაინ ჰაიქალი თავის ახალ წიგნში «73 წლის ოქტომბერი, იარაღი და პოლიტიკა». იგი წერს, რომ 1973 წლის 6 ოქტომბერს დილის 3 საათზე გენერალ ელი შალიფი რომელიც ხელმძღვანელობდა ამანის ერთ-ერთ განყოფილებას, დაუკავშირდა მოშე დაიანს თავდაცვის მინისტრს და აცნობა, რომ ეგვიპტისა და სირიის ძალები გეგმავენ შეტევას ისრალის წინააღმდეგ (340;331-332).

კონფლიქტის დაწყების თარიღის დადგენის შესახებ ინფორმაცია აღნშნულია აშშ-ს ეროვნული უშიშროების არქივში დაცულ მასალებსა და საიდუმლო დოკუმენტებში (216).

დოკუმენტი № 8: სრულიად საიდუმლოდ № 683

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტს: დეპეშა 3243 – სახელმწიფო დეპარტამენტს

საკითხი: საბჭოთა კავშირის თვალათხედვა ეგვიპტის გადაწყვეტილებაზე დაიწყოს ომი.

წყარო: NPMP, NSCF, საფოსტო ყუთი 1175, ახლო აღმოსავლეთის ომი, 26 ოქტომბერი 1973 წელი, დოკუმენტი № 21:

1) საბჭოთა კავშირის საინფორმაციო სააგენტოს საკდეს-ის დირექტორის მოადგილე ლეო ედრაშნიკოვმა (ჩვენი მონაცემებით რუსეთის სადაზვერვო სამსახურის «სუკ»-ის ოფიცერი) გვაცნობა, რომ საბჭოთა საელჩომ კაიროში აგვისტოში და სექტემბერში მიიღო რამდენიმე მტკიცებულება, რომ სადათმა ემზადება ცეცხლის გაჩაღებისათვის, Mმაგრამ, არ ჰქონდათ სრული სურათის ჩამოყალიბების საშუალება სექტემბრის ბოლომდე. უფრო მეტიც, საბჭოთა საელჩოს არ სჯეროდა, რომ ომის განახლება შესაძლებელი იყო (შესაძლოა ლეო ედრაშნიკოვი სწორედ ის კორესპონდენტია, რომელის შესახებ საუბრობდა რუსი პუბლიცისტი ვ.შჩენიკოვი, ზ.ტ.) (9).

2) ედრაშნიკოვმა აღნიშნა, რომ საბჭოეთი აგროვებდა ყველა ფაქტებს, თუ ვინ იყო ინფორმირებული ეგვიპტის მთავრობის მიერ ცეცხლის განახლების გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით. სადათმა განიხილა მეფე ფაისალთან ერთად თავისი გეგმა, ქ. ჯიდაში ვიზიტის დროს 23 აგვისტოს და ფაქტიურად მხარდაჭერა მიიღო საუდის მონარქისაგან. ჰუსეინი კი აცნობიერებდა, რომ ეგვიპტე ემზადებოდა ომისათვის, მაგრამ არ ჰქონდა ინფორმაცია თუ როდის იქნებოდა ეს მოსალოდნელი. მან განიხილა ამის შესახებ სადათთან მისი შეხვედრის დროს კაიროში 10-12 სექტემბერს (9).

3) ამ დროს ეგვიპტის მთავრობაში შეიკრიბა პატარა ჯგუფი სადათის ნდობით აღჭურვილი პირებისაგან. ჰაიქალიც ინფორმირებული იყო ამის შესახებ, მას შემდეგ რაც სადათმა გადაწყვიტა მისი ჩაბმა საქმეებში, აგვისტოს ბოლოს. (როგორც ვიცით, პრიმაკოვის წიგნში ჰაიქალი წერს, რომ სადათის ამერიკელებთან საიდუმლო არხის დამყარება მოხდა მის გარეშე, ზ.ტ) (9).

4) 5 ოქტომბერს, სადათმა მთავრობის კაბინეტის სრულ შემადგენლობას განუცხადა, რომ მომდევნო დღეებში იწყებოდა ომი.

5) ედრაშნიკოვმა ჩათვალა რომ საბჭოებმა არ იცოდნენ ზუსტად, რომ სადათი ემზადებოდა ომისათვის იქამდე, სანამ 3 ოქტომბერს ვინოგრადოვი არ შეხვდა სადათს.

6) ომის გამომწვევ მიზეზებთან დაკავშირებით, ედრაშნიკოვმა თქვა, რომ საბჭოები თვლიან _ სადათის გადაწყვეტილებაზე იმოქმედა საშინაო ფაქტორებმა, მათ შორის გავრცელებული უკმაყოფილება საქონლის დეფიციტისა და ფასების ზრდის გამო

ძირითად პროდუქტებზე. ეგვიპტის მთავრობა შიშობდა სტუდენტთა გამოსვლებისა და პოლიტიკური მდგომარეობის აღელვებისა (230;141), რომლის გარდა არსებობდა ასევე სხვა მიზეზები ამ საქმესთან დაკავშირებით (9)

დოკუმენტი № 13.:

უილიამ ბ. კვანდტის სამსახურეობრივი ჩანაწერი ბრენტ სკოუკროფტის სახელზე «არაბებსა და ისრაელის შორის დაძაბულ ვითარებასთან დაკავშირებით.» 1973 წლის 6 ოქტომბერი.

წყარო: NPMP, NSCF, საფოსტო ყუთი 1173, 1973 ომი (ახლო აღმოსავლეთი) 6 ოქტომბერი 1973 , დოკუმენტი № 1 :

«ელჩი კიტინგი შეხვდა პრემიერ-მინისტრს მეირს დილით და აცნობა, რომ ისრელმა მიიღო ინფორმაცია, რომ ეგვიპტე და სირია გეგმავენ კოორდინირებულ შეტევას ისარელის წინააღმდეგ შუადღის შემდეგ. დამატებით, იგი (მეირი) დარწმუნებულია რომ საბჭოებმა გაიწვიეს და დაიწყეს მრჩევლების ევაკუაცია ეგვიპტიდან და სირიიდან.» (10)

1973 წლის 10 სექტემბერს (როგორც დოცუმენტ № 8-ში ჩანს) ანვარ სადათი, ჰაფიზ ასადი, და მეფე ჰუსეინი საიდუმლო ვითარებაში შეხვდნენ ერთმანეთს კაიროში, თავისი მოქმედებების კოორდინაციისათვის. ხოლო 23 სექტემბერს სადათი შეხვდა საბჭოთა ელჩს ეგვიპტეში ვინოგრადოვს. ამ შეხვედრით და შემდეგი კონსულტაციებით საბჭოთა მხარესთან ბევრი დასავლეთის მკვლევარი თვლიდა, რომ სსრკ-მა იცოდა არაბთა გეგმებზე და მთავარ არგუმენტად მოყავდათ საბჭოთა სპეციალისტების, დიპლომატების ოჯახების და სხვა მოქალაქეების სასწრაფო ევაკუაცია ეგვიპტიდან და სირიიდან მაგრამ, საქმე იმაშია, რომ ეს შეხვედრები სადათის ინიციატივით ტარდებოდა, რათა მიეღო საბჭოთა რწმუნებები კონფლიქტის გაჩაღდების დროს. ჰაიქალი ირწმუნება, რომ საბჭოთა ლიდერები ცდილობდენ არ ცოდნოდათ არაბული კამპანიის დეტალები, რაშიც ამ შემთხვევაში ვერ დავეთანხმებით, ჩვენს ხელთ არსებული მასალების შესაბამისად (144).

ჰაიქალის მტკიცებით, მოსკოვი არ იყო ინფორმირებული თავდასხმის ზუსტი თარიღის შესახებ, რომელიც აცნობეს მხოლოს 4 ოქტომბერს, როცა ჰაფიზ ასადმა აცნობა ამის შესახებ საბჭოთა ელჩს დამასკოში ნ. მუხითდინოვს (უფრო ზუსტად, 3 ოქტომბრს, როცა ვინოგრადოვი შეხვდა სადათს,ზ.ტ.). მას შემდეგ, რაც მოსკოვი ინფორმირებულ იქნა, მან დაავალა ვინოგრადოვს, გადაეცა სადათისათვის შემდეგი _ ომის დაწყება ეს ეგვიპტის

გადაწყვეტილებაა და სსრკ მხარს დაუჭერს არაბებს ყველა საშუალებებით, ეკონომიკური იქნება ეს თუ სამხედრო (144).

მაგრამ საბჭოთა მოქალაქეების ევაკუაცია სირიიდან და ეგვიპტედან სადათმა ჩათვალა, ისე რომ «საბჭოები ვერ აღმოუჩენდენ შეპირებულ დახმარებას». როგორც კისინჯერი წერდა: «არ არსებობდა არანაირი მტკიცებულება, რომ საბჭოები უბიძგებდენ ეგვიპტეს და სირიას დაეწყოთ ომი . . . მოგვიანებით სადათი გვეუბნებოდა, რომ საბჭოთა კავშირი კონფლიტის დაწყებიდანვე გამოდიოდა სამხედრო მოქმედებების შეწყვეტის თაობაზე» (244;739)

შესაბამისად დავადგინეთ, რომ სადათი ინტენსიურად ემზადებოდა 1972-73 წ.წ. ისრაელისათვის ომისათვის, რომლის ხასიათზე ნათელს ფენს ჰაიქალი, სადეკისა და სადათის ურთიერთობებზე საუბრისას _ მათ განსხვავებული აზრი ჰქონდათ ომის წარმართვის თაობაზე. გენერალი სადეკი, რომელიც მხარს უჭერდა გეგმა «გრანიტს» (პირველადი გეგმა დაპყრობილი ტერიტორიების განთავისუფლებისათვის იქნა შემუშავებული პრეზიდენტ ნასერის დროს კოდური სახელწოდებით «გრანიტი», შემდეგ მოხდა გეგმის მოდიფიკაცია «გრანიტ 2» და «გრანიტ 3», ან როგორც კნიაზევი ამტკიცებს არხის ფორსირება ითვლებოდა პირველ ეტაპად გეგმისა «გრანიტ 1» ხოლო მისი გაგრძელება – მთის უღელტეხილების დაპყრობა – მეორე, «გრანიტ 2»), არ იყო დარწმუნებული შეზღუდული ომის შესაძლებლობაში იმ დროს, როცა პრეზიდენტი თვლიდა, რომ მას მოყვება დიდი პოლიტიკური დივიდენდები» (235;180). 1975 წლისათვის სამხედრო მინისტრი სადეკი დარწმუნდა, რომ სადათს აძლევდენ რაღაც პოლიტიკურ ნიშანს და გარანტიებს, თუ იგი გაატარებდა ლოკალურ ოპერაციას, რომელმაც მიიღო კოდური სახელწოდება «ბადრი» (153;45).

საინტერესოა სირიის პრეზიდენტ ჰაფის ასადის ოფიციალური აზრი. 1983 წლის 2 ივნისს დამასკოში პრიმაკოვთან შეხვედრისას სირიის პრეზიდენტმა, სადათის გეგმების შესახებ, აღნიშნა: «სადათთან წინასწარი შეთანხმებით უნდა გვემოქმედა ერთად. რათქმაუნდა მან არ მაცნობა, რომ ჩაიფიქრა ომი მხოლოდ, როგორც საშუალება შეეცვალა სიტუაცია «მკვდარი წერტილიდან» (153;46). როგორც აღმოჩნდა ასადიც მოქმედებდა სადათთან შეთანხმების გარეშე! საომარი მოქმედებების დაწყებამდე ასადმა სთხოვა საბჭოთა ელჩს მუხითდინოვს, რომ ომის დაწყების შემდეგ გაეროს უშიშროების საბჭოში

სსრკ-ს შეეტანა რეზოლუცია ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე. ჰაიქალის სიტყვებით ასადმა ჩათვალა, რომ თუ ბრძოლა სირიის სასარგებლოდ გაიმართებოდა, რეზოლუცია აღარ იქნებოდა საჭირო, ხოლო თუ გამოჩნდებოდა, რომ ისრაელი იმარჯვებს, მაშინ რეზოოლუციის მიღება საქმეს სირიის სასარგებლოდ გადაწყვეტდა. ვინოგრადოვმა აცნობა სადათს მუხითდინოვიდან მიღებული თხოვნის შესახებ, რაც სადათისათვის დაუჯერებელი იყო. მან გაუგზავნა სირიის პრეზიდენტს კოდირებული დეპეშა ვინოგრადოვთან საუბრის შესახებ, მაგრამ თავის პასუხში ხაფიზ ასადი ირწმუნებოდა, რომ ასეთი საუბარი მუხითდინოვთან არ ჰქონია (144).

აშშ-სათვის როგორც კი გახდა ცნობილი, რომ ეგვიპტემ და სირიამ დაიწყეს ისრაელზე შეტევა, მოწვეულ იქნა ვაშინგტონის სპეციალური მოქმედების ჯგუფი (Washington Special Action Group), რომლის შემადგენლობაში შევიდნენ სახელმწიფო მდივანი ჰ.კისინჯერი, ატომური ენერგეტიკული კომისიის წევრი ჯეიმს შლეზინგერი და CIA-ს დირექტორი უილიამ კოლბი, გაერთიანებული შტაბის მეთაურთა ხელმძღვანელი ადმირალი ტ. მურერი (216), ხოლო 6-დან 8 ოქტომბრის პერიოდში მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის ინტენსიურად მიმდინარეობდა ინფორმაციათა გაცვლა.

ერთი სიტყვით, მოწინააღმდეგე მხარეები მომზადებული შეხვდნენ 1973 წელს. სირიამ და ეგვიპტემ საბჭოთა კავშირის დახმარაბით, აღადგინეს და საგრძნობლად აამაღლეს 1967 წლის ექვსდღიანი ომის შედეგად განადგურებული სამხედრო პოტენციალი (17). არაბ-ისრაელის კონფლიქტთა ისტორიაში, ეგვიპტემ ჩამოაყალიბა ყველაზე მძლავრი სამხედრო კოალიცია. ამ კოალიციური ძალების მეთაურობას ახორციელებდა ეგვიპტის ომის მინისტრი გენერალ აჰმად ისმაილი, ხოლო ეგვიპტის შეიარაღებულ ძალებს მეთაურობდა ქვეყნის პრეზიდენტი.

გენერალური შტაბის მეტაურად დაინიშნა გენერალ-ლეიტენანტი საად ად-დინ შაზლი. გენშტაბის ოპერატიული განყოფილების მეთაურად გენერალ-მაიორი მუჰამად ალ-გამასი. საჰაერო სამჰედრო ძალების მეთაურობდა მუჰამად ჰოსნი მუბარაქი. ეგვიპტის შეიარაღებული ძალების ძირითად ბირთვს შეადგენდა ორი არმია, რომელიც ექვემდებარებოდა ეგვიპტის გენშტაბს: II არმიის მეთაური იყო გენერალ-მაიორი საად ად-დინ მაამუნი, ხოლო III არმიის გენერალ-მაიორი მუნიმ მვასილი. სირიის შეიარაღებული ძალებს მეთაურობდა ქვეყნის პრეზიდენტი ჰაფიზ ალ-ასადი, ხოლო ომის მინისტრი იყო

გენერალ-ლეიტენანტი მუსტაფა თლასი, რომელიც ხელმძღვანელობდა უშუალოდ სირიის ხუთივე ქვედანაყოფს (241). ზოგიერთი მონაცემებით, მარტო ეგვიპტის არმიის შემადგელობაში შედიოდა 400 ათასიდან 833 ათასამდე კაცი; ეგვიპტე ფლობდა ძირითადად საბჭოთა წარმოების 2400 ტანკს; საბჭოთა წარმოების 590 (ან 690) თვითმფრინავს, 2400 ჯავშანტექნიკასა და 1120 საარტელერიო ერთეულს; ასევე 161-დან 190-მდე შვეულმფრენი და 122 (ან 144) სამხედრო საღვაო ხომალდი და გემი (28).

სირიის არმიის საერთო რაოდენობა შეადგენდა 332 ათ.Kკაცს; 1350 ტანკს (ისეთივე როგორც ეგვიპტეს); 1300 ჯავშანტექნიკასა და 655 საარტელერიო დანადგარს; 321 თვითმფრინავს, 36 შვეულმფრენსა და 21 ხომალდს (49).

სირიის ფრონტზე აგრეთვე, მოქმედებდა სხვა არაბული და სოციალისტური ქვეყნების სამხედრო ძალები. მათ შორის ერაყის, რომლის შემადგენლობაში შედიოდა 20 ათ. ჯარისკაცი, 310 ტანკი, 300 ჯავშანტექნიკა, 54 საარტილერიო ერთეული და 73 თვითმფრინავი (49). ასევე მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენდა სსრკ-ს დახმარებით შექმნილი ჰაერსაწინააღმდეგო დაცვა, რომლის შესახებ ჩვენ გვქონდა საუბარი.

რაც შეეხება კონფლიქტში მონაწილე მეორე მხარეს, ამ დროს ისრაელში მოქმედებდა ქნესეთის მეშვიდე მოწვევით ჩამოყალიბებული 15-ე მთავრობა პრემიერ-მინისტრის გოლდა მეირის ხელმძღვანელობით.

თავდაცვის მინისრტი იყო მოშე დაიანი; გენერალური შტაბის მეთაური დავიდ ელაზარი (დადო), რომელსაც ემორჩილებოდა ჩრდილოეთ ოლქის შტაბის მეთაური გენერალ-მაიორი იცხაკ ხოფი (ხაკა პოვირჟევსკი) და სამხრეთ ოლქის შტაბის მეთაური შმუელ გონენი, მაგრამ ძირითადად ხელმძღვანელობას ახორციელებდა გენერალ-ლეიტენანტი ხაიმ ბარ-ლევი.

ასევე, Aman-ს მეთაურობდა ელაჰუ (ელი) ზაირი; Mossad-ს _ ცვი ზამირი (ცვიკა ჟარჟევსკი). ჯავშანსატანკო ქვედანაყოფების მეთაურად დაინიშნა გენერალ-ლეიტენანტი აბრაჰამ არანსი (აბრენ იდელსონი) (საომარი მოქმედებების დროს 162 სატანკო ქვედანაყოფის მეტაური), ხოლო 143 სარეზერვო ქვედანაყოფის მეთაურად არიელ (არიკა) შარონი (95).

ისრაელის თავდაცვის არმიის (რეზერვისტების ჩათვლით) შემადგენლობაში შეიოდა 415 ათ. კაცი. ტანკების საერთო რაოდენობა 1500-დან 1850 ერთეულს, 3000

ჯავშანტექნიკას, 945 საარტელერიო ერთეულს (მათ შორის ბრიტანული და აშშ-ს წარმოების, ასევე ექვსდღიან ომში მოპოვებული საბჭოთა ტექნიკა); 690 ამერიკული და ფრანგული წარმოების თვითმფრინავი, 84 შვეულმფრენი და 38-დან 47-ე ხომალდი (49).

სხვა მონაცემებით _ ეგვიპტის სახმელეთო ძალებში შედიოდა 285 ათ. ჯარისკაცი, რომლის ბირთვს შეადგენდა 10 დივიზია, მათ შორის 3 სატანკო, და 6 ქვედანაყოფი: 2 სატანკო, 2 ქვეითი, 2 საჰაერო-სადესანტო, ასევე 16 საარტილერიო ქვედანაყოფი და 28 სპეცდანიშნულების ქვედანაყოფის Commando-ს ასეული. სირიის ძალები შეადგენდა 110 ათ. კაცს: 2 სატანკო დივიზიას (322 ერთეული), 3 ქვეითი დივიზია, ერთი მოტორიზირებული და ერთი საჰაერო-სადესანტო ქვედანაყოფი. ამ ჯარების შეიარაღებაში შედიოდა 1000-მდე საბრძოლო თვითმფრინავი. რაც შეეხება ისრაელს, 6 ოქტომბრისათვის იმ ჯარის რაოდენობა რომელიც მზად იყო საბრძოლო მოქმედებებისათვის იყო 115 ათ. კაცი. საერთო მობილიზაციის ჩატარების შემდეგ მათი რიცხვი 400 ათ.-მდე გაიზარდა. მობილიზაციამდე სახმელეთო ჯარების შემადგენლობაში იყო 15 ქვეითი ქვედანაყოფი, 4 ჯავშანსატანკო, 3 არტილერიის, 5 მოტორიზირებული და პირველი საჰაერო-სადესანტო. მობილიზაციის შემდეგ რაოდენობა გაიზარდა 40-მდე, მათ შორის ნახევარს შეადგენდა სატანკო ქვედაბაყოფი. ისრაელი ფლობდა 1700 ტანკსა და 525 თვითმფრინავს (172).

ისრაელი რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, მას უწევდა სინასა და გოლანის ორ ფრონტზე ბრძოლა. ისრაელის საზღვრის ჩრდილოეთით სირიელები გეგმავდნენ გოლანის მაღლობების დაკავებას და მდ. იორდანის პოზიციებზე გასვლას, ხოლო ეგვიპტელები - მოწინააღმდეგის დაცვის გარღვევას, სინას დაკავებას და შესაძლოა ღაზას სექტორზე გასვლას (193).

მარტივი არითმეტიკული გათვლებით არაბთა კოალიციის სამხედრო ძალები, სხვა ქვეყნების ძალების ჩათვლით რამდენჯერმე აღემატებოდა ებრაელთა ძალებს (166). დამატებით უპირატესობას წარმოადგენდა მოულოდნელი დარტყმა. როგორც ვიცით არაბულმა მხარემ ომისათვის მზადება დაიწყო საიდუმლო ვითარებაში. ხოლო ხოლო ომის დაწყების ზუსტი თარიღის განსაზღვრა გადაწყდა მხოლოდ 4 ოქტომბერს. საერთოდ უნდა ითქვას რომ არაბებმა პირველად დაგეგმეს, ებრაელთა გასაკვირად ასეთი მაშტაბის ოპერაცია (256;30).

ეგვიპტელთა შეტევით ოპერაციამ, რომლის ხელმძღვანელობა დაევალა მუჰამად ალ-გამასის, მიიღო კოდური სახელწოდება «შარარა» (ნაპერწკალი) (172), ხოლო სუეცის არხის ფორსირებამ «ბადრ»-ი (მექასა და მედინას შორის ისტორიული ადგილის სახელწოდება, სადაც 624 წელს მოციქული მუჰამადის მეთაურობით მუსლიმებმა დაამარცხეს კერპთაყვანისმცემლები-ყურაიშიტები) (230;143). ოპერაციის დაგეგმის დროს არაბებმა გაითვალისწინეს წყლის დონე სუეცის არხში, მისი მიქცევა მოქცევა, მზის სხივების დაცემის კუთხე (რათა სხივები თვალებში მოხვედროდათ ებრაელებს). ამან განსაზღვრა შეტევის დაწყება 18 საათზე. მაგრამ, სირიის თხოვნით იგი გადაიტანეს 14 საათზე, გოლანის მაღლობზე, შეტევის გამხორციელების მხრიდან მზის ამოსვლის გათვალისწინებით. დრო «იქსი» _ 6 ოქტომბერი, შაბათი, ებრაელთა რელიგიური დღესასწაული «განკითხვის დღე». ამ დროს არაბულ ქვეყნებშიც ზეიმობდენ ისლამურ რელიგიურ დღესასწაულს «რამადანს», რომლის განმავლობაში ებრაელები არ მოელოდენ შეტევას. მოწინააღმდეგის დეზინფორმაციისათვის ეგვიპტელი ჯარისკაცები ჩაფხუტების გარეშე სეირნობდნენ და ერთობოდნენ, ამიტომ ებრაელებიც არხის მეორე მხარეს თამაშობდენ ფეხბურთს (172). ყველაზე რთულ პრობლემად არაბებისათვის წარმოადგენდა ცეცხლსაშიში და ფეთქებადი ნარევის არხში ჩადინების საშიშროება. ებრაელი ჯარისკაცები ამ ნარევით სავსე კონტეინერებს, საარტელერიო ბრძოლის დროს რომ არ აფეთქებულიყო, ბუნკერებში ინახავდა და გამოყენების შემთხვევაში მილებით ჩაუშვებდა სუეცის არხში. ღამით 5 და დილის 6 ოქტომბერს ეგვიპტის სპეცდანიშნულების რაზმმა «კომანდო»-მ განიარაღა ეს სისტემა, მილების სპეციალური ცემენტით ამოვსებით.

გეგმის მიხედვით, 14 საათზე დაიწყო საავიაციო და ძლიერი საარტილერიო მზადება არხის ფორსირებისათვის და ეგვიპტის საჰაერო ძალების 200-ზე მეტ თვითმფრინავმა დაარტყეს ისრაელის თავდაცვის სისტემას (256). სუეცის არხი ფორსირებულ იქნა ეგვიპტის დაჯგუფება «კომანდოს» მიერ, რომელმაც მოამზადა ქვეითი ჯარის გადასვლა სუეცის დელტაში მდებარე უდაბნოში, კაიროდან დასავლეთით, სარწყავი სისტემის ვადი ნათრუბის რაიონში. აქ თავი გამოიჩინა ეგვიპტის ეროვნულმა გმირმა კომანდოსმა იბრაჰიმ ალ-რიფაიმ, რომელიც დაიღუპა მორიგი ოპერაციის დროს 17 ოქტომბერს. კომანდოსებმა, რომლებმაც პირველებმა შეუტიეს ბარ-ლევის ხაზს, უნდა გადაეჭრათ გამაგრებულ პუნქტების დამაკავშირებელი სატელეფონო ხაზები. 14.35 ს. კომანდომ მოწინავე

ნაწილებთან ერთად ნავებით გადაცურა არხი, მიაღწია სანაპიროს და გამაგრდა ნაპირიდან 900 მ.-ით დაშორებულ ბორცვზე. 10 წუთის შემდეგ 4000-მდე ეგვიპტელი ჯარისკაცი გადავიდა სუეცის არხის აღმოსავლეთ ნაპირზე და მხარი დაუჭირა კომანდოს რაზმებს. სამხედრო რუქაზე აღნიშნული იყო 5 გადმოსხმის ადგილი, 5-6 კმ. ფართობით, რომლის შემდეგ ჯარებს უნდა დაეკავათ პლაცდარმები 9-10 კმ. სიღმეში და 10 საათის განმავლობაში ებრაელთა კონტრშეტევების მოგერიებით, პონტონური ხიდების მეშვეობით ტანკების გადაყვანა. მოწინავე რაზმები შეიარაღებული იყო საბჭოთა ხელის ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარმტყორცნით და ტანკსაწინააღმდეგო მართვადი რაკეტებით, Gგადამტანი საზენიტო სარაკეტო კომპლექსებით.

გადმოსხმის შემდეგ, ჯარისკაცები შეუდგნენ ბორანისა და პონტონური ხიდების მშენებლობას. 14.45 ს. ეგვიპტის ქვეითთა მეორე ეშელონმა მიაღწია ნაპირს და გაანადგურა ისრაელის პირველი გამაგრებული პუნქტი. ამ დროს სადათი აღტაცებული ურეკავს ვინოგრადოვს. ვინოგრაოვი იხსენებს, რომ დაახლოვებით 14 ს. საელჩოში დარეკა ქალაქის ტელეფონმა. როცა მდივანმა აცნობა, რომ მასთან საუბარი სურდა ეგვიპტის პრეზიდენტს, იგი დაეჭვდა: «პრეზიდენტი, უბრალო ტელეფონიბან? . . . ავიღე ყურმილი, და გავიგონე სადათის ხმა _ საფირ! ჩვენ აღმოსავლეთ სამნაპიროზე ვართ! ეგვიპტის დროშა აღმოსავლეთ სანაპიროზეა! ჩვენ გადავლახეთ არხი!» (98;30-31).

ისრაელმა, ავიაციის პირველი რეიდის შედეგად დაკარგა 4 თვითმფრინავი. 17.30 ს. გადავიდა ეგვიპტის ბოლო ეშელონი და აღმოსავლეთ სანაპიროზე აღმოჩნდა 32 ათ. ეგვიპტელი (340;345). 17.50 ს. შვეულფრენებმა გადაისროლეს კომანდოს 4 ქვედანაყოფი 25-30 კმ.-ზე სუეცის არხის აღმოსავლეთით. ეგვიპტის არმიის მოქმედებების შედეგად ისრაელის ჯარების დაჯგუფება სინას ნახევარკუნძულზე იზოლირებულ იქნა თავისი ხელმძღვანელობისაგან.

1973 წლის 7 ოქტომბერს ეგვიპტელები უკვე მიუახლოვდნენ მითლას უღელტეხილს, ხოლო 8 ოქტომბერს გაანთავისუფლეს მოცულობით სინას მეორე ქალაქი კანტარა (256). უშედეგოდ დამთავრდა ებრაელთა კონტრშეტევა. ისრაელის 190-ე ქვედანაყოფი დაიშალა და მისი მეთაური ტყვედ ჩავარდა. სინას ნახევარკუნძულზე დაიწყო მძიმე ბრძოლები. 1973 წლის 8 ოქტომბერს სატანკო ბრძოლაში. ისრაელის ორმა სატანკო 162-ე და 252-ე დივიზიამ,

დაკარგა ერთ დღეში 300 ტანკი, ხოლო 18 წუთში განადგურდა 600-ე სატანკო ქვედანაყოფის 25 ტანკი (107;4).

ეგვიპტელების მოულოდნელი და ძლიერი შეტევის შედეგად ებრაელებმა ისეთივე შოკი გადაიტანეს, როგორც ამერიკელებმა იაპონელთა მიერ პერლ-ჰარბორის დაბომბვის შედეგად (165). ჰაიქალი მოგვითხრობს, რომ საღამოს 6 ოქტომბერს 7 საათზე დაუკავშირდა სადათი და დაიბარა იგი რეზიდენციაში. ორ საათიანი საუბრის დროს პრეზიდენტმა რამდენჯერმე ხმამაღლა წამოიძახა: «ჩვემნა ბიჭებმა საბოლოოდ გადაკვეთეს ბარ-ლევის ხაზი!» (340;346). ისრაელი არ მოელოდა მოვლენათა ასეთ განვითარებას. მათ ბოლომდე არ სჯეროდათ, რომ ოდესმე არაბები შეძლებდნენ ასეთი სამხედრო ოპერაციის განახორციელებას. არაბებმა პირველად, ისრაელთან ომის ისტორიის მანძილზე მოახერხეს წარმატებული შეტევის განხორციელება. ებრაელებს კარგად ახსოვდათ არაბებზე დიდი გამარჯვებების ეპოპეა და დარწმუნებული იყვნენ არაბთა სამხედრო მანქანის უსუსურობაში. ნათელი გახდა, რომ ისრაელი კარგად ორგანიზებულ მოწინააღმდეგეს ებრძოდა. არიელ შარონიც თავის მემუარებში იხსენებდა, რომ ეგვიპტელებს ძალიან მამაცი ჯარისკაცები ჰყავდათ და იყო ბევრი შემთხვევა, როცა ისინი სისხლის უკანასკნელ წვეტამდე იბრძოდნენ (281;374).

ისრაელის პრემიერ-მინისტრმა გოლდა მეირმა სასწრაფოდ სთხოვა აშშ-ს დახმარება. როგორც დ. ეგვინი თავის წიგნში «ნადავლი» წერს ვაშინგტონში თვლიდნენ, გამარჯვება უნდა დარჩენოდა თელ-ავივს, მაგრამ მას «ცხვირი გატეხილი უნდა ჰქონოდა» - ვინაიდან უფრო ზომიერს გახდიდა მის პოლიტიკას კონფლიქტის მოგვარების საქმეში. სიტუაცია ფრონტის ხაზზე უარესდებოდა. ისრაელს სამი დღის შეიარაღების მარაგი დარჩენოდა. მაშინ კისინჯერმა მიიღო გადაწყვეტილება დახმარებოდა ისრაელს (165).

სასტკი ბრძოლები მიმდინარეობდა ასევე სირიის ფრონტზე. სირიამ შეძლო ისრაელის დაცვის გარღვევა გოლანის მაღლობებზე რამდენიმე კილომეტრით. ებრაელებმა ამ ტერიტორიაზე გადაისროლეს ძირითადი სარეზერვო ძალები, 12 ოქტომბრისათვის სირიის შეტევა შეჩერებულ იქნა და ისრაელმა განახორციელა დამასკოს მიმართულებით კონტრშეტევა (280;214-215). ამერიკელი მკვლევარის და CIA-ს ყოფილი ანალიტიკოსი კენეტ პოლაკის აზრით სირიელებმა გოლანის მაღლობებზე ისეთივე ოპერაციის ჩატაარებს, როგორიც 1944 წ. საბჭოთა ჯარებმა (ოპერაცია «ბაგრატიონი») ბელორუსიის ფრონტზე

გერმანული დაჯგუფების არმია «ცენტრი»-ის წინააღმდეგ. თუ პირველ შემთხვევაში ასეთმა ოპერაციამ საბჭოთა ჯარებს წარმატება მოუტანა, მეორე შემთხვევაში _ მოულოდნელი და მძლავრი შეტევით სირიის სამი ჯავსანსატანკო ქვედანაყოფი კი გავიდა მდ. იორდანთან, ჰაიფამდე, მაგრამ სამი დღის ბრძოლების შემდეგ ისრაელის ჯარებმა უკუაქციეს სირილელები (69). სირიელებმა შეცდომები დაუშვეს, როცა სირიის ტანკებმა გადალახეს გოლანის მაღლობები და ისრაელის საავიაციო დარტყმის შემდეგ, სირიელებმა არ შეიყვანეს ბრძოლაში საკმარის რაოდენობის ავიაცია, მათ საჰაერო სივრცეში უპირატესობა დაკარგეს (144). ამ დროისათვის ომში ჩაებნენ ერაყის, საუდის არაბეთისა და იორდანიის ძალები. მაგარამ ისრაელის შეტევა ვერ შეაჩერეს და 8 ოქტომბერს სირიის ჰაერსაწინააღმდეგო ძალების განადგურების შემდეგ, გაარღვიეს დამასკოდან 40 კმ. დაშორებული თავდაცვითი ხაზი და მიუახლოვდენ სირიის დედაქალაქს (167). 13 ოქტომბერს გენშტაბის გადაწყვეტილებით შეწყდა დამასკოზე შეტევა და ამის მიზეზი გახდა ქალაქის აღების შემთხევაში მილიონიან მოსახლეობასთან შეტაკებისა და ამ მიზეზით დიდი დანაკარგების საშიშროება, ასევე საბჭოეთთან და არაბულ ქვეყნებთან კონფლიქტის გაღვივება (დაიბომბა მხოლოდ სირიის თავდაცვის სამინისტროს შენობა) (289;9). თანდათანობით ეგვიპტის ჯარებმაც მოუკლეს აქტივობას და იმავდროულად ებრაელებმა გადაისროლეს დამატებითი ძალები სინას ნახევარკუნძულზე, თუმცა დილით ადრე 14 ოქტომბერს ეგვიპტელებმა დაიწყეს ექვსი მიმართულებთ შეტევა სინას ნ.-ის მთელ ხაზზე, სადაც მოხდა II მსოფლიო ომის დროიდან მოყოლებული ყველზე მძლავრი სატანკო ბრძოლა, რომელსაც ადარებდენ 1943 წ. კურსკის რკალთან, პროხოროვკის შეტაკებას (98). ბრძოლაში მონაწილეობდა ეგვიპტის 1000 ტანკი და 5000 მექანიზირებული ქვეითი ჯარი ისრაელის 800 ტანკისა და ჯერების მონაწილეობით (241). სხვადასხვა მონაცემებით ებრაელებმა დაკარგეს 40-მდე ტანკი და 200 ჯავშანტექნიკა, ეგვიპტემ 270-მდე ტანკი (71). მომდევნო დღეს ისრაელის მოწინავე ნაწილებმა გაარღვია სუეცის არხის დასავლეთ ნაპირი და კომუნიკაციები გადაუჭრა არაბებს აღმოსავლეთ სანაპიროზე (280;223). 19 ოქტომბრისათვის ებრაელებმა დაიპყრეს დასავლეთ სანაპიროს პლაცდარმი.

მაგრამ, მოდით დროებით გადავიდეთ სამხედრო მოქმედებიდან და განვიხილოთ დიპლომატიურ ასპარეზზე განვითარებული მოვლენები. როცა ჯერ კიდევ ინიციატივა არაბების ხელში იყო და ისრაელი რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, კონგრესის მხრიდან

გამუდმებით ხდებოდა ზეწოლა ადმინისტრაციაზე ისრაელისათვის იარაღის მიწოდების დაჩქარებისათვის. პრეზიდენტმა გასცა ბრძანება სამხედრო საჰაერო ხიდის ორგანიზებაზე, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც გოლდა მეირისაგან მოვიდა თხოვნა. აი, როგორ იხსენებს გოლდა მეირი თავის მემუარებში აღნიშნულ ფაქტს: «მე დავურეკე დინიცს ვაშინგტონში დილის სამ საათზე. სად არის საჰაერო ხიდი? რატომ არ მოქმედებს». დინიცმა მიპასუხა: «გოლდა, აქ ღამის სამი საათია მე ვერავის შევაწუხებ.» მაგრამ მე ვიცოდი, რომ ნიქსონი თავის დანაპირებს შეასრულებდა. «ჩემთვის სულერთია რომელი საათია! – უყვიროდი დინიცს – დაურეკე კისინჯერს ეხლავე. ჩვენ დღეს გვჭირდება დახმარება. ხვალ უკვე გვიანი იქნება!» (135;273). თავისთავად ამ კონკრეტული გადაწყვეტილებაზე ასევე იმოქმედა აშშ-ს კონგრესის «ისრაელის მეგობრებმა» (280;219). მაგრამ ამან არაბებთან ურთიერთობების გაუარესებას შეუწყო ხელი.

ოპერაციამ მიიღო კოდური სახელწოდება Nickel Grass რომელიც ითვალისწინებდა სტრატეგიული საჰაერო ხიდის უზრუნველყოფას ისრაელისათვის. აშშ სამხედრო საჰაერო ძალების საჰაერო მობილური გაერთიანების თვითმფრინავების მეშვეობით ისრაელს მიეწოდა 22,325 ტონა სამხედრო შეიარაღებისა – ტანკები, არტილერია, ამუნიცია (29). სამხედრო სატვირთო თვითმფრინავები 12 ოქტომბრიდან 14 ოქტომბრის ჩათვლით ისრაელს დიდძალი თანამედროვე სამხედრო ტექნიკა და შეიარაღება მიიღო (340;441), რომლებიც საწვავის შესავსებათ ბაზა ლახესში აზორის კუნძულებზე ჩერდებოდნენ და შემდეგ ეშვებოდენ საერთაშორისო აეროპრტ ლოდში, ტელ-ავივში. შეიარაღება ასევე მოდიოდა აშშ-ს ევროპის ბაზებიდან (პორტუგალიასა და ჰოლანდიაში) (76).

იმავე პერიოდში, როგორც კი 10 ოქტომბერს საბჭოთა კავშირმა დაიწყო არაბული ქვეყნების მომარაგება შეიარაღებით 1973 წლის 8 ოქტომბრიდან 13 ოქტომბრის ჩათვლით, პრეზიდენტის ბრძანებით, დროებითი ოპერატიული ჯგუფი 60.1 ავიამზიდით Independence (CVA-62), დროებითი ოპერატიული ჯგუფი 60.2 ავიამზიდი Franklin D.Roosevelt (CVB 42) და ასევე საექსპედიციო კორპუსი 61/62 სადესანტო მოიერიშე ხომალდებით მოყვანილ იქნა საბრძოლო მზადყოფნაში შესაძლო გაუთვალისწინებელი გარემოებების მიზეზით და მიუახლოვდა ისრაელის სანაპიროს. ავიამზიდი რომელიც იმყოფებოდა ნორფოლკში რამდენიმე მანევრის შემდეგ მიადგა ხმელთაშუა ზღვის კუნძულ კრეტას (260).

აღნიშნავენ, რომ საბჭოთა დახმარება უფრო გაფართოვდა მაშ შემდეგ, რაც «საჰაერო ხიდის» მეშვეობით რეგულარულად დაიწყო იარაღის გადატანა აფრიკის კონტინენტზე. ზოგიერთი მონაცემებით 12 ოქტომბრისათვის საჰაერო ხიდმა გრანდიოზული მაშტაბები მიიღო – 60-დან 90 თვითმფრინავამდე ეშვებოდა ეგვიპტისა და სირიის აეროდრომებზე (167). ამას გარდა ომის დაწყების წინ კონფლიქტის ზონაში იმყოფებოდა 4 ათასამდე საბჭოთა სამხედრო სპეციალისტი (76). ცნობილია, რომ საბჭოთა სპეცნაზი მოქმედებდა სინას ტერიტორიაზე, ისრაელის ჯარების ზურგში, მაგრამ შეტაკებებში არ მონაწილეობდენ, მათ მოვალეობაში შედიოდა ისრაელის მიერ გამოყენებული დასავლეთის ახალი შეიარაღების ნიმუშების შესწავლა (91). გარდა არაბული და ისლამური ქვეყნების მონაწილეობისა, გვერდზე არ დარჩენილა სხვა «სოციალისტური ქვეყნებიც» – ჩრდილოეთ კორეამ გამოაგზავნა 30 სამხედრო მფრინავი (167), კუბიდან სირიის ფრონტზე ჩამოვიდა მთელი სატანკო ქვედანაყოფი 500 კაცის ოდენობით (46). ვ.ხ.ო-ს ორგანიზაციაში შემევალი ქვეყნები უშუალოდ არ მონაწილეობდნენ ომში, მაგრამ გარკვეული ნაწილი სამხედრო სპეციალისტებისა ბულგარეთიდან, გ.ფ.რ.-დან, პოლონეთიდან და ჩეხოსლოვაკიიდან იმყოფებოდა ეგვიპტესა და სირიაში და უწევდენ დახმარებას არაბ სამხედროებს (76).

როგორც კი ისრაელის სამხედრო უპირატესობა ნათელი გახდა, 16 ოქტომბერს საბჭოთა მთავრობის მეთაური ა.კოსიგინი საიდუმლოდ ჩავიდა კაიროში, რათა დაერწმუნებინა სადათი ცეცხლის შეწყვეტის აუცილებლობაზე (144). სსრკ-ს წარმომადგენელმა გაეროში დაუყოვნებლივ მოითხოვა ცეცხლის შეწყვეტა. აშშ-ში საბჭოთა კავშირის ელჩმა ა.დობრინინმა გადასცა სახელმწიფო მდივანს ჰ.კისინჯერს ლ.ბრეჟნევის გზავნილი, რომელშიც მიწვეული იყო მოსკოვში კონსულტაციებისათვის. მოსკოვში შეხვედრისას ამერიკელი დიპლომატი დათანხმდა დაუყოვნებლივ ომის შეწყვეტის თაობაზე, მაგარამ ეგვიპტესა და ისრაელს შორის მშვიდობიანი მოლაპარაკებების დაწყებით. 20 ოქტომბერს 21. 30 ს., საბჭოთა ელჩმა ეგვიპტეში ვინოგრადოვმა გადასცა სადათს ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე შედგენილი პროექტი. გზავნილში შედიოდა ორო ქვეყნის რეზოლუციის პროექტის წარდგენა გაეროს უშიშროების საბჭოზე. ისრაელის მიერ ზავის დარღვევის შემთხვევაში საბჭოები შეპირდნენ ეგვიპტელებს დახმარებას (194). სადათმა ვინოგრადოვთან საუბრისას უმნიშვნელოდ ჩათვალა ისრაელის გარღვევა და

აღნიშნა, რომ ეს პოლიტიკური მანევრია. ეგვიპტის ხელმძღვანელობა 19 ოქტომბრამდე ვერ ხვდებოდა მდგომარეობის სირთულეს, სადათი კი იარაღის დამატებას ითხოვდა. მაგრამ, როცა საბჭოთა სამხედრო თანამგზავრებით გადაღებული ფოტოები წარუდგინეს, სადაც ნათლად ჩანდა ებრაელების მიერ შექმნილი ძლიერი პლაცდარმი დასავლეთ სანაპიროზე და ფრონტზე მდგომარეობის გაუარესების გამო სადათი დათანხმდა ომის შეწყვეტის თაობაზე რეზოლუციის მიღებას. 1973 წლის 22 ოქტომბერს გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო № 338 რეზოლუცია ცეცხლის დაუყოვნებლივ შეწყვეტისა და მშვიდობის დამყარების თაობაზე (35). მაგრამ ისრაელმა, როგორც მოსალოდნელი იყო გააგრძელა სამხედრო მოქმედებები და საგრძნობლად გაიუმჯობესა თავისი პოზიციები (71), რომელიც განხორციელდა ოპერაცია «გაზელის» მიხედვით. თავდაპირველად, ადანისა და მაგანის დივიზიები მიიღწევდენ სამხრეთისაკენ და ცდილობდენ გადაეჭრათ გზა III და II არმიისათვის, მიუხედავად ეგვიპტელთა კონტრშეტევებისა, როცა ამ დროს შარონის 143-ე სარეზერვო ჯავშანსატანკო დივიზია, 18 ოქტომბრისათვის მიუახლოვდა ისმაილიას და გავიდა კაირო –ისმაილიას გაზაზე. სამივე დივიზიამ გამოიყენა ეგვიპტის II და III არმიებს შორის დროებით შექმნილი სიცარიელე და გადავიდა სინას დასავლეთ მხარეზე, გადაუჭრა კომუნიკაციები II არმიის მნიშვნელოვან ნაწილს და ალყა შემოარტყეს ეგვიპტის III არმიას, რომელიც იცავდა სუეცის არხის სამხრეთ ნაწილს და პლაცდარმს აღმოსავლეთ სანაპიროზე.

ეგვიპტელები ცდილობდნენ დივერსაურთან გადასასვლელის დანგრევას, ხოლო როცა ეს არ მოხერხდა მოითხოვეს გაეროს შუამავლობა და ზავი დაიდო 22-23 ოქტომბერს. მაგრამ გაურკვეველი მდგომარეობის გამო არხის დასავლეთ ნაპირზე იგი დაირღვა და ებრაელებმა გააკეთეს ბოლო გადასროლა სუეცზე _ 24-ში ადანის დივიზიამ საბოლოოდ გადაუჭრა III არმიას გზა და გავიდა კაირო-სუეცის საავტომობილო მაგისტრალზე (მიუახლოვდა კაიროს 100 კმ.-ით). შემდეგ, სუეცზე შეტევა მოგერიებულ იქნა და 24-ში ისევ დაიდო ზავი. ამის შემდეგ, კიდევ გრძელდებოდა ლოკალური შეტაკებები, სანამ არ შეიქმნა ბუფერული ზონა გაეროს საგანგებო ძალების (UNEF) მიერ (71).

სამხედრო თვალსაზრისით, ისრაელის კონტროლის ქვეშ აღმოჩნდა ახალი ტერიტორიები დაახლოებით 523 კვ. კმ. ფართობით სირიაში და 2575 კვ. კმ. ფართობით

ეგვიპტეში. ისრაელის ფლოტმა გაანადგურა ეგვიპტესა და სირიის საზღვაო ფლოტი და კონტროლის ქვეშ აიღო ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილი (194).

ისრაელის მიერ ცეცხლის განახლება მოშე დაიანმა ასე ახსნა: «იმავე დღეს, 14.30 საათზე კაიროს რადიომ გამოაცხადა, რომ ანვარ სადათმა მხარი დაუჭირა რეზოლუციას ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე. ის შევიდა მოქმედებაში 18.58 ს. მაგრამ ღამით და შემდეგ დღეს ეგვიპტის საჰაერო ძალები აგრძელებდენ ფრენებს ჩვენ პოზიციებზე აღმოსავლეთ სანაპიროზე. ეს მოხდა იმიტომ, რომ სირიამ უარი თქვა ცეცხლის შეწყვეტაზე. ეგვიპტის საველე მეთაურებმა გასცეს შეტევის ბრძანება და ისრაელის პოზიციების ალყაში მოქცევა. ჩვენ დაუყოვნებლივ შევწყვეტდით ცეცხლს თუ ერთ-ერთი არაბული მხარე მაინც შეასრულებდა ამას». დაიანის სიტყვებით, შეთანხმების ჩაშლაში დამნაშავე არაბები იყვნენ. მაგრამ ძნელი დასაჯერებელია, რომ ეგვიპტე, რომლის პრეზიდენტმა თვითონ მოთხოვა საბჭოეთს და აშშ-ს დახმარებოდა დაემთავრებინა ომი, გააგრძელებდა ომს (76).

24 ოქტომბერს აშშ-მ მიიღო ინფორმაცია, რომ 7 საბჭოთა სადესანტო დივიზია მოყვანილ იქნა სრულ საბრძოლო მზადყოფნაში. ხოლო ხმელთაშუა ზღვაში იმყოფებოდა 84 საბჭოთა სამხედრო ხომალდი. ვაშინგტონში ჩათვალეს, რომ საბჭოები აგზავნიან ჯარებს საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობისათვის.

ზოგიერთი ავტორის მონაცემებით, დაფიქსირდა ნეიტრონული გამოსხივება დარდანელის სრუტის აკვატორიაში გამავალ ერთ-ერთ საბჭოთა სავაჭრო გემზე. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ გემით შესაძლოა ბირთვული იარაღი გადაჰქონდათ. კაცობრიობა მესამე მსოფლიო ომის დაწყების ზღვარზე იდგა ისევე, როგორც 1962 წლის კარიბის კრიზისის დროს. (165).

აღსანიშნავია, რომ ამერიკის აღნიშნული გადაწყვეტილება მიღებულ იქნა პრეზიდენტ ნიქსონთან შეთანხმების გარეშე. მისი გაღვიძება არ ჩათვალეს საჭიროდ ვინაიდან თეთრი სახლის ადმინისტრაციის უფროსის, ევროპაში NATO-ს შეიარაღებული ძალების ყოფილი მეთაურის ალექსანდრე ჰეიგის სიტყვებით, იგი დაკავებული იყო «უოტერგეიტის» საქმესთან დაკავშირებული პრობლემებით (165). ვაშინგტონის სპეციალური მოქმედების ჯგუფის ეროვნული უშიშროების საბჭოს სპეციალურ ქვეკომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება ამერიკის ბირთვული ძალების უმაღლესი საბრძოლო მზადყოფნის მდგომარეობის შესახებ - Defence Condition (DEFCON III) მთელს მსოფლიოში (მესამე

ნიშნავს ძალების მომზადების გაზრდას ჩვეულებრივი მოზადებაზე მეტად; საერთოდ არსებობს ბრთვული გამოცხადების 5 დონე) (302). ისრაელის გადამდგარი გენერლის, პროფესორ იუვალ ნეემანის თქმით, ისრაელის დაზვერვამაც მიიღო ინფორმაცია ეგვიპტეში საბჭოთა ბირთვული რაკეტების განთავსების შესახებ (105).

გაეროს უშიშროების საბჭოს საგანგებო სხდომაზე 24-ში საღამოს, საბჭოთა წარმომადგენელმა მალიქმა განაცდახადა, რომ ეთანხმება ეგვიპტელთა წინადადებას და სსრკ გეგმავს ორი სამხედრო დივიზიის ბულგარეთიდან გადმოსხმას. ასეთი კონტინგენტის გაგზავნა შეაჩერებდა ისრაელის ქმედებებს და მოსკოვი დიპლომატიურ ინიციატივას შეინარჩუნებდა ახლო აღმოსავლეთში. მაგრამ ამერიკის ხელმძღვანელობა კონფლიქტზე გავლენის დაკარგვის შიშით წინააღმდეგი იყო. 25-ში კისინჯერმა პრეს-კონფერენციაზე განაცხადა: «აშშ არ უჭერს მხარს ერთობლივი ამერიკა-საბჭოეთის ძალების გაგზავნას. შეუძლებელია, რომ ჩვენ ზესახელმწიფოთა პაექრობა გადავიტანოთ ახლო აღმოსავლეთში და დავაწესოთ აშშ-სა და სსრკ-ს სამხედრო კონდომინიუმი. ვეწინააღმდეგებით ცალმხრივი წესით ჯარების შეყვანას და მითუმეტეს ბირთვული შეიარაღების მქონე ქვეყნისა» (105). ასევე CIA-ს არხების მეშვეობით, გაირკვა რომ სადათი დაუკავშირდა თეთრ სახლს და სთხოვა ნიქსონს უშუალოდ ჩარევა, თუ საჭიროა ძალის გამოყენებაც.

სადათი საუბრობდა დაზავების შესახებ და ამერიკა-საბჭოთა გარანტიებზე რომელიც უფრო საბჭოთა ინტერპრეტაციებს ეყრდნობოდა, ვიდრე კისნჯერის აზრს, ანუ მოითხოვა ამერიკისა და რუსეთის ერთობლივი სამშვიდობო ძალების განთავსება კონფლიქტის ზონაში, ისრაელის მიერ ცეცხლის შეეწყვეტის მიზნით. იმავე Dდღეს ნიქსონმა უპასუხა სადათს, რომ ისრაელის მიმართ მიიღებს სასწრაფო ზომებს (11). აშშ-ს ეროვნული უშიშროების საბჭოს თანამშრომლის რობერტ მაკფარლანის მტკიცებით, კისინჯერმა მოუწოდა დინიცს: «ღმერთო დიდებულო იესო ქრისტე, ნუთუ თქვენ ვერ ხვდებით?», მაგრამ უეცრად შეწყვიტა ყვირილი. «როგორც მე მოგვიანებით მითხრეს, ებრაელმა მშვიდად აუხსნა კისინჯერს, რომ მისი მთავრობა უფრო მეტად დარწმუნებული იქნებოდა მის სიტყვებში, თუ იგი მოუწოდებდა სხვა მოციქულს» (12). კისინჯერი თვლიდა III არმიის გადარჩენას ეგვიპტესა და ისრაელს შორის მშვიდობის დამყარების მნიშვნელოვან ფაქტორად. ისრაელის ჟურნალისტი მათი გოლანი, რომლის წიგნი ისრაელში აკრძალეს

წერს: «კისინჯერმა დაურეკა ისრაელის ელჩს დინიცს და უთხრა პირდაპირ უხეშად: «თქვენ გინდათ III არმია? ჩვენ არ ვაპირებთ თქვენს გამო მესამე მსოფლიო ომში ჩავებად». დინიცმა გადასცა მეირს, რომ თუ ისრაელი არ დაეთანხმებოდა დაზავებას აშშ-საგან მხარდაჭერა არ იქნებოდა (167).

ამერიკის დაზვერვის დოკუმენტებიდან ჩანს, რომ ბრეჟნევმა დაურეკა ნიქსონს «წითელი ტელეფონით» და გამოთქვა შეშფოთება ისრაელის მიერ ზავის დარღვევის და ეგვიპტის მესამე არმიის ალყის თაობაზე. უშედეგო საუბრის შემდეგ, საბჭოთა ლიდერმა გაუგზავნა საპროტესტო ნოტა ნიქსონს. 24 ოქტომბერს დილით 9.25 ს. დობრინინმა გადასცა ნიქსონის სახელზე ბრეჟნევის სასაწრაფო წერილი კისინჯერს, რომელმაც დაძაბა სიტუაცია ორ ქვეყანას შორის. წერილის მესამე ნაწილში ეწერა: « . . . მე პირადაპირ ვიტყვი, რომ თუ თქვენ არ თვილთ საჭიროდ ერთად ვიმოქმედოთ, ჩვენ მივიღებთ ცალმხრივ გადაწყვეტილებას, ვინაიდან არ შეიძლება ისრაელს ძალადობის გატარების ნება მივცეთ» (13). ამას გარდა დობრინიმა ნიქსონთან პირად საუბარში აღნიშნა, რომ ახლახანს დარწმუნდა – ისრაელს არ სურს არაბებთან ომის შეწყვეტა და ამერიკის ებრაელებს არ სურთ ამერიკა-საბჭოთა ურთიერთობების გაუმჯობესება, ეს არის მათი ზეწოლა ამერიკის საგარეო პოლიტიკის ფორმირებაზე (320;48).

კისნჯერმა აცნობა დობრინინს კონფიდენციალურად, რომ ქვეყანაში «საშინაო კორზისია» (გადადგა სპირო აგნეუ და დაინიშნა ჯერალდ ფორდი ვიცე-პრეზიდენტად) და გადაწყვეტილების მიღება ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე ფერხდება. მან სთხოვა დობრინინს საბჭოთა მხარეს შეეჩერებინა მოლაპარაკებები: «იქნებ მოსკოვმა სთხოვოს თავის არაბ მეგობრებს თავი შეიკავონ წინდაუხედავი ნაბიჯებისაგან დღის ბოლომდე», და ხუმრობით დაამატა: «მათმა კი გადალახეს სუეცის არხი, იქნებ ჰუდზონის მდინარეც გადალახონ ?!» კისინჯერმა ხაზი გაუსვა, რომ ეს არ არის ტაქტიკური ხრიკი (39).

აღნიშნულ პერიოდში ნიქსონიც დეპრესიულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. კისინჯერის მიერ ეროვნული არქივისათვის ახლახანს გადაცემული უნიკალური დოკუმენტების მიხედვით აშშ-ს პრეზიდენტი 1973 წლის შემოდგომის პერიოდიდან 1974 წლის გაზაფხულამდე, ხშირად იმყოფებოდა დეპრესიულ მდგომარეობაში, ზოგჯერ ალკოგოლური სასმელის ზემოქმედების ქვეშ, რომლის მიზეზი იყო პრეზიდენტის ირგვლივ ატეხილი «უოტერგეიტის საქმე» და რომელიც ემუხრებოდა მას იმპიჩმენტით.

ალექსანდრე ჰეიგი აღნიშნავდა, რომ ნიქსონმა რამდენჯერმე მოსთხოვა მას «ბურთის» (ბირთვული იარაღის ჩემოდანი) მოტანა, რათა «ჩამოეგდო ბომბი კაპიტოლიუმის ბორცვზე, სენატის შენობაზე» (74).

22 ოქტომბერს მიღებული რეზოლუციის მიუხედავად, როცა ისრაელმა გააგრძელა შეტევა, 23 ოქტომბერს გაეროს უშიშროების საბჭოს საგანგებო სხდომაზე, 14 ქვეყანამ მიიღო რეზოლუცია № 339 (36). აღნიშნულმა სამხედრო განგაშმა მიაღებინა მხარეებს კომპრომისული გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია № 340 (37), ვინაიდან მოსკოვი ვაშინგტონთან კონფრონტაციაზე ნამდვილად არ წავიდოდა. აშშ-მ თავისი იმიჯისათვის მიყენებული ზარალის ფასად სსრკ-ს ესროლა გამოწვევა და დააყენა იგი ალტერნატივის წინაშე _ ან სამხედრო კონფრონტაცია აშშ-სთან ან «კარგი სახით» უკან დახევა. რუსეთმა უკან დაიხია და დადანაშაულა აშშ უპასუხისმგებლობაში (144). 25 ოქტომბერს, ნიქსონი ელოდებოდა ბრეჟნევის რეაქციას. მართლაც, ბრჟნევისაგან მოვიდა წერილი სადაც საბჭოთა მხარე ეთანხმებოდა ამერიკის წინადადებას და მიიღო გადაწყვეტილება 70 დამკვირვებლის გაგზავნისა (76).

ომის პირველ დღეებში საბჭოთა ხელმძრვანელობა ცდილობდა დაეთანხმა ეგვიპტე და სირია გაეროში მიეღოთ ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე რეზოლუცია, ვინაიდან თვილიდა, რომ ხანრძლივი სამარი მოქმედებები არაბების დამარცხებას გამოიწვევდა. მაგრამ, როცა აღნიშნული მცდელობა უშედეგოდ დამთავრდა, ხოლო არბებმა ღირსეულად აჩვენეს თავი ომში, საბჭოთა ტაქტიკა შეიცვალა, რომელზე წერს ჰაიქალიც. 9 ოქტომბერს მოსკოვმა დაიწყო ფართო დიპლომატიური შეტევა, რომლის მიზანი იყო სხვა არაბული ქვეყნების ჩარევა და დახმარება სირიასა და ეგვიპტესათვის. ბრეჟნევმა გაუგზავნა პირადი გზავნილები სხვადასხვა არაბ ლიდერებს. 11 ოქტომბერს გრომიკომ მიიღო ეგვიპტის, სირიის, ერაყის, ალჟირის და იორდანიის ელჩები, რომლებმაც გამოთქვეს გულითადი მადლობა საბჭოთა მხარეს დახმარებისათვის (340;403). ჰაიქალის მტკიცებით ვინოგრადოვმა აცნობა სადათს, რომ საბჭოთა ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება მიაწოდოს შეიარაღება სადათს «საჰაერო ხიდის» მეშვეობით, რამაც ეგვიპტის მხარის დიდი აღტაცება გამოიწვია (144). სსრკ დაუყოვნებლივ გაეშურა დაკარგული უმცროსი მოკავშირის დასახმარებლად, უახლესი საბჭოთა შეიარაღება მდინარესავით მოედინებოდა

ეგვიპტეში (193). მოსკოვის ენთუზიაზმი არ გაგრძელდა დიდხანს, ვინაიდან, როგორც ვნახეთ, ომის დროს ვითარება ისრაელის სასარგებლოდ შეიცვალა.

1973 წლის 16 ოქტომბერს, როცა სადათსა და კოსიგინს შორის მიმდინარეობდა მოლაპარაკებები, ნავთობის ექსპორტიორ ქვეყნების ორგანიზაციის წარმომადგენლები, შეიკრიბნენ ალ-ქუვეითში და მიიღეს გადაწყვეტილება შემოეღოთ მთლიანი ემბარგო ნავთობის მიწოდებაზე აშშ-სა და ისრაელს მხარდამჭერი ქვეყნებისათვის. 1973 წლის 6 ნოემბერს ევროპული «საერთო ბაზრის» წევრ-სახელმწიფოთა ცხრა წარმომადგენელი შეიკრიბა ბრიუსელში და მოუწოდა ისრაელს ოკუპირებული ტერიტორიების დატოვება (101;150). ისრაელთან დიპლომატიური ურთიერთობები გაწყვიტა აფრიკის თითქმის ყველა ქვეყანამ, ისეთებმაც, ვისაც ისრაელი ეკონომიკურ და სოციალურ დახმარებას უწევდა 1958-1973 წ.წ. (230;145). ამ დღიდან მოყოლებული ნავთობის რესურსები გადაიქცა პოლიტიკური შანტაჟის ახალ იარაღად. პირველად ომების ისტორიაში ეფექტურად იქნა გამოყენებული არაბული «სანავთობო იარაღი» (139;172).

ამავე დროს, ევროპულ ქვეყნებმა არ დაუჭირეს მხარი ახლო აღმოსავლეთში აშშ-ს პოლიტიკას. აშშ-ს ყველა ევროპელმა მოკავშირემ NATO-ში (პორტუგალიისა და ჰოლანდიის გარდა) უარი უთხრა ისრაელს სამხედრო დახმარებაზე. ერთ-ერთი მიზეზი რის გამოც ისინი არ დაეხმარენ ამერიკას, იყო არაბული ქვეყნების მიერ შემოღებული ემბარგო ნავთობზე (ენერგეტიკული კრიზისის წინაშე შიში) და ისინი უფრო თავის ინტერესებზე ზრუნავდნენ. აიძულა ევროპელები უარი ეთქვა ისრაელის დახმარებისათვის. გარდა ამისა ევროპა მოერიდა კონფრონტაციას საბჭოთა კავშირთან და ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციასთან. (76).

შექმნილმა საერთაშორისო ვითარებამ გააღრმავა ისრაელის დამოკიდებულება აშშ-ზე. მიუხედავად იმისა, რომ გოლდა მეირი აშშ-ში ვიზიტისას 1973 წლის 31 ოქტომბერს მიიღო ნიქსონის რწმუნებები, რომ ისრაელზე არ იქნება ზეწოლა არაბული ქვეყნებთან დათმობების ხარჯზე, ვითარება დაძაბული იყო (194).

გ) ომის შედეგები

საომარი მოქმედებების მსვლელობისას, რომელიც ძირითადად 19 დღე გრძელდებოდა არაბთა დანაკარგებმა შეადგინეს: 12-15 ათ. ადამიანი, დაჭრილები 40 ათ. კაცი, ტყვედ ჩავარდა 9 ათ. ჯარისკაცი და ოფიცერი. არაბებმა დაკარგეს 2000 ტანკი, 400-მდე თვითმფრინავი და შვეულმფრენი. ხოლო ისრაელის დანაკარგებმა შეადგინეს: დაღუპულები 2800 კაცი, 5600 დაჭრილი, ტყვედ ჩავარდნილი და უგზოუკვლოდ დაკარგული 508. განადგურდა 400 ტანკი, 110 თვითმფრინავი და შევულმფრემი (98). ებარელ მკვლევართა მონაცემებით ისრაელმა დაკარგა 2521 ჯარისკაცი, ხოლო ეგვიპტემ და სირიამ არ გამოაქვეყნა ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები, მაგრამ დასავლეთის დაზვერვის მონაცემებით არაბებმა დაკარგეს 12 ათ. (ეგვიპტე) და 4 ათ. (სირია) (280;228)

არაბთა დანაკარგებმა დასავლეთის მკვლევართა მონაცემებით შეადგინა: 8528 გარდაცვლილი და 19540 დაჭრილი. ებარელი ავტორების მონაცემებით 15 ათ. გარდაცვლილი და 35 ათ. დაჭრილი. 2200 ტანკი განადგურდა და 432 თვითმფრინავი. ისრაელის მხრიდან 2656 იქნა მოკლული, 7250 დაიჭრა, 400 ტანკი განადგურდა, 600 დაზინდა და შეკეთების შემდეგ ისევ შევიდა ექსპუატაციაში. 102 თვითმფრინავი ჩამოაგდეს არაბებმა (19). ზემოთ მოყვანილი მონაცემები დანაკარგების შესახებ სხვადასხვა წყაროებიდან განსხვავდება, ამიტომ ამ ციფრებს შესაძლოა კიდევ სჭირდება დაზუსტება.

საომარი მოქმედებები შეწყდა, მაგარამ კითხვები დარჩა. სამხედრო თვალსაზრისით ეს იყო უცნაური ომი. ეგვიპტელებმა, რომლებიც უპირატესობას ფლობდენ სამხედრო თვალსაზრისით, თავდაცვის ტაქტიკა აირჩიეს. მესამე არმიამ კონტრშეტევაზე გადასვლის ნაცვლად დაიწყო თავდაცვითი ნაგეგბობების მშენებლობა. ეგვიპტელთა შეტევის გაგრძელების შემთხვევაში ნათელი იყო, რომ ისრაელი ორ ფრონტზე ბრძოლას ვერ შეძლებდა. ისრაელის დესანტის მიერ სუეცის არხის დასავლეთ სანაპიროს პლაცდარმის დაკავების შემდეგ, ეგვიპტის არმიას შეეძლო მისი ლიკვიდაცია, მაგრამ როგორც ცნობილი გახდა არმიის ხელმძღვანელობამ უბრძანა არტილერიას და ავიაციას ცეცხლის შეეწყვიტათ.

1973 წ. ოქტომბრის ომის შედეგების განხილვისას ბევრი მკვლევარის გაკვირვებას იწვევდა შემდეგი ფაქტი _ რატომ არ გააგრძელეს ეგვიპტის ჯარებმა წარმატებული შეტევა, როცა გადალახეს სუეცის არხი და დაიპყრეს სინას უღელტეხილები? განსაკუთებით აღნიშნულმა ფაქტმა როგორც საბჭოთა ხელმძღვანელობის, ისე კონფლიქტში მონაწილე არაბული ქვეყნების დიდი გაღიზიანება გამოიწვია, თუ გავითვალისწინებთ საბჭოთა

კავშირის უზარმაზარ სამხედრო დახმარებას, რომლის მეშვეობით შეიძლებოდა აქტიური სამხედრო კამპანიის ჩატარება და ისრაელის დამარცხება. ამ მოქმედებათა სვლას ხსნის ჰ.კისინჯერის სიტყვები, რომელიც მან უთხრა ეგვიპტის პრეზიდენტის მრჩეველს ჰ.ისმაილს, უშუალოდ ომის დაწყების წინ: «სინამდვილე ისეთია, რომ თქვენ, არაბებმა მარცხი განიცადეთ (იგულისხმება ისრაელის 1967 წლის ომი) და ითხოვთ ამასთანავე იმას, რისი მოთხოვნის უფლება აქვს გამარჯვებულს. თქვენ უნდა წახვიდეთ არსებით დათმობებზე, რათა აშშ-მ მიიღოს საშუალება დაგეხმაროთ თქვენ, ან დათანხმდეთ იმ პირობებს, რომელიც შეესაბამება თქვენს არსებულ მდგომარეობას» (14). სადათი თვლიდა, რომ მიტაცებული ტერიტორიის უმნიშვნელო ნაწილის დაბრუნებაც კი, საგრძნობლად გააუმჯობესებდა მის პოზიციებს ისრეალთან მომდევნო დიპლომატიურ მოლაპარაკებებზე.

ანვარ სადათი ომის დამთავრებიდან ორი წლის შემდეგ საბჭოთა წარმომადგენლებთან შეხვედრისას თავს იმართლებდა იმით, რომ მისი შეტევა შეაჩერეს ამერიკელებმა, რომლებმაც გააფრთხილეს სადათი, რომ ვერ შეურიგდებოდენ ისრაელის დამარცხებას. სადათი ამით თვალს უხვევდა საბჭოთა ხელმძღვანელობას. საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა.გრომიკო თავის მემუარებში წერდა, რომ «უკვე მაშინვე გახდა ნათელი, რომ ეს სახელმწიფო მოღვაწე არაბული სამყაროს მტრების მხარეზე იდგა. . .» (96;194).

აი, რას წერს ჰაიქალი თავის ახალ წიგნში: «15 ოქტომბრისათვის სადათმა გააცნობიერა ის სამხედრო დარტყმა, რომელიც მიაყენა გუშინ ისრაელმა და დაიწყო თავისი გეგმების შეცვლა სხვა მიმართულებით. შეიარაღებამ, ანუ სამხედრო ძალის როლმა ომში დაიწია უკან და წინ წამოიწია პოლიტიკურ გადაწყვეტილებებმა.» (340;453) კისინჯერის მემუარების განხილვის შემდეგ მკვლევარი წერს, რომ ვაშინგტონის დროით შუადღეს ამავე რიცხვში, სადათისაგან მიიღო სასწრაფო წერილი, რომლის შინაარსმა დიდი გაკვირვება გამოწვია მასში, ვინაიდან იგი ელოდებოდა საპროტესტო გზავნილს აშშ-ს სახელზე, მის მიერ საჰაერო ხიდის გახსნასთან დაკავშირებით: 1. ეგვიპტე დაინტერესებულია სპეცკავშირის შენარჩუნებით; 2. ჩვენთვის გასაგებია საბჭოთა კავშირის მიზნები, რომელიც ჩვენი სახელით არ საუბრობს; 3. ეგვიპტემ უნდა მიიღოს ის პირობები, რომელიც არ დავა ისრაელის შეურაწყოფამდე, რითაც ეგვიპტე თვითონ აიცილებს თავისი თავის

შეურაცხოფას; 4. ეგვიპტეს სჯერა ამერიკის ძლისხმევისა მიაღწიოს ცეცხლის შეწყვეტას პოლიტიკური მეთოდებით. ჰაიქალის ცნობით, კისინჯერი წერს, რომ სადათმა გადაწყვიტა სსრკ-ს მოშორება და აშშ-სთან თანამშრომლობის გაგრძელება (340;454).

«ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკის პარტიარქის» ევგენი პრიმაკოვის აზრით (175), სადათის სსრკ-სთან თანამშრომლობის გაწყვეტა, განპირობებული იყო არა იმით, რომ მათ შორის არსებობდა შეიარაღების მოწოდების სფეროში უთანხმოება, არამედ იმის გამო, რომ როცა სადათმა გადაწყვიტა არაბული ინტერესების სრული იგნორირებით პრობლემის ნაწილობრივი მოგვარება, სადათს უკვე არ შეეძლო ჰქონოდა საბჭოთა კავშირის მხარდაჭერის იმედი. უფრო მეტიც, საბჭოთა კავშირთან თანამშრომლობა ხელს შეუშლიდა მას აშშ-სთან დიპლომატიური თამაშის წარმოებაში (153;38). სადათი ხვდებოდა, რომ კრიზისების პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა გასაღები აშშ-ს და არა სსრკ-ს ხელშია.

სადათისათვის ომში გამარჯვება არ წარმოადგენდა თვითმიზანს. მისმა თავდაპირველმა სტრატეგიამ, რომელიც შემოიფარგლებოდა მხოლოდ სუეცის არხის გადაკვეთით და არა მთლიანი სინას ნახევარკუნძულის დაბრუნებით, გაამართლა. სადათმა ომის პირველ სტადიაზე ეფექტურ შედეგს მიაღწია საბჭოთა კავშირის აქტიური სამხედრო დახმარებით, რაც ამავე დროს გახდა საბჭოთა კავშირის სტრატეგიული დამარცხების მიზეზი. სადათის მთავარ მიზანს აშშ-სა და ისრაელისათვის ძალის დემოინსტრირება წარმოადგენდა, მათ მიერ რიგ დათმობაზე წასვლის მიზნით. აშკარაა, რომ სადათი ამზადებდა ნიადაგს მოლაპარაკებებისათვის. ამისათვის მან მხოლოდ გამოიყენა მოსკოვი და საბჭოთა დახმარება. სადათი ბრწყინვალედ ხედავდა, რომ სანამ ისრაელის უკან აშშ იდგა მასზე გამარჯვება შეუძლებელი იყო. ამას გარდა მან იცოდა, რომ ისრაელი ფლობდა ბირთვულ იარაღს, რომელიც გოლდა მეირის თქმით «განკითხვის დღის» იარაღი იქნებოდა და საჭორების შემთხვევაში ებრაელები მას ბოლო არგუმენტად გამოიყენებდენ. ოფიციალურად, ისრაელი ყოველთვის ერიდებოდა ბირთვული იარაღის შესახებ საკითხების აფიშირებას. პირველად ამის შესახებ გამოაცხადა ისრაელის პრემიერ-მინისრმა შიმონ პერესმა 1998 წლის 13 ივლისს პრეს-კონფერენციაზე: «ისარელმა შექმნა ბირთვული პოტენციალი არა იმისათვის, რომ მან მიიღოს ჰიროსიმა, არამედ მიიღოს ოსლო» (142).

ისრაელს ორჯერ მეტი რაოდენობის ბირთვული იარაღი გააჩნია, ვიდრე ინდოეთსა და პაკისტანს ერთად აღებულს. ბირთვული იარაღის წარმოების მცელობა მისი სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების პირველივე დღეებიდან მოდის (239), ვინაიდან თავისი შექმნის დღიდან იგი აღმოჩნდა მტრულად განწყობილი არაბული ქვეყნების გარემოცვაში. ატომური პროექტის მთავარი ორგანიზატორები იყვნენ შიმონ პერესი და დავიდ ბენ-გურიონი. სამეცნიერო უზრუნველყოფას ახორციელებდა ვეიცმანის მეცნიერებათა ინსტიტუტი (142).

1956 წ. ისრაელმა დაიწყო საფრანგეთთან საიდუმლო შეთანხმებით პლუტონიუმის ბირთვული რეაქტორის აშენება ნეგევის უდაბნოში, დიმონის დასახლებასთან (239). 14 კვ.კმ.-ზე განლაგებული ობიექტი, რომელიც ფირმა SON-მა ააშენა, შედგება 9 Machons-ის შენობისაგან. 1967 წ. ივნისისათვის აიწყო პირველი 2 ბირთვული რეაქტორი. 1971 წ. მიუხედავად ისრაელის განცხადებისა, რომ ბირთვული პროექტი მშვიდობიან მიზნებს ემსახურება, დიმონის ბირთვული კომპლექსი გადაიღო ამერიკის სადაზვერვო თანამგზავრმა CORONA Satellite (ამოცანა 1115-2, 1971 წ, 29 სექტემბერი. მაშტაბი: 52,53). ისრაელმა სამჯერ გამოაცხადა საბრძოლო მზადყოფნა: პირველი 1967 წელს, მეორე 1973 წელს და მესამე 1991 წლის 18 იანვარს.

1973 წლის კონფლიქტის დროს ისრაელმა კარგად გამოიყენა ბირთვული შანტაჟის შესაძლებლობა. სპეციალისტების აზრით, ისრაელი ფლობს 100-200 ბირთვულ ბომბს (239), რომელიც საერთაშორისო ატომური სააგენტოს (IAEA) კონტროლის ქვეშ არ არის.B 1986 წლის 5 ოქტომბერს გაზეთ The Sunday Times, გამოქვეყნდა მორდეჰაი ვანუნუს სტატია (დიმონის ყოფილი თანამშრომელი), სადაც მოყვანილ იქნა ისრაელის ბირთვული პროგრამის დეტალური აღწერა და დადანაშაულებულია ისრაელი ბირთვული მასალების საიდუმლო შესყიდვებში. Janes's Intelligence Review-ს შეფასებით ისრაელში 400-500-მდე ბომბი ინახება (142).

მას შემდეგ, რაც გოლდა მეირმა მოითხოვა ამერიკელთა დახმარება და საჰაერო ხიდი ამოქმედდა, სადათმა გადაწყვეტა ცეცხლის შეწყვეტა, ვინაიდან იგი მიხვდა, რომ უკვე ისრაელს კი არ ებრძოდა, არამედ ამერიკას, ხოლო ეგვიპტეს ომის წარმოება აშშ-სთან არ შეეძლო (319;18-19).

შეიძლება ისიც ითქვას, რომ სადათმა გამოიყენა ისრაელი, ამერიკა და საბჭოთა კავშირი თავისი ინერესების სასრგებლოდ. მსოფლიო საზოგადოების წინაშე არაბებმა არამარტო გააქრეს ებრაელების უძლეველობის მითი, არამედ აჩვენეს, რომ არაბული სამყარო წარმოადგენს ძლიერ ძალას, რომელსაც შეუძლია ბრძოლა.

1973 წლის კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ნავთობმა, რომლის ხელში ჩაგდება აშშ-ს ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკის მთავარი თუ არა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტი იყო. არაბული ქვეყნების ბოიკოტმა და საბჭოთა კავშირის მკაცრმა მოთხოვნამ ფაქტიურად ხელი შეუწყო ამერიკის გადაწყვეტილებას ზეწოლა მოეხდინა ისრაელზე მოეხსნა ბლოკადა ეგვიპტის მესამე არმიისათვის (165).

განხორციელდა გაეროს დამკვირვებელთა განლაგება სინაისა და გოლანის მაღლობებზე. სადათმა თავის მიზანს მიაღწია – ისრაელთან შემდგომი დიალოგის გამართვის საშუალება მიეცა, ასევე ნათელი გახდა, რომ ისრაელი სინას ტერიტორიას დაუბრუნებს ეგვიპტეს მხოლოდ აშშ-სთან თანხმობის საფუძველზე, ვინაიდან ისრაელის ურთიერთობები საბჭოთა კავშირთან დაიძაბა და შეწყდა 1967 წლის ექვსდიანი ომის შემდეგ (91).

1973 წ. 10 ნოემბერს, მხარეებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე, რომელიც შედგებოდა 6 პუნქტიდან და ავალდებულებდა ისრაელს ხელი არ შეეშალა ისმაილიის სამხრეთით ალყაში მოქცეულ III არმიისათვის საკვები პროდუქტებით მომარაგებაში; დაიდო შეთანხმება ტყვეთა გაცვლის თაობაზე, რომელიც დაიწყო 15 ნოემბერს (340;602). შეთანხმება ითვალისწინებდა 8301 ეგვიპტელი და 241 ებრალი ჯარისკაცის განთავისუფლებას. არაბ-ისრაელის 25-წლიანი კონფრონტაციის პერიოდში პირველად 1973 წელს 21 დეკემბერს ჟენევაში აშშ-სა და სსრკ-ს თავმჯდომარეობით (საბჭოთა კავშირის აქტიური ჩარევით), გაიხსნა სამშვიდობო კონფერენცია ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებით (194). მონაწილეობდნენ ეგვიპტე, იორდანია, ისრაელი, საბჭოთა კავშირი და აშშ (სირიამ მოწვევის მიუხედავად არ ისურვა მონაწილეობა), გაეროს გენერალური მდივანი კურტ ვალდჰაიმი. პირველ ნაბიჯად გადაწყდა სამუშაო ჯგუფის ფარგლებში შეთანხმება მებრძოლი მხარეების ჯარების

დაშორიშორების შესახებ, ისე რომ მიღებული რეკომენდაციები განხილულიყო ელჩების დონის კონფერენციაზე (94;87).

ცნობილი ეგვიპტელი დიპლომატის დ. ასმათ აბდ-ალმაჯიდის აზრით ამ პერიოდში კისინჯერმა დაიწყო თავისი დიპლომატია, რომელისაც შემდგომ «მაქოს დიპლომატია» ეწოდა (332;139). 1974 წლის 18 იანვარს ეგვიპტისა და ისრაელის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს პირველ ხელშეკრულებას კაირო-ისმაილიას 101 კმ. გზატკეცილზე, სინას ნახევარკუნძულზე ჯარების დაშორიშორების შესახებ, რომელიც ითვალისწინებდა სინას არხის დასავლეთ სანაპიროს ნაწილების ეგვიპტის კონტროლის ქვეშ გადასვლას, რომელიც ისრაელმა ოქტობრის ომში დაიპყრო (შემდგომ მიიღო სახელწოდება «პირველი სინაი»).

მხარეთა პოზიციებს შორის ტერიტორიაზე (ე.წ. 30 კმ. «ბუფერულ ზონაში») განლაგდნენ გაეროს ჯარები. ეგვიპტემ მიიღო 7000 კაცის გაჩერების უფლება არხის აღმოსავლეთით, ხოლო ისრაელმა იგივე რაოდენობა დასავლეთით მითლა და გიდას უღელტეხილებთან. აღნიშნული გადაწყვეტილებას საფუძვლად დაედო კისინჯერის საიდუმლო პირადი წერილი სადათის სახელზე (341;244-245). შეთანხმებაში აღნიშნული იყო, რომ ეს არაა საბოლოო შეთანხმება, არამედ პირველი ნაბიჯია მყარი და სამართლიანი მშვიდობის დამყარების გზაზე გაეროს უშიშროების საბჭოს № 338 რეზოლუციის შესაბამისად. 1975 წ. 4 სექტემბერს აშშ-ს აქტიური მონაწილეობით და დებულ იქნა ორი შეთანხმება სინაზე ეგიპტესა და ისრაელის ჯარების დაშორიშორების შესახებ. ამ შეთანხმებით ისრაელის ჯარები გადაინაცვლებოდნენ მითლა და გიდის უღელტეხილებამდე (სუეცის არხის 40-30 კმ.-ზე აღმოსავლეთით), მაგრამ თვით უღელტეხილები გადადიოდა ისრაელის ხელში. ეგვიპტის მხარეზე გადადიოდა ნავთობის ჭაბურღილები აბუ-რუდაისში. საერთო ჯამში ეგვიპტის კონტროლის ქვეშ გადავიდა სინას ტერიტორიის 5,5% (კიდევ 7% ტერიტორიისა შედიოდა «ბუფერულ ზონაში», რომელიც ყოფდა ისრაელისა და ეგვიპტის ჯარებს) (157). ეგვიპტელები დათანხმდნენ არ გამოეყენებინათ ძალა ისრაელის წინააღმდეგ. არაბული ტერიტორიების ოკუპაციისა და პალესტინის პრობლემის მოუგვარებლობის პირობებში, ეს უდრიდა ეგვიპტის გამოსვლას საერთო არაბული ფრონტიდან ისრაელის წინააღმდეგ, თანაც შეთანხმებაში არაფერი ითქვა თელ-ავივის დაქვემდებარებაში მყოფ არაბულ მიწებზე და პალესტინელთა უფლებების შესახებ (247;184-185).

ომის დამთავრების შემდეგ სადათმა განაცხადა, რომ ახლო აღმოსავლეთის პრობლემის მოგვარების 99% ამერიკაზეა დამოკიდებული (330). ამასთან დაკავშირებით ჰ.კისინჯერმა განაცხადა: «მე გაკვირვებული ვარ სადათის მოქმედებებით, ეგვიპტის პრეზიდენტმა ჯერ კიდევ არ გამოიყენა მოლაპარაკებებზე ახალი საერთაშორისო ვითარებით შექმნილი პოლიტიკური ზეწოლის ძალა. სადათს შეუძლია გამოიყენოს ეს ძალა, რათა მიღებულ იქნას მისთვის სასარგებლო გადაწყვეტილება» (157). ერთადერთი რაც მიაღწია სადათმა იყო ეგვიპტის შემდეგი დაახლოება აშშ-სთან. ასე, 1974 წ. 14 ივნისს კაიროში ნიქსონის ვიზიტისას ხელი მეწერა «ეგვიპტესა და აშშ-ს შორის თანამშრომლობის პრინციპების» დოკუმენტს, ითვალისწინებდა რა ერთობლივი თანამშრომლობის კომისიის შექმნას, რომლის საქმიანობა მოიცავდა პრაქტიკულად ეგვიპტის ეკონომიკის ყველა სექტორს (333;112).

1973 წლის ომი სადათის სცენარით ჩატარდა? საინტერესო განცხადება გააკეთა ეგვიპტის ახლანდელმა პრეზიდენტმა ოქტომბრის ომის 30 წლისთავთან დაკავშირებით. მისი აზრით, ეგვიპტეს ჯერ კიდევ შეუძლია გაითვალისწინოს 1973 წ. ომის მოვლენები, როცა ის თავს დაესხა ისრაელს. მუბარაქის თქმით, ექსპანსიის პოლიტიკა _ ძალადობაა. იმპერიალისტური ტენდენციები და ექსპანსიონიზმი, და შემდგომი ოკუპაცია ხელს უშლის სტაბილურობასა და უშიშროებიას. მათ მიყავართ ძალადობისა და ნგრევისაკენ, ხალხის, სახელმწიფოებსა და რელიგიური კონფესიებს შორის სიძულვილის გაღვივებისაკენ. ამასთანავე, მუბარაქმა დადებითად შეაფასა 1973 წლის ომის შედეგები და აღნიშნა, რომ ეგვიპტემ დაიბრუნა საკუთარი თავის რწმენა, როცა დაიბრუნა ისრაელის მიერ მიტაცებული ტერიტორიები (182).

ოქტომბრის ომს, როგორც წესი საბჭოთა პოლიტიკისათვის წარმატება უნდა მოეტანა ახლო აღმოსავლეთში. აღნიშნული კონფლიქტი დამთავრდა ფრედ. საბჭოთა კავშირმა აჩვენა თავისი სამხედრო ძლიერება, მაგრამ ომის დამთავრების შემდეგ დაიწყო მისი სწრაფი გაძევების პროცესი ახლო აღმოსავლეთის სტრატეგიული პოზიციებიდან, რასაც შეუწყო ხელი სხვადასხვა ფაქტორებმა.

პირველი, ჩვენი აზრით იყო მოსკოვის საგარეო პოლიტიკაში გადაჭარბებული იდეოლოგიური ტენდენციების ზრდა. ბევრი საკითხების გადაწყვეტა ხდებოდა ანალიზის გარაშე, როგორც წესი ამერიკელთა ჯიბრზე.

მეორე, არაბთათვის უშუალო მხარდაჭერა გარკვეულ წილად ნაკარნახევი იყო ვაშინგტონისათვის «რევანშის აღების წყურვილით» _ 1973 წლის 11 სექტემბერს ჩილის შეიარაღებულმა ძალებმა გენერალ ავგუსტო პინოჩეტის მეთაურობით, პროსაბჭოური ორიენტაციის მქონე სალვადორე ალიენდეს მთავრობა ჩამოაგდო. იგი მოხდა ამერიკელთა მონაწილეობით (70;111). გარდა ამისა, საბჭოთა სამხედრო მოწოდებები რეგიონში, არ უწყობდა ხელს არაბული ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებას, პირიქით მიყავდა გაღატაკებისაკენ, მმართველი ელიტების გასამხედროებისაკენ და მათში მაღალი ხარისხის სამხედრო შემართულობის ფორმირებისაკენ. (უკვე 1980 წლისათვის საბჭოთა კავშირი 40-ზე მეტ განვითარებად ქვეყნებს ამარაგებდა იარაღით). 1970 წ. პირველ ნაწილში იარაღის 90% მიიმართებოდა ეგვიპტეში, სირიაში, ლიბანში, ალჟირში, ერაყში, ჩრდილოეთ და სამხრეთ იემენში, ვიეტნამში, ეთიოპიაში, ინდოეთსა და კუბაში. ამასთანავე, იშვიათი გამონაკლისის გარდა, მიეწოდებოდათ მოძველებული იარაღის მოდელები. მხოლოდ ეგვიპტე, სირია, ერაყი და ლიბია (ალბათ კუბაზაც, ზ.ტ.) იღებდა ე.წ. «გართულებული» იარაღის ვარიანტს, რომელიც საბჭოთა სპეციალისტების დახმარებით გამოყენებოდა (147).

აღნიშნულ ფაქტორებს დაემატა სადათის პოლიტიკა, რომელმაც გადააქცია ეგვიპტე, _ საბჭოთა კავშირის მთავარი მოკავშირისაგან არაბულ აღმოსავლეთში, _ აშშ-სთან ფართო თანამშრომლობის ქვეყანად. საბჭოთა დიპლომატია უკან იხევდა ახლო აღმოსავლეთის მოუგვარებელ პრობლემებში მონაწილეობისაგან.

1976 წელს ეგიპტემ უკვე დაიწყო პირველი ამერიკული სამხედრო შეიარაღების მიღება (147). საგარეო პოლიტიკური კურსის შეცვლის საფასურად ეგვიპტემ აშშ-დან და დასავლეთ ევროპიდან ფინანსური დახმარება მიიღო. ახალი საგარეო-პოლოტიკური კურსის მტკიცებულებად შეიძლება ჩაითვალოს 1976 წლის 15 მარტს, 1971 წლის 27 მაიის ხელმოწერილი «ეგვიპტე-საბჭოთა კავშირის მეგობრობისა და თამშრომლობის შესახებ შეთანხმების» დენონსაცია, რომელსაც წინ უძღოდა პირადად პრეზიდენტის მიერ ინიცირებული ანტისაბჭოური კამპანია პრესაში, რაც ამახინჯებდა საბჭოთა-ეგვიპტური ურთიერთობების ისტორიას, უარყოფდა სსრკ-ს დახმარებას ეგვიპტისადმი ისრაელთან ომებში და აკრიტიკებდა მის საგარეო პოლიტიკას (163;94).

ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების შედეგად, 1973 წლის ომმა შეცვალა ახლო აღმოსავლეთში არსებული სამხედრო-პოლიტიკური თუ სტრატეგიული ბალანსი აშშ-ს

სასარგებლოდ. სახელმწიფო მდივანი კისინჯერი თავის მემუარებში წერდა, რომ ამერიკის ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკის ძირითად მიზანს საბჭოთა კავშირის მოცილება კონფლიქტის მოგვარების პროცესებიდან და არაბულ ქვეყნებზე ამერიკული პოლიტიკის გავლენის გაზრდა წარმოადგენდა (146;25).

1973 წლის ოქტომბრის ომმა დიდი რეზონანსი იქონია ახლო აღმოსავლეთისა და საერთაშორისო საზოგადოების თვალში. თუ განვიხილავთ ომის შედეგებს ეგვიპტის შიდაპოლიტიკურ მდგომარეობაზე გავლენის თვალსაზრისით, სადათმა მოახერხა ოპოზიციასთან ბრძოლაში თავისი პოზიციების საგრძნობლად გამყარება. საერთაშორისო ასპარეზზე კი მიღწეულ იქნა ეგვიპტის შემდგომი დაახლოვება აშშ-სთან. ზოგიერთი მკვლევარის აზრით კონფლიქტში ეგვიპტელებმა აჩვენეს, რომ მათ ძლიერი არმია სჭირდებათ არა მარტო ისრაელის საწინააღმდეგოდ, არამედ შესაძლო კონფლიქტურ შემთხვევაში არაბული ქვეყნებისაგან თავის დასაცავად. ფაქტია, რომ არასტაბილურობის მთავარი ელემენტი ახლო აღმოსავლეთის სამხედრო ბალანსში, ეს არის დიდი გეოპოლიტიკური ინტერვალი არაბული არმიებსა და ისრაელს შორის (229;14).

სუკ-ის ყოფილი რეზიდენტი კორნიენკო თავიდანვე აფრთხილებდა საბჭოთა ხელმძრვანელობას, რომ სადათი საბჭოების ზურგს უკან მოქმედებდა ამერიკელებთან შეთანხმებით და შესაბამისათ ასეთი ცვლილებები მოსალოდნელი იყო. საერთოდ აღსანიშნავია, რომ საბჭოთა ხელმძღვანელობა დაზვერვის სამსახურების მონაცემებს ხშირად უგულებელყოფდა და კრემლში სადათს მოკავშირედ თვლიდნენ (68).

ნათელია, რომ ასეთმა პოლიტიკამ 1973 წლის კრიზისის პერიოდიში საფუძველი ჩაუყარა კემპ-დევიდის შეთანხმებების ძლიერ ფუნდამენტს, რაც აშშ-ს დიპლომატიის გამარჯვებად ითვლება. კონფლიქტი დამთავრდა ნოემბრის დასაწყისში. სახელმწიფო მდივანი კისინჯერი გაემგზავრა ახლო აღმოსავლეთში სამშვიდობო მოლაპარაკებების ჩასატარებლად. CIA-სAსპეციალისტების აზრით იმისათვის, რომ საბჭოთა კავშირს შეენარჩუნებინა თავისი მჭიდრო პოლიტიკური და სამხედრო კავშირები ეგვიპტესტან, იგი უფრო ღრმად ჩაება არაბ-ისრაელის კონფლიქტის მსვლელობაში. რუსები შესაძლოა ოპტიმისტურად ხედავდენ პერსპექტივაში ახლო აღმოსავლეთში თავიანთ არსებობას, ვინაიდან სჯეროდათ, რომ რადიკალური, ანტიდასავლური ძალები უზრუნველყოფენ მათთვის გავლენის შენარჩუნებას (217;93). შეიძლება ითქვას, რომ ამერიკა-საბჭოთა

კონფრონტაციის დროს, საბჭოთა ბირთვული სტრატეგია დაკავშირებული იყო საბჭოთა სამხედრო ქმედედებებსა და პოლიტიკასთან, მარქსიზმ-ლენინინზმის პრინციპებსა და საბჭოთა სტრატეგიულ დოქტრინასთან (290;287).

1973 წლის რამადანის ომმა, რეგიონალური კრიზისიდან გლობალური კრიზისის სახე მიიღო, რომელიშიც ჩათრეული იყო გარდა არაბული, ისლამური ქვეყნებისა და ისრაელისა ორი ზესახელმწიფო. ამ კრიზისმა გამოიწვია მნიშვნელოვანი ცვლილებები ორ ზესახელმწიფოს მიდგომაში, ძალთა განლაგებაში ახლო აღმოსავლეთის რეგიონში.

და ბოლოს გვინდა ავღნიშნოთ, რომ ჯერ კიდევ ღიად რჩება საბჭოთა კავშირის დამოკიდებულება ანვარ სადათის მიმართ კონფლიქტის პერიოდში. მკვლევარებს ჯერ კიდევ მოუწევთ იმის გარკვევა, იყო თუ არა 1972 წელს საბჭოთა სპეციალისტების «განდევნა» ეგვიპტიდან, მოსკოვისა და კაიროს შორის შეთანხმებული მანევრი (91). რამ აიძულა საბჭოთა კავშირს დახმარებოდა სადათს მაშინაც, როცა უკვე ნათელი იყო, რომ სადათი აწარმოებდა ფარულ მოლაპარაკებებს აშშ-სთან (ჩვენ შევეცადეთ ამის გარკვევა).Dმაგრამ, აღნიშნული საკითხის უფრო საპუძვილანი შესწავლა შესაძლებელია ალბათ მას შემდეგ, რაც შესწავლილ იქნება სსრკ-ს მთავრობის სხვადასხვა დოკუმენტები, რომელიც ეხება საბჭოთა პოლიტიკას ახლო აღმოსავლეთში 70-იან წლებში, რომელიც ინახება რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო არქივებში და ჯერ კიდევ ადევს გრიფი _ სრულიად საიდუმლო.

1996 წელს ეგვიპტის ინიციატივით, «ეგვიპტეში საბრძოლო მოქმედებებში მონაწილე ვეტერანთა საბჭოს» 300 ყოფილმა საბჭოთა სამხედრომ პირველად 25 წლის მანძილზე გამართეს შეხვედრა თავიანთ ეგვიპტელ თანამებრძოლებთან (128).

«ეგვიპტის არმიამ გადალახა სუეცის არხი და გადაჭრა ბარ-ლევის ხაზი, რომელიც გახდა ეგვიპტისა და მთელი ახალი აღმოსავლეთისათვის ისტორიის მიმართულების ცვლილების მიზეზი»- The Daily Telegraph, 1973 წლის 7 ოქტომბერი (297).

თავი III

სადათის პროამერიკული პოლიტიკა და მისი შედეგები

ა) «ღია კარის» პოლიტიკა და სოციალურ-პოლიტიკური ვითარება ეგვიპტეში

«მე ვფიქრობ ეგვიპტემ გააცნობიერა, რომ სოციალიზმი და უკიდურესი არაბული ნაციონალიზმი არ დაეხმარება მილიონობით ეგვიპტელს. თუ სადათის სურვილია მათ დაეხმაროს, მან უნდა მიიღოს კერძო საკუთრება . . .» _ დავიდ როკფელერი (301;123).

ბევრი მკვლევარის აზრით, ანვარ სადათს არ მოუგია 1973 წლის რამადანის ომი სამხედრო თვალსაზრისით, მაგრამ იგი პირველი არაბი ლიდერი აღმოჩნდა, რომელმაც რეალურად დაიპრუნა ტერიტორიები ისრაელისაგან. ამ კონფლიქტმა აიძულა ჯერ კიდევ დაუმარცხებელ ებრაელებს მიეღოთ არაბული მშვიდიბის პირობები, გადაარჩინა ეგვიპტელთა ეროვნული ღირსება და განამტკიცა სადათის პრესტიჟი რეგიონში. მიუხედავად საბოლოო ეტაპზე სამხედრო დამარცხებისა ოქტომბრის ომის მორალურ-პოლიტიკური წარმატებები იმდენად საკმარისი აღმოჩნდა, რომ შესაძლებლობა მიეცა სადათს გამოეცხადებინა თავი გამარჯვებულად (128).

ომის შემდეგ სადათმა დაიწყო ეგვიპტის, როგორც არაბულ აღმოსავლეთში სსრკ-ს მოკავშირის, აშშ ძირითად პარტნიორად გადაქცევა. სადათის გამოსვლებში და მის გარემოცვაში თანდათან სულ უფრო ისმოდა «წარსულის პერიოდის შეცდომების გამოსწორების» სიტყვები.

სადათმა აიღო კურსი საბაზრო ეკონომიკის განვითარებისაკენ. მთავრობის მიერ მიღებულ იქნა პროგრამა, ე.წ. «ოქტომბრის სამუშაო დოკუმენტი», რომელიც განსაზღვრავდა ქვეყნის განვითარების ძირითად მიმართულებებს და რომლის მთავარ პრინციპად გამოცხადებულ იქნა «ღია კარის» (Infitah) პოლიტიკა (254). კანონი № 174 მიღებულ იქნა 1974 წლის 13 ივლისს, დ. აბდ ალ-აზიზ ჰაგაზის შედგენითა და რედქტირებით (315;79).

ანვარ სადათისა და მთავრობის წევრების გამოსვლებისა, ასევე ეგვიპტური და უცხოური პრესის სხვადასხვა კომენტარების მიხედვით, «ღია კარის პოლიტიკა» უზრუნველყოფდა ეგვიპტის თანდათან გადასვლას საბაზრო ეკონომიკის ლიანდაგებზე.

«ინფითაჰი»-ს კონკრეტული მიზანი იყო ეკონომიკის ყველაზე შემოსავლიანი დარგების სწრაფი განვითარება და სავალუტო შენატანების გაზრდა საქონლისა და მომსახურების ექსპორტის გაფართოების ხარჯზე ეგვიპტის ბუნებრივი რესურსების გამოყენება, ხელსაყრელი გეოგრაფიული მდგომარეობის, კვალიფიცირებული და იაფი მუშა ხელის, არაბული ფინანსური დახმარებისა და დასავლეთის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებასთან ერთად.

ასეთი პოლიტიკის სამართლებრივი ბაზის შექმნის მიზნით 1974 წლის ივნისიდან 1975 წლის ბოლომდე მიღებულ იქნა ასამდე კანონი, დადგენილება და გადაწყვეყტილება, რომლებმაც ხელი შეუწყვეს ეგვიპტის ეკონომიკაში კაპიტალდაბანდებისა და მათ შორის უცხოური კაპიტალდაბანდების მოზიდვას. შედეგად, ეგვიპტე 70-იან წლებში გავიდა ერთ-ერთ პირველ ადგილას განვითარებადი ქვეყნების სიაში, ფინანსური რესურსების მიღების თვალსაზრისით. დასავლეთის ქვეყნებმა აშშ-ს ხელმძღვანელობით, ასევე სპარსეთის ყურის ნავთობ -ექსპორტიორმა ქვეყნებმა აქტიურად დაიწყეს ეგვიპტისათვის კრედიტების გაცემა, რათა გამოეყენებინათ ის საშუალებები, რომლებიც გაიხსნა უცხოური კაპიტალის წინაშე «ინფითაჰის» პოლიტიკაზე გადასვლით, რომელმაც საერთო ჯამში მიაღწია 20 მლრდ. აშშ დოლარს (157). ამ კრედიტებმა დადებითად იმოქმედა ეგვიპტის ეკონიმიკაზე, მაგრამ ვერ გააჯანსაღა იგი. კერძო უცხოური კაპიტალის დაბანდებები მცირე იყო, რომლის მიზეზი პოლიტიკური არასტაბილურობა და სახელმწიფო აპარატის არაეფექტურობა, შესაბამისი სტრუქტურის უქონლობა გახლდათ. ეგვიპტის ეკონომიკაში ფინანსური საშუალებების ჩადინების მიუხედავად, ქვეყანა გამუდმებით იმყოფებოდა სოციალური-ეკონომიკური კრიზისის მდგომარეობაში, რამაც გამოიწვია მოსახლეობის დიდი ნაწილის გაღარიბება და შემოსავლების დონის დიდი განხსვავება მოსახლეობის ძირითად ნაწილსა და ბურჟუაზიას შორის, რომელიც უშუალოდ იყო დაკავშირებული უცხოური კაპიტალის განაწილებასთან და ეგვიპტის ეკონომიკის საექსპორტო დარგებთან. სადათის პერიოდში ეგვიპტეში ჩამოყალიბდა ბიუროკრატიული ფენა, რომელიც წარმოადგენდა მოსახლეობის 5% და რომელსაც ხელში მატერიალური დოვლათის 30% ეკავა. ადგილობრივი მდიდარი საქმოსნების რიცხვმა გადააჭარბა მონარქისტული პერიოდის ეგვიპტეში არსებულ რაოდენობას. ასე, თუ რევოლუციამდე ეგვიპტეში იყო მხოლოდ 4 მილიონერი, სადათის მმართველობის დასასრულისათვის ეს რიცხვი 500-მდე ავიდა (317;145). ეკონომიკაში ღია

კარის პოლიტიკის გამოცხადების მიუხედავად, მსხვილ და საშუალო სამრეწველო დაწესებულებებში პრივატიაზაცია საერთოდ არ ჩატარებულა (77;45).

ანვარ სადათის გეგმები თითქმის ისეთივე გზით ვითარდებოდა, როგორიც 1952-55 წ.წ. ნასერის ეკონომიკური პოლიტიკა. ნასერმა ეკონომიკის განვითარებისათვის ეროვნული კაპიტალის მოზიდვა დაიწყო ფინანსურ-საგადადასახდო შეღავათების გაცემით. ორივე შემთხვევაში შედეგები ანალოგიური იყო: საკმარისი საშუალებების უქონლობის გამო ეგვიპტის ბურჟუაზია აბანდებდა ფულს იმ სფეროში, სადაც შეიძლებოდა კაპიტალის სწრაფი ბრუნვა – ვაჭრობაში, მომსახურების სფეროში და ა.შ. (317;126-127) მდგომარეობა გართულდა იმითაც, რომ ძირთადი პოზიციები მრეწველობაში ეკავა სახელმწიფო სექტორს და კერძო მეწარმეები დაკავშირებული იყვნენ სახელმწოფო დაწესებულებებთან, რომელთა საწარმოო შესაძლებლობები (და არა ბაზრის მოთხოვნილებები) განსაზღვრავდენ გამოშვებული პროდუქციის მოცულობას (77;45-46).

70-80-იან წლების დასაწყისში გაუარესდა ეგვიპტელი მოსახლეობის საარსებო დონე. Oოფიციალური მონაცემების მიხედვით 1976 წლისათვის 1972 წელთან შედარებით კვების ძირითადი პროდუქტები გაძვირდა საშუალოდ 120%-ით. 1973-1977 წლებში ცხოვრების ღირებულება გაიზარდა 65%-ით, რაც უსწრებდა ხელფასის ზრდას. უმუშევართა რაოდენობამ 1977 წელს 1,6 მლმ.-მდე მიაღწია, რაც ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 10% შეადგენდა. მოსახლეობის 90,2%-ზე მოდიოდა ქვეყანაში მოხმარებული მთლიანი პროდუქციის 55,5% მაშინ, როდესაც დანარჩენ 9,8% მოდიოდა 45,5% (62;71).

გარდა ამისა ეკონომიკის ლიბერალიზაციამ ხელი შეუწყო უცხოეთიდან სამრეწველო და საყოფაცხოვრებო საქონლის დიდი რაოდენობით შემოტანას, რამაც დიდი ზიანი მიაყენა ადგილობრივ მსუბუქ მრეწველობას და იმპორტის გაზრდის გამო ქვეყანაში ჩამოყალიბდა უარყოფითი საგარეო სავაჭრო სალდო. ეგვიპტე მოიცვა ფინანსურმა კრიზისმა. მსახლეობის 90% სიღარიბის ზღვარზე აღმოჩნდა (317;150). საგადასახადო ბალანსის დეფიციტი გაიზარდა 68 მლნ. აშშ დოლარიდან 70-იან წლებში 1360 მლნ. აშშ დოლარამდე 1975 წლისათვის. საბიუჯეტო დეფიციტმა 1976 წლისათვის მიაღწია 2840 მლნ. აშშ დოლარს (77;46). მთავრობის მცდელობამ გადასახადების გაზრდით მოეხდინა სტაბლიზაცია, არ მოიტანა შედეგები. სადათმა ფინანსური დახმარების მისაღებად მიმართა საერთაშორისო სავალუტო ფონდს და საერთაშორისო განვიტარებისა და

რეკონსტრუქციის ბანკს – ორგანიზაციებს რომელიც ცნობილია თავისი მკაცრი მოთხოვნებით ეკონომიკური რეფორმების გატარებისათვის. მოსახლეობა, რომელიც ისედაც სიღარიბის ზღვარზე იდგა, გამოვიდა ფონდის მოთხოვნების წინააღმდეგ გაემკაცრებინა ეკონომიკური პოლიტიკა (128). 1977 წელს მიღებული იქნა ბიუჯეტი, რომელიც ითვალისწინებდა კვების პროდუქტებსა და პირველადი მოხმარების საგნებზე ფასების სახელმწიფო სუბსიდირების შეწყვეტას, რამაც გამოიწვია უკმაყოფილო მოსახლეობის მასობრივი სტიქიური გამოსვლები კაიროსა და სხვა ქალაქებში. ეგვიპტის ხელმძღვანელობამ ვერ შეაფასა ქვეყანაში რეალური შიდაპოლიტიკური მდგომარეობა და გადაწყვიტა შეენარჩუნებინა კონტროლი რეპრესიების მეშვეობით. მან გააფართოვა ნასრის მიერ ჩამოყალიბებული 1968 წ. შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული ცენტრალური უშიშროების ძალები (CSF) ხალხთა გამოსვლების ჩასახშობათ, მას შემდეგ რაც 1977 წლიდან ესგამოსვლები გახშირდა (300 ათ. მეტი), ქვეყანაში კონტროლის შეენარჩუნებისათვის (210;191). სადათმა იგრძნო რომ ის კარგავდა გავლენას და დაიწყო მეამბოხეთა მასობრივი დარბევა და დაპატიმრება. არეულობების დროს 79 კაცი დაიღუპა, 1000 დაიჭრა და 1250 ციხეში ჩასვეს (128).

დახმარება მოვიდა ნავთობის ექსპორტიორთა ქვეყნების ორგანიზაციიდან. სუბსიდირება ისევ შემოიღეს, წესრიგი დამყარდა, ხოლო რადიკალური და კომუნისტური ჯგუფები სასამრთლოს წინაშე წარსდგა, რომლებიც დაადანაშაულეს ამბოხების მოწყობაში.

სადათი ცდილობდა თავისი რეჟიმისათვის დემოკრატიული ფასადი მიეღო, მაგრამ ხელისუფლება მთლიანობაში პრეზიდენტის ხელში იყო, რომლის მთავარ მხარდამჭერ და საყრდენ ძალას არმია წარმოადგენდა. ყველა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას იგი ერთპიროვნულად ღებულობდა. დაშვბული იყო ოპოზიციური პარტიები, მაგრამ მათი როლი ნომინალური იყო. პრეზიდენტის კურსის მთლიანი მხარდაჭერა ეროვნულ კრებაში, განპირობებული იყო იმით, რომ ადგილების უმეტესი რაოდენობა ეკუთვნოდა სამთავრობო არაბულ სოციალისტურ პარტიას, რომელმაც არჩევნებზე 1976 წლის მოწვევის პარლამენტში 280 დეპუტატი გაიყვანა, როცა ამ დროს ოპოზიციურმა ლიბერალურ-სოციალისტურმა და ეროვნულ-პროგრესიულ (მემარცხენე) პარტიებმა – შესაბამისად 12 და 2 დეპუტატი. მართალია ფორმალურად ცენზურა გაუქმებული იყო, მაგრამ პრესა რეალურად თავისუფალი არ იყო. «გაზეთები და ტელევიზია, _ ამბობდა სადათი, _

ყოველდღიურად აწვდიან მოსახლეობას ინფორმაციას და მასმედია შეიძლება გახდეს საშიში იარაღი, თუ იგი სხვის ხელში აღმოჩნდება. ამიტომ მე წინააღმდეგი ვარ, რომ გაზეთები კერძო საკუთრებაში იყოს.» (78;28)

თუ ნასერის დროს არაოფიციალურად ტარდებოდა კოპტების დისკრიმინაცია, რომლებსაც უმაღლესი სახელმწიფო თანამდებობების დაკავება ეკრძალებოდათ, სადათის დროს საგარეო საქმეთა სახელმწიფო მინისტრი გახდა ბუტროს ბუტროს ღალი, რომელიც წარმოშობით ცნობილი კოპტური ოჯახიდან იყო (86). მისი დანიშვნა განპირობებული იყო არა კონფესიონალური ბალანსის შენარჩუნებით, არამედ საგარეო საქმეთა მინისტრების – მუსლიმების ნეგატიური დამოკიდებულებით პრეზიდენტის მიერ ისრაელთან სეპარატული ურთიერთობების დამყარებით, რომლის სისრულეში მოყვანა ბუტროს ღალის დაევალა (78;28).

ბ) სადათის ვიზიტი იერუსალიმში და კემპ-დევიდის მოლაპარაკების პროცესი

«ჩვენ გვსურს მშვიდობა, მაგრამ მშვიდობა არ მოდის მარტო ზეთისხილის ტოტის გაქნევით, ვინაიდან ისტორიიდან ვიცით, რომ მშვიდობას იშვიათად თუ მოიპოვებ სისხლისღვრის გარეშე» - მუჰამად ანვარ ას-სადათი (326;2).

მიუხედავად ამერიკული მხარდაჭერისა, სადათი 1977 წელს ჯერ კიდევ ბევრი პრობლემის წინაშე იდგა. ეგვიპტემ მიიღო მიწები სუეცის არხის აღმოსავლეთით, მაგრამ სინას დანარჩენი ნაწილი ჯერ კიდევ ისრაელის ჯარების მიერ იყო დაკავებული. სუეცის არხი გასაწმენდი იყო და გასაფართოებელი. დაბომბვების შედეგად დანგრეული ქალაქები არხის გასწვრივ საჭიროებდნენ აღდგენას. ვინაიდან ეგვიპტესა და ისრელს შორის ჯერ კიდევ მშვიდობა საბოლოდ არ იყო დამყარებული, უცხოური კომპანიები არ ჩქარობდენ ინვესტიციების დაბანდებას, ვინაიდან კონფლიქტის განახლების საშიშროება ისევ იყო. არსებული საშინაო თუ საგარეო პოლიტიკური ვითარების ფონზე სადათისათვის საჭირო იყო გამოსავალის მოძებნა. მას გადაარჩენდა მხოლოდ ან ომი, ან სინას დაბრუნება. ამის მიზნით სადათმა დაიწყო მოლაპარაკებები ისრაელთან.

ოქტომბრის კონფლიქტის დამთავრების შემდეგ, როგორც ვიცით აშშ-მ იკისრა შუამავალის როლი სამშვიდობო პროცესში. კისინჯერი აცხადებდა: «არაბებს შეუძლიათ მიიღონ იარაღი რუსებისგან, მაგრამ თავიანთი ტერიტორიების უკან დაბრუნება

შეუძლიათ მხოლოდ ჩვენი დახმარებით» (128). როგორც ვიცით, 1974 წლის დასაწყისში დაიწყო პირველი რაუნდი კისინჯერის «მაქოს დიპლომატიისა». გოლდა მეირის გადადგომისა და ისრაელის ხელისუფლებაში იცხაკ რაბინის მთავრობის მოსვლის შემდეგ (1974-77), კისინჯერის შემდეგი ნაბიჯი იყო ისრაელისა და სირიის ჯარების გაშორიშორების გეგმის განხორციელება. როგორც სადათს, ისე ხაფიზ ასადსაც სჭირდებოდა ტერიტორიის დაბრუნება, რათა ერის წინაშე თავის პარტარა «გამარჯვება» გამოეცხადებინა. ხანგრძლივი მოლაპარაკებების შედეგად ისრაელი დათანხმდა თავიანთი ჯარების ნაწილი გამეოყვანა გოლანის მაღლობების მოწინავე პოზიციიდან. ისრაელის მიერ დატოვებული ზონა ძალიან მცირე იყო, მაგრამ მასში შედიოდა ქალაქი კუნაითრა, რომლის დაბრუნება ასადისათვის მნიშვნელოვანი იყო (133). 1974 წლის 31 მაისს ისრაელისა და სირიის სამხედრო წარმომადგენლება, ხელი მოაწერეს შეთანხმებას ჯარების გაშორიშორების შესახებ, გაეროს უშიშროების № 350 რეზოლუციის შესაბამისად, სადაც გაეროს «ცისფერ ჩაფხუტიანები» განლაგდნენ მხარეთა შორის ბუფერულ ზონაში (145;87).Eეს იყო კისინჯერის კარიერის უმაღლესი მწვერვალი. ომის დამთავრების შემდეგ სულ რაღაც 6 თვის განმავლობაში მან მიაღწია შთამბეჭდავ დიპლომატიურ წარმატებებს. დასავლეთის საზოგადოებისათვის კისინჯერი ტელეთერის გმირი გახდა. რაც მთავარია, საბჭოთა კავშირის გავლენა რეგიონში შემცირდა (133).

1974 წ. 9 აგვისტოს პრეზიდენტ ნიქსონი გადადგა, რომელიც შეეწირა «უოტერგეიტის საქმეს» (1972 წ. გაზაფხულს, ნიქსონმა სანქცია გასცა დაეყენებინათ საიდუმლო მოსასმენი აპარატურა სასტუმრო «უოტერგეიტში», სადაც იმყოფებოდა დემოკრატიული პარტიის ეროვნული კომიტეტი. აღნიშნული ოპერაცია დაფინანსდა ც.ს.ს.-ს და რესპუბლიკელების მიერ) (70;115-116). აშშ-ს ახლმა 38-ე პრეზიდენტმა ჯერალდ რუდოლფ ფორდმა უფრო გააფართოვა კისნჯერის უფლებამოსილება, რომლის ძალისხმევის შედეგად სადათმა მიიღო გადაწყვეტილება გაეხსნა სუეცის არხი ნაოსნობისათვის, როცა შეხვდა ფორდს ზალცბურგში (133).

სსრკ-ს და აშშ-ს პოზიციების თანხვედრა ოქტომბრის ომის დამამათავრებელ სტადიაზე არ იყო ხანგრძლივი. კისინჯერის დიპლომატია, მოსკოვის მიერ შეფასებულ იქნა, როგორც საბჭოთა კავშირის განდევნა ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის

მარეგულირებელი ქვეყნების სიიდან. ასეთი მცდელობები ყოველთვის არსებობდა, მაგრამ ისინი გაიზარდა ნიქსონის პრეზიდენტობის ბოლო წლებში.

1973 წლის 7 ნოემბერს აღდგა დიპლომატიური ურთიერთობები ეგვიპტესა და აშშ-ს შორის. აშშ-ში ეგვიპტის ახალი ელჩი აშრაფ აბდ ალ-ლატიფ ღურბალი თვლიდა, რომ 1967 წლის კონფლიქტის შემდეგ ამერიკის პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთში უცვლელი იყო (იგულისხმება ისრაელის მხარდაჭერა) იქამდე, სანამ ვაშინგტონმა იგრძნო, რომ სანავთობო-ენერგეტიკული ინტერესები რეალური საშიშროების წინაშე დადგა (53;25). 1977 წ. 20 იანვარს აშშ-ს პრეზიდენტ ჯიმი (ჯეიმს) ერლი კარტერის მოსვლით, ამერიკის ადმინისტრაცია აქტიურად ჩაება ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის მოგვარების საქმეში, მაგრამ მისი წარმომადგენლები – ზბიგნევ ბჟეჟინსკი და საირუს ვენსი კრტიკულად თვლიდნენ, რომ არაბ-ისრაელის კონფლიქტთან მიმართებაში კისინჯერის დიპლომატიამ ამოწურა თავისი შესაძლებლობები (263;336).

1975 წლის 4 სექტემბერს სინაზე ეგვიპტისა და ისრაელის ჯარების გაშორიშორების შესახებ ორი შეთანხმების დადების შემდეგ, ამერიკის მხარემ გამოთქვა მზადყოფნა საბჭოთა კავშირთან ერთად განეხილა რეგიონში კრიზისული სიტუაციიდან გამოსავალი, რომლის მაგალითია 1977 წლის 1 ოქტომბერს ვაშინგტონის ინიციატივით, საბჭოთა-ამერიკული ერთობლივი განცხადება ახლო აღმოსავლეთის საკითხებთან დაკავშირებით. მოლაპარაკებებში მონაწილეობდნენ სსრკ-ს საგარეო საქმეთა მინისტრი გრომიკო, პრეზიდენტი კარტერი და სახელმწიფო მდივანი საირუს ვენსი (254).

საბჭოთა მხარე იმედოვნებდა, რომ გახდებოდა მთავარი დირიჟორი მომავალ ჟენევის კონფერენციაზე, რამდენადაც არც აშშ-ს და არც მის მოკავშირე ისრაელს, არ ჰქონდათ ურთიერთობა რადიკალურად განწყობილ არაბულ რეჟიმებთან (331;20). როგორც კი საბჭოთა დაზვერვამ საგარეო საქმეთა სამინისტროს აცნობა, რომ ეგვიპტესა და ისრაელს შორის მოსალოდნელია გარიგება (მათი ემისრების ფარული მოლაპარაკება მაროკოში), ა. გრომიკო მიხვდა, რომ ისრაელი ცდილობდა გაერღვია არაბული ქვეყნების საერთო ფრონტი და საამისოდ ეგვიპტეს სინას ნახევარკუნძულის დაბრუნებას ჰპირდება. მან მაშინვე თავის ერთ-ერთ ხელქვეითს დაავალა შეხვედროდა აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მრჩეველს, რათა ჟენევის შეხვედრის დღის წესრიგში შეეტანათ საკითხი პალესტინელთა მდგომარეობის შესახებ. მისი აზრით ეს ისრაელსა და აშშ-ს ერთმანეთს წაკიდებდა.

აღნიშნული წინადადება ასევე მოიწონა სადათმა. როდესაც გრომიკო ტოვებდა ნიუ-იორკს, იგი კმაყოფილებით ხელებს ისრესდა და დარწმუნებული იყო, რომ აშშ-სა და ისრაელს შორის სეპარატისტული მოლაპარაკებების წინ კედელი აღიმართა (57;372). M

1977 წლის 9 სექტემბერს ეგვიპტის პრეზიდენტმა ანვარ სადათმა, ეროვნულ კრების სხდომაზე გააკეთა სენსაციური განცხადება, რომ წავა ცხრა მთას იქით და კნესეთშიც, რათა აწარმოოს სამშვიდობო მოლაპარაკება ისრაელთან. ეს განცხადება გახდა მოტრიალების პუნქტი ახლო აღმოსავლეთის ისტორიაში. თავის გამოსვლაში სადათმა აჩვენა ყველა უპირატესობა, რაც ეგვიპტეს მოუტანდა ისრაელთან მშვიდობის დამყარება (331;72).

ბუტროს ბუტროს ღალის მტკიცებით, პალესტინის ავტონომიის ლიდერი იასირ არაფატი, რომელიც ესწრებოდა სხდომას პირველი იყო ვინც ტაში დაუკრა სადათის გამოსვლას. «მაგრამ, ვერც არაფატმა, ვერც ჩემმა კოლეგებმა, ვერც მე, ვერ გავიგეთ პრეზიდენტის მიერ ნათქვამი სიტყვების აზრი. უმეტესობამ მივიღეთ ეს სიტყვები, როგორც მეტაფორა, რომელიც აჩვენებდა სადათის მზადყოფნას, რომ იგი არ დაიშურებს ძალისხმევას მშვიდობის მისაღწევად» (327;20).

ასეთი რამ არავის თავში აზრადაც არ მოუვიდოდა. ეს განცხადება გაკეთდა მას შემდეგ, რაც ისრაელის დაზვერვის ხელმძღვანელმა გენერალმა ჰ. ჰოფიმ, ისრაელის პრემიერ-მინისტრს მოუტანა დაზვერვის მიერ მოპოვებული მასალები, იმის თაობაზე, თუ როგორ ამზადებდა «ფანტასტიკურ შეთქმულებას» «თავისი ძმის» პრეზიდენტ სადათის წინააღმდეგ ლიბიის ლიდერი, პოლკოვნიკი მუამარ კადაფი. ბეგინმა გადაწყვიტა ეს მასალები ჯერ გადაეცა მაროკოს მეფე ჰასან II-სათვის. ლიბიის ლიდერი ამზადებდა ნიადაგს სადათის ჩამოგდებისათვის (57;505).

მაროკოს მეფემ კასაბლანკაში მოაწყო ისრაელის დაზვერვის შეფის გენერალ ჰოფას და ეგვიპტის დაზვერვის ხელმძღვანელის ჰასან ალის შეხვედრა. აღნიშნული მასალებში შედიოდა კონკრეტული სახელები, ტელეფონები, იარაღის საწყობების ადგილემდებარეობა, კოდები და კავშირის არხები, როლებიც უშუალოდ ლიბიის დედაქალაქამდე მიდიოდა. უკვე პირველმა შემოწმებამ აჩვენა, რომ ებრაელებმა ნამდვილი დოკუმენტები გადასცეს. სადათისათვის ეს დიდი აღმოჩენა იყო. დაიწყო დაპატიმრებები. 21 ივლისს ეგვიპტის ჯარები შეიჭრენ ლიბიის ტერიტორიაზე, ხოლო ბომბდამშენებმა დარტყმა მიაყენეს ლიბიის ზოგიერთ ქალაქს, სადაც განლაგებული იყო «ანტიეგვიპტური

ძალების» ბაზები და გამაგრებული პუნქტები. სადათს არ სჯეროდა, რომ შეთქმულების შესახებ არ იცოდნენ მოსკოვში და ვაშინგტონში. «რუსები კადაფის მხარეზე არიან _ ეს გასაგებია! მაგრამ, რატომ არიან გაჩუმებული ამერიკელები? მაშინ, სინამდვილეში, მარტო ებრაელებთან არის საჭირო დიალოგის გამართვა სინასა და Mმთელი ახლო აღმოსავლეთის საკითხებთან დაკავშირებით?» _ ფიქრობდა სადათი. მალე მან მიმართა მაროკოს მეფეს თხოვნით შეხვედრის ორგანიზების თაობაზე ისრაელის პრემიერთან. ეს იყო ალბათ, «ცივი ომის» ის ერთ-ერთი ეპიზოდი როცა «ორი ზესახელმწიფო კარგავს დროს პაექრობაში, ხოლო ამ დროს მათ ზურგს უკან პატარა ქვეყნები ახორციელებდენ თავიანთ საქმეებს» (147).

ისრაელის პრემიერმა ბეგინმა აშშ-ს, რუმინეთის, ინდოეთისა და მაროკოს საიდუმლო არხების მეშვეობით, ჩააყენა ეგვიპტის მხარე საქმის ყურში თავის მზადყოფნაზე ტერიტორიალური დათმობების შესახებ. 1977 წლის სექტემბერში მაროკოში, მოსადის დახმარებით შედგა პირველი «კონსტრუქციული» შეხვედრა ეგვიპტესა და ისრაელის საიდუმლო ემისრებს შორის მეფე ჰასან II-ს შუამავლობით ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრის მოშე დაიანისა და სადათთან დაახლოებული პირის ჰასან ატ-ტუამის შორის, რომელმაც მოამზადა ნიადაგი მომავალი ინიციატივებისათვის (186). მან გაარკვია ბევრი რამ ისრაელის მხარისათვის. აღმოჩნდა, რომ სადათს ნაკლებად აღელვებდა პალესტინის სახელმწიფოს შექმნის საკითხებთან დაკავშირებული ვითარება, რომ იგი განიცდის დიდ ზეწოლას თავიანთი ხალხისაგან და საბოლოოდ შეცვალა პოლიტიკური ორიენტაცია აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ.

ამ პერიოდში გარდა მაროკოს მეფე ჰასანის შუამავლობისა, ასევე მონაწილეობდნენ საიდუმლო მოლაპარაკებებში, ავსტრიის კანცლერი ბ.კრაისკი და ირანის შახი, ისრაელის შრომის პარტიის ლიდერი შიმონ პერესი, რომელიც სადათის აზრით უნდა მოსულიყო ხელისუფლების სათავეში 1977 წლის მაისის, არჩევნების შემდეგ. მაგრამ არჩევნებში ბლოკ «ლიკუდის» (ლიბერალურ-ცენტრისტული პარტიათა ჯგუფი) ლიდერის მენახემ ბეგინის გამარჯვების შემდეგაც, როცა დამთავრდა შრომის პარტიის «ავოდას» 30 წლიანი მმართველობის პერიოდი, ისრაელთან კონტაქტები გაგრძელდა (295).

ერთი სიტყვით, იქმნებოდა საერთო პლატფორმა, რომელიც აძლევდა სადათს და ისრაელის პრემიერ-მინისტრს მენახემ ბეგინს ახლო აღმოსავლეთის პროცესის მკვდარი

წერტილიდან დაძვრისათვის. ისრაელს ესმოდა, რომ არაბულ გარემოცვაში მშვიდობის დამყარება მეზობელ არაბულ ქვეყანასთან იქნებოდა უფრო სამართლიანი გზა თვითგადარჩენისა და სხვა პრობლემების გადასაწყვეტად. ისრაელი მოუწოდებდა თავის მეზობლებს პირდაპირი მოლაპარაკებებისაკენ, აცხადებდა, რომ იგი მზადაა გაუნაწილოს მათ მის მიერ წინა ომების შედეგად დაპყრობილი ტერიტორიები. 1977 წ. 20 ივნისს, ისრაელის პრემიერ-მინისტრის პოსტზე არჩეულმა მენახემ ბეგინმა ქნესეთის წინაშე გამოსვლისას განაცხადა: «მე მოვუწოდებ მეფე ჰუსეინს, პრეზიდენტ სადათს და პრეზიდენტ ასადს ჩამობრძანდნენ ისრაელში, რათა განვიხილოთ ჭეშმარიტი მშვიდობის დამყარების შესაძლებლობები მათ ქვეყნებსა და ისრაელს შორის. ძალზე ბევრი სისხლი დაირვარა ჩვენს რეგიონში, ებრაელთა და არაბთა სისხლი. მოდით, ზღვარი დავუდოთ სისხლისღვრას და მოვუსხდეთ მოლაპარაკებათა მაგიდას» (63;54). მაგრამ არაბი მეთაურები არ ჩქარობდენ იმ მიზეზით, რომ ისრაელთან გამუდმებული დაპირისპირების მდგომარეობა საშუალებას აძლევდა მათ ხელისუფლების სათავეში ყოფნას, მიუხედავად შიდა სიძნეელეებისა.

ეგვიპტესა და ისრაელს შორის მუდმივი კონტაქტების დამყარების ფონზე, 1977 წლის 19 ნოემბერს სადათმა მაღალი რანგის თანამდებობის პირთა თანხლებით დაიწყო ისტორიული ვოიაჟი იერუსალიმში (327;30). ეგვიპტის საგარეო საქმეთა სამინისტრომ აცნობა ისრაელის საგარეო უწყებას, რომ პრეზიდენტ მუჰამად ანვარ ას-სადათმა მიიღო გადაწყვეტილება ჩავიდეს ვიზიტით ირუსალიმში, ალ-აქსას მეჩეთში ყურბან-ბაირამის რელიგიური დღესასწაულის აღნიშვნასთან დაკავშირებით (144).

სიტყვა, რომლითაც ის გამოვიდა ქნესეთში 1977 წლის 20 ნოემბერს, მოიცავდა საერთო არაბული მოთხოვნების ნუსხას და ეგვიპტის მზადყოფნას ზავისათვის. ქნესეთის ტრიბუნიდან სადათმა განაცხადა: «მე მოვედი თქვენთან არა იმიტომ, რომ დავდო სეპარატული შეთანხმება ისრაელსა და ეგვიპტეს შორის, ვინაიდან სეპარატული შეთანხმება ისრაელსა და მის მოწინააღმდეგე ქვეყანას შორის არ მოიტანს სამართლიან მშვიდობას რეგიონში». სადათმა თავისი გამოსვლა დაამთავრა სიტყვებით, _ არა ომი! არა სისხლისღვრა!» (263;346). გავლენიანი ამერიკული ჟურნალის TIMES-ის კაიროს ბიუროს დირექტორის უილტონ ვინსთან ინტერვიუში სადათმა განაცხადა: «რა მსუსრ მე ამ

ვიზიტისაგან _ ის რომ უნდა დავანგრიო ფსიქოსოგიური კედელი ჩვენსა და ისრაელს შორის» (275).

ეგვიპტისათვის ისრაელთან მშვიდობის დამყარება აუცილებელი იყო და სადათმა გადადგა სარისკო და მამაცი ნაბიჯი თავისი ქვეყნის კრიზისიდან გამოსაყვანად. ებრაელები კი სიფრთხილით მოეკიდნენ ოქტომბრის ომის გმირის სიტყვებს. ისინი რათქმაუნდა მოხარულები იყვნენ მშვიდობის დამყარების პერსპექტივით, მაგრამ დაპყრობილი ტერიტორიების დაკარგვა და პალესტინის სახელმწიფოს შექმნის იდეა მათ ნაკლებათ ახარებდათ. სიონისტების იდეა «დიდი ისრაელი ნილოსიდან ევფრატამდე» _ აღმნოჩნდა საშიშროების ქვეშ. მაგრამ სადათის კეთილმა ნებამ გახსნა გზა მომავალი მოლაპარაკებებისათვის (128).

«გახდა ნათელი, თუ რა უფსკრული ჰყოფს ეგვიპტესა და ისრაელის პოზიციებს» _ ასეთი დასკვნა გამოიტანა ეგვიპტის მაშინდელმა საგარეო საქმეთა სახელმწიფო მინისტრმა ბუტროს ღალიმ პრემიერ-მინისტრის ბეგინის საპასუო სიტყვის შემდეგ, რომელმაც ერთი სიტყვითაც არ მოიხსენია პალესტინელი ხალხის უფლებები (327;30). პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის აღმასრულებელი კომიტეტის წვრებმა და ყველა პალესტინური ორგანიზაციის წარმომადგენლებმა, ლიბიამ, ალჟირმა, სამხრეთ იემენმა, სირიამ, ერაყმა მკაცრად გააკრიტიკეს ანვარ სადათის ქმედებები, რომელიც «არაბული სოლიდარობის პრინციპებზე დარტყმად» დაახასიათეს და მოუწოდეს არაბულ ქვეყნებს მისი პოლიტიკის დაგმობა (263;357).

იერუსალიმიდან სადათის დაბრუნების შემდეგ, ეგვიპტესა და ისრაელს შორის ინტენსიური მოლაპარაკებები დაიწყო ახლო არმოსავლეთის პრობლემის მოგვარებისა და ორმხრივი ურთიერთობების მთელი კომპლექსის საქმეში.

1978 წლის 4 თებერვალს სადათი ოფიციალური ვიზიტით გაემგზავრა აშშ-ში, ხოლო უკანა გზაზე დიდ ბრიტანეთის, გ.ფ.რ.-ის, რუმინეთის, საფრანგეთის, იტალიისა და ვატიკანის ლიდერებსაც შეხვდა, სადაც ისრაელთან კონფლიქტზე ეგვიპტემ საბოლოო უარი განაცხადა (63;54).

მაგრამ კიდევ ერთი წელიწადი, მხარეებმა ვერ შეათანხმეს თავიანთი პოზიციები, რომლებიც უნდა ყოფილიყო ორ ქვეყნებს შორის ურთიერთობების განმსაზღვრელი დოკუმენტების საფუძველი. ამან აიძულა აშშ-ს პრეზიდენტი ჯიმი კარტერი მოეწვია

ორივე ქვეყნის ლიდერი ამერიკაში, რათა მხარეებს გადაელახა არსებული სიძნელეები. აშშ-ს პრეზიდენტ ჯიმი კარტერის ინიციატივით 1978 წლის 17 სექტემბერს მერილენდის მთებში მდებარე პრეზიდენტის რეზიდენციაში კემპ-დევიდში, ისრაელის პრემიერ-მინისტრის მენახემ ბეგინისა და ეგვიპტის პრეზიდენტ ანვარ სადათის მონაწილეობით შედგა მოლაპარაკებები (240). ხელი მოეწერა ორ დოკუმენტს _ «ჩარჩო-ხელშეკრულება ეგვიპტესა და ისრაელს შორის სამშვიდობო შეთანხმების დამყარებისათვის» და «ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო ჩარჩო-ხელშეკრულება» და აგრეთვე გადაწყდა მოლაპარაკებების ჩატარება დასავლეთ ნაპირისათვის ავტონომიის მინიჭებასთან დაკავშირებით (218). ბეგინის სიტყვებით, ამერიკის პრეზიდენტი მუშაობდა უფრო მძიმედ, ვიდრე «ჩვენი წინაპრები, რომლებიც პირამიდას აშენებდენ» (128).Eეგვიპტელი მკვლევარის ალი ჰილალ დისუკის აზრითAამ შეთანხმებების ხელმოწერა წარმოადგენს ეგვიპტის საგარეო პოლიტიკაში ახალი ეტაპის დასაწყისს (265;94).

ეგვიპტის მხრიდან მოლაპარაკებების უშულაო მონაწილე Bბუტროს ბუტროს ღალის მოტკიცებით, კონსულტაციები კემპ-დევიდში მიმდინარეობდა რთულ და დაძაბულ ვითარებაში. მისი სიტყვებით, სადათმა რამდენჯერმე მიიღო გადაწყვეტილება შეეწყვიტა მოლაპარაკებები, მაგრამ მან არ გააკეთა ეს. «იყო გასაგები და ნათელი სადათის სურვილი კემპ-დევიდის შეხვედრები დამთავრებულიყო საერთაშორისო ხელშეკრულების ხელმოწერით, ნებისმიერ ფასად. როგორც სადათი თვლიდა, ამ დოკუმენტის გარეშე მისი გამგზავრება იერუსალიმში და შემდგომი დიპლომატიური ინიციატივები წარუმატებელი გახდებოდა (327;137).

მიუხედავად სადათის მრავალჯერად განცხადებისა _ ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის ყოვლისმომცველი მოგვარება შეუძლებელია ისრაელის მიერ მის მოწინააღმდეგე ერთ-ერთი არაბულ ქვეყანასთან მშვიდობის დამყარების მეშვეობით, ზუსტად ასეთ მშვიდობისაკენ მიდიოდა ეგვიპტის ლიდერი.

ამას ადასტურებს ბუტროს ბუტროს ღალი თავის წიგნში: «სადათის ერთადერთი მიზანი იყო ეგვიპტური მიწის _ სინას დაბრუნება. დანარჩენი საკითხების გადაწყვეტა მისთვის მეორეხარისხოვანი იყო, სანამ ეს პრიორიტეტული მიზანი არ იქნებოდა მიღწეული.» რაც შეეხება დღის წესრიგში მდგარ პალესტინის პრობლემას, ბუტროს ღალის აზრით, «სადათი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ეგვიპტეს არ შეუძლია ჯერ პალესტინელი

ხალხის კანონიერი უფლებების დასაცავად ბრძოლა, სანამ ეგვიპტის ტერიტორია ისრაელის ოკუპაციის ქვეშ იმყოფებოდა» (327;137).

ამიტომ კემპ-დევიდში ხელმოწერილი შეთანხმებები ერთმანეთთან არ იყო იურიდიულად დაკავშირებული, რაც მათი რეალიზაციის შესაძლებლობას იძლეოდა სხვადასხვა მიმართულებით.

პირველი შეთანხმების «ჩარჩო-ხელშეკრულება ეგვიპტესა და ისრაელს შორის სამშვიდობო შეთანხმების დამყარებისათვის» მიხედვით მხარეები აღუთქვამენ სამთვიან ვადაში სამშვიდობო ხელშეკრულების ხელმოწერას. ანვარ სადათმა გამოთქვა თანხმობა ისრაელთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების თაობაზე, სინადან ისრაელის ჯარების გამოყვანის დასრულებამდე და ასევე იმ დაბრკოლებების ლიკვიდაციას, რომლებიც ხელს უშლიდნენ კაპიტალისა და მუშახელის თავისუფალ მოძრაობას ორ ქვეყანას შორის.

რაც შეეხება კემპ-დევიდის მეორე «ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო ჩარჩო-ხელშეკრულებას», ის დაიდო იმისათვის რათა «მიღწეულიყო ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის სამართლიანი, ყოვლისმომცველი და მტკიცე მოგვარება სამშვიდობო ხელშეკრულებების მეშვეობით, რომელიც დაფუძნებული იქნებოდა გაეროს უშიშროების საბჭოს № 242 და № 338 რეზოლუციებზე ყველა მის ნაწილში» (265;111-112).

ამ ხელშეკრულების დადება პირველ რიგში, ისახავდა მიზნათ მდინარე იორდანის დასავლეთ სანაპიროსა და ღაზას სექტორში 1967 წ. ისრაელის მიერ ოკუპირებული პალესტინურ მიწებთან დაკავშირებული პრობლემის გადაწყვეტას. ამისათვის «ეგვიპტემ, ისრაელმა, იორდანიამ და პალესტინელი ხალხის წარმომადგენლებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა მოლაპარაკებებში პალესტინის პრობლემის გასაწყვეტად ყველა მის ასპექტში» სამ ეტაპად:

პირველ ეტაპზე გათვალისწინებული იყო გარდამავალი ღონისძიებები დასავლეთის სანაპიროსა და ღაზასათვის, რომელთა შესრულება გაგრძელდებოდა 5 წელი. მას შემდეგ, რაც ამ ტერიტორიებზე ჩატარდებოდა არჩევნები ადგოლობრივი ხელისუფლების ორგანოებში, ისრაელის სამხედრო ადმინისტრაცია ლიკვიდირებული იქნება, მაგრამ ჯარები დარჩებოდა. მეორე ეტაპზე, «ეგვიპტე, ისრაელი და იორდანია შეათანხმებენ არჩეული თვითმმართველობის ხელისუფლების დამყარების პირობებს დასავლეთ

სანაპიროსა და ღაზაში. ასევე, ამ სტადიაზე უნდა მოხდეს ისრაელის ჯარების გაყვანა აღნიშნული ტერიტორიიდან. მესამე ეტაპი _ «მოლაპარაკებები დასავლეთ სანაპიროსა და ღაზის საბოლოო სტატუსის გარკვევისათვის, ისრაელსა და იორდანიას შორის მშვიდობის შეთანხმების დამყარება». მოლაპარაკებები უნდა დაიწყოს ამ 5 წლიანი პერიოდის მესამე წელს. მასში მონაწილეობას მიიღებენ «ეგვიპტე, ისრაელი, იორდანია და ღაზას და დასავლეთ სანაპიროს მოსახლეობის მიერ არჩეული წარმომადგენლები» (263;352-354).

დოკუმენტში ასევე აღნიშნულია, რომ ეგვიპტესა და ისრაელის მიერ სამი თვის განმავლობაში ჩარჩო-ხელშეკრულებათა ხელმოწერის შემდეგ, სავალდებულოა სამშვიდობო ხელშეკრულების დადება (123;193).

ჩარჩო-ხელშეკრულების ბოლო ნაწილში წერია, რომ «ზემოთ მოყვანილი პრინციპები და დებულებები, უნდა გამოიყენონ სამშვიდობო ხელშეკრულებაში ისრაელთან და თითოეულ მის მეზობელ ქვეყნებთან (ეგვიპტე, იორდანია, სირია და ლიბანი) შორის» (44).

«მშვიდობის ჩარჩოების» შეთანხმება მოიცავდა სხავადასხვა სამხედრო-პოლიტიკური, სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის ასპექტებს, იწვევდა სხვა არაბულ ქვეყნებს ეგვიპტე-ისრაელის მოლაპარაკებებში ჩართვისათვის და სთავაზობდა ამისათვის მშვიდობის დამყარების მოწესრიგებულ ეტაპებს, მაგრამ ერთპიროვნული ამერიკული მფარველობის ქვეშ (44).

შეთანხმების იმ ნაწილში, რომელიც ეხებოდა პალესტინის პრობლემის გადაწყვეტას, მოხსენიებულია მხოლოდ ეგვიპტე, ისრაელი და იორდანია, ვინაიდან დოკუმენტის ავტორები თვლიდნენ, რომ პალესტინური წარმონაქმნი შესაძლებელია შეიქმნას მხოლოდ იორდანიასთან კონფედერაციით. ამასთანავე «პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაცია», რომელიც აღიარებულია ყველა არაბული ქვეყნის მიერ, როგორც პალესტინელი ხალხის ერთადერთი კანონიერი წარმომადგენელი, შეთანხმებაში მოხსენიებული საერთოდ არ იყო (44).

კემპ-დევიდის შეთანხმებები საფუძვლად დაედო ისრაელსა და ეგვიპტეს შორის სამშვიდობო ხელშეხრულებას, რომელიც ხელმოწერილ იქნა ვაშინგტონში 1979 წლის 26 მარტს თეთრი სახლში, ვარდების ბაღში (106), 30 წლის დაპირისპირებისა და ოთხი ომის შემდეგ ისრაელმა და ეგვიპტემ დიდი ზარ-ზეიმით ხელი მოაწერეს ისტორიულ შეთანხმებას (287).

შეთანხმების პირველ მუხლში მხარეებმა დაადასტურეს ომის შეწყვეტის ფაქტი. ეს მუხლი ხაზს უსვამდა ისრაელის შეიარაღებული ძალებისა და სამოქალაქო პერსონალის გამოყვანას სინას ნახევარკუნძულიდან. ევაკუაცია უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად 3 წლის განმავლობაში და დასრულდა კიდეც 1982 წლის აპრილისათვის (285).

ხელშეკრულებაში აღნიშნულია ეგვიპტის სუვერენიტეტის აღდგენა სინას ნახევარკუნძულზე. ეგვიპტის მხრიდან, ისრელთან საზღვრისა და აკაბის ყურის გასწვრივ, შეიქმნა დემილიტარიზირებული ზონა 20-40 კმ. სიგანით, ხოლო ნახევარკუნძულის დანარჩენ ნაწილზე ეგვიპტეს შეეძლო მხოლოდ განსაზღვრული შეიარაღებული ძალების განლაგება (123;195).

რაც შეეხება ისრაელს, მისთვის ერთადერთ შეზღუდვად იყო 3 კმ. სიგანის სასაზღვრო ზოლის შექმნა, სადაც მას ჰქონდა უფლება არაუმეტეს ოთხი ქვედანაყოფის დისლოცირებისა. ამრიგად, ისრაელის მხრიდან არ იყო შექმნილი დემილიტარიზირებული ზონა ან გაეროს სამშვიდობოებისათვის განლაგების ზონა. ამასთან ერთად, ისრაელის გემებმა მიიღეს გასვლის უფლება სუეცის არხზე, ხოლო აშშ-ს ვალდებულებაში შედიოდა სამხედრო-საჰაერო ბაზების შექმნა ნეგევის უდაბნოში.

ხელშეკრულების მეექვსე მუხლში ნათქვამი იყო მისი პრიორიტეტის შესახებ სხვა დანარჩენ სახელშეკრულებო ვალდებულებებთან შედარებით. მხარეებმა უარი უნდა თქვან რაიმე ისეთი ვალდებულების აღებაზე, რომელიც ეწინააღმდეგება ამ შეთანხმებას.» (43)

საბჭოთა მკვლევარის კნიაზევის შეფასებით «სეპარატული შეთანხმება და მისი წინამდებარე დოკუმენტები ატარებენ არათანასწორუფლებიან ხასიათს, რამაც გარკვეულად შელახა ეგვიპტის სახელმწიფო სუვერენიტეტი» (123;196). სადათი გადასცემდა ისრაელს ღაზას სექტორს, რომლიც 1967 წლის ოკუპაციამდე იმყოფებოდა ეგვიპტის ადმინისტრაციული კონტროლის ქვეშ, ხოლო ეგვიპტესა და ისრაელს შორის საზღვრად ითვლებოდა «აღიარებული საერთაშორისო საზღვარი ეგვიპტესა და პალესტინის ყოფილი სამანდატო ტერიტორიას შორის».

გაეროსა ან საერთაშორისო ჯარების დისლოცირება უნდა მოხდეს მხოლოდ ეგვიპტის ტერიტორიაზე, როცა ამავე დროს ისრაელის ტერიტორიაზე განსაზღვრულია მხოლოდ დამკვირვებელთა ყოფნა (43).

თავის მხრივ შეერთებული შტატები გარანტიას აძლევდა ისრაელს ეგვიპტის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების თაობაზე, ისრაელთან თანხმობის მემორანდუმის ხელმოწერით, რომლის მესამე პუნქტშია აღნიშნული, რომ «თუ დადგინდა, რომ სამშვიდობო ხელშეკრულების დარღვევა გამოიწვევს ისრაელის უსაფრთხოების დარღვევას, ან ისრაელზე შეიარაღებულ თავდასხმას, მაშინ აშშ საგანგებო საფუძველზე დაყრდნობით მიიღებს ისეთ ზომებს, როგორიცაა ამერიკის არსებობის გაფართოება ამ რაიონში, ისრაელისათვის დახმარების აღმოჩენა, რათა ბოლო მოეღოს ასეთ დარღვევას». და ეს, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ შეთანხმების მეშვიდე მუხლში ნათქვამია, რომ «თუ უთანხმოება ვერ გადაწყდება მოლაპარაკებების გზით, ისინი უნდა გადაწყდეს თანხმობის საფუძველზე ან გადაცემულ იქნას საარბიტრაჟო სასამართლოსათვის» (101;150).

მონაწილეთა ფინანსური წახალისების მიზნით აშშ-მ შესაბამის ზომები მიიღო. 1979 წლის 9 აპრილს პრეზიდენტ კარტერმა ამერიკის კონგრესს განსახილველად გადასცა სპეციალური კანონპროექტი «საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის, დამატებითი დახმარების აღმოჩენა 1979 საფინანსო წელს ეგვიპტესა და ისრაელს შორის სამშვიდობო შეთანხმებისა და შესაბამისი ხელშეკრულებების მხარდასაჭერად» (სპეციალური საერთაშორისო საიდუმლო დახმარების აქტი 1979 (P.L. 96-35) (285). სამხედრო დახმარების სახით ისრაელს სამი წლის განმავლობაში 3 მლრდ. აშშ დოლარი გამოეყო, მათ შორის 800 მლნ. უანგარო სუბსიდიების სახით. ეგვიპტეს ამავე პერიოდში გადაეცა 1,8 მლრდ. აშშ დოლარი, მათ შორის 300 მლნ. დამატებითი ეკონომიური დახმარების სახით, ხოლო 1,5 მლრდ. შეიარაღებისა და სამხედრო აღჭურვილობის შესაძენად. ამერიკის პრეზიდენტმა აღუთქვა ეგვიპტელებს, რომ ყოველწლიურად მათთვის საშუალოდ ერთ მლრდ. აშშ დოლარის ეკონომიკურ დახმარებას აღმოუჩენდა.

ოფიციალური მონაცემებით აშშ-მ ბოლო 15 წლის განმავლობაში ეგვიპტეს აღმოუჩინა დახმარება შემდეგი სახით: 4,6 მლრდ., 12,6 მლრდ. (სამხედრო გრანტი), 20 მლრდ. აშშ დოლარი (სამხედრო გადამზადებისა და სწავლებისათვის). დაახლოებით 1,1 მლრდ. აშშ დოლარი წელიწადში. მთლიანად 1946 წლიდან 1998 წლის ჩათვლით აშშ-მ დახარჯა 91,340 მლრდ. აშშ დოლარი (251). რაც შეეხება ისრაელს 1979 წლისათვის მთლიანმა დახმარებამ შეადგინა 4,8 მლრდ. აშშ დოლარი. ხოლო 1971 წლიდან დღემდე ისარელი ყოველწლიურად ღებულობდა საშუალოდ 2 მლრდ. აშშ დოლარის დახმარებას (252).

1979 წლის სამშვიდობო შეთანხმება ეგვიპტესა და ისრაელს შორის არის პირველი მაგალითი არაბ-ისრაელის ხელშეკრულებისა, რომელიც დაიდო «მშვიდობის ფარგლების» საფუძველზე. მისმა დადებამ ზიანი მიაყენა ებრაული სახელმწიფოს წინააღმდეგ ერთიანი არაბული ფრონტის იდეას და ფაქტიურად ისრაელის სერიოზულ პოლიტიკურ გამარჯვებად ჩაითვალა.

ეგვიპტის მხრიდან მოლაპარაკებებში მონაწილეობდა პრეზიდენტი ანვარ სადათი, საგარეო საქმეთა მინისტრი იბრაჰიმ ქამალი; საგარეო საქმეთა სახელმწიფო მინისტრი ბუტროს ბუტროს ღალი.

ისრაელის მხრიდან მოლაპარაკებებში მონაწილეობდა პრემიერ-მინისტრი მენახემ ბეგინი, საგარეო საქმეთა მინისტრი მოშე დაიანი, თავდაცვის მინისტრი ეიზერ ვეიცმანი და ისრაელის ელჩი აშშ-ში სიმჩა დინიცი.

ხოლო ამერიკის მხრიდან _ პრეზიდენტი ჯიმი კარტერი, სახელმწიფო მდივანი საირუს ვენსი, მრჩეველი ეროვნული უშიშროების საკითხებში ზბიგნევ ბჟეჟინსკი და უშიშროების საბჭოს წარმომადგენელი უილიამ ბ.Kკვანდტი (32).

«ხელმოწერა შედგა. გაისმა აპლოდისმენტების ხმა. სამი ლიდერი წავიდა. ამერიკელები ზეიმობდნენ. ისრაელის მხარე იგივე გრძნობებს განიცდიდა. ეგვიპტის დელეგატები დათრგუნული გამოიყურებოდენ და მათი გრძნობები მათ სახეებზე ეწერა», _ ასე აღწერს ბუტროს ღალი იმ ატმოსფეროს, რომელიც სუფევდა სამშვიდობო ხელშეკრულების ხელმოწერისას (327;204-205). თითქოს ჩანდა, რომ ეგვიპტისათვის მომგებიანი იყო ამ შეთანხმების ხელმოწერა, რადგანაც ის წყვეტდა ისრაელთან საომარ მდგომარეობას, გარანტიას იძლეოდა სამხედრო ხარჯების გადართვას ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადასაწყვეტად და ასევე ამერიკის ფინანსური დახმარების მიღებას. ამასთან ერთად ეგვიპტე არაბულ სამყაროსაგან იზოლაციაში აღმოჩნდა, რადგანაც პალესტინის პრობლების გადაწყვეტის საქმეში წინსვლა არ იყო.

საინტერესოა, რომ შეთანხმება ხელმოწერილ იქნა მენახემ ბეგინის _ ლიკუდის ბლოკის ლიდერის მიერ, რომელიც მოითხოვდა ისრაელის გაფართოებას ბიბლიური საზღვრების ფარგლებში, ანუ სინას ნახევარკუნძულის ჩათვლით. აღნიშნულ შემთხვევაში ირაელში გაიმარჯვა საქმისადმი რეალისტურმა მიდგომამ _ სურვილი დამყარდეს სამხრეთ საზღვართან სიმშვიდე და უსაფრთხოება (264).

ეგვიპტესა და ისრაელს შორის სამშვიდობო შეთანხმების ძალაში შესვლის ერთი თვის შემდეგ, დაიწყო მოლაპარაკებები ე.წ. «გადადებული სტატუსის» პრობლემების შესახებ, კონკრეტულად კი, პალესტინის ავტონომიისა და დასავლეთ სანაპიროსა და ღაზას სექტორში «თვითმმართველობის ორგანოებში» არჩევნების წესის შესახებ, მათ ვალდებულებებსა და უფლებებზე. მოლაპარაკებებზე მონაწილეობის მისაღებად მოიწვიეს იორდანიის, დასავლეთ სანაპიროსა და ღაზის პალესტინელები, ოღონდ იორდანიის დელეგაციის შემადგენლობაში.

მოლაპარაკებები, ძირითადად, დავიდა დელეგაციის წევრების მიერ ავტონომიის საკითხების განხილვამდე და მხოლოდ მეოთხე მცდელობიდან მხარეებმა მიიღეს კონკრეტული გადაწყვეტილებები. 1979 წლის ივლისში, ალექსანდრიაში შეხვედრისას ეგვიპტე და ისრაელი შეთანხმდნენ კომისიის ჩამოყალიბებზე იმ საკითხთა განსახილველად, რომელიც ეხებოდა ოკუპირებულ ტერიტორიებზე არჩევნების გამართვას და ასევე ამ ორგანოს უფლებამოსილების განსაზღვრის კომისის ფორმირებაზე. 1979 წლის ოქტომბერში მიღწეულ იქნა თანხმობა არჩევნების მსვლელობაში ებრალ სამოქალაქო პირთა და ადგილობრივ პალესტინელთა კონტროლის შესახებ (123;200-201).

შედეგად, მოლაპარაკებაში მონაწილე ამერიკელებმა ყურადღება გადაიტანეს მეორეხარისხოვანი ტექნიკურ საკითხების განხილვისათვის, ხოლო საკვანძო პრობლემების გადაწყვეტა გადადეს უფრო გვიანი ვადით. «მშვიდობა დამყარდა, _ განაცხადა ჯიმი კარტერმა, _ ჩვენ გავიმარჯვეთ ყოველი შემთხვევისათვის, გადაიდგა პირველი ნაბიჯი მშვიდობისაკენ, პირველი ნაბიჯი გრძელ და რთულ გზაზე» (128).

მაგრამ ხელმოწერას სირთულეებიც ახლდა, რომელიც გახდა ნათელი მენახემ ბეგინის ემოციური სიტყვეს შემდეგ, სადაც ამტკიცებდა, რომ იერუსალიმი უნდა დარჩეს ისრაელის განუყოფელი ნაწილი. ანვარ სადათმა კი შეახსენა ყველა მხარეს შეთანხმების შემდეგ ნაბიჯად პალესტინის ავტონომიასთან დაკავშირებული საკითხების განხილვის აუცილებლობაზე. თუ სინას ნახევარკუნძულთან საკითხი გადაწყვეტილი იყო, გოლანის მაღლობებთან და დასავლეთ სანაპიროსთან დაკავშირებული საკითხის გადაწყვეტა უფრო რთული იყო, რომ არაფერი ვთქვათ იერუსალიმზე. მართალია პალესტინელებმა მიიღეს ავტონომია, ისარელი არ აპირებდა დასახლებების აღებას დასავლეთ სანაპიროზე.

მაგრამ, არ იქნება სწორი ვიმსჯელოდ, რომ აშშ-ს მთავრობა არ იჩენდა ძალისხმევას პალესტინის საკითხთან დაკავშირებით. ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგი ნორმან პოდგორეცის აზრით კარტერის გეგმებში შედიოდა «დამოუკიდებელი პალესტინური სახელმწიფოს შექმნა».მან დაავალა, არსებული ამერიკა-ისრაელის შეთანხმების გვერდის ავლით, აშშ-ს ელჩს გაეროში ენდრიუ იანგს გაემართა საიდუმლოდ მოლაპარაკებები პ.გ.ო.-ს წარმომადგენლებთან. კარტერისა და ისრაელის ურთიერთოიბები იმდენად შეიცვალა, რომ 1981 წლის საპრეზიდენტო არჩენვებში ამერიკის ებრაელთა უმრავლესობამ ხმა რესპუბლიკური პარტიის კანდიდატს რონალდ რეიგანს მისცა (127).

ეგვიპტური ჟურნალის Rose Al Youssef-ის მთავარი რედაქტორის მუჰამად აბდ ალ-მუნაიმის აზრით, სადათმა გაუსწრო თავის ეპოქას, როცა გადაწყვიტა მშვიდობის დამყარება ისრაელთან. ვეტერანი დიპლომატის თაჰსინ ბაშირის აზრით, რომელიც ეგვიპტის დელეგაციის წარმომადგენელი იყო მოლაპარაკებების დროს, აღნიშნავს, რომ ეგვიპტე-ისარელის მშვიდობის შეთანხმება არსებითად უდიდესი მიღწევაა და დღესაც მხარს უჭერს ასეთ გადაწყვეტილებას: «თუ შეუძლია ვინმემ თქვას «არა» თავისი მიწის ხელახლა დაბრუნებაზე?» (248).

გ) შეთანხმებების მნიშვნელობა და არაბული ქვეყნების რეაქცია

1979 წლის სამშვიდობო შეთანხმებამ ეგვიპტესა და ისრაელს შორის დიდი რეზონანსი იქონია როგორც ახლო აღმოსავლეთის, ისე მსოფლიო პოლიტიკურ წრეებშიც. ეს იყო პირველი «მშვიდობის ფარგლების» საფუძველზე დადებული არაბ-ისრაელის ხელშეკრულება. 30 წლის განმავლობაში ისრაელსა და ეგვიპტეს შორის საომარი მდგომარეობა არსებობდა. ხოლო 16 თვის განმავლობაში ეს ორი დიდი ერი მშვიდობისათვის იღწვოდა. დღეს ჩვენ ვზეიმობთ გამარჯვებას – არა სისხლიანი სამხედრო კამპანიის, არამედ მშვიდობიანი კამპანიით, აღნიშნა ჯიმი კარტერმა (32).

1979 წელს ისრაელმა სამშვიდობო ხელშეკრულებაზე ხელმოწერის ნაცვლად, ეგვიპტეს დაუბრუნა სინას ნახევარკუნძული. შემდგომში ფორმულა «მშვიდობა ტერიტორიის სანაცვლოდ» გახდა ძირითადი საშუალება პალესტინელებსა და ისრაელს შორის მშვიდობიანი მოლაპარაკებების საქმეში. მაგრამ, «არიელის» სტრატეგიული

კვლევების ცენტრის დირექტორის არიე სტავის აზრით, იმის მაგივრად, რომ შექმნილიყო ისრაელის კავშირი არარაბულ უმცირესობებთან ახლო აღმოსავლეთში, ისრაელმა კემპ-დევიდის ფარგლებში, საბჭოთა-არაბულ კონცეპციის ლეგიტიმიზაცია მოახდინა პალესტინელი უმცირესობების და მათი ეროვნული უფლებების შესახებ. ამით მენახემ ბეგინმა შეუწყო ხელი არაბული ქვეყნების ძლევამოსილების გამყარებას (195). სადათი, რომელიც სსრკ-სა და არაბულ ქვეყნებში მოღალატედ შერაცხეს, აღმოჩნდა ყველაზე მოხერხებული და გონებამახვილი არაბული პილოტიკური ლიდერი. ყოველ შემთხვევაში, მისმა სტრატეგიამ დიდი ზეგავლენა მოახდინა ახლო აღმოსავლეთის პილიტიკის შემდგომ განვითარებაზე.

კემპ-დევიდის შეთანხმებამ, არაბულ ანტიისრაელურ კოალიციას ჩამოაშორა მძლავრი არაბული სახელმწიფო. სადათმა დაარღვია კოალიციისა და საერთო არაბული სამყაროს იდეის პრინციპები და წესები. თეთრ სახლთან ახლოს არაბი დემონსტრანტები გაიძახოდენ: «სადათი მოღალატე!» (327;205). არაფატი იმუქრებოდა სადათის «მოშორებით». იორდანიის მეფემ, სირიისა და ერაყის პრეზიდენტებმა მოიწვიეს კონფერენცია, რომელიც ბოიკოტს უცხადებდა შეთანხმებას და მოუწოდებდა კაიროსთან დიპლომატიური ურთიეთობების გაწყვეტას.

1979 წლის 25 ნოემბერს, გაეროს გენერალური ასამბლეის XXXIV სესიაზე გამოსვლისას, სსრკ-ს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ «ეგვიპტესა და ისრაელს შორის სეპარატული შეთანხმება არაფერს წყვეტს. ეს არის საშუალება რათა მოადუნონ ხალხის გონება.Eესაა გზა რათა დაგროვდეს კიდევ მეტი საწვავის მასალა, რომლემაც შეიძლება კიდევ ერთი ახალი აფეთქება გამოიწვიოს ახლო აღმოსავლეთში» (101;150).

ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის დამყარების ძალისხმევისათვის, ორივე ლიდერი, ბეგინი და სადათი დაჯილდოებულ იქნა 1978 წლის დეკემბერში ნობელის პრემიით მშვიდობის დარგში. დაჯილდოების ცერემონია შედგა ოსლოში და მიდიოდა უშიშროების მიზნით უძველეს ციხესიმაგრეში აკერშესში (296). დინამიტის გამომგონებლის მშვიდობის პრემიებმა, გამოიწვია უარყოფითი რეაქცია ოსლოს ქუჩებში, სადაც დემონსტრანტებმა მკვეთრად დაგმეს ორივე ლაურეატი და გამოვიდენ სეპარატული შეთანხმების დადების წინააღმდეგ.

ამ შეთანხმებაში იმალებოდა დიდი საშიშროება ორივე ლიდერებისათვის. სინადან წასვლამ გამოიწვია მკაცრი კრიტიკა იმ ებრაელების მხრიდან, რომლებიც ეჭვობდენ, რომ ეგვიპტეს ისრაელის განადგურება სურდა. სადათისათვის საშიშროება უფრო სერიოზული იყო. არაბი ლიდერები შეურაწყოფილი იყვნენ იმით, რომ სადათმა არ გაიარა კონსულტაციები მათთან და დაადანაშაულეს იგი უმაღლეს ღალატში. კემპ-დევიდის შეთანხმება კი შეაფასეს როგორც სამარცხვინო კაპიტულაცია. მაგარამ უფრო დიდ საშიშროება წამოვიდა ექსტრემისტული ისლამური ორგანიზაციებიდან, რომელთა რიცხვი გაიზარდა სადათის ისრაელში ვიზიტის შემდეგ. მათ გააპროტესტეს კემპ-დევიდის გადაწყვეტილებები და შეუწყვეს ხელი გასამხედროებული ისლამური დაჯგუფებების გავრცელებას ეგვიპტეში, განსაკუთრებით სტუდენტურ წრეებში. ფიქრიც კი ზედმეტი იყო ესკორტის გაჩერებასა და პრეზიდენტის თანამემამულეებთან უბრალოდ გასაუბრებაზე, როგორც ეს ადრე ხდებოდა (128).

1977 წლის 1 დეკემბერს, ტრიპოლში შეიკრიბენ სადათის პოლიტიკის მოწინააღმდეგე არაბული ქვეყნებისა და პ.გ.ო.-ს ლიდერები, სადაც მიღებულ იქნა დეკლარაცია, რომელშიც ალჟირმა, ერაყმა, ლიბიამ და იემენის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკამ გადაწყვიტეს არაბულ სახელმწიფოთა ლიგის ღონისძიებათა ბოიკოტირება კაიროში (25;225).

1978 წლის ნოემბერს ბაღდადში შედგა არაბულ სახელმწიფოთა მთავრობათა საგანგებო თათბირი, რომელზეც მიუხედავად ამ ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური თუ პოლიტიკური განხსვავებისა, არაბულ სახელმწიფოთა ლიგის 18 წევრმა ერთსულოვნად დაგმეს კემპ-დევიდის შეთანხმებები, როგორც უმაღლესი დონის საერთო არაბული შეხვედრების, არაბულ სახელმწიფოთა ლიგის წესდებისა და პალესტინის პრობლემისადმი გაეროს რეზილუციების ძირფესვიანად საწინააღმდეგო ქმედება (265;103).

პოლიტიკურად გათვალისწინებული იყო კაიროდან არაბი ელჩების გამოწვევა, ეგვიპტის წევრობის შეჩერება არაბულ სახელმწიფოთა ლიგაში, კაიროდან ლიგის შტაბ-ბინის გადატანა თუნისში, ეგვიტის გარიცხვა არაბული დაწესებულებებისა და ორგანიზაციებიდან, რომლებიც ასლ-ის ფარგლებში მოქმედებდნენ. საგარეო საქმეთა მინისტრების სხდომაზე გადაწყდა ეგვიპტის გარიცხვა მიუმხრობლობის მოძრაობიდან, ისლამური კონფერენციის ორგანიზაციიდან, აფრიკის ერთიანობის ორგანიზაციიდან.

ეკონომიკური სანქციები ითვალისწინებდა ეგვიპტისათვის ფინანსური, ეკონომიკური და ტექნიკური დახმარების შეწყვეტას, ასევე ასლ-ის ეკონომიკური და ფინანსური დაწესებულებების ფარგლებში დახმარების შეწყვეტა და მასთან ერთობლივ თანამშრომლობაზე უარის თქმა. ამას გარდა მინისტრებმა მოუწოდეს არაბულ ქვეყნებს ეგვიპტისათვის ნავთობის მიწოდების შეწყვეტა, ეგვიპტის აქციებისა და სახელმწიფო ფირმების ობლიგაციების შეძენის აკრძალვა და ეგვიპტის ბანკებიდან შეტანილი თანხების ამოღება.

გადაწყვეტილებაში სპეციალური პუნქტით აღინიშნა, რომ ეკონომიკური სანქციები არ უნდა შეეხოს არაბულ ქვეყნებში მომუშავე 2 მლნ. ეგვიპტის მოქალაქეთა ინტერესებს, ვინაიდან ეს სანქციები მიმართულია სადათის პოლიტის და არა ეგვიპტელი ხალხის წინააღმდეგ. ბაღდადის სხდომამ დაგმო აშშ-ს პოლიტიკა და ასევე მიმართა თხოვნით გაეროს გადაიტანოს თავისი რეგიონალური ორგანიზაციები კაიროდან სხვა არაბულ ქვეყანაში (25;220-231). არაბული სამყაროს «ნომერ პირველ მტერთან» შეთანხმების დადების მიზეზით, ეგვიპტე თითქმის 10 წლის განმავლობაში იზოლირებულ იქნა არაბული საზოგადოების მიერ და მასთან ბევრმა არაბულმა ქვეყანამ გაწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობები (129).

კემპ-დევიდის ხელშეკრულებებისა და ისრაელთან სამშვიდობო შეთანხმების დადება, გახდა ანვარ სადათის მიერ, მისი წინამორბედის მთავარი საგარეო და საშინაო პოლიტიკის პრინციპებიდან გასვლის ლოგიკურ გაგრძელებად.

ეგვიპტის ახალი საგარეო-პოლიტიკური სტრატეგია, მის დანარჩენ არაბულ სახელმწიფოებთან შეთანხმებულ პოზიციაზე უარის თქმა ახლო აღმოსავლეთის მოგვარების საკითხებში, შექმნეს არაბულ სამყაროში, საშიში სიტუაცია, რომელიც ისედაც არ გამოირჩეოდა ერთიანობით. არსებითად, ოკუპირებული მიწების დაბრუნებისა და პალესტინელთა უფლებების საკითხში იმ პიზიციიდან ეგვიპტის გამოსვლა, რომელიც ეკავა ყველა არაბულ ქვეყნებს, არაერთხელ დამოწმებული, მათ შორის თვით ეგვიპტის მიერ, საყოველთაო არაბული უმაღლესი რანგის შეხვედრებზე, სერიოზულად გაართულეს არაბთა მდგომარეობა, რადგანაც დარჩნენ სამხედრო თვალსაზრისით ყველაზე ძლიერი არაბული ქვეყნის მხარდაჭერის გარეშე (157). მისმა დადებამ ზიანი მიაყენა ებრაული სახელმწიფოს წინააღმდეგ ერთიანი არაბული ფრონტის თვით იდეას, ე.წ. პანარაბიზმის

კონცეპციას, რომლის გამტარებელი და ერთ-ერთი ავტორი ანვარ სადათის წინამორბედი იყო, რაც მისი მთავარი საგარეო და საშინაო პოლიტიკის პრინციპებიდან გასვლის ლოგიკურ გაგრძელებას ნიშნავდა (129).

როგორც კარტერმა აღნიშნა 20 წლის შემდეგ, კემპ-დევიდში ჩვენ არ ვეცადეთ სხვა საკვანძო პუნქტების განხილვა ტერიტორიების საბოლოო სტატუსზე, როგორც საშუალება ლტოლვილების დაბრუნებისა და პალესტინის დამოუკიდებლობისათვის, მაგრამ ვითვალისწინებდით ამ პროცესის გაგრძელებას მომავალში, როცა მიღებული იქნებოდა ეს გადაწყვეტილებები. ძირითადი ყურადღება მაინც გადატანილი იყო ეგვიპტის ტერიტორიის დაბრუნებაზე (110).

ამავე დროს ნათელია რომ, ახლო აღმოსავლეთის მთავარი პალესტნური პრობლემის გადაწყვეტის გარეშე მშვიდობის მიღწევა რეგიონში არ არის შესაძლებებლი და «არც მშვიდობა, არც ომი»-ს მდგომარეობა იქნება შენარჩუნებული (128). ამ საკითხის გადაწყვეტა წარმოადგენს ახლო აღმოსავლეთში სამართლიანი და ყოვლისმომცველი მშვიდობის დამყარების ძირითად ქვაკუთხედს, განსაკუთრებით ებრაელებსა და პალესტინელებს შორის სისხლიანი დაპირისპირების ფონზე. ამიტომ არაბული სამყაროს რეაქცია ეგვიპტის პრეზიდენტის ნაბიჯებზე, პრინციპში, ნაწინასწარმეტყველები იყო (265;115).

უკვე ნათელი იყო, რომ ეგვიპტის ლიდერობას ბოლო მოეღო. «თუ ხვდებოდა ამას სადათი, როცა მიემგზავრებოდა იერუსალიმში ?», ასეთ კითხვას სვამს ბუტროს ღალი. ნამდვილად ყველა არაბული ქვეყანა, სუდანის, ომანისა და სომალის გარდა, მკვეთრად გამოვიდა ანვარ სადათის მიერ წამოწყებული პროცესის წინააღმდეგ (327;109). არაბული ჟურნალ-გაზეთების პუბლიკაციები, სატელევიო გადაცემები, საერთო არაბულ სხდომებზე გაკეთებული განცხადებები და გამოსვლები აჭრელებული იყო სადათის პოლიტიკის კრიტიკით და კემპ-დევიდის შეთანხმებების უარყოფითი შეფასებებით.

ეგვიპტე, რომელიც არაბული სამყაროს გაერთიანების მოძრაობას მეთაურობდა, ეხლა უკვე გარიყულ იქნა თვით არაბი ძმების მიერ, და აღმოჩნდა სრულ იზოლაციაში. 1944 წლის კონფერენციის თავმჯდომარე, რომელმაც გამოიმუშავა ალექსანდრიის ოქმი – არაბულ სახელმწიფოთა ლიგის ქარტიის პირველი მონახაზი, რომელსაც ხელი მოეწერა 1945 წლის 22 მარტს კაიროში, იყო ეგვიპტის პრემიერ-მინისტრი მუსტაფა ნახას ფაშა. ლიგის შტაბ-ბინა გახდა კაირო. ლიგის წევრ-სახელმწიფოთა მოსახლეობის ნახევარზე

მეტი ეგვიპტელები შეადგენდნენ. უმსხვილეს საწევრო შენატანებს იხდიდა ეგვიპტე. გენერალური მდივნები ყოველთვის ეგვიპტელები იყვნენ. ეგვიპტე იყო ეკონომიკური თანამშრომლობისა და კოლექტიური უსაფრთხოების პაქტის ინიციატორი, რომელსაც ხელი მოეწერა 1950 წლის 17 ივნისს და რომელიც გადაღებულ იქნა NATO-ს წესდებიდან. ეგვიპტემ ორგანიზება გაუკეთა პირველ არაბულ სამიტს მეფე ფარუკის თავმჯდომარეობით (325;45-48).

როგორც ეგვიპტესათვის, ისე ისრაელისათვის ობიექტურად მშვიდობა აუცილებილი იყო. ისრაელს სჭირდება საზღვრების უსაფრთხოება საერთაშორისო დონეზე მიღებული № 242 რეზოლუციის შესაბამისად. ზოგიერთი დასავლეთ ევროპელი საგარეო მინისტრი დაეთანხმა ფორმულას «ტერიტორია მშვიდობის სანაცვლოდ». ისრაელი მდებარეობს ახლო აღმოსავლეთში და ამ რეგიონის რეალიებიდან გამომდინარე, შესაძლებელია იგი ისევ გახდეს თავდასხმის ადგილი, ამიტომ მისთვის საზღვრებით უზღუნველყოფა საჭიროა (229;137).

ზბიგნევ ბჟეჟინსკის აზრით: «თუ ჩვენ გვინდა ჭეშმარიტი მშვიდობის დამყარება, გამოსავალი მხოლოდ ერთია: ისრაელის სახელმწიფოს თანაარსებობა პალესტინის სახელმწიფოსთან ისეთ გარემოებაში, როცა პირველისათვის უზრუნველყოფილია უსაფრთხოება, ხოლო მეორესათვის სიცოცხლისუნარიანობა, მშვიდობა კი რეგიონში, აშშ-ს მხარდაჭერის გარეშე არასოდეს დამყარდება.» (213).

კემპ-დევიდის შეხვედრამ და ეგვიპტე-ისრაელის სამშვიდობო შეთანხმების დადებამ შესაძლებელი გახადა ახლო აღმოსავლეთში მსხვილმაშტაბიანი ომის აცილება. როგორც ყველაზე მძლავრი არაბული ქვეყნის – ეგვიპტესთან მშვიდობის დამყარებით, ისრაელმა უზრუნველყო თავისი საზღვრების დაცვა და უკვე სამხრეთიდან მას არაფერი ემუქრებოდა. კემპ-დევიდის შეთანხმების საიდუმლო ნაწილში აღნიშნულია, რომ შეთანხმება უზრუნველყოფს ისრაელის უპირატესობას მუქარის შემთხვევაში მიიღოს ადეკვატური დიპლომატური ან სამხედრო ზომები და ზღუდავდა ეგვიპტის შეიარაღებული ძალებისა და მათი ინფრასტრუქტურის გამოყენებას სინას დასავლეთ ტერიტორიის მესამედზე (231;4-5).

მაგრამ ისრაელში, რუსი პოლიტოლოგის ხამზინის მტკიცებით, ეგვიპტესთან შეთანხნებას უწოდებენ «ცივ მშვიდობას», რისი გულისათვის არ ღირდა სინას გადაცემა და

ნახევარკუნძულზე არსებული დასახლებების დემონტაჟი, ხელმოწერის მომენტში» (180;250). ამას გარდა, ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ისრაელი უფრო და უფრო იმყოფება სრულ იზოლაციაში. არაბულ სამყაროში არ არსებობს რაიმე საზოგადოებრივი, პოლიტიკური ან კონფესიონალური მოძრაობა, რომელიც განწყობილია და მხარს უჭერს ისრაელთან დიალოგს: მხარეებს შორის ურთიერთობების ამპლიტუდა მერყეობს აშკარა სურვილიდან განადგურდეს «სიონისტური წარმონაქმნი», დემაგოგიურ დეკლარაციამდე მშვიდობის დამყარების თაობაზე, ისრაელის ოკუპირებული ტერიტორიებიდან გასვლისა და არაბი ლტოლვილების დაბრუნების სანაცვლოდ. აღნიშნული სიმარტოვე არ არის შემთხვევითი, ვინაიდან ისრაელმა ვერ მოიპოვა მოკავშირეები არაბულ სამყაროში იმიტომ, რომ თვითონ აღმოჩნდა ძალიან ცუდი მოკავშირე იმათთვის, ვინც მზად იყო სხვადასხვა მიზეზებით მისთვის მხარი დაეჭირა (174;25). ფრანგი ჟურნალისტის აზრით, ბევრი არაბის თვალში ისარელი დღემდე აღიქმება ე.წ. «დასავლურ» კოლონიად. ხოლო ნასერი და სხვა არაბი ლიდერები თავის თავს ჯვაროსნების წინააღმდეგ მებრძოლ არაბ მხედარმათავრს სალაჰ ად-დინსაც კი ადარებდენ (90).

დოქტორ ას-საიდ ამინ შალაბი კი თვლის, რომ სადათი დარწმუნებული იყო, რომ სამშვიდობო კამპანია ისრაელთან გამოადგებოდა საერთო არაბულ ინტერესებს. მას შემდეგ, რაც განვითარდა სამშვიდობო პროცესი და არაბებმა აღიარეს ისრაელთან ურთიერთობები, დაუმტკიცა მათ სადათის პოლიტიკისა და ხედვის ჭეშმარიტება (284).

არაბ-ისრაელის კონფლიქტის ზონა არის ყველაზე «მგძნობიარე» რეგიონალური საერთაშორისო ურთიერთობებისათვის. აღნიშნული ზონა მდებარეობს ისტორიულ გზაჯვარედინზე, სადაც უდიდესი ძველი ცივილიზაციები მჭიდროდ დაკავშირებული არიან პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო, რელიგიური პრობლემებით დრევანდელ დღეს (121). ამიტომ აქ მშვიდობის დამყარების ნებისმიერი მცდელობა აუცილებელია, მითუმეტეს იმ მოვლენების ფონზე, რომლებიც ხდება პალესტინურ მიწებზე ჩვენ დროშიც. დაუნდობლობა და ძალადობა ერთის მხრიდან, საპაუხო მოქმედებებს იწვევს მეორე მხრიდან. თანაც, თითოეული მხარე თავისი იდეალების დასაცავად მის ხელში არსებულ ყველანაირ მეთოდებს და საშუალებებს იყენებს. შედეგად იღვრება სისხლი, იტანჯებიან უდანაშაულო ადამიანები, ხოლო პრობლემის გადაწყვეტა არ ჩანს.

ნასერი თავის წიგნში «რევოლუციის ფილოსოფია» წერდა: «ებრაელები ჩვენი მოძმე ერია, რომლებთან თანავარსებობდით საუკუნების მანძილზე. სიონიზმმა შექმნა პრობლემა და ყველაფერი შეუძლებელი გახადა ებრაელებს, არაბებსა და ქრისტიანებს შორის. ჩვენ შეგვიძლია ვიცხოვროთ ერთ სახლში, მაგრამ ჩვენ შორის არავის შეუძლია დაიპყროს მთელი სახლი და გამოაგდოს იქედან დანარჩენები.» 50 წლის უკან ნათქვამი ეს სიტყვები მართალია დღესაც. ნათელია, რომ სისხლისღვრის შეჩერება კონფლიქტის ზონაში შეუძლებელია, სანამ ორივე მხარე ერთმანეთის ეროვნული ინტერესების არ აღიარებს და პალესტინის ტერიტორიის დიდი ნაწილი ისრაელის ოკუპაციის ქვეშაა (122).

თუმცა ამ პრობლემათა გადალახვა მოლაპარაკებათა მაგიდასთან შეიძლება. ყველა დაინტერესებულმა მხარემ უნდა გაიგოს, რომ მშვიდობას ალტერნატივა არ გააჩნია და იგი იდეალური არჩევანია. არა აქვს მნიშვნელობა, რა მოტივებმა აიძულეს ანვარ სადათი არაბი ლიდერებიდან პირველს უნდობლობის კედელი დაენგრია არაბებსა და ებრაელებს შორის და მოლაპარაკება მშვიდობიანი გზით არაბ-ისრაელის კონფლიქტის გადაწყვეტა, მაგრამ ზუსტად ამაში მდგომარეობს კემპ-დევიდის პროცესის ისტორიული მნიშვნელობა (157).

სწორედ აღნიშნა იორდანიაში აშშ-ს ყოფილმა ელჩმა ლ. დინა ბრაუნიმ, რომელიც მან წარმოთქვა კემპ-დევიდის შედეგებისათვის მიძღვნილ სიმპოზიუმზე: «ახლო აღმოსავლეთში ომი შეუძლებელია დაიწყოს ეგვიპტელთა მონაწილეობის გარეშე, მაგრამ მე არ ვარ დარწმუნებული, რომ მშვიდობა ახლო აღმოსავლეთში შეიძლება დამყარდეს პალესტინელების გარეშე» (157).

მე-XX ს. 70-იანი წლების ბოლოსათვის ახლო აღმოსავლეთში არსებული სტრატეგიული ბალანსი ამერიკის სასარგებლოდ შეიცვალა, რასაც მოყვა რეგიონში საბჭოთა პოზიციების მნიშვნელოვანი შესუსტება და ეგვიპტიდან «წასვლა». სსრკ-ს ამ პროცესებში დამკვირვებელი-კრიტიკოსისიროლს ასრულებდა. მაგრამ არ შეიძლება ვთქვათ მის მთლიან გასვლაზე რეგიონიდან. გრძელდებოდა სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობა სირიასთან, ლიბანთან, ერაყთან და ა.შ.

როგორც აღნიშნა სირიის არაბული რესპუბლიკის ახლანდელმა პრეზიდენტმა ბაშარ ასადმა: «ახლო აღმოსავლეთი მსოფლიოს გულია, ხოლო მისი ცენტრი სირიაა» (164). საჰაერო ძალების მფრინავში ჰაფიზ ასადში, რომელიც სტაჟირებას გადიოდა 60-იან

წლებში სსრკ-ში, მოსკოვმა კიდევ ერთი «პროგრესულად» მოაზროვნე სამხედრო აღმოაჩინა, რომელსაც შეეძლო პერსპექტივაში სოციალიზმის კიდევ ერთი ფორპოსტი აეშენებინა ახლო აღმოსავლეთში. ეს ილუზია სსრკ-ს თითქმის 11 მლრდ. აშშ დოლარი დაუჯდა, რომელისაც სირია იღებდა დახმარების სახით, მარტო სამხედრო სფეროში (112).

პარალელურად 1972-76 წ.წ. როცა საბჭოეთი სწრაფად კარგავდა თავის გავლენას ეგვიპტეში, სირიის გარდა მჭიდრო კავშირები ჰქონდა პალესტინელებთან. 1974 წლის ზაფხულისათვის სუკ-სა და მთავარი სადაზვერვო სამმართველოს (ГРУ) მიერ სსრკ-ს სხვადასხვა ადგილებში დაიწყო იასირ არაფატის მიერ დაარსებული სამხედრო-პოლიტიკური «პალესტინის ეროვნული განთავისუფლების მოძრაობის» (FATAH) წევრების სამხედრო წვრთნები. სუკ-ს მჭიდროდ თანამშრომლობდა ამ ორგანიზაციის სადაზვერვო სტრუქტურების მეთაურებთან, როგორიც იყო მაგალიათად სალაჰ ჰალაფი (აბუ აიადი). რუმინეთის ყველაზე მაღალჩინოსანი დაზვერვის ოფიცერი მიხაი პაჩეპა, რომელიც გადაიხვეწა აშშ-ში ყოფილი საბჭოთა ბლოკიდან, ამტკიცებს, რომ იასირ არაფატს წლების განმავლობაში ამზადებდა და ამარაგებდა იარაღით და ფულით საბჭოთა კავშირი. ასევე სუკ-მა შეცვალა არაფატის ბიოგრაფიული მონაცემები (149). № 1 პალესტინელი იასირ არაფატი (სრული სახელი – მუჰამად აბდ არ-რაუფ არაფატ ალ-კუდვა ალ-ჰუსაინი), სამხედრო ზედმეტსახელი _ აბუ ამარი, ოფიციალური დოკუმენტებით დაიბადა 1929 წ. 24 აგვისტოს კაიროში. მაგრამ არაფატის მტკიცებით იგი დაიბადა 4 აგვისტოს იერუსალიმში (115;114-115).

აღნიშნული ფაქტების მოყვანა მნიშვნელოვანია იმით, რომ სალაჰ ჰალაფი აწვდიდა გ.დ.რ.-ის STASI-ს მეშვეობით ინფორმაციას სსრკ-ს, რომ კაიორსა და ვაშინგტონს შორის მიმდინარეობდა საიდუმლო მოლაპარაკებები ისრაელსა და ეგვიპტეს შორის მშვიდობის დამყარების თაობაზე. ასე, რომ საბჭოთა ხელმძღვანელობა იღებდა ინფორმაციას ვ.ხ.ო-ს მოკავშირე ქვეყნებიდანაც სადათის გეგმებზე, მაგრამ წინააღმდეგობა ასეთ პოლიტიკას ვერ გაუწია (176).

2003 წლის 26 აგვისტოს რუსეთსა და ეგვიპტეს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების 60 წლისთავი შესრულდა. 1981 წელს ეგვიპტის სათავეში მუბარაქის მოსვლის შემდეგ ურთიერთობები რუსეთსა და ეგვიპტეს შორის გაუმჯობესდა, რომელიც დღეს დინამიურად ვითარდება (131).

აღნიშნული მოვლენების შეფასებისას შეიძლება დავეთანხმოთ ჰენრი კისინჯერის აზრს: «დაიწყო ღრმა ისტორიული პროცესი . . . კარტერმა, ბეგინმა და სადათმა ჩაუყარეს დასაწყისი ისეთ რამეს, რაც გავლენას მოახდენს ახლო აღმოსავლეთის ისტორიაზე კიდევ დიდხანს, მას შემდეგ რაც სამივე წავა პოლიტიკური ასპარეზიდან».

თავი IV რელიგიური ექსტრემიზმი ეგვიპტეში და ანვარ სადათის მკვლელობა

ა) ისლამური ფუნდამენტალიზმი ეგვიპტეში სადათის მმართველობის პერიოდში

«ჩვენი დროის არცერთ სახელმწიფო მიღვაწეზე არ გამახვილებულა ყურადღება ისე, როგორიც პრეზიდენტი ანვარ სადათია, რომელსაც თავს დააწყდა ტრაგედია და რომელიც დღესაც იწვევს ჩვენს შეშფოთებას. მიუხედავად სადათის ქმედებებით უკმაყოფილო სამხედროების კრიტიკისა, რომლებმაც გადაწყვიტეს მისი მოკვლა, სადათი იყო მსოფლიო მინშვნელობის დიდი სახელმწიფო მოღვაწე, რომლის დაკარგვამ უნდა ჩააგდოს სასოწარკვეთილებაში, ისინი ვინც ეძებს ახლო აღმოსავლეთის კრიზისის მოგვარების გზებს» _ ასეთი სიტყვებით იწყება ანვარ სადათის მკვლობასთან დაკავშირებული გაზეთ Guardian Unlimited - ის სტატია (303).

ეგვიპტე-ისრაელის სამშვიდობო შეთანხმების დადებასთან დაკავშირებული ენთუზიაზმი ნელ-ნელა დაცხრა და ზოგიერთი ეგვიპტელი დაფიქრდა მიღწეულ კომპრომისზე. ბევრი რადიკალურად განწყობილი ეგვიპტელისათვის ტერიტორიების დაბრუნება, არა განმანთავისუფლებელი ომის, არამედ დაუძინებელ მტერთან დამამცირებელი შეთანხმების საფუძველზე, აღიქმებოდა პირად შეურაწყოფად. პალესტინის საკითხების მოუგვარებლობამ და სეპარატული მშვიდობის დამყარებამ ეგვიპტურ საზოგადოებაში და განსაკუთრებით ფუნდამენტალისტთა წრეებში უარყოფითი დამოკიდებულება დათესა (277). ქვეყანაში ჯერ კიდევ ეკონომიკური რეფორმებით უკმაყოფილო ხალხის გამოსვლების ჩახშობის შემდეგ, ახალი აღელვების ტალღა აგორდა, რომელიც უკვე პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა (128).

სადათის მმართველობის პერიოდში ეგვიპტეში საგრძნობლად გამწვავდა რელიგიური საკითხი. UNESCO-ს ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით, ეგვიპტეში სადათის მმართველობის ათი წლის განმავლობაში 65 სერიოზული რელიგიური ინციდენტი მოხდა, რომლის შედეგად გარდაიცვალა 376 ადამიანი (123; 246).

გასული საუკუნის 20-ანი წლების დასაწყისში ეგვიპტის საზოგადოებაში არ აღინიშნებოდა პრობლემები, რომლის საფუძვლად რელიგიური ხასიათის მიზეზები იდებოდეს. ინგლისელი კოლონიზატორების წინააღმდეგ ბრძოლის პერიოდში შენარჩუნებული იყო ეროვნული ერთიანობა. 1952 წლის რევოლუციის შემდეგ ოფიციალურად ხაზი გაესვა ეროვნული უმცირესობების თანასწორულებიანობას და დამყარებული რეჟიმის საერო ხასიათს (123;246).

ყველაზე ცნობილი და ერთ-ერთი პირველი ეგვიპტური ისლამური ფუნდამენტალისტური ორგანიზაცია გახლდათ «ძმები მუსლიმები», რომელიც დაარსა 1928 წელს ღვთისმეტყველმა და სკოლის მასწავლებელმა ჰასან ალ-ბანამ (1906-1949). იგი მოკლეს ეგვიპტის საიდუმლო პოლიციის აგენტებმა 1949 წ. ხოლო 1951 წ. მას სათავეში ჩაუდგა ჰასან ალ-ჰუდაიბი (82). პირველად ორგანიზაციის მთავარი მიზანი წარმოადგენდა ბრიტანელთა განდევნა ეგვიპტედან, რამაც ხელი შეუწყო ეგვიპტის მოსახლეობაში ამ ორგანიზაციის პოპულარიზაციას (60;239). მაგრამ ძირითადი მიზანს წარმოადგენდა ისლამურ სამყაროში სახალიფოს დაარსება, შარიათის კანონების შემოღებით. იგი წარმოადგენდა ყველაზე მეტად ორგანიზებულ რელიგიურ-პოლიტიკურ ძალას არაბულ ქვეყნებში (232). ისლამის დროშის ქვეშ გაერთიანდა ბევრი პატრიოტი და ეგვიპტის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლიდერები, რომელთა რიგებში ასევე გამალ აბდ ან-ნასერი იყო (274). მაგრამ ეგვიპტის მიერ თავისუფლების მოპოვებისა და ნასერის რეჟიმის წინააღმდეგ გამოსვლამ ისლამის ლოზუნგების ქვეშ საზოგადოებაში მხარდაჭერა ვერ მიიღო და დაკარგა თავისი პოზიციები შიდაპოლიტიკურ ასპარეზზე (55;143-144). ქვეყანაში ნასერის გარდაცვალების შემდეგ საგარეო და საშინაო პოლიტიკაში ცვლილებეს შედეგად, მათი პოლიტიკურ ასპარეზზე დაბრუნება დაიწყო. სადათმა გაანთავისუფლა საპყრობილედან ბევრი «ძმები მუსლიმები»-ს წევრი, რომლებიც დაკავებული იყვნენ ნასერის მითითებით და ხელს უწყობდა სხვა რელიგიურ მიმდინარეობებს ემოქმედათ მემარცხენე ძალების წინააღმდეგ (310;80).

ისლამურ რელიგიურ წრეებთან და არაბული მონარქიების კონსერვატიულ რეჟიმებთან კავშირების გამყარების მიზნით გავრცელდა ლოზუნგი ეგვიპტის გადაქცევა «მეცნიერებისა და რწმენის სახელმწიფოდ». თვით სადათმა მიანიჭა თავის თავს ტიტული «მორწმუნე პრეზიდენტი» (313;54).

ანვარ სადათის მმართველობის ხანაში დამატებით აიგო რამდენიმე ათასი მეჩეთი, დაიწყო ოჯახის რელიგიურ პრინციპებზე შექმნა, ამაღლდა რელიგიური განათლების დონე, აიკრძალა ალკოჰოლის გაყიდვა საზოგადოებრივ ადგილებში, აზარტული თამაშები და ა.შ. სადათი ცდილობდა რელიგიური ფაქტორის გამოყენებას ოპოზიციის წინააღმდეგ ბრძოლაში (55;145).

ამავე დროს მთავარმა ისლამურმა უნივერსიტეტმა ალ-აზჰარმა გამოაქვეყნა კანონპროექტი რომლის შესაბამისად, ალ-აზჰარის, ტრადიციულად არსებული რეჟიმის ინტერესების წარმომადგენელის, კონტროლის ქვეშ უნდა მოექცეს ყველა რელიგიური ორგანიზაციები, მათ შორის ქრისტიანულიც. ალ-აზჰარი დღესაც სარგებლობს მთავრობის მხარდაჭერით და რჩება მთელი ისლამური სამყაროსათვის მნიშვნელოვანი იურიდიული, ღვითსმეტყველი, ისტორული, ფილოლოგიის და სხვა სამეცნიერო მიმარულების შემსწავლელი ბირთვი (131).

გარდა ხელისუფლების მხარდაჭერისა, ისლამური ორგანიზაციებთან თანამშრომლობდნენ სხვა არაბული ქვეყნების მუსლიმური სამეცნიერო და საზოგადოებრივი წრეები, რომელთა თანამშრომლობა ძირითადად გამოიხატებოდა დიდ ფინანსურ დახმარებაში. მაგალითად, 70-ანი წლების დასაწყისში საუდის არაბეთის მეფე ფაისალის შეთანხმებით ალ-აზჰარის ყოფილ შეიხთან ა. მაჰმუდთან, ფინანსური დახმარების სანაცვლოდ უნივერსიტეტი გააფართოვებდა ბრძოლას კომუნიზმისა და ათეიზმის წინააღმდეგ. მან მიიღო 100 მლნ. აშშ დოლარი და ალ-აზჰარის უნივერსიტეტთან ხანგრძლივ პერიოდზე გათვლილი თანამშრომლობა და დაფინანსება საუდის არაბეთიდან დღითიდღე იზრდებოდა, რომლიც დღესაც გრძელდება (123;248).

მაგრამ ხელისუფლებამ და ოფიციალურმა ისლამურ წრეებმა ვერ შეძლეს მიემართა ყველა რელიგიური მუსლიმური მიმდინარეობები მხოლოდ მემარცხენე ელემენტებისა და სხვა ოპოზიციური ძალების წინააღმდეგ ბრძოლისათვის. სადათის მიერ პოლიტიკური მიზნების გახორციელებისათვის რელიგიური ფაქტორის გამოყენება მალე ბუმერანგივით

დაუბრუნდა თვით ხელისუფლებას _ ისლამის პოლიტიზირებით პრეზიდენტმა ხელი შეუწყო პოლიტიკური საქმიანობაში რადიკალური ისლამური დაჯგუფებების მოზიდვას.

ასე, რომ გასული საუკუნის 70-ანი წლებისათვის ეგვიპტის ისლამურ მოძრაობაში, გარდა ინსტიტუციური ისლამისა, მკვეთრად გამოკვეთა ფუნდამენტალისტური თვალთახედვის ორი მოძრაობა – ორგანიზაცია «ძმები მუსლიმები», მისი ფილიალები და სხვა პატარა ექსტრემისტული ორგანიზაციები. «ძმები მუსლიმების» ორგანიზაციამ, რომელიც ნასერის დროს იქნა შესუსტებული, კვლავ აღიდგინა თავისი ძალები. მართალია მისი საქმიანობა ოფიციალურად აკრძალული იყო, მაგარამ მათ მიიღეს საშუალება თავიანთი იდეების ღია პროპაგანდისათვის (55;147-148).

1976 წელს რელიგიური საზოგადოებების ასოციაციას მიეცა უფლება აღედგინა ჟურნალების ბეჭვდითი ორგანოების გამოშვება და ხელს უწყობდა სხვადასხვა ისლამური ორგანიზაციების და დაწესებულებების შექმნას, რომელთა შემოსავალი პირადაპირ მიდიოდა ასოციაციის დაფინანსებისათვის (123;251).

«ძმები მუსლიმების» ბევრმა წევრმა მიიღო მნიშვნელოვანი თანამდებობები სახელისუფლებო პარტიის ცენტარლურ აპარატში. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ორგანიზაციის ხელმძღვანელები უმარ თლემსანი, სალაჰ აჰმადი, სალაჰ შადი, მუსტაფა მაშჰური და სხვები, საშუალო ბურჟუაზიის წარმომადგენლები იყვნენ და მათი მოთხოვნები ნაკლებად რადიკალური იყო. თავისი მიზნების განხორციელებას ისინი პოლიტიკური მეთოდებით და დიალოგის საშუალებით ცდილობდენ, განსხვავებით სხვა ფუნდამენტალისტური ორგანიზაციებისა რომელთა მთავრი მიზნების განხორციელება მხოლოდ მოწინააღმდეგის ფიზიკური ლიკვიდაციით შეიძლებოდა. ამიტომ ეს ორგანიზაციები თვლიდნენ რომ «ძმები მუსლიმები» კონსერვატიული მეთოდებით მოქმედებდენ, რაც სადათვისათვის დიდ საშიშროებას წარმოადგენდა.

სადათის რეჟიმის წინააღმდეგ რელიგიური ექსტრემისტების პირველ გამოსვლად ითვლება 1974 წ. 18 აპრილი, როცა სუნიტურმა ექსტრემისტულმა დაჯგუფებამ «მუნაზამათ ათ-თაჰრირ ალ-ისლამიამ» გადაწყვიტა თავდასხმის მოწყობა ქვეყნის პრეზიდენტზე პარტიულ სხდომაზე გამოსვლისას, რომელიც შემდგომ ჩაიშალა. მის აქტივში შევიდა ასევე კაიროს სამხედრო-ტექნიკური აკადემიის შენობის აღების მცდელობა. ხელისუფლებამ 11 კაცი სიკვდილით დასაჯა და 27 ციხეში

ჩასვა.Ორგანიზაციის მეთაურები, ფილოსოფიის დოქტორი სალაჰ სირია და ქარიმ ალ-ანდილი სიკვდილით დასაჯეს. ამის შემდეგ ეს ჯგუფი დაიშალა და შეუერთდა სხვა ორგანიზაციას (55;146).

1977 წლის 3 ივლისს მუსლიმმა ექსტრემისტებმა მოიტაცეს და სიკვდილით დასაჯეს ვაკუფების ყოფილი მინისტრი შეიხი ჰუსეინ აზ-ზაჰაბი, რომელიც წარმოადგენდა ოფიციალური ისლამის ლიბერალური მიმდინარეობის მიმდევარს. მისი გამოქვეყნებული სტატიები პრესაში მოუწოდებდა რელიგიაში ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლას. ეგვიპტის საზოგადოების დიდი ყურადღება მიიპყრო ზაჰაბის მკვლელობამ, ვინაიდან ეს აღმოჩნდა პირველი პოლიტიკური მკვლელობა ბოლო 30 წლის განმავლობაში. მკვლელობაზე პასუხისმგებლობა აიღო ექსტრემისტულმა ორგანიზაციამ «ათ-თაქფირ ვა ალ-ჰიჯრამ» (ურწმუნობაში ბრალდება და ამ ქვეყნიდან წასვლა). სინამდვილეში მას ერქვა «მუსლიმთა ასციაცია», რომელიც პრესაში გახდა ცნობილი ზემოდ მოყვანილი სახელით, მისი წევრები კი თავიანთ თავს უწოდებდენ «ალ-გამა'ა ალ-მუსლიმინ», რომლის ხელმძღვანელი იყო შუქრი აჰმად მუსტაფა აბდ ალ-'ალი (61;101-103). ექსტრემისტული ორგანიზაციების იდეოლოგიის საფუძვლად დაიდო «ძმები მუსლიმების» ერთ-ერთი იდეოლოგის საიდ კუტბას რანდენიმედ შეცვლილი დოქტრინა, რომლის მიხედვიდ სამყარო იყოფოდა «ჭეშმარიტად მორწმუნე» და «ურწმუნოებზე», რომელთა შორის არ შეიძლება რაიმე კომპრომისებზე წასვლა. იგი სიკვიდილით დასაჯეს 1966 წელს 29 აგვისტოს, ნასერზე უშედეგო თავდასხმის შემდეგ. საერთოდ ამ ორგანიზაციებისათვის მთავარი იდეს წარმოადგენდა ისლამის «ოქროს ხანის» აღდგენა (55;136).

ზაჰაბის მკვლელობის შემდეგ «ათ-თაქფირ ვა ალ-ჰიჯრამ» ჩაიწერა თავის აქტივში 1979 წელს ალექსანდრიისა და კაიროს გარეუბან შუბრაში ეკლესიაში ბომბის აფეთქება (123;254) და 1981 წელს მონაწილეობა მიიღო ქრისტიანებსა და მუსლიმებს შორის შეტაკებებში კაიროს რაიონ ზავია ალ-ჰამრაში, რომლის მიზეზი იყო ეკლესიის ასაშენებლად გამზადებული ტერიტორიის შემოღობვა ესტრემისტების მიერ და მეჩეთის მშენებლობის დაწყება. ასევე 1981 წლის 2 აგვისტოს კოპტური ქორწილის დარბევა სადაც გარდაიცვალა და დაიჭრა 59 ადამიანი და ბევრ სხვა აქციებში (55;165).

რელიგიურ-იდეოლოგიური პრინციპებით «ათ-თაქფირ ვა ალ-ჰიჯრასთან» დაახლოებული იყო სხვა გავლენიანი ექსტრემისტული ორგანიზაცია «ალ-ჯიჰად ალ-

ისლამია» (ისლამური საღვთო ომი), რომელიც ჩამოყალიბდა 70-ანი წლების ბოლოსათვის. მისი იდეოლოგი რელიგიურ-სულიერი ფაკიჰი (ხელმძღვანელი) აბდ ალ-სალამ ფარაჯ ატ-ტაია თავის ნაშრომში «დაკარგული მოვალეობა» მოქმედების ძირითადი მიზანი ისლამური რესპუბლიკის შექმნა წარმოადგენდა, რომლის განხორციელება შეიძლება დღევანდელი უწრწმუნო მმართველების წინააღმდეგ ჯიჰადის გამოცხადებითა და მათი ფიზიკური განადგურებით (55;146).

«ჰიზბ ათ-თაჰრირ ალ-ისლამი» (ისლამური პარტია განთავისუფლებისათვის) შეიქმნა 1948 წელს (სხვა მონაცენებით 1953 წელს) იერუსალიმში ღვთისმეტყველის შეიხ მუჰამად თაქი ად-დინ ან-ნაბჰანის მიერ შექმნილი ორგანიზაციიდან. პარტიის მთავარ იდეას შეადგენდა ისლამური სახელმწიფოს სახალიფოს შექმნა (123;254).

სადათის მიერ კემპ-დევიდის ხელშეკრულებების ხელმოწერის შემდეგ მუსლიმთა ექსტრემიზმი კოპტებთან მიმართებაში გაიზარდა (286;21). სოციალური-ეკონომიკური კრიზისის მდგომარეობაში, არაბული სოციალისტური კავშირის რადიკალურმა წევრებმა, კომუნისტებსა და ებრაელებთან ერთად კოპტებიც ეგვიპტის მთავარ მტრებად გამოაცხადეს. ისლამური დაჯგუფებების ლიდერები თვლიდნენ, რომ რადგანაც სადათმა დართო ნება დასავლეთისა და ისრაელის შეღწევას ეგვიპტეში, აღნიშნული მდგომარეობას შეასუსტებდა კოპტებისა და არამუსლიმების წინააღმდეგ ბრძოლა. ისინი მოითხოვდენ კოპტების უმცირესობისათვის «აჰლ აზ-ზიმა»-ს სტატუსის მინიჭებას (მუსლიმთა მფარველობის ქვეშ ცხოვრება) (123;256).

1977 წლის 17 იანვარს ალექსანდრიაში პირველად, ბოლო 66 წლის განმავლობაში შედგა ეგვიპტელი კოპტების წარმომადგენლობითი კონგრესი. კონგრესმა მოითხიოვა ხელისუფლების მხრიდან მუსლიმური ექსტრემიზმის წინააღმდეგ დაცვის გარანტიები. კონგრესმა მიიღო ფართო საერთაშორისო მხარდაჭერა. კოპტური ეკლესიის ავტორიტეტის გაზრდას განსაკუთრებით ხელი შეუწყო მისი უწმინდესობა პატრიარქის შენუდ III-ს აქტურმა სამქმიანობამ, რომელიც ამ თანამდებობაზე 1971 წელს არჩიეს. მისი წყალობით გაფართოვდა ურთიერთობები საზღვარგარეთის ქრისტიანულ ორგანიზაციებთან და ეკლესიებთან. ანგლიკანური, ვატიკანის და მართლმადიდებლურ ეკლესიებთან თანამშრომლობით, კოპტური ეკლესია გაძლიერდა და მიიღო დიდი ფინანსური დახმარება (56;18).

ანვარ სადათმა, კოპტების რთული მდგომარეობის გათვალისწინებით მუსლიმური ექსტრემიზმის გაზრდის პირობებში, კოპტების გამოყენებაც გადაწყვიტა თავისი მიზნებისათვის. ასე, 1980 წელს სადათმა კოპტების მიმართ თავისი კეთილიგანწყობის მიზნით, შესთავაზა პატრიარქ შენუდას აღედგინა ეგვიპტელი კოპტების მომლოცველობა იერუსალიმის წმინდა ადგილებში, რომელიც შეწყდა 1967 წლის ომის შედეგად 40-50 ათ. კოპტი მომლოცველების მეშვეობით იქმნებოდა ტურისტული გაცვლა ორ ქვეყანას შორის. მაგრამ შენუდმა უარყო სადათის წინადადება: «მე არ მინდა, რომ ეგვიპტელი კოპტები ითვლებოდენ არაბი ერის მოღალატეებად» (123;259). შენუდის ასეთმა პოზიციამ გააღიზიანა სადათი, რომელმაც 1980 წელს 15 მაისს დაადანაშაულა პარტიარქი, რომ მას უნდოდა გამხდარიყო კოპტების პოლიტიკური ლიდერი და სურდა ზემო ეგვიპტეში კოპტური სახელმწიფოს შექმნა დედაქალაქით ასიუტში. «პატრიარქს უნდა ახსოვდეს რომ, მუსლიმიური სახელმწიფოს პრეზიდენტი – მუსლიმია». პატრიარქის წინააღმდეგ გამოცდახებულმა ომმა უკვე პრეზიდენტის მხრიდანაც, უფრო გააძლიერა ეკსტრემისტული ტენდენციები ქვეყანაში (313;11).

1981 წლის 5 სექტემბრის დასაწყისში კი სადათმა გადააყენა ქრისტიანი პატრიარქი თანამდებობიდან და 8 ეპისკოპოსის და 180 მღვდლის დაპატიმრების ბრძანება გასცა (313;57).

ბ) ანვარ სადათის მკვლელობა

1981 წლის გაზაფხულს, ფუნდამენტალისტური ორგანიზაციებს შორის გავრცელდა ინფორმაცია, რომ ერთ-ერთმა არალეგალურმა ისლამურმა ორგანიზაციამ, ამნვარ სადათს სიკვდილი მიუსაჯა. უფრო გვიან 1981 წლის 15 ოქტომბერს, კვიპროსის «მშრომელი ხალხის პროგრესიული პარტიის» გაზეთ «ჰარავგიმ» (განთიადი) (31), ეგვიპტის მუსლიმური წრეებზე დაყრდნობით განაცხადა, რომ «ალ-აკსას» ორგანიზაციის სამხედრო ტრიბუნალმა, ჯერ კიდევ 1978 წლის 25 ოქტომბერს, გენერალ ომარის თავმჯდომარეობით, განიხილა პრეზიდენტ ანვარ სადათის საქმე და მიუსაჯა მას დახვრეტა, ისლამის, ეგვიპტის ხალხისა და არაბი ერის წინააღმდეგ დანაშაულებრივი საქმიანობის გამო (123;279).

უშიშროების სამსახური აქტიურად ებრძოდა სადათის რეჟიმის მოწინააღმდეგეებს. 1981 წლის სექტემბრისათვის დაკავებულ იქნა მემერჯვენე და მემარცხენე ოპოზიციის, კოპტური დიასპორის წარმომადგენლები, მუსლიმი მოღვაწეები, ჟურნალისტები, მთლიანად 1500 მეტი პოლიტიკური ელიტის წარმოამდგენელი. ასე გძელდებოდა სადათის მმართველობის უკანასკნელი პერიოდი, ეგვიპტეში თანხმობა და სიმშვიდე დარღვეული იყო (210;164).

განსაკუთრებული ავტორიტეტის მქონე ასიუტის სასულიერო პირმა უმარ აბდ არ-რაჰმანიმ გამოაქვეყნა ფათვა (განკარგულება) იმის შესახებ, რომ შეიძლება მმართველის სისხლი დაიღვაროს, თუ იგი არ მართავს ქვეყანას ალაჰის ნების შესაბამისად და მოშორდა სარწმუნოებას (123;279).

აღნიშნული ფათვა ვრცელდებოდა ქვეყნის სხვადასხვა მეჩეთებში. პრეზიდენტის წინააღმდეგ შეთქმულებას ამზადებდა ბევრი ისლამური ფუნდამენტალისტური ორგანიზაცია და არ იყო მხოლოდ ექსტრემისტთა ჯგუფის სურვილი _ მას საფუძვლად დაედო ფართო მოძრაობა, რომელმაც მოიცვა ეგვიპტის საზოგადოების ფართო ფენები. აღსანიშნავია, რომ ეგვიპტის ფუნდამენტალისტური ორგანიზაციების დიდი ნაწილი მოქმედებდა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად. ორგანიზაციების საქმიანობა იმდენად გასაიდუმლოებული იყო, რომ რიგითი წევრებიც კი არ იცნობდენ ხშირ შემთხვევაში ერთმანეთს. მათ წევრებს შორის გარდა სამხედროებისა შედიოდნენ ვაჭრები, ინჟინრები, სკოლის მასწავლებლები, სახელმწიფო მოხელეები, ექიმები, გლეხები და განსაკუთრებულად სტუდენტობა, ძირითადად ღარიბი ოჯახებიდან, რომელიც ამ ორგანიზაციათა შემადგენლობის 85% წარმოადგენდა.

სადათის მკვლელობის შესახებ ინფორმაცია დღესაც გასაიდუმლოებულია. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა ჟურნალისტ კონსტანტინ კაპიტონოვის გამოკვლევა, რომელიც 1976-1981 წ.წ. მუშაობდა ეგვიპტეში კორესპონდენტად (134). მისი სიტყვებით, 24 საათის განმავლობაში სსრკ-ს ელჩი, 6 დიპლომატი და საკდეს-ის კორესპონდენტი მასთან ერთად გააძევეს «პირამიდების» ქვეყნიდან. საბჭოთა მოქალაქეები დაადანაშაულეს რელიგიური შუღლისა და პრეზიდენტის წინააღმდეგ შეთქმულების მომზადებაში და გამოაცხადეს Persona non grata-ად. ახლახანს მას ხელთ ჩაუვარდა საინტერესო დოკუმენტები: ეგვიპტელი ადვოკატის ჰალიდ შავქის ჩანაწერები, ოპერაციაში

მონაწილე პირების დაკითხვის ოქმები და ასევე ადილ ჰამუდას ჟურნალისტური გამოძიების მასალები. როგორც ჟურნალისტი წერს, მასალების შესწავლისას წააწყდა რამდენიმე მნიშვნელოვან ფაქტს და ქრონოლოგიურად აღადგინა ტრაგიკული სამშაბათის მოვლენები (113).

ოპერაცია «ფარაონის მოკვლა». სიკვდილით დასჯა ან ჯოჯოხეთის 40 წამი

კაირო, 6 ოქტომბერი, 1981 წ.:

ეგვიპტისათვის 6 ოქტომბერი გამარჯვების დღე გახდა. ამ ომის შემდეგ სადათს «ომის გმირად» უწოდებენ. ხოლო იერუსალიმში გამგზავრებისა და კემპ-დევიდის შეთანხმებების ხელმოწერის შემდეგ «ომისა და მშვიდობის გმირი».

ყოველწლიური სამხედრო აღლუმი, რომელიც მერვედ ტარდებოდა 1973 წლის შემდეგ, იწყებოდა 11. 20 ს. და გრძელდებოდა ორი საათი. აღლუმისათვის მზადება მიმდინარეობდა განსაკუთრებულად. უშიშროების ზომებმა კრიტიკულ ზღვარს მიაღწია. სამხედროებმა და პოლიციამ მოედანთან მიმავალი ყველა მიმდებარე ქუჩების ბლოკირება მოახდინა. აღლუმზე დასწრება მხოლოდ საშვებით იყო ნებადართული; ყველა მოწვეულმა სტუმრებმა გაიარეს შემოწმება დეტექტორებით.

11.10 ს. პრეზიდენტი და უმაღლესი რანგის სტუმრები მიუახლოვდენ ტრიბუნას და გაისმა სახელმწიფო ჰიმნი (160).

კაირო, 6 ოქტომბერი, 1981 წ., 11 ს. 20 წ.:

აღლუმი გაიხსნა ტრადიციულად. პირველად სიტყვით გამოვიდა უმაღლესი სასულიერო მოძღვარი, რომლის შემდეგ მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა თავდაცვის მინისტრი (314;8). რამდენიმე წუთში გამოჩნდა საჯარისო ნაწილების პირველი კოლონები. ყველაფერი მიდიოდა გეგმის მიხედვით.

კაირო, 6 ოქტომბერი, 1981 წ., 13 ს. 10 წ.: (38)

აღლუმი დასასრულს უახლოვდებოდა. ზეცაში გამოჩნდა 5 «მირაჟი» (314;8). უმაღლესი პილოტაჟის სერიათა წარმოდგენის შემდეგ, გამანადგურებლებმა გადაუფრინეს ტრიბუნას. სანახაობა იმდებად ეფექტური იყო, რომ არავინ შეამჩნია საარტელერიო გამწევების კოლონის გამოჩენა. როცა სამთავრობო ტრუბუნამდე დარჩენილი იყო 30 მ., უეცრად ერთ-ერთმა მანქანამ გადაუხვია ტრიბუნის მხარეს და გაჩერდა, საიდანაც გადმოხტა ოფიცერი (314). მანქანაში მჯდომმა ოფიცერმა იარაღი მიადო შუბლზე მძღოლს

და უბრძანა მანქანის დამუხრუჭება. მძღოლმა გააჩერა სატვირთო მანქანა, რომლის შედეგად გადაუკეტა გზა სხვა მიმავალ ტექნიკას. მოულოდნელად ოფიცერმა ჰალიდ ალ-ისლამბულიმ ტრიბუნის მიმართულებით ხელყომბარა ისროლა, შემდეგ ამოიღო ავტომატი და იმავე მომენტში კაბინიდან ისროლეს მეორე ყუმბარა (იგი ისროლა ატა ტაილ რაჰაილმა) და მანქანის ეკიპაჟის 6 წევრიდან ჩამოხტა 3 პირი, რომლებიც შეძახილებით «ალაჰ აქბარ!» გაემართენ ტრიბუნის მხარეს. სანამ ტრიბუნაზე დამსწრე საზოგადოება შოკში იყო, ჰალედმა ისროლა მესამე ყუმბარა, რასაც მოჰყვა აბდ ალ-ჰამიდის ნასროლი მეოთხე ყუმბარა (55;146). ამ დროს «გამოფხიზლდა» თავდაცვის მინისტრი. ბოლო ვინც გამოვიდა შოკიდან იყო პრეზიდენტი, რომელიც წამოიწია და დაბნეული გაიძახოდა _ «ეს შეუძლებელია, ეს შეუძლებელია!», რომელიც ევვიპტის პრეზიდენტის ბოლო სიტყვები იყო (322;59). ვინაიდან სადათი წამოდგა, მას მოხვდა მეოთხე ფუნდამენტალისტის გასროლილი ტყვიები, რომელმაც გახსნა ცეცხლი პრეზიდენტის მიმართულებით (153;82-83). გასროლა ისეთი ზუსტი იყო, რომ პირველივე ტყვია, სადათს ყელში მოხვედრის შემდეგ სასიკვდილო აღმოჩნდა, ვინაიდან ავტომატიდან ისროდა პროფესიონალი, ეგვიპტის არმიის ჩემპიონი სროლაში – სნაიპერი ჰუსეინ აბას მუჰამადი. მას შემდეგ რაც ჰუსეინმა პირველი მჭიდი ჩაცალა, ჩამოხტა სატვირთოდან და შეუერთდა ისლამბულის თავის თანამზრახველებთან ერთად. პირველი ისლამბული გარბოდა, მარჯვნივ აბდალ ჰამიდი. მარცხნივ – ატა ტაილი. ტრიბუნასთან მიახლოებისას ტერორისტებმა ისევ გაუხსნეს ცეცხლი სადათს (322;59). აბდალ ჰამიდი ჰოსნი მუბარაქთან ახლოს იყო და მას უყვირა: «შენ ჩვენ არ გვჭირდები! ჩვენ გვჭირდება ფარაონი!» (როგორც გაირკვა თავდამსხმელთა მიზანი მხოლოდ პრეზიდენტის მოკვლა იყო).

ოპერაცია გაგრძელდა 40 წამი. თავდასხმა ისეთი მოულოდნელი იყო, რომ დაცვამ საპასუხო ცეცხლი გახსნა მხოლოდ 35 წამის შემდეგ და მოკლა ერთი თავდამსხმელი, ხოლო სამი დაჭერილ იქნა. თუმცა სადათისათვის საბედისწერო 19 წამი აღმოჩნდა. ვიცე-პრეზიდენტი მუბარაქი მსუბუქად დაიჭრა. ტრბუნაზე მოკვდა შვიდი ადამიანი და დაიჭრა დამსწრეთა დიდი რაოდენობა (322;55).

კაირო, 6 ოქტომბერი, 1981 წ., 13.40 ს. _ 14.30 ს.: სადათის უსულო გვამი ნიქსონის მიერ ნაჩუქარი ბრონირებულ შვეულმფრენით გადაიყვანეს მაადის სამხედრო ჰოსპიტალში

(322;63). ექიმები ორი საათის განმავლობაში ცდილობდენ მის გადარჩენას. როცა ენცეფალოგრამამ აჩვენა, რომ პრეზიდენტის ტვინი გაჩერდა, მედიკოსები დანებდნენ.

პირველად სადათის სიკვდილის შესახებ გამოაცხადა ლიბიის რადიომ 14.25 ს.: «ყველა ტირანი ამთავრებს ასეთი სახით». თავდასხმის მომენტში სატელევიზიო ეკრანებიდან გამოსახულება მოულოდნელად გაქრა და მოსახლეობა რამდენიმე საათის განმავლობაში საინფორმაციო ვაკუუმში იმყოფებოდა (128). ხოლო, როცა მუბარაქი საბოლოოდ დარწმუნდა სადათის გარდაცვალებაში, 18 საათისათვის მთავრობის საგანგებო სხდომის შეკრების განკარგულება გასცა, რომელზეც ქვეყანაში კონტროლის გაძლიერების მიზნით შემოიღეს საგანგებო მდგომარეობის რეჟიმი და დაიწყეს სადათის დასაფლავების ცერემონიალისათვის მზადედბა (230;160). სხდომაზე ასევე გადაწყდა ჰოსნი მუბარაქის კანდიდატურის წარდგენა საპრეზიდენტო პოსტზე (322;677-678).

სადათი დაკრძალეს შაბათს 10 ოქტომბერს. კაიროს ყოველდღიური ცხოვრება არ შეცვლილა (230;160). მისივე თხოვნით საფლავის ქვაზე გააკეთეს წარწერა «მუჰამად ანვარ ას-სადათი – ომისა და მშვიდობის გმირი» (113).

ბევრი არაბული ქვეყანა განსაკუთრებით ერაყი, ლიბია, სირია, პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაცია არ მალავდა თავიანთ სიხარულს, «მოღალატის» მკვლელობასთან დაკავშირებით.

აღნიშნული მკველობის გამოძიებას ეწევა ძალიან ბევრი მკვლევარი, და მათ ჟურნალისტებიც. საზოგადოებაში და ისტორიოგრაფიაში გავრცელებულია მოსაზრება, რომლის მიხედვით სადათი მოკლეს ეგვიპტის ისლამური ფუნდამენტალისტური დაჯგუფების წევრებმა. გამორიცხული არ არის, რომ სადათის მოშორებით დაინტერესებული იყო ეგვიპტის ხელისუფლებაში არსებული სადათის ფარული მოწინააღმდეგეები. აღსანიშნავია, რომ უშუალოდ «ძმები მუსლიმების» ხელმძღვანელობის ბევრი წარმომადგენელი, მათ შორის უმარ თლემსანი გამოიდიდა სადათის მკვლელობის წინააღმდეგ (123;284).

თავდამსხმელთა სახელები ოფიციალურად 2 დღის შემდეგ გამოაქვეყნეს:

ხალიდ აჰმად შავკი ალ-ისლამბული _ 24 წლის უფროსი ლეიტენენტი, № 333 საარტელერეო ქვედანაყოფის მეთაური (322;77).

აბდ ალ-ჰამიდ აბდ ას-სალამ ალ-აალი – 28 წლის ჰაერსაწინაარმდეგო ძალების ყოფილი ოფიცერი (322;71).

ატა ტაილ ჰამიდ რაჰაილი – 26 წლის საინჟინრო ძალების რეზერვის უფროსი ლეიტენანტი (322;72).

ჰუსეინ აბას მუჰამადი – 27 წლის სახალხო თავდაცვის სერჟანტი (322;75).

მალე გამოაშკარავდა არალეგალური გავლენიანი ისლამური ექსტრემისტული ორგანიზაცია «ალ-ჯიჰად ალ-ისლამია», რომელიც როგორც თავის პირველ ნაწილშია აღნიშნული იდეოლოგიური პრინციპებით «ათ-თაქფირ ვა ალ-ჰიჯრასთან» იყო დაახლოებული და წარმოიშვა «ძმები მუსლიმების» ორგანიზაციიდან. იგი ჩამოყალიბდა 70-ანი წლების ბოლოსათვის და დაკავშირებული იყო მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა, მსოფლიოს № 1 ტერორისტ უსამა ბინ ლადენთან, რომელიც ასევე ეწინააღმდეგებოდა სადათის იერუსალიმში გამგზავრებას და საერთოდ მის პილიტიკას (182). მისი იდეოლოგი 30 წლის ინჟინერ-ელექტრიკოსი აბდ ალ-სალამ ფარაგ ატ-ტაია (322;82) თავის ნაშრომში «დაკარგული ჭეშმარიტება (მოვალეობა)» მოქმედების მთავარი მიზანი ისლამური რესპუბლიკის შექმნა წარმოადგენდა, რომლის განხორციელება შეიძლება ურწმუნო მმართველების წინააღმდეგ ჯიჰადის გამოცხადებითა და მათი ფიზიკური განადგურებებით. აღნიშნული ნაშრომი ასევე დაედო საფუძვლად ხსენებული ორგანიზაციების სამოქმედო პროგრამებში.

ჟურნალისტი კაპიტონოვი ამ ორგანიზაციას მოიხსენიებს სახელწოდებით «ალ-ჯიჰადი» იგი შეიქმნა 1977 წ. სადათის იერუსალიმში ვიზიტის შემდეგ, ხოლო 1979 წ. ორგანიზაცია დაშლილ იქნა და მისი ხელმძღვანელები დაიჭირეს. მხოლოდ ერთეულები გადარჩნენ. მათ შორის იყო ფარაგი. დაშლის შემდეგ ფარაჯი ალექსანდრიიდან გადავიდა კაიროში სადაც გაიცნო სტუდენტი ტარიკ იბრაგიმი, ტარიკის დის ქმარი სამხედრო დაზვერვის ვიცეპოლკოვნიკი აბდულ ლატიფ აზ-ზუმრი, რომლებმაც მიიღეს გადაწყვეტილება შეექმნათ ორგანიზაცია «ალ-ჯიჰადი». მათ შეუერთდათ ზაფხულში ქარამ ზაჰდი – პროვინცია მინიას ისლამური დაჯგუფების ლიდერი, რომელიც შემდგომ მკვლელობაში მონაწილეობისათვის დააპატიმრეს და ორი წლის წინ ციხიდან გაანთავისუფლეს. 51 წლის ქარამ ზაჰდიმ სადათს «წამებული» უწოდა და აღიარა, რომ თავდასხმით თაობაზე გადაწყვეტილება შეცდომა იყო (100).

1980 წლის ბოლოს ფარაგმა გაიცნო 30 წლის ნაბილ მაჯიდ ალ-მაგრაბი, რომელიც ასევე გატაცებული იყო ფუნდამენტალისტური რელიგიური ლიტერატურით და მოიწონა ფარაგის იდეები. მას დაევალა ორგანიზაციაში ახალგაზრდობის მოზიდვა. შემდეგ ფარაგმა თანამზრახველებთან ერთად - აბდუ ზუმრი, კარამ ზაჰდი, ფუად ხანაფი და ნაბილ მაგრაბისთან, შეიმუშავეს ორგანიზაციის სტრუქტურა, ფუნქციაში შედიოდა რელიგიური პროპაგანდის ორგანიზაცია და პროკლამაციების გავრცელება მოსახლეობაში. ორგანიზაციის წევრების მიერ გამოიყენებოდა შიფრები, კოდები, კონსპირაციული ბინები. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა იარაღის გამოყენებას, ასაფეთქებელი ნივთიერებების დამზადებას, სროლას.

ასე დაიბადა ახალი ორგანიზაცია «ალ-ჯიჰად ალ-ჯადიდ» (ახალი საღვთო ომი), რომელმაც გამოუტანა სასიკვდილო განაჩენი სადათს და მოიყვანა იგი სისრულეში. ამას გარდა 1981 წლისათვის ‘აბუდ აბდ ალ-ლატიფ ჰასან აზ-ზუმრმა შეიმუშავა ისლამური რევოლუციის გეგმა, რომლის მიხედვით საჭირო იყო მინიმუმ ორი სამი წელი რათა არმიაში საბოლოდ ჩამოყალიბებულიყო ისლამური მოძრაობა და შესაძლებელი იქნებოდა გადატრიალების მოხდენა (322;87).

შეთქმულების წევრები ღებულობდენ ფინანსურ დახმარებას ადგილობრივი შემოწირულობებიდან, ფუნდამენტალისტა მიერ შექმნილი კომერციული და სავაჭრო ორგანიზაციებიდან; ასევე დიდი თანხები შედიოდა საიუველირო მაღაზიებისა და კოპტების მაღაზიების გაძარცვით, ევროპული ისლამური ცენტრიდან ლონდონში, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან, ასევე სპარსეთის ყურის ქვეყნებიდან და პაკისტანიდან. ამას გარდა ორგანიზაცია იღებდა თანხებს საზღვარგარეთ მცხოვრები ეგვიპტელებიდან.

იმ დროს როცა ფარაგი ჰქმნიდა თავის ახალ «ჯიჰადს», არსებობდა კიდევ ერთი პიროვნება, ქამალ საიდი რომელმაც შემნა საიდუმლო ორგანიზაცია იგივე სახელწოდებით. 1981 წლის 2 სექტემბერს პრეზიდენტ სადათის № 493 განკარგულებით დააპატიმრეს 1036 ადამიანი. მოხდა დიდი რაოდენობის შეიარაღებისა და ტყვია-წამალის კონფისკაცია. ერთადერთი მოქმედი ორგანიაზაცია, რომელისაც ჯერ კიდევ შეეძლო ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობის განხორციელება იყო ფარაგის დაჯგუფება. 1981

წელს ქამალ საიდის ორგანიზაციის დარბევის შემდეგ, ტარიკ იბრაგიმი დაუკავშირდა კამალ საიდს და დაარწმუნა იგი მიურეთდეს ფარაგის ორგანიზაციას.

არსებობდა სადათის მკვლელობის რამდენიმე გეგმა. მაგალითად ჰასან აზ-ზუმრმა დაიწყო ინფორმაციის შეგროვება, ყველა მისი გადაადგილების შესახებ. ვინაიდან იგი იყო ვიცე-პოლკოვნიკი სამხედრო დაზვერვის, ასწავლიდა ორგანიზაციის წევრებს კონსპირაციას, საიდუმლო მიმოწერას, თვალყურის ტაქტიკას და ა.შ. (322;87).

ატა ტაილ რაჰაილი და ფარაგი ერთი სოფლიდან იყვნენ. ამიტომ ფარაგმა გაუწია რეკომენდაცია მას «ჯიჰადში». ჰუსეინ აბას მუჰამადს გაუწია რეკომენდაცია ნაბილ მაგრაბიმ, რომელიც იყო მისი სიძე. მინიას პროვინციის მკვიდრი ჰალიდ ალ-ისლამბული ფარაგმა 1981 წლის აპრილში გაიცნო. ამ პირველი შეხვედრით გადაიდო პირველი ნაბიჯი სადათის მკვლელობის განხორციელებისათვის. ჰალიდ ალ-ისლამბული მიურეთდა ორგანიზაციას. უშუალო მონაწილეობა ოპერაციაში მიიღო ასევე აბდალ ჰამიდ აბდ ალ-ალმა, ფარაგის მეგობარმა, გადამდგარმა სამხედრომ, რომლმაც ბინით უზრუნველყო ტერორისტები. 1981 წლის 25 სექტემბერს დაიჭირეს ნაბილ მაგრაბი. ამიტომ მათ სწრაფად უნდა ემოქმედათ. ოპერაციას დაარქვეს «ფარაონის მოკვლა» (დაკითხვის ოქმში დაფიქსირებული დიალოგიდან).

450 გვერდიანი საბრალდებო დასკვნა ძალიან სწრაფად დაიწერა. სასამართლო დაიწყო 40 დღიანი გლოვის შემდეგ, ყველას გამოუტანეს სასიკვდილო განაჩენი და 15 აპრილს 1982 წელს მოიყვანეს სისრულეში. სხვათაშორის ამ საქმესთან დაკავშირებით დაიჭირეს ასევე ალ-კაიდას «რუხი კარდინალი» აიმან აზ-ზავაჰირი, რომელიც შედიოდა «ახალი ჯიჰადის» ორგანიზაციაში, მაგრამ ეგვიპტის სპეცსამსახურებმის მიერ ისლამისტების დარბევის შემდეგ, ზავაჰირი აღმოჩნდა ციხეში, თუმცა გამოვიდა 3 წელიწადში დაუძვრა მართლმსაჯულებას, დაუბრუნდა სამედიცინო კარიერას და გადავიდა ავღანეთში (137).

სადათის მკვლეობასთან დაკავშირებული ზოგიერთი მოვლენა ჯერ კიდევ ბურუსით არის მოცული. ჯერ კიდევ არ გაეცა პასუხი კითხვას, თუ ვინ იდგა ტერორისტთა ჯგუფის უკან? არასოდეს ეგვიპტის ისტორიის მანძილზე არცერთი პილიტიკური მკვლელობა არ იყო ასე გათვილად ჩატარებული. სადათის მკვლელობის ოპერაცია იყო არა მარტო ორიგინალური, არამად ძნელად შესასრულებელიც. დაუჯერებელია ითქვას, რომ

ისლამბულის უკან ვინმე არ იდგა. როგორ მოახერხა ისლამბულის ჯგუფმა, ხანგრძლივი შემოწმების შედეგად საბრძოლო ტყვიაწამლის, ხელყუმბარების და შაშხანების შეტანა მოედანზე. უცნაურია, რომ ჰალიდი აღლუმში მონაწილეობისათვის ბოლო მომენტში მიიღეს. მიუხედავად მკაცრი ზომებისა, სამხედრო ღონისძიებაზე მონაწილეობა მიიღო სამმა უცხო სამხედრო პირმა. ამას გარდა არსებობდა თავდაცვის მინისტრის ბრძანება, რომელიც სასტიკად კრძალავდა ნებისმიერ სატრანსპორტო საშუალების გაჩერებას ტრიბუნასთან. შეჩერების შემთხვევაში გაიცემოდა ბრძანება ცეცხლის გაეხსნის თაობაზე. რატომ არ შესრულდა ბრძანება? (93)

მიუხედავად იმისა, რომ სპეცსამსახურების თანამშრომლებს ეკავათ ყველა სტრატეგიული პოზიციები ტრიბუნის ირგვლივ (ეს ნაჩვენებია კინოქრონიკის კადრებშიც და ტელევიზიებით გადაღებულ მასალებში) (38), თვითმხილველების მოწმობით, რამდენიმე წამით ადრე გასროლამდე მათმა დატოვეს თავიანთი პოსტები. რატომ? და ბოლოს მთავარი: ისლამბული ცნობილი იყო როგორც ისლამის რადიკალური მომდევარი. რა მიზიზით დაუშვეს ისლამბული აღლუმზე მიუხედავად სამხედრო დაზვერვის რეზოლუციისა? შესაძლოა ის ოფიცერი, რომელსაც ხალედმა მიმართა თხოვნით შეეცვალა 3 ჯარისკაცი დაინტერესებული პირი იყო ამ ოპერაციაში. რათქმაუნდა ასეთი და სხვა კითხვების დასმა უფრო ადვილია ვიდრე მათზე პასუხების გაცემა, მაგრამ, შევეცდებით გავერკვიოთ.

ბოლო წლებში სადათის დაცვა გადაიქცა ეგვიპტის მაშტაბებით დიდი ქვედანაყოფად, რომელიც ათობით მილიონი დოლარი ჯდებიოდა ქვეყნის ბიუჯეტისათვის. რამდენიმე წლის განმავლობაში სადაზვერვო სამმართველო დახმარებას უწევდა ეგვიპტეს მის ფორმირებაში, აღჭურვა სპეციალური ტექნიკით, ბრონირებული ავტომობილებით, შეიარაღებით. სადათის მცველების პირადი შემადგენლობა ყოველწლიურად გადიოდა ვარჯიშებს აშშ-ში ამერიკელი ისტრუქტორების ხელმძღვანელობით. სადათის დაცვას 8 ქვედანაყოფი ახორციელებდა: სახელმწიფო უშიშროების სამსახური, პრეზიდენტის პოლიცია, სპეციალური პრეზიდენტის დაცვა, რესპუბლიკური გვარდია, სამხედრო დაზვერვა, სამხედრო პოლიცია, კონტრდაზვერვა, სპეციალური ქვედანაყოფები დემონსტრაციების დაშლისათვის. როცა სადათი ტრიბუნას მიუახლოვდა მას იცავდა 8

პირადი მცველი, მაგრამ როცა სავარძელში ჩაჯდა ტრიბუნასა და ჯარებს შორის დაცვა არ იდგა. ალბათ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ გასროლა კოლონიდან მოხდებოდა (322;56).

აღნიშნულ საკითხის გარკვევაში უამრავი კითხვები და ვერსიები დაბადა. საბჭოთა ისტორიოგრაფიაში გავრცელებულ მოსაზრებით, ბევრი საბჭოთა (რუსი) მკვლევარი ადანაშაულებს სადათის მკვლელობაში აშშ-ს. საბჭოთა პროპაგანდა, ადანაშაულებდა სადათის მკვლელობაში «იმპერიალისტურ ძალებს». ამავე დროს სადათის თავდასხმა გამოწვეული იყო პირველ რიგში იმით, რომ დიდი მასშტაბების შეიარაღებაზე ხარჯების მიზეზით ეგვიპტელი ხალხისავის შეიქმნა, ცხოვრების რთული პირობები. უმუშევართა რაოდენობა 2 მილიონს შეადგენდა. ამრიგად სადათი მოკლა მისმა კურსმა «იმპერიალიზმთან კავშირის გამო, რომელმაც მკვეთრად გაამწვავა სოციალური პრობლემები ქვეყანაში» (119;235-236).

თუ დგას აშშ ამ ოპერაციის უკან? რუსი მკვლევარებს მოჰყავთ მტკიცებულებები, მათ შორის ეგვიპტეში აშშ-ს ყოფილი ელჩის გ.ეილტსის 1979 წლის მიმოწერა CIA-ს დირექტორთან, სადაც ამერიკელები უკმაყოფილო არიან სადათის საშინაო და საგარეო პოლიტიკით, რომელიც ხელს უშლიდა კავშირების დამყარებას არაბულ ქვეყნებთან, მათ შორის ამ ქვეყნების კონსერვატიულ ძალებთან. იმ შემთხვევაში თუ დამტკიცდება ამერიკელთა მონაწილეობა ამ შეთქმულებაში, მაშინ აშშ მოქმედებათა სვლა შეგვიძლია შევადაროთ ცნობილ გერმანელი დრამატურგის ციტატას «მავრმა გააკეთა თავისი საქმე, მავრს შეუძლია წავიდეს» (72;193).

ამ ვერსიის მომხრეების აზრით, რეიგანის გამარჯვების შემდეგ არჩევნებზე, ამერიკელებმა იგრძნეს, რომ სადათმა დახარჯა თავისი «პოლიტიკური არსენალი» და გახდა საჭირო მისი შეცვლა, იგი აღმოჩნდა იზოლაციაში როგორც ეგვიპტის შიგნით, ისე არაბულ სამყაროში. მიუხედავად ამისა ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამერიკელებს არ აქვთ არანაირი კავშირი სადათის მკვლელობასთან.

სადათმა გააკეთა ამერიკელებისათვის ისეთი რამ, რაც არ გაუკეთებია არცერთ არაბულ ლიდერს. მან დააბრუნა ამერიკელები ეგვიპტეში, თავისი პირადი შეხედულებების გათვალისწინებით, მოახდინა გადაიარაღება ეგვიპტის არმიისა ამერიკელების დახმარებით, შეცვალა ეგვიპტის ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკა. იგი განიხილავდა აშშ-ს, როგორც მთავარ მონაწილეს სამშვიდობო პროცესის მოგვარებაში.

ერთი სიტყვით, სადათი პროამერიკელი იყო სულით და ხორცით. აშშ-ს არ ჰქონდა მიზეზი სადათის მოშორებისა, პირველ რიგში იმიტომ, რომ სადათის შემცვლელი და ისეთივე სანდო პირი არ ჰყავდა. ძნელად წარმოსადგენი იყო თუ რას მოიმოქმედებდნენ სადათის გარდაცვალების შემთხვევაში მის ირგვილ მყოფი ეგვიპტის სხვა ლიდერები, მათ შორის ვიცე-პრეზიდენტი ჰოსნი მუბარაქიც.

სადათის მოშორების უფრო რეალური სურვილი შეიძლება საბჭოთა კავშირს ჰქონოდა თუ გავიხსენებთ სადათისა და სსრკ-ს რბილად რომ ვთქვად «ცივ» ურთიერთობებს. როგორც წინამდებარე თავში მოგახსენეთ, ბევრი არაბი ლიდერი გაღიზიანებული და შეურაწყოფილი იყო სადათის ქმედებებით, ისევე როგორც საბჭოთა კავშირი. არ არის გამორიცხული, რომ არაბი ლედერების ხელიც ურევია ამ მკვლელობაში, სსრკ-ს დახმარებით და განსაკუთრებით კი მუამარ კადაფის, რომლის მცდელობების შესახებ ინფორმაცია ისრაელის დაზვერვამ გადასცა სადათს. ცნობილია, რომ თავის დროზე მოსკოვიც მონაწილეობდა «ეგვიპტური ისლამური ჯიჰადის» მხარდაჭერაში. საბჭოთა სპეცსამსახურებს ხელი ურევია ანვარ სადათის სიკვდილში, მოსკოვში სადათის მოკვლის მიზეზი იყო ის რომ, სადათმა თავიდან გამოიყენა საბჭოთა ფინანსები და მერე გადავიდა «იმპერიალისტების მხარეზე» (137).

ლიბიური კვალის შესახებ საუბრობს იუსუფ ჰილალი თავის წიგნში. Mმისი აზრით ლიბიელებმა ოპერაციის ჩატარება დაამსგავსეს პრეზიდენტ კენედის მკლვლელობის ოპერაციას. მას დაერქვა ოპერაცია «კენედის დღე» და დაწვრილებით აქვს გამოქვეყნებული კომუნიკე, რომელიც აღმოაჩნდა ლიბიის სტრატეგიული კვლელვის ცენტრში ტრიპოლიში 1981 წლის 15 იანვარს (343;35).

ლიბიური კვალის ვერსიას არ გამორიცხავენ სხვა არაბი პუბლიცისტები. მაგალითად ალი საბრი წერს, რომ ლიბიის სპეცსამსახურებმა კადაფის დავალებით გადაწყვიტეს ლიბიაში მცხოვრები ეგვიპტელების გამოყენებით, სადათის მოშორება. ოპერაციას დაერქვა «კენედის დღე». ისინი გაემგზავრენ რომში და იქ შეხვდნენ ლიბიის სპეცსამსახურებს, რომლებმაც დაავალეს ოპერაციის ჩატარება სადათის ვიზიტს დროს ალექსამნრიაში სექტემბერში, მაგრამ გეგმა ჩაიშალა (322;26-27). მუსა საბრი ასევე აღნიშნავს, რომ უშიშროების ორგანოებმა დაადგინეს მარტო ეგვიპტეში სადათზე თავდასხმის 38 მცდელობის შემთხვევა, რომლებიც მოდიოდნენ სხავადასხვა ძალებისა და

ორგანიზაციებიდან. მათ შორის 8 კომუნისტური ორგანიზაციებმა დაგეგმეს, 11 – ლიბიის მხარის მცდელობა, 9 არამიერთების ქვეყნებიდან, 9 რელიგიური ორგანიზაციებიდან და ირანული კვალიდან (322;24-25).

მოსკოველი ჟურნალისტის ვლადიმირ კედროვის აზრით, მსოფლიო უკვე სხვანაირად აფასებს სადათის ქმედებებს. ისრაელთან მშვიოდობის დამყარება არის ყველაზე ნათელი ნაბიჯი მის პოლიტიკაში. სადათი იყო პირველი ლიდერი, რომლემაც ფაქტობრივ გარდაქმნა მოახდინა ეგვიპტის ცხოვრებაში და საბოლოო შედეგად გახდა თავისი ნაბიჯის მსხვერპლი. გარდა ამისა, სადათი თვითონ აღიარებდა ახალგაზრდობაში, რომ მისი პიროვნება განსაზღვრა ზაგრანმა, რომელიც ინგლისელებმა ჩამოახრჩვეს, მეორე იყო მუსტაფა ქემალ ათათურქი, მესამე იყო მაჰათმა განდი და მეოთხე ადოლფ ჰიტლერი (276). რათქმაუნდა უკანასკნელისადმი დამოკიდებულება იწვევდა დიდი შეშფოთებას საბჭოეთში გასაგები მიზეზების გამო. სადათის საქმიანობა საინტერესო იყო იმით, რომ მის მიერ წამოწყებულმა რეფორმებმა მოიტანა როგორც დემოკრატიული ისე რადიკალური ისლამური ორგანიზაციების მოქმედებათა თავისუფლება (151).

ისრაელში რადიო თავისუფლების კორესპონდენტი ვიქტორია მუნბლითის აზრით სადათმა თავი დაიღუპა იმ მიზეზით, რომ ეგვიპტე იყო ერთადერთი ქვეყანა, რომელმაც მისცა მფარველობა ირანის შახს, რომლის მიღებაზე უარი სამხრეთ აფრიკამაც განაცხადა, ანუ არსებობს ირანული კვალის ვერსიაც. მკვლელობის შემდეგ, თეირანის ერთ-ერთ ცენტრალური ქუჩის _ ვოზარის გამზირს «არაბული საქმის მოღალატის» მკვლელის ჰალიდ ისლამბულის სახელი მიანიჭეს (93).

ვინ წარმოიდგენდა, რომ ეგვიპტე-ისრაელის სამშვიდობო ხელშეკრულებაში, პალესტინის ავტონომიის შექმნასთან დაკავშირებულ პუნქტზე იქნებოდა ისრაელის პრემიერ-მინისტრის ხელმოწერა და ასეთ ფორმულირებას მაშინ მიიღებდა ქნესეთი? დღეს მიმდინარე სამშვიდობო პროცესს საფუძველი ჩაუყარა კემპ-დევიდის შეთანხმებებმა (151).

საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის შემოღება ეფექტური აღმოჩნდა. მან დაიცვა საზოგადოება დესტაბილიზაციისაგან. ვიცე-პრეზიდენტმა მუბარაქმა აიღო თავის თავზე ქვეყნის კონტროლი და დაუყოვნებლივ დაადასტურა წინამდებარე შეთანხმებები, ისრაელის შეთანხმების ჩათვლით. უკვე 25 წელია, რაც ეგვიპტე სტაბილურობის გარანტია ახლო აღმოსავლეთში. კემპ-დევიდმა მოიტანა იმედი, რომ ორი მთავარი მოწინააღმდეგე

ეგვიპტე და ისრაელი შეძლებენ შემდგომში გადაწყვიტონ თავისი წინააღმდეგობები არა ბრძოლის ველზე, არამედ მოლაპარაკებათა მაგიდაზე.

თავისი ექსტრემიზმით ფუნდამენტალისტებმა პრინციპში ვერ შეცვალეს ვერაფერი, მათ ვერ ჩამოაყალიბეს ფართო ოპოზიცია რეჟიმის წინააღმდეგ და პირიქით თავისი საქმიანონით უფრო რიგით ეგვიპტელების მშვიდობიან ცხოვრებას არღვევდენ, რომელთა წინააღმდეგ ბრძოლის მიზეზით სადათის რეჟიმი ყველა ოპოზიციური ძლების რეპრესიების საშუალებით უსწორდებოდა. მაგრამ სადათის მკვლელობამ შეიტანა ეგვიპტის პოლიტიკურ კურსში გარკვეული კორექტირება, რომელსაც უხელმძღვანელა ახალმა პრეზიდენტმა ჰოსნი მუბარაქმა.

ნასერი თავის წიგნში «რევოლუციის ფოლოსოფია» აღნიშნავდა, რომ ისტორია სავსეა დიდი როლებით, რომლის შემსრულებლები ყოველთვის არ მოიძებნება და ახლო აღმოსავლეთი აღმოჩნდა ასეთი გმირის ძიებაში (103;131).

«ამერიკამ დაკარგა დიდი მეგობარი, მსოფლიომ დაკარგა დიდი სახელმწიფო მოღვაწე და კაცობრიობამ კი დაკარგა მშვიდობის დამცველი და მებრძოლი» - ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი რონალდ ვილსონ რეიგანი (33). ჩვენი აზრით, მხოლოდ ისტრიას აქ უფლება სწორად განსაჯოს სადათის ქმედებები.

თავი V

ჰოსნი მუბარაქის მოსვლა ხელისუფლების სათავეში და აშშ-ს პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთში

ა) ეგვიპტის პრეზიდენტ ჰოსნი მუბარაქის პოლიტიკა 80-90-ანი წლების მიჯნაზე

ეგვიპტის ახლანდელი პრეზიდენტი მუჰამად ჰოსნი საიდ მუბარაქი დაიბადა 1928 წლის 4 მაისს ნილოსის დელტის პატარა დაბა კაფრ ალ-მუსალაჰში, შიბინ ალ-ქუმის რაიონში, ეგვიპტის მანუფიას საგუბერნატოროში (54). მის მამას ას-საიდ იბრაჰიმ მუბარაქს სურდა, რომ შვილი მასწავლებელი გამხდარიყო მაგრამ, მამის ნების მიუხედავად მან გადაწყვიტა სამხედრო სასაწავლებელში ჩაებარებინა. მამა მას ურჩევდა: «ყოველთვის იარე პირდაპირ!» (57;566)

1948 წ. ომმა ისრაელთან აჩვენა, რომ არაბული არმიები ბრძოლისუნარიანები არა არიან. ეგვიპტის ოფიცერთა კორპუსში დაიწყო ახალგაზრდების ჩადინება საშუალო ფენებიდან. საშუალო ფენიდან გამოსული მუბარაქიც 1947 წლის ნოემბერში სამხედრო აკადემიის კურსანტი გახდა, სადაც 1949 წ. მიიღო ლეიტენტანტის წოდება და 1950 წ. მარტში დაამთავრა აკადემია მფრინავის სპეციალობით (54). მუბარაქი გამოირჩეოდა ახალგაზრდა მფრინავებს შორის საქმის ბრწყინვალე ცოდნით, პროფესიონალიზმით და გახდა აღიარებული საუკეთესო მფრინავი (კარგად შეისწავლა გამანადგურებლებზე ფრენა).

1952 წლის თებერვალში 24 წლის მუბარაქი მიწვეულ იქნა სამხედრო-საჰაერო აკადემიაში ინსტრუქტორ-მასწავლებლად, სადაც კურსანტებს შორის მომთხოვნი და დისციპლინირებული უფროსის სახელი მოიხვეჭა და სარგებლობდა მაღალი ავტორიტეტით (255).

მუბარაქის საიდუმლო დახასიათიებაში (1958-59 წ.წ.), რომელსაც ხელი მოაწერა აკადემიის უფროსმა გენერალ-მაიორმა მადკურ აბუ ალ-იზმა, ნათქვამი იყო შემდეგი: «იგი ბრწყინვალედ ასრულებს თავის მოვალეობებს, ფლობს ადმინისტრაციული მუშაკის ცოდნას და კარგი ხელმძღვანელობის უნარითაა დაჯილდოებული. იგი ძალიან დისციპლინირებულია და ბრწყინვალე ოფიცერია ყველა მხრიდან. მე უწინასწარმეტყველებ მას დიდი მომამვალს.» (161;6)

1959 წელს მუბარაქმა მიიღო ბრძანება ეხელმძღვანელა საავიაციო ესკადრილიისათვის. ამასთან დაკავშირებით იგი გაგზავნილ იქნა საბჭოთა კავშირში სტაჟირებისათვის, რათა დაუფლებოდა ეგვიპტეში გამოგზავნილი საბჭოთა თვითმფრინავების მართვას. მან მიიღო უმაღლესი სამხედრო განათლება ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემიაში, მოსკოვში 1964-1965 წ.წ., სადაც აითვისა ახალი საბჭოთა ბომბდამშენის მართვა (21). სამშობლოში დაბრუნებისთანავე მუბარაქი ხელახლა მიიწვიეს ერთ-ერთი მსხვილი სამხედრო-საჰაერო ბაზის «კაირო უესტის» ხელმძღვანელად (255).

ეგვიპტის შეიარაღებული ძალებისათვის ყველაზე რთული გამოცდა იყო 1967 წლის ომი. მიუხედავად ისრაელის გამანადგურებელი შეტევისა, მუბარაქმა მოახდინა თავისი ესკადრილიის შენარჩუნება. ომის დამთავრების შემდეგ იგი დაინიშნა სამხედრო კოლეჯის უფროსად. 1967 წ. ნოემბერში კი დაინიშნა სამხედრო-საჰაერო აკადემიის ხელმძღვანელად, რათა მოემზადებინა მფრინავთა კადრები. 1969 წ. 23 ივნისს გამალ აბდ ან-ნასერმა 41 წლის

მუბარაქი დანიშნა სამხედრო-საჰაერო ძალების შტაბის მეთაურად და მიანიჭა გენერალ-მაიორის წოდება. მუბარაქის ხელმძღვანელობისა და ძალისხმევის შედეგად ისრაელის წინააღმდეგ მოხერხდა რიგი წარმატებული ოპერაციების ჩატარება «დაუძლურების ომში» (114).

1970 წელს ანვარ სადათის ხელსუფლებაში მოსვლის შემდეგ მუბარაქის სამხედრო კარიერა ისევ გაგრძელა. 1972 წლის აპრილში, სადათის ბრძანებით, იგი სამხედრო-საჰაერო ძალების მეთაური გახდა, ხოლო ერთ თვეში – თავდაცვის მინისტრის მოადგილე (ძველი პოსტის შეინარჩუნებით), რამაც ეგვიპტის ავიაციის რეორგანიზაციის საშუალება მისცა. ეგვიპტის ავიაცია თანამედროვე მოთხოვნილებებს არ აკმაყოფილებდა და მუბარაქს დაევალა მისი მომზადება ისრაელის წინააღმდეგ ახალი ომისათვის. უნდა ავღნიშნოთ, რომ 1973 წ. ახალ ომში ეგვიპტის ავიაციამ მიაღწია შთამბეჭდავ შედეგებს. მუბარაქი ეროვნული გმირი გახდა და სადათმა იგი «სინას ვარსკვლავით» _ ყველაზე მაღალი ევგიპტური სამხედრო ჯილდოთი და არმიის გენერალ-ლეიტენანტის სამხრეებით დააჯილდოვა (255). მუბარაქის ბრძანებით, 1973 წლის 6 ოქტომბერს 14.05 ს. 222 ზებგერითმა თვითმფრინავმა მიაყენა 20 წუთიანი საჰაერო დარტყმა ისრაელის პოზიციებს, რომელსაც სადათის სიტყვებით «ბრწყინვალე წარმატება» ჰქონდა და დანიშნული მიზნების 90% განადგურდა, რამაც განსაზღვრა შეტევის წარმატება (161;8). 1974 წლის თებერვალში მუბარაქი დააჯილოვეს «ნილოსის მარგალიტით» (255). უბრალო ოჯახიდან გამოსული მუბარაქი თავისი სამხედრო კარიერით უნდა უმადლოდეს ნასერს, ხოლო პოლიტიკური წინსვლისათვის მას სადათმა უბიძგა, მას შემდეგ რაც იგი დაინიშნა ვიცე-პრეზიდენტად (115;42). 14 თვის შემდეგ მისი სამხედრო კარიერა უეცრად პოლიტიკურ სფეროში დაწინაურებით შეიცვალა. 1975 წლის 16 აპრილს 47 წლის ასაკში იგი დაინიშნა ვიცე-პრეზიდენტად (259).

ამის შემდეგ მუბარაქი უკვე ეუფლება პოლიტიკურ «პილოტაჟს». სადათმა ამისათვის მას ფართო შესაძლებლობები მისცა. თვითონ მუბარაქს არასოდეს აინტერესებდა პოლიტიკური მოღვაწის კარიერა, ვინაიდან იგი საიდუმლოდ ოცნებობდა ეგვიპტის არმიის გენერალური შტაბის მეთაურის თანამდებობა მიეღო. ამ დანიშვნამ მის ახლო გარემოცვაში გარკვეული დაბნეულობა გამოიწვია. მაგრამ ამ ნაბიჯის მიზეზები სავსებით გასაგები გახდა _ პრეზიდენს სურდა სამხედროების მხრიდან მხარდაჭერის მიღება.

გაირკვა ისიც, რომ ეგვიპტის ლიდერის არჩევანზე იმოქმედა როგორც ამბობდნენ, «ვაშინგტონთან კაიროს დაახლოების შესახებ აზრთა დამთხვევამ» და სსრკ-ს მიმართ «ალერგიამ», რომელსაც ერთიც და მეორეც განიცდიდა (115;40-41).

რაც არ უნდა იყოს, მუბარაქი გახდა ეგვიპტეში მეორე ადამიანი, სადათის მარჯვენა ხელი და მისი «აჩრდილიც». ამ თანამდებობაზე, 5 პრეტენდენტს შორის იგი იყო ყველაზე ახალგაზრდა კანდიდატი. მუბარაქმა შეცვალა «თავისუფალი ოფიცრების» ბოლო წარმომადგენელი ქვეყნის ხელისუფლებაში _ ვიცე-პრეზიდენტი ჰუსეინ აშ-შაფი. ეს დანიშვნა სადათის ჩანაფიქრით სიმბოლურად გამოხატავდა ისტორიული კავშირების გაწყვეტას რევოლუციონერთა პირველ თაობასთან და მეათე რამადანის ომში მონაწილე ახალი თაობის სამხედროების გამოყვანას (161;9).

ორატორული ნიჭით დაჯილდოებული პროფესიონალი «მსახიობი» სადათისაგან განსხვავებით, მუბარაქი ყოველთვის თავშეკავებული ჩანდა. სადათი იყო პოლიტიკოსი რომელმაც გაიარა ჯერ კონსპირატორი ოფიცრის და შემდეგ ნასერის პოლიტიკური სკოლის რთული ცხოვრება. რაც შეეხება მუბარაქს, მას ჰქონდა 25 წლიანი სამხედრო სამსახურში მუშაობის და 4 ომში მონაწილეობის გამოცდილება. ფსიქოლოგიურად სადათი კარგად უგებდა მუბარაქს, ვინაიდან ორივე იყვნენ მანუფიის მკვიდრები. სადათი თავისი არჩევანთან დაკავშირებით აღნიშნავდა: «მე იგი ავირჩიე არა იმიტომ, რომ იგი მფრინავი იყო ან საჰაერო ძალების ხელმძღვანელი. ყველაფერი ეს იმსახურებდა ყურადღებას. იგი ავირჩიე პირველ რიგში იმიტომ, რომ ის არის ჭეშმარიტი ეგვიპტელის სახე, ეგვიპტელი მეომარია თავისი სიძლიერით, გამოცდილებითა და სიმტკიცით. ის არ შეუშინდა სიკვდილს და იცავდა ჩვენ სიცოცხლეს. იგი წარმოადგენს ოქტომბრის თაობას რომელიც მე მინდა წარვადგინო ქვეყნის უმაღლეს ხელისუფლებაში, რათა ეს თაობა გახდეს წარმომადგენელი და 6 ოქტომბრის მიზნების გამომხატველი, დღისა როცა ჩვენმა შეიარაღებულმა ძალებმა ერის სახელით გადალახეს ყველა წინააღმდეგობები» (323;262-263).

პოლიტიკური მუშაობის გამოცდილების უქონლობით მუბარაქმა დაიწყო თავისი ახალი მოვალეობების ათვისება. აღსანიშნავია, რომ სადათი მუბარაქს უფრო მეტი სითბოთი და ყურადღებით ეპყრობოდა, ვიდრე ნასერი მას და მალე მუბარაქი გახდა სადათის ერთ-ერთი დაახლოებული პირი. მუბარაქმა მალე შეიძინა გავლენიანი მეგობრები

და უფრო გაამყარა თავისი პოზიციები ხელისუფლებაში. მის შემდგომ «აღმავლობას» «საპრეზიდენტო კარზე» და უფრო საფუძვლიან გაცნობას ქვეყნის მმართველობის უმაღლესი ეშელონების შიდაპოლიტიკურ სამზარეულოში შეუწყო ხელი 1978 წლის 15 აგვისტოს მმართველი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის მოადგილედ არჩევამ (259). 1980 წლის იანვარში «მოკრძალებული სწავლების» პერიოდი დამთავრებულ იქნა, ვინაიდან უკვე მუბარაქი აკონტროლებდა არმიის ხელახალი გადაიარაღების საპასუხისმგებლო პროგრამას და უწევდა აგრეთვე ქვეყნის ყველა სადაზვერვო სამსახურებს. ის უფრო მეტად ვიდრე სხვები მონაწილეობდა სადათის მნიშვნელოვან თათბირებში, რომელიც ეხებოდა საშინაო და საგარეო-რეგიონალურ პრობლემებს. ამავე დროს მან დაამყარა მნიშვნელოვანი კავშირები ეგვიპტის სამხედრო ატაშესთან ვაშინგტონში გენერალ-მაიორ აბუ ალ-ჰალიმ აბუ ალ-ღაზალთან, რომელსაც კარგი ურთიერთობა ჰქონდა პენტაგონთან და იყო ერთ-ერთი პესპერქტიული და გავლენიანი ფიგურა სამხედრო წრეებში (1981 წლის მარტიდან მან თავდაცვის მინისტრის საკავნძო პოსტის დაიკავა). მათ ორთავეს დაევალათ ეგვიპტისათვის ამერიკული სამხედრო პროგრამის შემუშავება, რომლის განხორციელება დაიწყო 1977 წელს და მომდევნო წლებში დინამიურად ვითარდებოდა. მუბარაქისათვის მნიშვნელოვანი იყო ეგვიპტის პოლიტიკური ელიტის ასეთ ფიგურებთან თანამშრომლობა, ქვეყანაში პოლიტიკური მდგომარეობის მკვეთრი გაუარესების პირობებში, როცა სადათი მასობრივი რეპრესიებს ატარებდა სხვადასხვა ოპოზიციური ორგანიზაციების მიმართ (161;11).

თითქმის 6 წლის განმავლობაში ვიცე-პრეზიდენტი კეთილსინდისიერად ასრულებდა თავის მოვალეობებს. ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში მას პატივისცემით ეპყრობოდენ, აღნიშნავდენ მის შრომისმოყვარეობას, პირდაპირობას. უბრალო ეგვიპტელები აფასებდენ მუბარაქში პატიოსნებას. მან მოახერხა გვერდი აევლო კორუპციისათვის, რომლითაც იყო გაჟღენთილი სადათი და მისი ნათესავები, მაღალი რანგის ბევრი თანამდებობის პირი. არ არის გასაკვირი, რომ ეგვიპტელები მუბარაქს ეძახდენ «ბატონი სიმართლე». შესაძლოა იგი დარჩენილიყო კეთილსინდისიერ ვიცე-პრეზიდენტად, მაგრამ ტყვიებმა რომლებმაც განგმირა სადათი, დააწინაურეს მუბარაქი კიდევ შორს – იგი გახდა პრეზიდენტი (115;43).

რეფერენდუმზე, რომელიც ჩატარდა 1981 წლის 13 ოქტომბერს, ჰოსნი მუბარაქმა მიიღო ამომრჩეველთა ხმების 98,46% და არჩეულ იქნა ეგვიპტის პრეზიდენტად. მუბარაქი გახდა ქვეყნის პრეზიდენტი, რომელიც განიცდიდა პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ კრიზისს: მოსახლეობისა და საგარეო ვალების ზრდას, აგრეთვე არაბული სამყაროდან იზოლირებას. თავისი მმართველობის წლებში მუბარაქმა დაიმკვიდრა სანდო არაბი ხელმძღვანელის სახელი და აკეთებდა ყველაფერს შესაძლებელს, რათა ხელი შეეშალა ქვეყნის დეგრადაციისათვის (57;571).

«ათი სანტიმეტრი! ზუსტად ასეთი მანძილი აშორებდა ვიცე-პრეზიდენტს სიკვდილისაგან, როცა გარდაიცვალა ეგვიპტის პრეზიდენტი სადათი. მას დღემდე ესმის ტყვიების ხმა და ხედავს სადათს სისხლში. ერთ კვირაში კი იგი გახდა პრეზიდენტი. იმ წელს მას შეუსრულდა 53 წელი და იყო კმაყოფილი თავისი ვიცე-პრეზიდენტის როლით, მაგრამ…. . .» _ კ.კაპიტონოვი (115;40).

«ახალ ლიდერს მხარი დაუჭირეს იმიტომ, - წერდა ჰაიქალი, - ვინაიდან იგი იყო ყველაზე მისაღები ადამიანი იყო, რომელმაც შეძლო ეგვიპტეში არსებული შიშის გაფანტვა. ეგვიპტელებს სჭირდებოდათ ადამიანი, რომელიც არ დაიწყებდა გრამნდიოზული გეგმების აწყობას და არ მიიყვანდა ქვეყანას კატასტროფამდე».

მუბარაქი სწრაფად შევიდა იმ ვიწრო პირთა წრეში, რომლებზეც დამოკიდებული იყო ქვეყნის ბედი და ვიცე-პრეზიდენტის 6 წლიანი პოსტზე ყოფნისას მიიღო დიდი პოლიტიკური გამოცდილება. ამის შედეგად იგი აღმოჩნდა მზად ქვეყნის მეთაურის მოვალეობის შესასრულებლად, რისი წყალობით ქვეყანა სადათის გარდაცვალების შემდეგ არ აღმოჩნდა ქაოსის და არეულობის მდგომარეობაში, რასაც ცდილობდენ ფუნდამენტალისტები (78;29). ლონდონში გამოსული ჟურნალი The Middle East წერდა: «ეგვიპტის ხელისუფლებაში მოვიდა «უინიციატივო და სუსტი პოლიტიკოსი», რაც აღმოჩნდა მცდარი. ალბათ არა არის შემთხვევითი რომ მანუფიის პროვინციის მკვიდრებს ახასიათებთ მოხერხებულობა და ეშმაკობა (81).

სპეცსამსახურების აქტური საქმიანობის შედეგად, მუბარაქმა შეძლო გამოეყო «საშუალო» ისლამური ოპოზიციის ელემენტები, რომლებიც უარყოფდენ ძალადობას «რადიკალურ ექსტრემისტებთან» შედარებით. შედეგად, მმართველობის პირველი 12 თვის განმავლობაში მან გაანთავისუფლა 4000-მდე ისლამისტი აქტივისტი (57;581).

ორგანიზაციის წევრები, რომლებიც გაუსწორდენ სადათს პასუხისგებაში მიეცენ, სიკვდილით დასაჯეს ან ციხეში ჩასვეს. მალე აღმოჩენილ იქნა ბევრი სხვა საიდუმლო ექსტრემისტული ისლამური დაჯგუფება, რომელთა შირის ერთ-ერთმა _ «ალ-აქსამ» 1982 წ. მაისში სიკვდილი მიუსაჯა პრეზიდენტს.

რაც შეეხება პოლიტიკურ ოპოზიციას, ხელისუფლებაში მოსვლისთანავე პრეზიდენტმა ნება დართო ოპოზიციური პარტიების საქმიანობას და წარადგინა ისინი პარლამენტში. ამას გარდა, დათანხმდა ოპოზიციური გაზეთების ბეჭდვის განახლებას. თავისი პოზიციების გამყარებისათვის ახალმა პრეზიდენტმა დაიწყო თანდათან «დესადათიზაცია». მისი პირდაპირი ბრძანებით დაპატიმრებულ იქნა გარდაცვლილი «რაისის» ძმა ისმათ სადათი და მათი შვილები, რომლებიც მონაწილეობდნენ თაღლითურ ოპერაციეში. ამით მუბარაქმა აჩვენა თავისი მტკიცე განზრახვა _ მოსპოს კორუფცია ეგვიპტურ საზოგადოებაში. ბევრმა ანალიტიკოსმა ერთხმად აღნიშნა, რომ იგი «ახალი ტიპის» მოღვაწეა (57;576). სადათისაგან განსხავავებით, იგი თავს იკავებდა გრანდიოზული დაპირებებისაგან და ღიად გამოუცხადა თავის ხალხს, რომ მთავრობა მათ წინაშე მდგარ ყველა პრობლემას მალე ვერ გადაწყვეტდა. ახალი ეგვიპტე აშენებული იქნება მხოლოდ ეგვიპტელების შრომით – უყვარს განმეორება პრეზიდენტს (115;46).

არ შეიძლება ამავე დროს ვიფიქროდ რომ მუბარაქის წინსვლა მიდიოდა წინააღმდეგობების გარეშე. დიდი გამოცდა იყო მისთვის 17 ათასი შინაგანი უშიშროების ძალების თანამშრომელთა გაფიცვა, რომელსაც ადგილი ჰქონა 1986 წლის თებერვალში. არმიამ სწრაფად ჩაახშო ეს მღელვარება, ხოლო მუბარაქმა კიდევ გაამყარა თავისის პოზიციები (115;47).

1987 წელს ეგვიპტის სახალხო კრებამ ერთხმად აირჩია მუბარაქი ქვეყნის პრეზიდენტად მეორე საპრეზიდენტო ექვსწლიანი ვადით. ბევრი ეგვიპტელი ამბობს, რომ სადათის თავდასხმაზე თვითმხილველმა მუბარაქმა, გამოიტანა მნიშვნელოვანი დასკვნა _ უკეთესია იმოძრაო წინ პატარა ნაბიჯებით, ვიდრე სადათივით დიქტატორულ სტილში. ამიტომ, სიფრთხილე და პრაგმატიზმი გახდა პრეზიდენტის პოლიტიკური კურსის დამახასიათებელი თვისებება. «სიფრთხილის განსახიერებას» უწოდებდა მუბარაქს ჰაიქალი. იგი წერდა, რომ ეს არის «გამოცდილი მფრინავის სიფრთხილე, რომელსაც სანამ აფრინდება, სჭირდება ზუსტი მონაცემები ამინდის შესახებ და ა.შ.» (115;49). მუბარაქი

აღიარებულია სანდო ლიდერად. მართალია მას არ შეუძლია ყველა ამოცანის გადაწყვეტა, მაგრამ ერთადერთი რაც არ უნდა გააკეთოს – არ უნდა შეჩერდეს (115;52).

მმართველი კადრების შერჩევისას, მუბარაქი ძირითად მნიშვნელობას ანიჭებს პროფესიონალებს და კონფესიური ბალანსის შენარჩუნებას. მთავრობაში ყოველთვის ერთი მინისტრი კოპტია (მაგალითად მათ შორის იყო ბუტროს ბუტროს ღალი) (140). ეროვნულ კრებაში და მმართველ ეროვნუკლ-დემოკრატიულ პარტიაში დე-ფაქტოდ გამოტანილია კვოტა ქრისტიანებისათვის. პოლიტბიუროს 77 წევრიდან და ედპ-ს გენერალური სამდივნოდან 6 იყო კოპტი. საკვანძო საკითხების გადაწყვეტა კვლავ პრეზიდენტის პირადი პრეროგატივაა, მაგარამ მუბარაქი არ ცდილობს ნასერთან და სადათთან შედარებით მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტის თავის თავზე აღებას, ერევა მხოლოდ სტრატეგიული საკითხების მიღებაში და ენდობა პროფესიონალებს.

ზუსტად რომ დავახასიათოთ მუბარაქის ეპოქის ეგვიპტის ეკონომიკის განვითარებისა და ქვეყნის შემოსავალების ძირითადი წყაროები, შემდეგი დარგებია: ტურიზმი და მომსახურების სფერო, სუეცის არხის ექსპლუატაცია, სოფლის მეურნეობა, სამშენებლო მრეწველობა და დიდი ფარმაცევტული ბაზის არსებობა (20). ხოლო ნავთობის, ბუნებრივი აირის მოპოვება და დამუშავება ეგვიპტის ეკონომიკის განვითარების ბირთვია და მთლიანი შიდა პროდუქტის 8% შეადგენს (222). გასული საუკუნის 90-ან წლებში, ეგვიპტე განსაკუთრებული სწრაფი ტემპებით გადავიდა ეკონომიკის სახელმწიფო კონტროლიდან ეკონომიკის ლიბერალიზაციაზე. ერთ დღეს ცნობილი როგორც ბიუროკრატიის მონსტრი და მოუქნელი ეკონომიკის მქონე, სახელმწიფომ მოიხვეჭა «ნილოსის ვეფხვის» სახელი და გახდა არაბული ეკონომიკის ეტაპობრივი განვითარების მოდელი (243).

1989 წ. 26 დეკემბერს ეროვნულ-დემოკრატული პარტიის წარმომადგენლის ქამალ აშ-შაზლის სიტყით გამოსვლის შემდეგ დაიწყო ეგვიპტის ეკონიმიკაში ახალი ეტაპი – პრივატიზაცია, რომელიც ეტაპობრივად ხორციელდებოდა (83;6-7). იგი არ შეეხო სრატეგიული ობიექტებს, როგორიცაა სუეცის არხის კომპანია, სამხედრო ქარხნები, საავადმყოფოები, სკოლები და ა.შ. პრივატიზაციის შემდეგ საგრძნობლად გაიზარდა შემოსავლები ბიუჯეტში, რაც დადებითად აისახა ეგვიპტის ეკონომიკის განვითარებაზე (77;50).

90-იანი წლებისათვის ეგვიპტის ეკონომიკა სტაბილური გახდა. ასევე ფრთხილად ჩატარდა საბანკო სისტემის რეფორმა, გაიზარდა ს/მ წარმოება. ინფლაციამ დაიკლო 1970 წ. 24%-დან 1998 წ. 4,6%-მდე. შემცირდა ბიუჯეტის დეფიციტი (77;51). საერთაშორისო სავალუტო ფონდის დახმარებით განხორციელდა პრივატიზაციის პირველი ეტაპი. 1991 წ. მაისში ეგვიპტე საერთაშორისო სავალუტო ფონდთან შეთანხმებით შეუდგა საბაზრო ეკონომიკური რეფორმების რეალიზაციას და კრედიტორთა მკაცრმა პოზიციამ აიძულა ეგვიპტე ხელი მოეწერა საერთაშორისო სავალუტო ფონდთან და მსოფლიო ბანკთან შეთანხმებისათვის (83;7). ქვეყნის მნიშვნელოვანი ვალები ჩამოწერეს და ეგვიპტის პრივატიზაციის პოლიტიკის დარგში კონკრეტული ნაბიჯები გადაიდგა. ეკონომიკური რეფორმების შედეგად 1989/90-1992/93 საფინანსო წლების პერიოდში განხორციელდა ძირითადი ფინანსური და ფულად-საკრედიტო სტაბლიზაცია. საგარეო ვალი შემცირდა 46,1-დან 34,4 მლრდ. აშშ დოლარამდე (88).

საგარეო ეკონომიკური პრიორიტეტების განსაზღვრისას მუბარაქმა აღნიშნა, რომ აშშ-ს როლი გადამწყვეტია, ხოლო ევროპა მნიშვნელოვანი პარტნიორია. აშშ _ მთავარი ფინანსისტია, ხოლო ევროპა – მთავარი სავაჭრო პარტნიორი. 90-იან წლებში საგარეო ვაჭრობის 48% მოდიოდა ევროპაზე, 28% -აშშ-ზე, ხოლო 12% არაბულ ქვეყნებზე (89;10).

თანდათან ქვეყნის ეკონომიკამ გამოცოცხლება დაიწყო და საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების მოდელი მიიღო. ეგვიპტეში შეიქმნა თავისუფალი კონკურენციის ატმოსფერო. მაგრამ, მუბარაქის მიერ გატარებული რეფორმებით ქვეყანაში ბევრი მოგებული და ბევრი წაგებული დარჩა. პროფკავშირების მოღვაწე აბდ ალ-ჰამიდ აშ-შაიხის აზრით: ,,ბოლო 10 წლის განმავლობაში პრეზიდენტმა გაანთავისუფლა კაპიტალიზმი, მაგრამ არ გაანთავისუფლა მშრომელები; მან გაანთავისუფლა ეკონომიკა და არა პოლიტიკური ცხოვრება» (99;33). ოფიციალურად რეგისტრირებული უმუშევართა რაოდენობა შეადგენს 1,8 მლნ. კაცს (ფარული უმუშევრობის ჩათვლით – 5,9 მლნ.), ხოლო 40 მილიონამდე ეგვიპტელი სიღარიბის ზღვარზე იმყოფება (2).

უკვე 1997 წლისათვის პრივატიზირებულ იქნა 53 სახელმწიფო ობიექტი, და სახელმწიფო საწარმოთა აქციები შეიძინა 119 კერძო კომპანიამ. 1991-99 წ. ინვესტიციების მოცულობა გაიზარდა, განხორციელდა 5000-ზე მეტი კერძო პროექტის რეალიზაცია, 30 მლრდ. ეგვ. ფუნტის საერთო ღირებულებით (65;53).

ქვეყნის შიდა სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტის საქმეში მუბარაქის ადმინისტრაციამ მოახერხა მთავარი ამოცანის გადაწყვეტა – უზრუნველყო წარმოების გაზრდა, რომელიც სჭარბობს მოსახლეობის ზრდას. მთლიანი შიდა პროდუქტის გაზრდის ტემპებმა მიაღწია 1990 წლის 1,9%-დან 1998 წლისათვის 5,7 %-მდე. 1999 წლისათვის ინფლაცია საგძნობლად შემცირდა და შეადგინა 4%, რასაც მოჰყვა მთლიანი შიდა პროდუქტის საგადასახადო ბლანსის დეფიციტის შემცირება 3%-მდე 1998 წელს. მნიშვნელოვანია, რომ ეკონომიკური ლიბერალიზაციის კურსი, რომელიც უზრუნველყოფს წარმოების ეფექტურობის გაზრდას, მოსდევდა კერძო წარნმოების წახალისება და ახალი სამუშაო ადგილების შექმნა. სახელმწიფო სექტორის პრივატიზაცია ხორციელდება თანდათანობით. შენარჩუნებულია დაბალი ფასები კვების ძირითად პროდუქტებზე და მედიკამენტებზე. ყველა ეს ფაქტორები ხელს უწყობდა პოლიტიკურ სტაბილურობას ქვეყანაში (78;31).

პოლიტიკური თვალსაზრისით ეგვიპტის მთავრობა ზღუდავს მუსლიმური ორგანიზაციების საქმიანობის და შედარებითი თავისუფლების ანიჭებს კონსერვატიულ ფრთას (77;53). მუბარაქმა განსაზღვრა, რომ ისლამისტ ფუნდამენტალისტებისაგან საუკეთესო დაცვა იქნება ქვეყნის ეკონომიკის რესტრუქტურიზაცია და აღორძინება (268).

24 წლის წინ, როცა მუბარაქი ვიცე-პრეზიდენტის პოსტიდან ქვეყნის სათავეში მოვიდა 1981წ., ეგვიპტეში რეალური პოლიტიკური ცხოვრება არ იყო. მცდარი იქნება იფიქრო, რომ მუბარაქის რეჟიმი ნაკლებად დესპოტურია, ვიდრე სადათის ან ნასერის. შეიძლება ეს ნათლად არ ჩანს, მაგრამ ფაქტია, რომ თანამედროვე ეგვიპტის ისტორიას არ ახსოვს ამდენი სიკვდილ მისჯილი ადამიანი (1992წ. 68 ისლამისტი ტერორისტი დასაჯეს) და ამდენი დაპატიმრებული (დღისათვის 20000-ზე მეთი ისლამისტი ციხეებშია გამომწყვდეული). მუბარაქი ყველაფერს აკონტროლებს (99;33).

დიდი დმნიშვნელობა ენიჭება რეჟიმის «მუსლიმური იმიჯის» შენარჩუნებას და ამ პოლიტიკის უზრუნველყოფას ოფიციალური რელიგიური ინსტიტუტებით, პირველ რიგში ალ-აზჰარის უნივერსიტეტით (77;53). 1996 წლის 27 მარტს მუბარაქის განკარგულებით დანიშნული ალ-აზჰარის უნივერსიტეტის მთავარი იმამი გახდა მუჰამად საიდ ტანტავი, რომელიც ქვეყანაში სარგებლობდა ლიბერალური, ზომიერი რელიგიური მოღვაწის რეპუტაციიც (305). ასევე საგრძნობლად შეიზღუდა უცხური არხებით

ექსტრემისტების დაფინანსება. ასეთმა კომპლექსურმა ღონისძიებებმა საგრძნობლად შეასუსტეს ფუნდამენტალისტების აქტივობა. ეგვიპტის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის აჰმად მაჰირის ას-საიდის (2001-2004) აზრით ეგვიპტე წლების განმავლობაში იდგა მარტო ტერორიზმის წინაშე და უმკლავდებოდა ისლამისტთა მუქარებს (249).

1997 წელს ექსტრემისტებმა რამდენიმე იზოლირებული ტერორისტული აქტი მოაწყვეს უცხოელი ტურისტების წინააღმდეგ კაიროში და ლუქსორში, რომლემბაც დიდი საერთაშორისო რეზონანსი მიიღო. მარტო 1992-97 წწ. ტერორისტების ხელით 1500 მეტი ადამიანი დაიღუპა (უცხოელი ტურისტების ჩათვლით) (291). 1999 წელს, მას შემდეგ რაც უმსხვილესმა ფუნდამენტალისტურმა ორგანიზაციამ «ალ-გამა ალ-ისლამიმ» განაცხადა, რომ წყვეტს შეიარაღებულ ბრძოლას, ეგვიპტის მთავრობის ბრძანებით ათასზე მეტი მისი აქტივისტი განთავისუფლდა პატიმრობისაგან.

შიდაპოლიტიკური მდგომარეობის სტაბილიზაციას ხელს უწყობდა ეგვიპტური ხელმძღვანელობის კურსი საზოგადების ე.წ. «დოზირებულ» დემოკრატიზაციაზე. მას შემდეგ რაც 1987 წელს ზომიერი ისლამური ორგანიზაციების ბლოკმა («ძმები მუსლიმების» ასოციაცია, სოციალისტური შრომის პარტია და ლიბერალურ-სოციალისტური პარტია) მიიღო 60 ადგილი სახალხო კრებაში, პარლამენტი 1990 წლის ოქტომბერს ვადამდე იქნა დაშლილი და მიღებულ იქნა ახალი კანონი არჩევნების თაობაზე. კანონის შესაბამისად მოიხსნა ამომრჩეველთა ხმის 8%-იანი ბარიერი, რომელიც აძლევდა ადგილების მოპოვების საშუალებას ოპოზიციურ პარტიებს სახალხო კრებაში და გაუქმდა შეზღუდვები «დამოუკიდებელი» კანდიდატების არჩევისათვის. არჩევნების ორგანიზება და ჩატარება ისევ შინაგან საქმეთა სამინისტროს მეთვალყურეობის ქვეშ განხორციელდა. ამის შედეგად, ნოემბერ-დეკემბერში 1990 წლის არჩევნებში გაიმარჯვა სამთავრობო ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ (მისი თავმჯდომარეა მუბარაქი), რომელმაც მიიღო 348 ადგილი; ნაციონალურ-პროგრესულმა (მემარცხენე) პარტია გახდა ერთადერთი ოპოზიციური პარტია, რომელმაც გაიყვანა თავიანთი კანდიდატები არჩევნებში (8 ადგილი). ხოლო 83 ადგილი დარჩათ ე.წ. დამოუკიდებელ კანდიდატებს, რომლებიც რეჟიმისადმი ლოიალურად იყვნენ განწყობილი (77;54). მომდევნო არჩევნებზე, 1995 წელს, ედპ-მ მიიღო ადგილების 94% (417 ადგილი 454-დან). დანარჩენი ადგილები გაინაწილეს ვაფდის პარტიამ, ნაციონალურ-პროგრესულმა (ტაგამუ) პარტიამ და

დამოუკიდებელმა კანდიდატებმა (261;154). ასეთი სისტემა აძლევს საშუალებას მმართველ წრეებს შეინარჩუნოს მთლიანი კონტროლი როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელ ხელისუფლებაში. ამასთანავე, ლეგალურ ოპოზიციას თავიანთი აზრის გამოთქმის საშუალება ეძლევა საპარლამენტო ტრიბუნაზე, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ოპოზიციას ხელისუფლებაში კანონიერი გზით მოსვლის შესაძლებლობის ილუზიას უქმნის (77;54).

მაგრამ, ბოლო დროს ბევრი ეგვიპტელი პოლიტიკოსი შეშფოთებულია პოლიტიკური მდგომარეობით. «რეალური წარმომადგენლობითი დემოკრატიის უქონლობა, როგორც აღნიშნავს ეკონომიკის პროფესორი საიდი ან-ნაგარი, _ ნიშნავს, რომ აღნიშნულ სისტემაში უკვე შეიქმნა ვაკუუმი, რომელიც შესაძლოა შეავსონ ისლამურ მოძრაობებმა» (87).

ბოლო წლებში, ქვეყანაში ისევ სერიოზულ პრობლემად დგას სახელმწიფო აპარატში არსებული კორუფცია, არაფორმალური ურთიერთობებისა და კლანებს შორის კავშირები. ინგლისელი ჟურნალისტი მ. ჰიუბენდის შეფასებით, ეგვიპტელი ჩინოვნიკების ნახევარზე მეტი იღებს ქრთამებს ან აქვს დამატებითი უკანონო შემოსავლების წყარო. ამას გადრა, როგორც აღნიშნავს გაზეთი «ალ-გუმჰურია», ეგვიპტის ბიუროკრატიისათვის დამახასიათებელია მენეჯმენტის სისუსტე, სიზარმაცე და გულგრილობა (78;30-31). ქვეყნის უმდიდრეს ადამინებში უკვე მუბარაქის ნათესავებიც არიან. არასოდეს ყოფილა ამდენი უცვლელი მინისტრი. (99;33). რაც შეეხება მთავრობის მიერ მასმედიისადმი დამოკიდებულებას, ევროპელი მკვლევარების და ჟურნალისტების აზრით იგი ბევრად თავისუფალია ვიდრე სხვა არაბულ ქვეყნებში, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც ხელისუფლების მხრიდან განიცდის ზეწოლას (304).

1999წ. 26 სექტემბერს ეგვიპტის პრეზიდენტი ჰოსნი მუბარაქი ხელახლა არჩეულ იქნა ექვსწლიანი საპრეზიდენტო ვადით (219). 1999 წელს ჩატარებულმა რეფერენდუმმა აჩვენა, რომ ეგვიპტის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოჩნდა ახალი სოციალური ძალები. ამას გარდა, ეგვიპტეში უკვე მოდის თაობათა ცვლა. ამჟამად ხელისუფლებაში ისეთი ძალებია, რომლებმაც მიიღეს განათლება 50-60-იან წლებში (78;32).

თანამედროვე ეგვიპტის მდგომარეობის შესახებ ფრანგული ,,მონდ დიპლომატიკი» (1999წ. ოქტომბერი) წერდა, რომ ,,ავტოკრატული სახელმწიფოს მეთაური გაყინული რეჟიმით . . . ჰოსნი მუბარქი გათვლას აკეთებს ეკონომიკურ რეფორმებზე, მაგრამ ამ რეჟიმს

ამუხრუჭებს ე.წ. ,,გარიგების» სისტემა მთავრობასა და ახალ ბურჟუაზიას შორის» ,,სკლეროტულს» და «გაქვავებულს» უწოდებენ დღევანდელ რეჟიმს (99;30-33).

ბოლო დროს განხორციელებულ ცვლილებებს თუ არ ჩავთვლით, ეგვიპტის კონსტიტუციის თანახმად, ქვეყანაში პირდაპირი საპრეზიდენტო არჩევნები არ ტარდებოდა. სახელმწიფოს მომავალი მეთაურის კანდიდატურას ამტკიცებდა ეროვნული კრება (პარლამენტი) და გამოჰქონდა იგი საერთო სახალხო რეფერენდუმზე. 454 ადგილიან პარლამენტში უმრავლესობა ეკუთვნის ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას მუბარაქის ხელმძღვანელობით. საერთო რეფერენდუმის თანახმად, მას ხმა მისცა ამომრჩეველთა 93,79%. არჩევნებში მონაწილეობა მიიღეს 18,9 მლნ., 24 მლნ. რეგისტრაციაში გატარებულ ამომრჩეველთაგან, ხოლო 1,162 ათ. (6,21%) მუბარაქს მხარი არ დაუჭირა. 1999 წ. 5 ოქტომბერს მუბარაქმა პარლამენტის დეპუტატთა წინაშე ფიცი დადო პირნათლად დაიცვას კონსტიტუცია, ერთგულებით ემსახუროს ხალხს, დაიცვას და განამტკიცოს ქვეყნის სუვერენიტეტი (99;29).

ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტების ანალიზისას, ეგვიპტის მთავრობამ არასტაბილურობის საფრთხის თავიდან აცილება მოახერხა და ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემებთან გამკლავების შემდეგ გაცილებით უფრო ძლიერი გამოვიდა, ვიდრე 80-იანი წლების ბოლოს. პოლიტიკურ ელიტას, შეიარაღებული და უშიშროების ძალებს შორის ალიანსს კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი _ ბიზნეს-ელიტის ჯგუფი დაემატა, რომლებიც სტაბილურობითა და არსებული რეჟიმის სიმტკიცით არიან დაინტერესებული (59;47).

ეგვიპტეში არსებობს საკმარისი შიდა რესურსები სტაბილური განვითარების უზრუნველყოფისათვის. ეგვიპტის მთავრობას შეუძლია როგროც რადიკალური, ისე ზომიერი ოპოზიციის შიდა კონტროლი (162), რასაც ემატება მოსახლეობის კონტროლი რელიგიის საშუალებით, განსაკუთრებით უმწეო და დაბალ ფენებს შორის. რელიგია გავლენას ახდენს საზოგადოების ყველა ფენაზე.

დღეისათვის მუბარაქის მიემკვიდრის ვინაობის საკითხი ბუნდოვანია. სადათის მკვლეობის შემდეგ მოსული მუბარაქი უცვლელი პრეზიდენტია და ამ ხნის მანძილზე მის ხელისუფლებში ვიცე-პრეზიდენტის პოსტი, შეიძლება ითქვას რომ, გაუქმებულია. პრეზიდენტი სასტიკად ექცევა ყველას, ვინც უბრალო მინიშნებითაც კი, მის მემკვიდრედ

მოისაზრება. ქვეყანაში პოპულარულია გამონათქვამი: «ეგვიპტეში ყველზე საშიში სამსახური მეორე კაცობაა» (200;113)

ხოლო 2005 წლის 7 სექტემბრის არჩევნებში, რომელიც ეგვიპტის ისტორიაში ჩაიწერა როგორც პირველი ალტერნატიული საპრეზიდენტო არჩევნები, მუბარაქის გამარჯვებამ (52), მან მიიღო ამომრჩეველთა ხმების 88,5%, მეტყველებს იმაზე, რომ არსებული რეჟიმი არავის წინაშე ფარ-ხმალის დაყრას არ აპირებს (257). На проше არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე მუბარაქმა სატელევიზიო ინტერვიუში განაცხადა: «ის ვინც დგას ქვეყნის სათავეში, უნდა შეძლოს კარგად შეაფასოს არსებული მდგომარეობა. ყოველ არასწორ მოქმედებას შეუძლია გამოიწვიოს პრობლემები ყველა ქვეყნისათვის» (183). ჰენრი კისინჯერის აზრით ეგვიპტის პირველი ალტერნატიული საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარება არის დემოკრატიის პროგრესი ახლო აღმოსავლეთში (245).

ბ) ეგვიპტისა და აშშ-ს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობები თანამედროვე ეტაპზე

ეგვიპტის პოლიტიკაზე, ეკონომიკაზე ან სხვა საკითხებზე საუბრისას, არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ ეგვიპტის მთავარი სტრატეგიული პარტნიორის _ აშშ-ს როლი. თუმცა აღნიშნული ურთიერთობები დღეს ბევრად განსხვავებულია და უფრო ორმხრივ თანამშრომლობაზეა დამყარებული, ვიდრე სადათის დროს, რომელიც უპირობოდ იზიარებდა აშშ-ს პოლიტიკას.

აშშ-სთან სტრატეგიულ თანამშრომლობაზე მოწმობს 1979წ. კემპ-დევიდის სამშვიდობო შეთანხმების ზოგიერთი საიდუმლო მუხლი, კერძოდ, რომ «კარტერის მთავრობა ზეწოლას მოახდენს არაბებზე, რათა აღიარონ კემპ-დევიდის შეთანხმება და მხარი დაუჭირონ ეგვიპტეს. ამას გარდა, ვაშინგტონი შეეცდება დაარწმუნოს ნავთობმომპოვებელი არაბული სახელმწიფოები გააგრძელონ ეგვიპტისათვის ფინანსური დახმარების აღმოჩენა; ეგვიპტურ არმიას გადაეცემა თანამედროვე შეიარაღება რათა განხორციელდეს მისი თავდაცვისუნარიანობა და სხვა განვითარებად ქვეყნების საქმეებში ჩარევის შესაძლებლობა ჰქონდეს» (146;223).

კემპ-დევიდის შეთანხმებებით, მუბარაქი ცდილობდა აშშ-დან მიეღო მაქსიმუმი, როგორც პოლიტიკური ისე ეკონომიკური თვალსაზრისით. მუბარაქი რათქმაუნდა აფასებს ეგვიპტე-ამერიკის კავშირებს, ვინაიდან ღებულობს მისგან 2 მლრდ. აშშ დოლარის

ოდენობით ყოველწლიურ დახმარებას, ზოგჯერ უსასყოდლოდ, სესხებისა თუ სამხედრო კრედიტების სახით. ასეთი ფინანსური ჩადინებები არის მისთვის «გადამრჩენი წრე», რომელიც აკავებს ეგვიპტის ეკომომიკას ჩაძირვისაგან. მაგრამ, აქაც არსებობს გარკვეული ლიმიტები თამნამშრომლობაზე, განსაკუთრებით პოლიტიკურ დონეზე (115;46).

XX ს. 80-ანი წლებში ახლო აღმოსავლეთში ისრაელსა და არაბულ ქვეყნებს შორის ვითარება ისევ დაძაბული ოყო, გაიზარდა გამალებული შეიარაღება. NATO-ს წამყვანი ქვეყნებიდან რეგიონში ჩაედინებოდა უამრავი იარაღი, რასაც არ ჩამორჩებოდნენ ვ.ხ.ო.-ს ქვეყნებიც. საერთო სამხედრო მიწოდების შეფარდება შეადგენდა 75/25-ზე NATO-ს სასარგებლოდ. ისეთ ქვეყნებში, როგორიც სირიაა (რომელიც ეგვიპტის დაკარგვის შემდეგ საბჭოეთის მთავარი მოკავშირე გახდა), სამხრეთ იემენი, შედიოდა საბჭოთა შეიარაღება. (101;150).

ნახევარ საუკუნეზე მეტია ახლო აღმოსავლეთი, ევროპასა და აზიასთან ერთად წარმოადგენს ერთ-ერთს იმ სამი ზონიდან, რომლესაც სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს აშშ-ს ეროვნული ინტერესებისათვის (214). დასვლეთის ბლოკიდან რეიგანის ადმინისტრაციამ თავის თავზე აიღო საბჭოთა კავშირთან კონფონტაციაზე წასვლა, განსაკუთრებით «მესამე სამყაროს» ქვეყნებში მიმდინარე კონფლიქტებთან მიმართებაში (207;82). ამ სიტუაციაში რონალდ რეიგანმა სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით «ჯვაროსნულ ლაშქრობაში» გამოვიდა საბჭოთა კავშირისა და სოციალიზმის წინააღმდეგ (198;298).

სადათის მკვლელობამ, ამერიკული გავლენიანი ჟურნალის Newsweek-ის სიტყვებით ნათლად აჩვენა «ამერიკის ახლო აღმოსავლეთის პილიტიკის დაუცველობა, რომელიც ურთიერთობდა ისეთ ავტოკრატულ ლიდერებთან, როგორიც იყო ირანის შახი, პაკისტანის პრეზიდენტი და საუდის სამეფო ოჯახი.» ეგვიპტეში მომხდარი მოვლენების გათვალისწინებით, ამერიკის ადმინისტრაცია უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებდა თავიანთი გავლენის გაზრდას ახლო აღმოსავლეთში პირდაპირი სამხედრო არსებობის გაფართოებით ეგვიპტეში, რომელიც არ იქნებოდა დამოკიდებული ქვეყანაში ხელიუსუფლების შეცვლაზე. მართალია აშშ თვლიდა, რომ ეგვიპტე ჰოსნი მუბარაქის მმართველობის პერიოდში ნაკლებად სავარაუდოდ ჩამოშორდებოდა აშშ-ს, ვინაიდან

კაიროს დამოკიდებულება ვაშინგტონის სამხედრო და ეკონომიკურ დახმარებაზე დიდი იყო, ხოლო სხვა ალტერნატიული წყაროების მოძებნა შეზღუდული (101;151).

ამერიკა-ეგვიპტის ურთიერთობების გამყარების მიზნით, რეიგანის ადმინისტრაცია ცდილობდა აშშ-ს ეგიდით შეექმნა ეკონომიკური დაჯგუფება, რომელიც მიმართული იქნებოდა ამერიკის სამხედრო-პოლიტიკური ინტერესების უზღუნველყოფისათვის ამ რეგიონში (298). მაგრამ, როცა პენტაგონმა დაიწყო 1982 წელს საშტაბო სწავლების «ჯეიდ თაიგერის» დაგეგმვა, ვაშინგტონმა აღმოაჩინა, რომ ეგვიპტელები არ გამოხატავენ დიდ სურვილს მიიღონ მონაწილეობა აღნიშნულ სწავლებაში. ეს იმით აიხსნებოდა, რომ ეგვიპტე გაღიზიანებული იყო სამხედრო მანევრების «ბრაით სტარის»-ს გაშუქებით პრესაში, რომლის ჩატარება დაგეგმილი იყო 1982 წლის ოქტომბერ-ნოემბრისათვის (224), რადგანაც ამ პერიოდში ეგვიპტეს არ აწყობდა აშშ-ს სწავლებებში მონაწილეობის გაშუქება, ვინაიდან არაბთა თვალში ეს თანამშრომლობა «სიონისტებთან» კავშირად აღიქმბოდა. ამას მოჰყვა 1983 წლის მაისში ორმხრივი მოლაპარაკებების ჩაშლა, რომელიც მიმართული იყო ეგვიპტის სამხედრო ბაზის რას-ბანასის მოდერნიზაციის შესახებ შეთანხმების დადებაზე (215;201). ამერიკის ადმინისრაცია ცდილობდა ამ საკითხში ეგვიპტეს თანხმობა მიეღო, რათა ბაზაზე თავისი სწრაფი რეაგირების ძალების განლაგების გარანტია ჰქონოდა. ერთი თვით ადრე, სანამ ისრაელის ბოლო ჯარისკაცი დატოვებდა სინას ნახევარკუნძულს, 1982 წლის მარტში, იქ განთავსდა «მრავალეროვანი ძალების» ამერიკული კონტინგენტი (82-ე საჰაერო-სადესანტო ქვედანაყოფის პარაშუტისტები), რომლებმაც სხვა 300 ჯარისკაცთან ერთად შეადგინეს სწრაფი რეაგირების ძალები სინაზე (101;152). აღნიშნული ძალები გაყვანილი იქნებოდა მხოლოდ მხარეების შეთანხმების საფუძველზე. ეს აძლევდა აშშ-ს სამხედრო არსებობის დამყარებას ახლო აღმოსავლეთში (272). მიუხედავად იმისა, რომ ეგვიპტე აღნიშნულ შეთანხმებაზე ხელმოწერის წინააღმდეგი იყო, აშშ-ს არ შეუწყვეტია მისთვის დახმარების მიწოდება. 1983 წლის საფინანსო წელს ადმინისტრაცია კიდევ შორს წავიდა და ბიუჯეტიდან გამოუყო ეგვიპტეს სამხედრო და ეკონომიკური დახმარება 2,5 მლრდ აშშ დოლარის ოდენობით, ხოლო ისრაელს 2,48 მლრდ. აშშ დოლარი. მიუხედავად უმნიშვნელო განსხვავებისა პირველად, წლების განმავლობაში არაბული ქვეყნისათვის განკუთვნილი იყო უფრო მეტი, ვიდრე ისრაელისათვის. ამან არაბულ საზოგადოებაში გარკვეულ წილად გავლენა იქონია _ ბევრ არაბულ ქვეყანაში დაიწყეს ფიქრი, რომ კემპ-

დევიდის მოდელის მიღება სასარგებლოა. 1985 წლის საფინანსო წელს ეგვიპტემ მიიღო დახმარება 2,2 მლრდ. აშშ დოლარის ოდენობით. 80-ანი წლების პირველ ნახევარში ეგვიპტე პირველ ადგილზე გავიდა განვითარებადი ქვეყნებს შორის ამერიკული დახმარების მოცულობით. ეგვიპტის ვალმა შტატებისადმი 1984 წლის ბოლოსათვის გადააჭარბა 8,5 მლრდ. აშშ დოლარს. 1985–1987 წ.წ. ამერიკული დახმარების მოცულობა შენარჩუნდა იგივე დონეზე (101;152).

«ჩვენ ვთხოვდით შეერთებულ შტატებს იყოს უფრო მოქნილი თავიანთი დახმარების დაგეგმვაში, _ განაცხადა მუბარაქმა 1983 წ. იანვარში ვაშინგტონში ვიზიტამდე, _ და გაითვალისწინოს ეგვიპტის განსაკუთრებული ინტერესები». მაგრამ ერთ-ერთი მიზეზი, რომლის გამო აშშ-სა და ეგვიპტეს შორის არსებობდა უთანხმოება, იყო ეგვვიპტის ხელმძღვანელობის დამოუკიდებელი პოლიტიკა, რომელიც სრულფასოვან დიპლომატიურ ურთიეთობებს ისრაელთან არ ამყარებდა (101;152). ეგვიპტემ გამოიწვია თავის ელჩი თელ-ავივიდან, საბრაში და შატილაში ტრაგიკული მოვლენების შემდეგ 1982 წლის სექტემბერში (266;9) და განაცხადა, რომ დააბრუნებს მას მხოლოდ ისრაელის ჯარების ლიბანიდან სრული გამოყვანის შემდეგ _ ახალი ელჩი დაინიშნა მხოლოდ 1986 წ. (312;65)

ეგვიპტის იზოლაციამ და არაბული სამყაროს დეზინტეგრაციამ საშუალება მისცეს ისრაელს მიეღო ზომები რეგიონალური ბალანსის შეცვლისათვის თავის სასარგებლოდ. ასე, მაგალითად, 1980 წ. ივლისში ქნესეთმა მიიღო «ძირითადი კანონი იერუსალიმის შესახებ» და გამოაცხადა მთელი ქალაქი ისრაელის სახელმწიფოს «განუყოფელ და ერთიან დედაქალაქათ» (143;33); 1981 წელს 7ივნისს დაბომბა ერაყის ბირთვული ბომბის წარმოების ცდების ცენტრი Osiraq-1 (299); 1982 წელს პალესტინელი ტერორისტების წინააღმდეგ სადამსჯელო ოპერაციის ჩატარების მიზეზით, ისრაელი ლიბანში შეიჭრა 1982 წ. (ოპერაცია «მშვიდობა გალილეისათვის») (269;138-139), ხოლო 1986 წ. დაბომბა პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის შტაბ-ბინა თუნისში (174;23).

რაც შეეხება საბჭოთა კავშირთან ურთიეთობებს, ხელისუფლებაში მუბარაქის მოსვლის შემდეგ თანდათან დაიწყო მათი ნორმალიზაციის პროცესი. ეგვიპტესა და საბჭოთა კავშირს შორის განახლდა სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობა (130). აღდგა დიპლომატიური ურთიერთობები და გადაწყდა 1984 წელს ელჩების კაიროში და მოსკოვში დაბრუნება. ამერიკელი მკვლევარის კვანდტის აზრით, თითქმის ათი წლის განმავლობაში

საბჭოთა კავშირს არანაირი არსებობა და რაიმე ზეგავლენა არ ჰქონდა ეგვიპტეზე. მართალია 1985 წელს მოსკოვმა აღადგინა კავშირები კაიროსთან, ისიც მუბარაქის ინიციატივით, მაგარამ 60-ან წლების ურთიერთობების დონეზეც ზედმეტი იყო ლაპარაკი, რომელიც მხოლოდ მეხსიერებაში დარჩა (266;13). მიუხედავად მაღალი დონის ამერიკა-ეგვიპტური ურთიეთოიბებისა, ეგვიპტის ახალი ხელმძღვანელობა ცდილობდა უფრო მეტი დამოუკიდებლობა ჰქონოდა თავის ქმედებებში საგარეო-პოლიტიკურ ასპარეზზე, რაც რეიგანის ადმინისტრაციის მღელვარებას იწვევდა.

უილიამ კვანდტი, ეგვიპტე-ამერიკის ურთიერთობებთან დაკავშირებით, აღნიშნავს, რომ რამდენიმე პოტენციურად საშიშმა ინციდენტმა, როგორიცაა ისრაელის შეჭრა ლიბანში, «აკილე ლაუროს» საქმემ, ისრაელში გამალებულმა შეიარაღებამ, არ მიუყენებია დიდი ზიანი აშშ-ეგვიპტის ურთიერთობებს (266;26). ხოლო "აკილე ლაუროს" საქმემ აშშ-ეგვიპტის ურთიერთობებს გარკვეული გამოცდა მოუწყო. აღნიშნული საქმე დაკავშირებულია ინციდენტთან, როდესაც აშშ-ს ხმელთაშუა ზღვის დაჯგუფების ფლოტის გამანადგურებლებმა 1985 წლის 10 ოქტობერს დააკავეს ეგვიპტური სამგზავრო თვითმფრინავი. აქ იმყოფებოდენ პალესტინელი ტერორისტები, რომლებაც შეიპყრეს 1987 წ. 7 ოქტომბერს ეგვიპტის საზღვრებთან იტალიური ლაინერი «აკილე ლაურო», სადაც მოკლეს რამდენიმე ამერიკელი ტურისტი. საერთაშორისო ინციდენტის აცილების მიზნით ეგვიპტელებმა დააკავეს გემზე პალესტინელები და გააძევეს ქვეყნიდან თვითმფრინავით. ამან შეამცირა არსებული დაძაბულობა ორ ქვეყანას შორის, ვინაიდან ტერორისტების დაკავების ოპერაცია – თვითმფრინავის მარშრუტი, გამოფრენის დრო და ა.შ. შეთანხმებული იყო ეგვიპტის მხარესთან. (266;22).

1982 წლის 25 აპრილს ისრაელის ჯარების ბოლო ნაწილებმა დატოვეს სინა და ეგვიპტის დროშა ისევ აფრიალდა სინას ნახევარკუნძულზე. ასე იქნა დასრლებული ქემპ-დევიდის შეთანხმებათა პირველი ნაწილი (237). სინას ტერიტორიის დაბრუნების 20 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით მუბარაქმა აღნიშნა, თუ რა მნიშვნელობა იქონია 1973 წ. ოქტომბრის ომმა და შემდგომ სამშვიდობო კამპანიამ სინას დაბრუნებაში, რომელიც მთლიანად ეგვიპტელი ხალხის, შეიარაღებული ძალების და პრეზიდენტ სადათის დამსახურებაა (334).

1982 წლის სექტემბერში აშშ-ს პრეზიდენტი რეიგანი გამოვიდა ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის მოგვარების ახალი ფორმულით და აღუთქვა მუბარაქს მისი მხარდაჭერა (271). აშშ ადმინისტრაცია არ მალავდა, რომ ეგვიპტის პოზიცია პირდაპირ დამოკიდებული იქნებოდა ამერიკის დახმარებაზე: «მუბარაქის შემდეგ ნაბიჯს, გავლენა ექნება ეგვიპტის მნიშვნელოვან კავშირებზე აშშ-სთან, რომელიც არის ძირითად მიმწოდებელი ეკონომიკური დახმარებისა და შეიარაღებისა». ამავე დროს რეიგანის ადმინსიტრაციამ დაგმო ისრაელის საჰაერო თავდასხმა ერაყის ბირთვულ რეაქტორზე 1981 წ. და ლიბანში 1982 წელს შეჭრა. მეორე შემთხვევაში თეთრმა სახლმა მოითხოვა, რომ ისრაელის არმიას მიეცა უფლება არაფატისათვის და პ.გ.ო.-ს გადარჩენილი წევრებისათვის გაქცეულიყო ლიბანიდან (127). თუ არ ჩავთვლით ამ ორ შემთხვევას, რეიგანის ადმინისტრაცია თავის მმართველობის პერიოდში ყოველთვის უჭერდა მხარს ისრაელის პოლიტიკას. 80-ანი წლების დასაწყსიდან ისრაელსა და აშშ-ს შორის სტრატეგიული თანამშრომლობის ძირითად ქვაკუთხედს წარმოადგენდა ხალგრძლივი «განსაკუთრებული ურთიერთობების» ჩამოყალიბება მხარეებს შორის (209;75). მაგრამ არაფატისთვის დახმარების აღმოჩენას თავისი მიზეზი ჰქონდა. ისრაელის მიერ ბეირუთის ბლოკადით, სადაც განლაგებული იყო პ.გ.ო.-ს ძირითადი ძალები, ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს მიეცა უნიკალური შანსი შეემცირებინა მოსკოვის გავლენა კიდევ ერთი მიმართულებით _ პალესტინელებზე. რუსეთის დაზვერვის ოფიცერის აზრით, ამის მიზეზია კრემლის უმოქმედობა. პალესტინელებმა შეატყობინეს სუკ-ს, რომ ისრაელი აპირებს ლიბანში შეღწევას. პასუხად, საბჭოთა ხელმძღვანელობამ აღუთქვა ტრადიციულად «ძმური» დახმარება, მაგრამ შეპირებული მხარდაჭერა არ მისულა. Aიმ დროს, არაფატმა მწუხარებით აღნიშნა, რომ აშშ ყოველი შემთხვევისათვის, რაღაც გარკვეულ როლს მაინც თამაშობს ამ კონფლიქტში, როცა საბჭოთა კავშირი ამ დროს სრულ დუმილს ინარჩუნებს. 70-80-იან წლებში გასამხედროებული ისლამური დაჯგუფებების დახმარებით, აშშ კომუნისტების წინააღმდეგ ბრძოლისათვის იყენებდა (177).

ამერიკისა და ეგვიპტის სტრატეგიულ თანმშრომლობაზე საუბრისას, არ შეიძლება ეგვიპტის განხილვა ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე სამშვიდობო პროცესში აქტიური მონაწილეობის გარეშე. კაირო და ვაშინგტონი ამ პროცესში ხანრძლივი დროის მანძილზე პარტნიორები არიან (212).

80-იანი წლების ბოლოსათვის მომხდარი ცვლილებების შედეგად, ამერიკის მთავრობამ კორექტივები შეეტანა თავის ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკაში. 1987 წლის 9 დეკემბერს პალესტინური ინთიფადის (აჯანყების) დაწყებამ, გააქარწყლა აშშ-ში გამეფებული მოსაზრება, რომ კონფლიქტი სტაგნაციას განიცდის და პალესტინის საკითხის გადაწყვეტა შეძლება მეორე პლანზე მოექცეს. აშშ დაადგა უკვე კომპრომისის გზას (101;154).

და ბოლოს, ყველაზე მთავარი ფაქტორი, რომელმაც აიძულა აშშ-ს შეეტანა ცვლილებები თავის ახლო აღმოსავლურ კურსში _ ეს იყო სსრკ-ში დაწყებული ცვლილებების პროცესი, კერძოდ, ხელისუფლების სათავეში მ.გორბაჩოვის მოსვლა. 1980-იანი წლების პერიოდში, როცა საბჭოთა კავშირს მიყოლებით მართავდნენ «სუსტი» (ჯანმრთელობის თვალსაზრისითაც) პოლიტიკური ლიდერები (ბრეჟნევი, ანდროპოვი, ჩერნენკო) აშშ-საბჭოთა ურთიერთობები დრამატულად ვითარდებოდა, სანამ მიხეილ გორბაჩოვი გახდებოდა პრეზიდენტი. გორბაჩოვის ახალმა ხედვამ საგარეო პოლიტიკაში და მისმა საშინაო რეფორმებმა, შექმნა რადიკალური ძვრები, როგორც საბჭოთა საგრეო, ისე საშინაო საქმეებში და საზოგადოებაში. გორბაჩოვის მიზანი იყო აშშ-სთან და დასავლეთ ევროპასთან ურთიერთობების გაუმჯობესება (207;83). განსაკუთრებით მნიშვნელოვანი შთაბეჭდილება დატოვა სსრკ-ს გადაწყვეტილებამ მოეგვარებინა ავღანეთის პრობლემა მშვიდობიანი გზით და ავღანეთიდან თავისი ჯარების გამოყვანა. საბჭოთა-ამერიკული უმაღლესი დონის შეხვედრებმა ჟენევაში, რეიკიავიკში, ვაშინგტონში და მოსკოვში ხელი შეუწყო ურთიერთობების გაუმჯობესებას ორ ქვეყანას შორის, რაც აისახა მსოფლიო პოლიტიკურ ამინდზე და განსაკუთრებით ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის მოგვარების მიზნით ერთობლივი ინიციატივების შემუშავებაში.

არაბ-ისრაელის კონფლიქტი უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია გრძელდება. წარსულს ჩაბარდა ლორდ ბალფური, რომელმაც განაცხადა ებრაული დასახლებების შექმნის თაობაზე ბრიტანეთის სამანდატო ტერიტორიაზე, გამალ აბდ ან-ნასერი, რომელმაც აღმართა არაბული ერთიანობის ალამი, დავიდ ბენ-გურიონი, რომელმაც შექმნა ისრაელის სახელმწიფო; ანვარ სადათი, რომელიც მოღალატედ გამოაცადეს და პირველმა მოაწერა ხელი მშვიდბის შეთანხმებას (79). ამის შემდეგ სამშვიდობო ინიციატივების მიღება ისევ გაგრძელდა მაგრამ კონფლიქტი დღემდე მოუგვარებელია.

1974 წელს პ.გ.ო.-ს თავმჯდომარემ იასირ არაფატმა განაცხადა გაეროში, რომ მოვიდა «ზეთისხილის ტოტით ერთ ხელში და თავისუფლებისათვის მებრძოლის ავტომატით მეორე ხელში. არ დაუშვათ, რომ ზეთისხილის ტოტი ხელდან გამივარდეს». მას შემდეგ მრავალი წელი გავიდა, მაგრამ მსოფლიომ დღესაც არ იცის დანამდვილებით, იყო თუ არა იგი სახელმწიფო მორვაწე, რომელიც ქადაგებდა ისრაელთან მშვიდობიან თანაარსებობას, თუ წინააღმდეგობის ლიდერი, რომელმაც თავი მიუძღვნა შეიარაღებულ ბრძოლას ისრაელის წინააღმდეგ (270). პალესტინის ეროვნული საბჭოს XIX სესიაზე 1988 წლის 15 ნოემბერს ალჟირში, პალესტინელი ხალხისათვის მიღებულ იქნა ორი ისტორიული გადაწყვეტილება: 1) დეკლარაცია პალესტინის დამოუკიდებლობის შესახებ; 2) გაეროს უშიშროების საბჭოს 242 და 338 რეზოლუციების აღიარება ახლო აღმოსავლეთის საკითხებში საერთაშორისო მოლაპარაკებების საფუძვლად (30). ამავე დროს პალესტინის ეროვნული საბჭო თავის მოთხოვნებს კანონიერების საფუძვლად იღებდა 181 რეზოლუციას, რომელიც ითვალისწინებდა 1947 წელს პალესტინის სამანდატო ტერიტორიაზე ორი სახელმწიფოს შექმნას _ ებრაულისა და პალესტინურის. ანუ, იგი გამოდიოდა ორი სახელმწიფოს თანაარსებობის შესაძლებლობიდან, რაც ფაქტობრივად ხელს უწყობდა უთანხმოების შეჩერებას აშშ-სთან, რომელიც ითხოვდა პალესტინელების მხრიდან ისრაელის აღიარებას და და ეწინააღმდეგებოდა პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციას მიეღო მონაწილეობა საერთაშორისო კონფერენციაში (8).

1988 წ. 13 დეკემბერს პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის თავმჯდომარე იასირ არაფატი გამოვიდა სპეციალურ სესისაზე ჟენევაში, სადაც გამოაცხადა ახალი მიდგომა არაბ-ისრაელის კონფლიქტის მოგვარების საკითხისადმი. ამან ხელი შეუწყო ახალი ამერიკული-პალესტინური დიალოგის დაწყებას თუნისში 1988 წლის დეკემბერში (50).

ისრაელმა დაინახა, რომ კარგავდა ინციატივას მოლაპარაკებებში პ.გ.ო.-ს გააქტიურების გამო და გამოვიდა თავისი ახალი წინადადებებით ახლო აღმოსავლეთის მოგვარების საკითხებში, რომელმაც მიიღო სახელწოდება «შამირის გეგმა» და გულისხმობდა ოკუპირებულ ტერიტორიებზე არჩევნების ჩატარებას კემპ-დევიდის მოდელით და პალესტინელთათვის შიდა თვითმმართველობის მინიჭებას. მაგრამ ამასთან ერთად შამირი გამოდიოდა პ.გ.ო.-ს, როგორც სრულუფლებიანი წევრის მონაწილეობის

წინააღმდეგ აღნიშნულ მოლაპარაკებებში. შამირი მხარს უჭერდა ეგვიპტის განსაკუთრებულ როლს სამშვიდობო პროცესში, მაგრამ მუბარაქმა უარი თქვა შამირთან შეხვედრაზე, სანამ ისრაელი არ დათანხმდებოდა პ.გ.ო.-ს ჩართვაზე მოლაპარაკებებში (101;158).

Die Welt-თან მიცემულ ინტერვიუში მუბარაქმა განაცხადა, რომ არ შეიძლება ახლო აღმოსავლეთის პრობლემა განვიხილოთ პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის მონაწილეობის გარეშე, ხოლო ისრაელის ჯარების ევაკუაცია ოკუპირებული ტერიტორიებიდან აძლევს პალესტინელ ხალხს უფლებას თვითგამორკვევისათვის (312;45). ეგვიპტის პრეზიდენტმა მოიწონა ტერიტორიებზე არჩევნების ჩატარების იდეა. მუბარაქის გეგმა ითვალისწინებდა პირდაპირ მოლაპარაკებებს კონფლიქტში მონაწილე მხარეებს შორის გაეროს ეგიდით. ახლო აღმოსავლეთის კონფერენცია უნდა დაწყებულიყო გაეროს ფარგლებში და შემდეგ გადასულიყო პირდაპირ მოლაპარაკებებში. 1989 წლის გაზაფხულისათვის წარმოდგენილ გეგმას დაემატა კიდევ რამდენიმე ვერსია.

1988 წ. სექტემბერში მუბარაქი ვიზიტით იმყოფებოდა აშშ-ში. იგი მიესალმა აშშ-ს სახელმწიფო მდივნის ჯ.შულცის ახალ გეგმას, რომელიც ითვალისწინებდა პალესტინელთა პოლიტიკურ უფლებებს, რაც გახდა ახალი ნაბიჯი ახლო აღმოსავლეთის საკითხის მოგვარებაში და ითვალისწინებდა საერთაშორისო კონფერენციის მოწვევას აშშ-ს, სსრკ-სა და გაეროს უშიშროების საბჭოს სხვა მუდმივი წევრების მონაწილეობით. შემდეგ უნდა დაწყებულიყო მოლაპარაკებები დასავლეთ სამაპიროსა და ღაზას საბოლოო სტატუსზე (321;206-207).

პალესტინა-ისრაელის კონფლიქტის მოგვარების საკითხი დიდი ხანია წარმოადგენდა ეგვიპტის საგარეო პოლიტიკის ძირითად საზრუნავს. რაში გამოიხატება კონფლიქტში ეგვიპტის როლი, მაშინ როცა თითქმის მსოფლოს ყველა წამყვანი სახელმწიფოები ჩართულია მისი მოწესრიგების საქმეში (190).

ბუტროს ბუტროს ღალის აზრით, ბოლო 30 წელია ეგვიპტის საგარეო პოლიტიკა ეფუძნება ორ მთავარ გამოძახილს: როგორ შეაჩეროს ისრაელის მზარდი ამბიციები და როგორ გადაწყვიტოს პალესტინის პრობლემა, რომელიც ახლო აღმოსავლეთის კრიზისის მოგვარების ძირითადი ქვაკუთხედია (227).

ეგვიპტის არაბულ რესპუბლიკასა და ისრალეს შორის დიპლომატიური ურთიერთობები დამყარდა 1979 წ. ეგვიპტე პირველი არაბულ ქვეყანაა, სადაც ისრაელმა გახსნა საელჩო 1980 წ. (22). ქვეყნებს შორის, სამშვიდობო შეთანხმების დადების შემდეგ, ურთოერთობები არაერთხელ «ცივი ომის» ხასიათს ატარებდა, რამდენჯერმე გაწვეულ იქნა ელჩები, მაგრამ დიპლომატიური ურთიერთობები არასოდეს შეწყვეტილა და მიუხედავად ისრაელის მთავრობაში «მემარჯვენე» თუ «მემარცხენე» ძალების მოსვლისა, კაიროსა და თელ-ავივის მთავრობის მეთაურებს შორის ოფიციალური კონტაქტები ყოველთვის არსებობდა (190).

ეჭვს არ იწვევს ეგვიპტის უდიდესი ავტორიტეტი, როგორც ახლო აღმოსავლეთის რეგიონში, ისე საერთაშორისო ასპარეზზე. ეგვიპტელი დიპლომატის დ. რიდა აჰმად შიჰატას აზრით ეგვიპტის როლი სამშვიდობო პროცესში მინიშვნელოვანია, ვინაიდან ეგვიპტეს ყველაზე დიდი გამოცდილება გააჩნია ისრაელთან როგორც სამხედრო ურთიერთობის, ისე სამშვიდობო მოლაპარაკებების პროცესში მონაწილეობის თვალსაზრისით: «ჩვენ პირველი არაბული სახელმწიფო ვართ, რომლესაც ნორმალური ურთიერთობა აქვს ისრაელთან» (154). პრეზიდენტი ჰოსნი მუბარაქი არაბული სამყაროს ერთ-ერთი დიდი და პატივსაცემი ლიდერია, რომლის პირადი ავტორიტეტი შეულახავია. ზუსტად მისი დამსახურებაა, რომ ეგვიპტემ შეძლო როგორც პალესტინელთა, ისე ებრაელთა ნდობის მოპოვება (190).

ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი კიდევ ის არის, რომ ეგვიპტე ისრაელთან ერთად ახლო აღმოსავლეთის რეგიონში აშშ-ს უმთავრესი სტრატეგიულ პარტნიორია. არაბული ქვეყნებიდან იგი აშშ-ს სამაგალითო მოკავშირედ ითვლება. მუბარაქი მნიშვნელოვანი როლს ასრულებს აშშ-სათვის, ვინაიდან, მას ერთდროულად უწევს ურთიერთობა ისრაელთან და არაბულ ლიდერებთანაც. რთულია ითქვას, რომ მუბარაქი დემოკრატი პრეზიდენტია, მაგრამ შეილება მისი იმედი და ნდობა გქონდეს (120).

1987 წ. 8-12 ნოემბრის არაბულ სახელმწიფოთა ლიგის უმაღლესი დონის შეხვედრაზე ამანში, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ არაბულ ქვეყნებს შეუძლიათ ეგვიპტესთან დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა. ამის შემდეგ 9 არაბულმა ქვეყანამ აღადგინა ურთიერთობები ეგვიპტესთან (336;145).

მუბარაქის პირველი ნაბიჯი არაბულ ქვეყნებთან დამოკიდებულებაში მიზნად ისახავდა ეგვიპტის წინააღმდეგ კამპანიის შეჩერებას არაბულ პრესაში, აგრეთვე არაბულ და ისლამურ ხალხთა ლიგის გაუქმება, რომელიც არაბული ლიგის საწინააღმდეგოდ იყო შექმნილი. პარალელურად მიდიოდა პროპაგანდა არაბულ სახელმწიფოთა ლიგის შტაბ-ბინის კაიროში დაბრუნებისათვის. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ეგვიპტის ავტორიტეტის ამაღლებაში მის დაბრუნებას «ორგანიზაცია ილამურ კონფერენციაში» 1984 წ. მაროკოს აქტიური დახმარებით (312;209). ეგვიპტის ხელმძღვანელობამ აღიარა პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაცია პალესტინელი ხალხის ერთადერთ კანონიერ წარმომადგენლად. 1983 წ. მას შემდეგ რაც პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაცია გაძევებულ იქნა ლიბანიდან და მიიღო მფარველობა თუნისში, კაიროში 1985 წ. 4 ნოემბერს შედგა შეხვედრა არაფატსა და მუბარაქს შორის (312;199). 1987 წ. აპრილში ეგვიპტის დედაქალაქში აღიმართა პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის წარმომადგენლობის დროშა (312;47). ამით მუბარაქმა აჩვენა, რომ ეგვიპტე ისევ მზადაა ითამაშოს მარეგულირებელის როლი, პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციასა და აშშ-ს, იორდანიასა და ისრაელის შორის, სამშვიოდბო კონფერენციების მოწვევით ახლო აღმოსავლეთის საკითხებთან დაკავშირებით (263;48).

1989 წლის 23 მაისს, არაბულ სახელმწიფოთა უმაღლესი დონის შეხვედრაზე კასაბლანკაში, ეგვიპტე გახდა არაბულ სახელმწიფოთა ლიგის სრულუფლებიანი წევრი (312;208). Eეგვიპტელი ხალხი მუბარაქს შეხვდა როგორც ეროვნულ გმირს, რომელმაც განსაზღვრა ეგვიპტის დიპლომატიის ტრიუმფი.

ერთ-ერთ საკვანძო ფაქტორი, რომელმაც ასევე განსაზღვრა ეგვიპტის დაბრუნება არაბულ რიგებში, აღმოჩნდა კაიროს დამოკიდებულება თელ-ავივთან მიმართებაში. პრეზიდენტის მიერ გამომუშავებულ იქნა ისრაელთან ურთიეთობების ძალიან წარმატებული ფორმა: «ორმხრივი ურთიეთობები განისაზღვრება ახლო აღმოსავლეთში საერთო ვითარებით, ახლო აღმოსავლეთის პროცესით» (115;48). ასეთი ფორმულირება აძლევდა მუბარაქს საშუალებას ისრაელი გარკვეულ დისტანციაზე დაშორებული ჰყოლოდა. ასეთი პოზიცია, არ შეიძლება არ შემჩნეულიყო არაბულ ქვეყნებში. არ დარჩენილა ასეთი ფაქტიც _ ეგვიპტის პრეზიდენტი ერთადერთი მაღალი რანგის არაბი

ხელმძღვანელია, რომელიც უარს ამბობდა ისრაელში ვიზიტზე, მიუხედავად მრავალი მოწვევისა, გარდა იცხაკ რაბინის დაკრძალვის ცერემონიაზე დასწრებისა (223).

მნიშვნელოვანმა ფაქტორმა, რომლემაც ხელი შეუწყო სულ ახალი წარმოდგენის შექმნას ეგვიპტეზე ითამაშა ირან-ერაყის ომმა, როდესაც სპარსეთის ყურის არაბულმა ქვეყნებმა დაინახეს სერიოზული საშიშროება ირანში გამარჯვებული «ისლამის რევოლუციის» მხრიდან. არაბულმა ქვეყნებმა დადებითად შეაფასეს ეგვიპტის მხარდაჭერა. მაგრამ ერაყისა და ეგვიპტის ურთიერთობები უფრო პაექრობას წააგავდა, ვიდრე თანამშრომლობას. ორ ქვეყანას შორის მუდამ არსებობდა ბრძოლა რეგიონში ლიდერობისათვის. 1980 წ. სადამ ჰუსეინმა გააკეთა განცხადება, რომ თეირანი არ ასრულებს 1975 წ. შეთანხმებას, რომლის თანახმად ბაღდადს უნდა გადაეცეს ზოგიერთი მოსაზღვრე ტერიტორიები და დაიწყო სამხედრო მოქმედებები ირანის წინააღმდეგ. კონფლიქტმა ხანგრძლივი ხასიათი მიიღო (1980წ. სექტემბერი - 1988წ. აგვისტო).Mმუბარაქი მიისწრაფვოდა, რომ ეტაპობრივად აღედგინა პოზიციები არაბულ სამყაროშიDდა დაინტერესებული იყო არაბული ბაზრის დაკავებით თავისი მრეწველობისათვის. ეგვიპტემ მიაწოდა ერაყს დიდძალი შეიარაღება და გაგზავნა სამხედრო სპეციალისტები და მოხალისეები. შესაბამისად, სადათმა განაცხადა რომ «არაბული სოლიდარობა არ იქნება სრულფასოვანი ეგვიპტის გარეშე» (191).

მუბარაქის მიზანმიმართული პოლიტიკის წყალობით მოხერხდა არაბულ სამყაროში ეგვიპტის იზოლაციის შესუსტება და კემპ-დევიდის ხელშეკრულებებისადმი ერთგულების შენარჩუნება. ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტების მოგვარების საქმეში ვაშინგტონმა თავისი ყურადღება ამანიდან კაიროზე გადაიტანა (101;159).

აშშ-სა და პ.გ.ო.-ს შორის ოფიციალური მოლაპარაკებების დაწყებას დაემთხვა 1989 წ. საპრეზიდენტო არჩევნებში ჯორჯ ჰერბერტ უოლკერ ბუშის გამარჯვება, რომლის სახელმწიფო მდივანმა ჯეიმს ბეიკერ III-მ აღადგინა კარტერის ხედვა კონფლიქტის მოგვარების საქმეში (127). ახალმა ადმინისტრაციამ დადებითად შეაფასა ეგვიპტის როლი კონფლიქტის მოგვარების საქმეში, რომლის ნათელი მაგალითია ის, რომ მუბარაქი უცხო ქვეყნის ლიდერებიდან ერთ-ერთი პირველია, ვინც ინაუგურაციის შემდეგ ვიზიტით იმყოფებოდა ვაშინგტონში. 1989 წ. 3 აპრილს მუბარაქთან შეხვედრისას ბუშმა განაცხადა,

რომ ეგვიპტე და აშშ იზიარებენ ისრაელისUუშიშროების მიზნებს, ოკუპაციის დამთავრებას და პალესტინელთა უფლებების სამართლიანობას (266;28-29).

ბუშის ადმინისტრაციამ არაბ-ისრაელის კონფლიქტის მგვარებასთან დაკავშირებით თავისი ყურადღება გადაიტანა არჩევნების გამართვაზე სადაო ტერიტორიებზე, სადაც უნდა ამაღლებულიყო პალესტინელი ლიდერების სტატუსი (ხოლო პ.გ.ო.-ს სტატუსის უნდა დაწეულიყო). ასე ჩამოყალიბდა კონფლიქტის მოგვარების ბეიკერის გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა ეგვიპტის, აშშ-სა და ისრაელის მხარეების შეხვედრას, რათა შეეთანხმებინათ პირობები არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებით დასავლეთ სანაპიროსა და ღაზას სექტორში. თუმცა ამ ინიციატივის განხორციელება კვლავ ვერ მოხერხდა, განსაკუთრებით ისრაელის პარლამენტში ბლოკ «ლიკუდის» გამარჯვების შემდეგ, რომელმაც პირველ პლანზე წამოსწია არა სამშვიდობო მოლაპარაკებების, არამედ სხვა პრობლემების განხილვა, მათ შორის საბჭოთა ებრაელების საკითხის გარკვევა (101;160).

1985 წლის თებერვალში არაფატმა და იორდანიის მეფე ჰუსეინმა ხელი მოაწერეს ე.წ. «ამანის შეთანხმებას», რომელიც იყო კონფლიქტის გადაწყვეტის ერთობლივი მცდელობა ამერიკული საშუამავლო არხის მეშვეობით. აღნიშნული შეთანხმება მოსკოვმა ჩათვალა ძლიერ დარტყმად თავის გავლენის სფეროებზე რეგიონში (კემპ-დევიდის ხელშეკრულებასავით) და პალესტინა-საბჭოთა ურთიერთობებში გაჩნდა პირველი სერიოზული ბზარი. მაგრამ პ.გ.ო.-ს მიერ ამ ხელშეკრულების ანულირების შემდეგ (მან შედეგი არ გამოიღო), 1987 წ. ალჟირის 18-ე სესიაზე, ხელი შეუწყო საბჭოთა-პალესტინის ურთიერთობების დათბას, შეიქმნა საბჭოთა-პალესტინური კოორდინაციული კომიტეტი, რომლის პირველ წარმომადგენელად მაჰმუდ აბასი დაინიშნა (205). ამას მოჰყვა კონფლიქტის დარეგულირების საქმეში საბჭოთა ინიციატივის გაფართოება, აშშ-სა და ეგვიპტის ძალისხმევასთან ერთად. დიდი მნიშვნელობა იქონია სამშვიდობო პროცესის განვითარებისათვის სსრკ-ს საგარეო საქმეთა მინისტრის ე.შევარდნაძის ვიზიტმა ეგვიპტეში, სირიაში, იორდანიაში და ერაყში 1989 წ. თებერვალში.Dკონფლიქტის მოგვარების საბჭოთა კონცეპციას საფუძველად დაედო 1988 წ. დეკემბერში გაეროს გენერალური ასამბლეის 43-ე სესიაზე გორბაჩოვის მიერ წარმოდგენილი პრიორიტეტები (145;39).

უფრო მეტიც, ამას მოჰყვა ამერიკა-საბჭოთა ერთობლივი კომუნიკეს მიღება, რომელიც გაეგზავნა კონფლიქტში მონაწილე მხარეებს: «სსრკ და აშშ მზად არიან ითანამშრომლონ მხარეებთან, სამართლიანი, ხანგრძლივი და ყოვლისმომცველი სამშვიდობო შეთანხმების მიღწევისათვის ისრაელსა და არაბულ ქვეყნებს, ისრაელსა და პალესტინელებს შორის გაეროს უშიშროების საბჭოს № 242 და № 338 რეზოლუციების საფუძველზე» (155;202-203). დაიწყო ორმხრივი პირდაპირი მოლაპარაკებები და 4 დღის შემდეგ 1991 წ. 30 ოქტომბერს, საზეიმოდ გაიხსნა მადრიდის სამშვიდობო კონფერენცია, რომელმაც ჩაუყარა საფუძველი კონფლიქტის დღევანდელი მშვიდობიანი მოგვარების ზოგიერთ ეტაპებს (294). ყოფილი საბჭოთა დიპლომატის აზრით, მადრიდის კონფერენციის მოწვევა უფრო აშშ-ს დიპლომატიის წარმატებაა, სადაც რუსეთი «ვაშინგტონის წესებით» მოქმედებდა, რომელიც მხოლოდ ნაწილია იმ ხანგრძლივი ამერიკული სტრატეგიისა, რომელიც მიმართულია რუსეთის მესამე სამყაროს განდევნისათვის (155;206).

ისრაელში განვითარებულმა პოლიტიკურმა ცვლილებებმაც მოახდინა გარკვეული გავლენა სამშვიდობო პროცესის მსვლელობაზე. 1992 წ. ქნესეთმა მიიღო კანონი პრემიერ-მინისტრის პირდაპირი არჩევნების შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 1996 წ. 14-ე ქნესეთის მოწვევის დროს. მანამდე კი 1992 წლის არჩევნებში გაიმარჯვა «ავოდას» (შრომის) პარტიამ ყოფილი თავდაცვის მინისტრის იცხაკ რაბინის მეთაურობით, რომელიც სარგებლობდა ძლიერი პოლიტიკოსის რეპუტაციით საერთაშორიოს ასპარეზზე, ვინაიდან მან შეძლო კომპრომისზე წასვლა და გახდა ებრაული სახელმწიფოს პირველი ხელმძღვანელი, რომელმაც აღიარა პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაცია, როგორც პალესტინელი ხალხის კანონიერი წარმომადგენელი (115;141-144). რაბინი აღნიშნავდა: «ჩვენ ვიმოქმედებთ ტერირსტების წინააღმდეგ ისე, თითქოს არ არსებობდეს სამშვიდობო პროცესი და ჩავატარებთ სამშვიდობო მოლაპარაკებების ისე, თითქოს ტერორისტები არ არსებობდენ» (115;148).

ამ პერიოდში, არაბ-ისრაელის კონფლიქტში მონაწილე მხარეებმა მიიღეს გადაწყვიტილება სამშვიდობო პოცესის წინსვლისათვის, წასლულიყვნენ დათმობებზე, მოლაპარაკებების მეშვეობით, კომპრომზების გზით (208;3). ოსლოში გამართული დაძაბული არაბ–ისრაელის მოლაპარაკებების შედეგად, 1993 წლის 13 სექტემბერს ვაშინგტონში ისრაელის პრემიერ-მინისტრმა იცხაკ რაბინმა და პალესტინის

განთავისუფლების ორგანიზაციის ლიდერმა იასირ არაფატმა ხელი მოაწერეს «შიდა თვითმმართველობის პრინციპების დეკლარაციას» («ოსლო-I»-ის შეთანხმება) პალესტინის ავტონომიის შექმნასა (ჯერ ღაზასა და იერიჰონში) და ამ ტერიტორიებიდან ისრაელის ჯარების გაყვანის შესახებ (342;328-329).

მაგრამ ეს იქნება ცოტათი მოგვიანებით. მანამდე სამშვიდობო პროცესის დაწყებას დაემთხვა არაბთა სტრატეგიული პარტნიორის და მოკავშირის საბჭოთა კავშირის მოულოდნელი დაშლა, რამაც შეცვალა მსოფლიო პოლიტიკური რუქა. სსრკ-ს მემკვიდრემ _ რუსეთმა ახლო აღმოსავლეთში თავისი ადრინდელი პოლიტიკური წონა დაკარგა. იგი უმნიშვნელო როლს ასრულებს დღესაც, თუმცა გავლენას ინარჩუნებს «ახლო აღმოსავლეთის კვარტეტში», როგორც გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი. არაბთა და პალესტინელთა აზრით, რუსეთის გავლენის ნაწილობრივი აღდგენის პერსპექტივა, ხელს შეუწყობდა მართალია მთლიანად არა, მაგრამ აშშ-ს მზარდი პოლიტიკის კომპენსირებას (205). ამიტომ, 90-იანი წლების დასაწყისში მთავარი კოსპონსორის როლი ამერიკამ იტვირთა, ხოლო არაბულ სახელმწიფოებიდან კონფლიქტის დამარეგულერებელის როლი ისევ ეგვიპტემ გააგრძელა. საბჭოთა კავშირის დაშლა არაბულ სამყაროში სხვაგვარად იქნა აღქმული. ასე, მაგალითად ისლამური ლიგის სესიაზე 1992 წ., საუდის არაბეთის მეფე ფაისალმა კომუნიზმის დანგერვა, ალაჰის წყალობად შეაფასა. მათთან შედარებით ღარიბმა არაბულმა ქვეყნებმა იგრძვნეს, რომ ის დახმარება რომელსაც ისინი იღებდნენ სსრკ-დან ხაშირად უანგაროდ, აღარ იქნება (158;58).

კიდევ ერთი ფაქტი. 1993 წ. აშშ-ს საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებული დემოკრატი კანდიდატს უილიამ (ბილ) კლინტონს გაუმართლა, ვინაიდან ისრაელის ხელისუფლებაში მოსული ძალები იზიარებდენ მის შედეგულებას «ოკუპირებული ტერიტორიების» დაბრუნებასა და პალესტინური სახელმწიფოს შექმნის თაობაზე, რამაც ხელი შეუწყო ოსლოს შეთანხმების ხელმოწერას (127).

სამშვიოდობო პროცესის მეორე ეტაპი შემოიფარგლა კაიროს შუალედური ხელშეკრულების ხელმოწერით 1994 წ. 4 მაისს და 1995 წ. 24 სექტემბერს ტაბაში (ეგვიპტე) «ოსლო-II»-ს შეთანხმების ხელმოწერით, რომელიც ითვალისწინებდა ისრაელის ჯარების გაყვანას მდ. იორდანის დასავლეთ სანაპიროს უმეტესი ნაწილიდან და ასევე პალესტინის ავტონომიის საპრეზიდენტო და პალესტინური საბჭოს არჩევნების ჩატარებას (300).

პალესტინის ავტონომიის საბოლოო სტატუსზე მოლაპარაკებების ბოლო ეტაპი უნდა დაწყებულიყო 1996 წლის მაისში, მაგრამ ისრაელის მთავრობის «ლიკუდის» ბლოკის ახალმა მთავრობამ ბენიამინ ნათანიაჰუს ხელმძღვანელობით, უარი განაცხადა მდ. იორდანის დასავლეთ სანაპიროდან ისრაელის ჯარების გადაადგილების შესახებ შეთანხმების შესრულებაზე. ნათანიაჰუს იცნობდენ როგორც «ბატონი სამი არა»-ს სახელით. მის საარჩევნო პროგრამაში შედიოდა: არა – პალესტინის სახელმწიფოს შექმნა, არა – იერუსალიმის დაყოფა, არა – ისრაელის წასვლა გოლანის მაღლობებიდან (339; 129). 1998 წ.Pპრემიერ-მინისტრმა დაამტკიცა «ისრაელის ეროვნული ინტერესების კონცეპცია», რომლის თანახმად პალესტინელებთან ტერიტორიული გამიჯვნის ნებისმიერ შეთანხმებისად ისრაელს დასავლეთ სანაპიროს ნახევარზე მეტი უნდა დარჩენოდა (58;145). ერთ-ერთი რისი გაკეთება შეძლო ნათანიაჰუმ _ ეს იყო პალესტინელებთან ჰებრონის შესახებ შეთანხმება, სადაც ქალაქის დიდი ნაწილი არაბებს გადაეცა, ხოლო 1998 წ. 23 ოქტომბერს უაი-პლანტეიშენის დოკუმენტის (უაი-I) ხელმოწერა, რომელიც ითვალისწინებდა ოსლოს პროცესის წინ წაწევას. (დოკუმენტს ხელ მოეწერა მერილენდის შტატის ერთ-ერთ ფერმაში «უაი») (126;6).

ამ პერიოდში შეიქმნა პალესტინის ეროვნული ადმინისტრაციაში პოლიტიკური კრიზისი, სადაც გამეფებულმა კორუფციამ პრობლემები შეუქმნა არაფატსა და მის გარემოცვას (306). 1999 წლის მაისში ისრაელის ხელისუფლებაში ეჰუდ ბარაქის მოსვლის შემდეგ პალესტინა-ისრაელის მოლაპარაკებები გაგრძელდა. მაგრამ ერთადერთ ხელმოწერილ შეთანხმებად შეიძლება ჩაითვალოს 1999 წ. 4 სექტემბერს ეგვიპტის საკურორტო ქალაქ შარმ აშ-შაიხში ხელმოწერილი მემორანდუმი (უაი-პლანტეიშენ-II) (45). ეგვიპტისათვის მნიშვნელოვანი იყო სამშვიდობო პროცესის 8 თვის შემდეგ «პირამიდების» ქვეყანაში განახლება, რამაც აამაღლა კაიროს ავტორიტეტი მსოფლიო პოლიტიკურ წრეებში. კაირო დღესაც რჩება უმაღლესი დონის შეხვედრების ჩატარების ტრადიციულ ადგილად. ეგვიპტის პრეზიდენტი არაერთხელ აცხადებდა, რომ მშვიდობა ეს არის ყველასათვის სტრატეგიული არჩევანი, რომლის მიღწევა შეიძლება მხოლოდ პალესტინის პრობლემის გადაწყვეტის შემდეგ (173).

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელმაც გავლენა მოახდინა არაბ-ისრაელის კონფლიქტზე იყო ერაყის შეჭრა ქუვეითში. იგი შუამავლის როლს თამაშობდა ერაყსა და

ქუვეითს შორის ჯერ კიდევ რამდენიმე თვით ადრე აგრესიის დაწყებამდე. მაგრამ ერაყის ქუვეითში შეჭრის შემდეგ მუბარაქმა მხარი დაუჭირა გაეროს რეზოლუციებს, რომელიც მოითხოვდა ერაყის ჯარების ქუვეითიდან გაყვანას და ეკონომიკური სანქციების შემოღებას ერაყის მიმართ (138;149). ერაყი ყოველთვის თვლიდა, რომ ქუვეითი არის ერაყის პროვინცია ბასრას ნაწილი. მან ჩაშალა 1963 წ. 4 ოქტომბერს ქუვეითთან ხელმოწერილი შეთანხმება საზღვრის დემარკაციის შესახებ (4;93-94). 1990 წ. 2 აგვისტოს ერაყის შეიარაღებულმა ძალებმა გადალახეს ქუვეითის საზღვრები და დაიკავეს ქვეყანის ტერიტორია. იმავე დღეს გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია № 660(1990), რომელიც მოითხოვდა ერაყის ჯარების გამოყვანას ოკუპირებული ტერიტორიიდან. ბოლო № 678(1990) რეზოლუციის შეუსრულებლობის მიზეზით, 1991 წ. 16 იანვრიდან დაიწყო აშშ-ს ხელმძღვანელობით კოალიციური ჯარების შეტევა ერაყზე, რის შედეგად ერაყი დამარცდხა და ჩაუყარა საფუძველი კონფლიქტის დამთავრებას (5;59-61). მუბარაქმა აქტიურად დაუჭირა მხარი აშშ-ს სამხედრო კამპანიას ერაყის წინააღმდეგ და სპარსეთის ყურის რაიონში გაგზავანა აშშ-ს შემდეგ ყველაზე მრავალრიცხოვანი სამხედრო კონტინგენტი (336;213-218). 1991 წლის 6 მარტს ქუვეითის განთავისუფლების შემდეგ ეგვიპტემ გაამყარა თავისი ლიდერობა ახლო აღმოსავლეთში მთავარი «მოწინააღმდეგის» ერაყის ჩამოშორების შემდეგ და გააგრძელა მჭიდრო თანამშრომლობა აშშ-სთან არაბ-ისრაელის კონფლიქტის მოგვარების საქმეში.

კაიროს ამერიკული უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის პროფესორ ვალიდ კაზიჰის აზრით: «არაბ-ისრაელის კონფლიქტის მოგვარების პროცესში ეგვიპტე ყოველთვის «უმცროს შუამავალია». ყოველ შემთხვევაში, კონკრეტული საკითხების გადაწყვეტისას ვაშინგტონი ყოველთვის ეყრდნობა ჩვენს ქვეყანას». ეგვიპტის მთავრობის წარმომადგენლის ნაბილ უსმანის განმარტებით, ეგვიპტე წარმოადგენს ახლო აღმოსავლეთის რეგიონის «პოლიტიკურ ბარომეტრს». მუჰამად ას-საიდ საიდი, ალ-აჰრამის პოლიტიკური და სტრატეგიული კვლევების ცენტრის დირექტორის მოადგილეს მიაჩნია, რომ ეგვიპტე პალესტინა-ისრაელის კონფლიქტის საკითხში «იმედს» წარმოადგენს, რადგანაც ძირითადი კოზირები აშშ-ს ხელშია» (190). იგივე ცენტრის დირექტორის დ. აბდ ალ-მუნი საიდ ალის აზრით ეგვიპტე-ამერიკის 25 წლიანი სტრატეგიული კავშირი დაფუძნებულია 4 ძირითად ფაქტორზე: 1) არაბ-ისრაელის კონფლიქტის მოგვარება; 2)

სპარსეთის ყურის უსაფრთხოება; 3) სტაბილურობა ახლო აღმოსავლეთში; 4) ეგვიპტის ეკონომიკური განვითარება (201). არაბული სამყაროს ლიდერი ქვეყანა თანახმა იქნება, ნებისმიერ კონსტრუქციულ წინადადებაზე, რომელიც ხელს შეუწყობს ისრაელსა და არაბებს შორის მშვიდობის დამყარებას. მშვიდობისათვის ჩავიდა სადათი იერუსალიმში, «მშვიდობის მისაღწევად მე მზად ვარ იერუსალიმშიც კი ჩავიდე», განაცხადა ერთხელ მუბარაქმა იტალიური ჟურნალისათვის მიცემულ ინტერვიუში (307).

ნათელია, რომ მშვიდობა შეიძლება აშენდეს მხოლოდ ორმხრივი დიალოგის მეშვეობით.Gგასაგებია, რომ მშვიდობის მიღწევა მოითხოვს გარკვეულ დათმობებზე წასვლას ორივე მხრიდან (3). მაგრამ ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო პროცესში მონაწილე ქვეყნების ძალისხმევას ხელს უშლის საერთაშორისო ტერორიზმის გაღვივება რეგიონში _ ისლამური ტერორისტული ორგანიზაციები არ აპირებენ ისრაელის წინააღმდეგ ცეცხლის შეწყვეტას. ისრაელის ყოფილი პრემიერ-მინისტრის შიმონ პერესის აზრით: «არაფატის ყველაზე დიდი შეცდომა იყო ის, რომ ისრაელის წინააღმდეგ მან მიმართა ტერორისტულ ხერხებს, ხოლო ყველაზე დიდი მიღწევები ჰქონდა, როცა ცდილობდა მშვიდობის დამყარებას» (308). აღსანიშნავია, რომ აშშ და მისი მოკავშირეები დასავლეთის დემოკრატიის ფასეულობებისათვის ერთადერთი «გამოძახილად» კომუნიზმის განიხილავდენ, ამიტომ მათ ვერ შეძლეს დროულად და რაც მთავარია ადეკვატურად შეეფასებინათ ისეთი მუქარები ამ ფასეულობების წინააღმდეგ, როგორც ტრადიციონალზმი და ისლამური ფუნდამენტალიზმია (132).

გერმანელი ჟურნალისტი თვილის, რომ ვითარება მომავალშიც შეიძლება უფრო დაიძაბოს: პალესტინელების ახალი თაობა, რომლებსაც არც სამუშაო და არც პერსპექტივა არ გააჩნიათ, თავისი გადარჩენის გამოსავალს მხოლოდ ერთ რამეში, ტერორის გაძლიერებაში ხედავენ. სატელევიზო კადრები იმის შესახებ თუ როგორ განიხილავენ აშშ-სა და ისრელის მესვეურნი პალესტინელთა ბედს _ საუკეტესო ვიდეორგოლია ტერორიზმის გაღვივებისათვის, რაზე ვერც კი იოცნებედენ ჰამასის, ჯიჰადის და ალ-კაიდას აგიტატორები (309).

ტერორიზმის პრობლემა მწვავედ დგას არა მარტო ისრაელსა და პალესტინაში, არამედ იგი საგრძნობლად აწუხებს ეგვიპტესაც. ეგვიპტეს საშინაო პრობლემები როგორც ვიცით ისლმისტების მხრიდან ხშირად მოდის. ის არის ერთადერთი ძალა, რომელიც აშკარად

ყველანაირი ხერხებით ეწინააღმდეგება მუბარაქის რეჟიმს. 1993 წელს ტერორისტებმა თავდასხმა მოაწყვეს ეგვიპტის შენაგან საქმეთა მინისტრზე ჰასან ალ-ალფიზე აგვისტოში და პრემიერ-მინისტრზე ატეფ სიდკიზე ნოემბერში. ხოლო 1995 წ. 26 ივნისს «ჯამია ალ-ისლამიას» წევრებმა მოაწყვეს თავდასხმა ეგვიპტის პრეზიდენტზე ადის-აბებაში, აფრიკის ერთიანობის ორგანიზაციის სამიტზე (242). ამიტომ, ეგვიპტის პრეზიდენტი დიდ ძალისხმევას იჩენს საერთაშორისო ასპარეზზე ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლას, მსოფლიოს წამყვანი და რეგიონის ქვეყნებთან ერთად, რომლის მაგალითია მუბარაქის ინიციატივით 1996 წ. შარმ აშ-შაიხში ჩატარებული უმაღლესი დონის შეხვედრა, სადაც მონაწილეობა მიიღეს მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოთა მეთაურებმა. იგი მიეძღვნა XX ს. ერთ-ერთ მთავარ საერთაშორისო პრობლემას _ ტერორიზმს. შეხვედრის შედეგად ხელი მოეწერა დოკუმენტს, რომელიც ითვალისწინებდა ტერორიზმთან ბრძოლის ზოგიერთ ღონისძიებებს (67;90).

«ისტორიული» უწოდა ასლ-ს გენერალურმა მდივანმა ასმათ აბდ ალ-მაჯიდმა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის პირველ შეთანხმებას, რომელსაც ხელი მოაწერეს ორგანიზაციის წევრ-სახელმწიფოთა მინისტრებმა 1998 წ. 22 აპრილს კაიროში. შეთანხმება ითვალისწინებს ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმებს, მაგრამ განასხვავებს ცნებებს «ტერორისტული საქმიანობა» და «შეიარაღებული ბრძოლა ტერიტორიის განთავისუფლებისათვის ოკუპანტთაგან». 2000 წ. 29-30 იანვარს ალჟირში ჩატარდა არაბი ქვეყნების შინაგან საქმეთა მინისტრების საბჭოს მე-17 სხდომა. სესია მიეძღვნა ტერორიზმის მოვლენას და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლას (73;79).

გარდა ამისა მუბარაქს არაერთხელ გაუცხადებია, რომ სისხლიანი დაპირისპირება ახლო აღმოსავლეთში ისრაელის მთავრობის მიზეზით ხდება. მუბარაქმა აღნიშნა, რომ ისრაელს კარგად უნდა ახსოვდეს, რომ არაბები აწვდიან მშვიდობის ხელს არა იმიტომ, რომ ეშინიათ ან სუსტები არიან. არაბებს შეუძლიათ პირისპირ შეხვდენ ამ მუქარებს და სურთ, მტიკცე და სამართლიანი მშვიდობის გამყარება. ეგვიპტე ერთ-ერთი პირველია, ვინც მხარი დაუჭირა პალესტინელებს (318).

საპრეზიდენტო არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე, 1999 წ. 26 ივნისს ეგვიპტის პრეზიდენტი სამთავრობო დელეგაციის თანხლებით ჩაფრინდა ვაშინგტონში. პრეზიდენტ ბილ კლინტონმა შეხვედრისას აღნიშნა, რომ ეგვიპტის დიდი მიღწევები, რომლებიც

გამოიხატა ეროვნული შემოსავლის სწრაფი და უცხოური ინვესტიციების მოცულობის ზრდაში, მთლიანად პრეზიდენტ მუბარაქის და მისი მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკის დამსახურებაა. აშშ-ს კონგრესმა დაამტკიცა ეგვიპტისადმი სამხედრო და ეკონომოკური დახმარების პროგრამა 2000 წლისათვის _ გასული წლის მსგავსად 1 მლრდ. 300 მლნ. დოლარის სამხედრო და 775 მლნ. დოლარის ეკონომიკური დახმარება (225).

ეგვიპტისა და ამერიკის დღევანდელი ურთიერთობები განსხვავდება სადათის პერიოდთან შედარებით. იგი ნათლად ჩანს იმ განსხვავებულ პოზიციებში, რომლებიც აშშ-სა და ეგვიპტეს უკავიათ სხვადასხვა საერთაშორისო და რეგიონალურ პრობლემებთან დაკავშირებით. ეგვიპტეში, ჩვენი ქვეყნის საელჩოდან მოწოდებული მასალების თანახმად, ჟურნალ Al-Ahram Weekly-ს 1999 წ. 16-22 დეკემბერის ნომერში გამოქვეყნდა სტატია ,,მეგობრობის ლიმიტი», რომელიც ეხება აშშ-ეგვიპტეს ურთიერთობებს. სტატიაში აღნიშნულია, რომ ეგვიპტის უკომპრომისო პოზიცია ისრაელის პოლიტიკისადმი, აქციოს სამშვიდობო პროცესი თამაშად, რომელშიც თელ-ავივი ერთადერთი გამარჯვებული მხარე იქნება, ხშირად არასასიამოვნო მომენტი იყო ეგვიპტე-აშშ-ს ურთიერთობებში. ჟურნალისტი იმოწმებს მაღალი ჩინის ერთი ეგვიპტელი დიპლომატის სიტყვებს: ,,სამშვიდობო პროცესთან დაკავშირებით ჩვენ ყოველთვის ვამბობდით იმას რისი თქმაც გვსურდა. ამერიკელებს ზოგჯერ ესმოდათ და ზოგჯერ ჩვენ ხელიც დავიწვით და საზღაური გადავიხადეთ. მაგრამ ეს იყო ის, რაც უნდა გაგვეკეთებინა, როგორც მსოფლიოს ამ ნაწილის წამყვან ქვეყანას». ანონიმი დიპლომატის აზრით: ,,გასულ წლებში ამერიკელებმა გააცნობიერეს, რომ ეგვიპტე ვერ იქნება მათი უპირობო მეგობარი, განსაკუთრებით როცა საქმე ეხება რეგიონალურ ვითარებას. ეს ხდება სულ უფრო ნათელი და, შესაძლოა, მიზეზი ორ ქვეყანას შორის ხშირი უთანხმოებისა». სტატიაში აღნიშნულია, რომ ეგვიპტე წინააღმდეგია ახლო აღმოსავლეთი ბირთვული შეიარაღების ერთი ქვეყანა იყოს. რადგანაც იქმნება დიდი დისბალანსი, ეგვიპტე მიიღებს ზომებს, რათა მოიპოვოს ეს იარაღი, თუ ისრაელს ექნება ის, მიუხედავად მუბარაქის ინიციატივისა - რეგიონი გახდეს თავისუფალი ბირთვული იარაღისაგან. 1998 წ. მუბარაქის თქმით საჭიროების შემთხვევაში ეგვიპტე განავითარებს ბირთვული იარაღის ტექნოლოგიებს: «როცა დრო მოვა და ჩვენ დაგვჭირდება ბირთვული იარაღი, ჩვენ არც დავფიქრდებით». ებრაელ მკვლევართა აზრით ეგვიპტეს სურს ჰქონდეს ბირთვული იარაღი არა მხოლოდ იმიტომ, რომ იგი გააჩნია

ისრაელს.Pპირველ რიგში, ეს გაამყარებდა მის პოზიციებს პოტენციურ მოწინააღმდეგებთან, როგორც არაბულ სამყაროში, ისე მთელ რეგიონში და მისი ლიდერი გახდებოდა 100%-ით. მეორე, ეგვიპტე იქნებოდა მეორე ბირთვული იარაღის მფლობელი ისლამურ სამყაროში პაკისტანის შემდეგ (246).

მართალია კაირო აქტიურად მუშაობს, რომ ახლო აღმოსავლეთის რეგიონში შეიქმნას მასობრივი განადგურების იარაღისაგან თავისუფალი ზონა, ბირთვული ტექნოლოგიების წარმოების სურვილი ყოველთვის არსებობდა. პირველი სამუშაოები დაიწყო ჯერ კიდევ 1950 წლებში. Dდღეისათვის ბირთვულ პროგრამაზე მუშაობს ატომური კვლევითი ცენტრი ინსაშში (კაიროდან 40 კმ.), სადაც 1961 წ. სსრკ-ს დახმარებით გაეშვა კვლევიტი რეაქტორი, ხოლო 1997 წ. ეგვიპტემ შეიძინა მეორე რეაქტორი არგენტინისაგან. 1981 წ. ეგვიპტე შუერთდა შეთანხმებას ბირთვული იარაღის გავრცელების წინააღმდეგ (221).

ასეთია მუბარაქის როლი და საერთოდ ეგვიპტის პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები საგარეო და საშინაო სფეროში. შეიძლება ითქვას, რომ მუბარაქი საეთაშორისო ასპარეზზე და არაბულ სამყაროში გავლენიან პიროვნებათ მიიჩნევა. ბოლო წლებში ეგვიპტეში და ახლო აღმოსავლეთში განვითარებულმა მოვლენებმა, კიდევ ერთხელ დაადასტურეს ეს აზრი.

აშშ-ს საგარეო-პოლიტიკურ პრიორიტეტებიში ეგვიპტეს ძირითადი ადგილი უკავია. იმ შემთხვევაში, თუ ეგვიპტე არ იქნება აშშ-ს პარტნიორი, ამან შესაძლოა შეზღუდოს ამერიკის ფართო ინტერესების უზრუნველყოფა რეგიონში და ვერ განახორციელოს ძალისხმევა მშვიდობისა და სტაბილურობისათვის (279). კემპ-დევიდის შეთანხმებებით ეგვიპტემ, რათქმაუნდა მიიღო სინას ნახევარკუნძული და აშშ-ს დახმარება. მაგრამ მას ასევე მოყვა მეორე მხარე – ეკონომიკური და სამხედრო ზეწოლა ვაშინგტონის მხრიდან. სწორედ ეს არის კემპ-დევიდის შეთანხმებების მედლის ის მეორე მხარე, რომელიც ზეწოლას ახდენს ეგვიპტის პრესტიჟზე.

ახალი ათასწლეულის დასაწყისისთვის რეგიონალური რუქა ცოტათი შეიცვალა და ისევ დატვირთული იყო ისრაელ-არაბთა კონფლიქტის მოგვარების საქმეში მიღებული ინიციატივებით. 1979 წ. კემპ-დევიდის სამშვიდობო ხელშეკრულების თანახმად, ეგვიპტემ დაიბრუნა სინას ნახევარკუნძული; 1994 წ. მაისში პალესტინამ ავტონომია მოიპოვა (109); 1994 წ. 26 ოქტომბერს ისრაელმა და იორდანიამ ხელი მოაწერეს სამშვიდობო შეთანხმებას

და დაამყარეს დიპლომატიური ურთიერთობები (23). 2000 წ. 24 მაისს დამთავრდა ისრაელის მიერ სამხრეთ ლიბანის ოკუპაცია, 1978 წ. გაეროს უშიშროების საბჭოს № 425 რეზოლუციის შესაბამისად (293).

კლინტონის ინიციატივით 2000 წლის 11-25 ივლისს კიდევ ჩატარდა შეხვედრა ეჰუდ ბარაქსა და პალესტინის ეროვნული ადმინისტრაციის მეთაურთან იასირ არაფატს შორის კემპ-დევიდში. ხელშეკრულების დადება ჩაიშალა და კემპ-დევიდ II არ გაამართლა. გარდა საზღვრების, ლტოლვილების პრობლემებისა და ებრაული დასახლებების, ყველაზე მთავარი პრობლემა იერუსალიმის სტატუსის გარკვევა გახდა ჩაშლის მიზეზი (136;583-584). კლინტონის აზრით, იერუსალიმი უნდა გახდეს ორი ქვეყნის დედაქალაქი, სადაც რელიგიურ ადგილებზე მისვლის უფლება ექნებოდა ორივე მხარეს. მაგრამ მან ვერ წარმოადგინა კონკრეტული ფორმულა, თუ როგორ უნდა გამოეყენებინათ მხარეებს აღნიშნული ქალაქის რელიგიური ადგილები, რომლის პრობლემა დღესაც წარმოადგენს პალესტინა და ისრაელს შორის ძირითადი უთანხმოების ქვაკუთხედს (202;47). იმავე წლის 16 ოქტომბერს მუბარაქის ინიციატივით შარმ აშ-შაიხში ჩატადრა კიდევ ერთი სამშვიდობო პროცესისათვის მიძღვნილი სამიტი (203;56). იგი ისევ დამთავრდა პრაქტიკული შედეგის გარეშე, თუმცა ჰქონდა თეორიული შედეგი: მოხერხდა შეთანხმების მიღწევა მხოლოდ ქაღალდზე _ ძალადობის შეჩერება. ხოლო წინააღმდეგობა ისრაელსა და პალესტინას შორის ისევ გრძელდება (136;583-584). ებრაელი მკვლევარების აზრით, ბარაქი გულუბრყვილოდ ფიქრობდა, რომ დათმობების გზით არაფატს დაარწმუნებდა დაედო ისრაელთან სამშვიდობო შეთანხმება, შედეგად, 2001 წ. 6 თებერვლის არჩევნებში 63%-თ გაიმარჯვა ლიკუდის პარტიის ლიდერმა, ცნობილმა გენერალმა არიელ შარონმა (64;6-7).

მართალია აშშ-ს ახლანდელი პრეზიდენტი დიდ ძალისხმევას იჩენს ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის მოგვარების საქმეში, მაგრამ ამერიკის ყოფილი პრეზიდენტი ჯიმი კარტერი მოუწოდებს ბუშის ადმინისტრაციას უფრო აქტიურად იმოქმედოს «რათა დაახლოვდეს ისრაელი და პალესტინა» და მოაგვაროს პალესტინის საკითხი, თუ ახლო აღმოსავლეთში მშვიდობა გვინდა. სარწმუნო არგუმენტად მოლაპარაკებებში არიელ შარონთან წარმოადგენს ისრაელის მიმართ ყოველდღიური ამერიკული დახმარება 10 მლნ. დოლარის ოდენობით (288).

არაბი ჟურნალისტის აზრით იმისათვის, რომ პალესტინის პრობლემის გადაწყვეტა არ გახდეს მარტო ბუშისა და შარონის საქმე, არაბებმა უნდა განსაზღვრონ თავიანთი პრიორიტეტები და განიხილონ ამერიკული ინციატივები პალესტინელთა მიმართ, იმის მაგივრად, რომ გაარჩიონ არაბულ ქვეყნებში ამერიკელთა მიერ დემოკრატიის შემოღების მცდელობის ფაქტები (335).

აქ უკვე არა ადამიანები ჩაფხუტებში, არამედ დიპლომატები იბრძვიან მშვიდობისათვის ახლო აღმოსავლეთში, რომელიც XXI საუკუნისათვის მართალია არ დამყარდა, მაგრამ მისცა საშუალება ეგვიპტესა და ისრაელს გამხდარიყვნენ რეგიონის საკვანძო ქვეყნები. როგორც უყვართ ეგვიპტელებს თქმა _ ეგვიპტე ცენტრალურ როლს თამაშობს არაბულ სამყაროში. ეგვიპტის ლიდერობის გარეშე, არაბული სამყარო, როგორც გემია შტურვალის გარეშე (228).

დასკვნა

XX ს. 70-იანი წლების დასაწყისისათვის დამთავრდა ახლო აღმოსავლეთის რეგიონალური სისტემის ჩამოყალიბება, განისაზღვრა პოლიტიკური სტრუქტურა და გამოიკვეთა წამყვანი ქვეყნები, სადაც შედიოდა ისრაელი და არაბული სახელმწიფოები, რომელთა შორის შეიძლება გამოვყოთ შემდეგი ლიდერი სახელმწიფოები:

პირველ რიგში ეგვიპტე – ყველაზე მსხვილი ქვეყანაა სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით; სირია – საერთო არაბული ინტერესების ტრადიციული დამცველი და ისრაელის პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი მოწინააღმდეგე ახლო აღმოსავლეთში, საუდის არაბეთი _ ფინანსების, ნავთობის მნიშვნელოვანი მარაგის და შესაბამისად პოლიტიკურად გავლენიანი, რომელიც ძლიერდებოდა იმით, რომ ეს ქვეყანა წარმოადგენს ისლამის წმინდა ადგილების მფარველს. არაბულ სამყაროში ძალთა ამგვარი განლაგება დღესაც ინარჩუნებს თავის აქტუალობას.

ახლო აღმოსავლეთის რეგიონალურ სისტემაში ეგვიპტეს ტრადიციულად მიიჩნევენ არაბული სამყაროს ლიდერად, რაც პირველ რიგში განაპირობებულია მისი უნიკალური გეოგრაფიული მდებარეობით. ორი კონტინენტის გასაყარზე განლაგებული «ფარაონთა ქვეყანა» წარმოადგენს დამაკავშირებელ რგოლს არა მარტო არაბული აღმოსავლეთის ორი ნაწილის – მაშრიკისა და მაღრიბისათვის, არამედ აზიისა და აფრიკის ქვეყნების

კულტურების შეხების მნიშვნელოვან ცენტრს. ეგვიპტემ შეასრულა მნიშვნელოვანი როლი არაბთა სულიერ და კულტურულ აღორძინებაში. ამას გარდა ეგვიპტე გამოიყოფა რეგიონის ქვეყნებს შორის ეკონომიკური განვითარების მაღალი დონით, ძლიერი სამხედრო პოტენციალით და მნიშვნელოვანი სახალხო რესურსებით.

ეგვიპტის პირველმა პრეზიდენტმა გამალ აბდ ან-ნასერმა, არაბული პანარაბიზმის აღიარებულმა ბელადმა წარმოადგინა გეოპოლიტიკური კონცეპცია, რომლის მიხედვით ეგვიპტე, სამი «რგოლის» _ არაბულის, აფრიკულის და ისლამურის ცენტრია. ნასერი მიზნად ისახავდა ეგვიპტის ლიდერობის გამტკიცებას «მესამე სამყაროში».

მაგრამ ნასერის გარდაცვალების შემდეგ, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ორიენტაციის შეცვლას მოჰყვა საგარეო-პოლიტიკური კურსის არსებითი ცვლილებაც, რაც გაგრძელდა 70-იანი წლების მთელი პერიოდის მანძილზე. ეგვიპტის მეორე პრეზიდენტის ანვარ ას-სადათის წინ იდგა მეტად რთული ამოცანა _ საბჭოთა გავლენის სფეროებიდან გამოსვლის შემდეგ, ეგვიპტე არ აღმოჩენილიყო დასავლეთის მორჩილი მხარდამჭერი. საბჭოთა «ქოლგაზე» უარის თქმას აზრი ჰქონდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეგვიპტე დასავლეთის საზოგადოების მხრიდან განიხილებოდა, მართალია უმცროს, მაგრამ მაინც პარტნიორად, რომლის ინტერესებს ახლო აღმოსავლეთში დასავლეთი გათვალისწინებდა. ამ მიზნის მისაღწევად სადათის მხრიდან საჭირო იყო ეგვიპტის სამხედრო ძალის დემონსტრირება ისრაელთან სამხედრო დაპირისპირებაში (ეს საჭირო იყო ასევე პრეზიდენტის რეიტინგის ამაღლებისათვის ქვეყანაში, რაც გაუადვილებდა «ნასერის კურსიდან» გადახვევას).

სადათის ინიციატივით დაწყებულ მეოთხე არაბ-ისრაელის ომში, ეგვიპტის არმიამ, საბჭოთა და სხვა არაბი ქვეყნების მხარდაჭერის მეშვეობით აჩვენა თავისი სიძლიერე. ვინაიდან სადათს ხელს არ აძლევდა ისარელის დამარცხება (ეს ხელს შეუშლიდა მის დაახლოებას აშშ-სთან და დასავლეთთან), ხელი შეუშალა ისრაელის წინააღმდეგ წარმატებული სამხედრო ოპერაციის ჩატარებას.

ისრაელზე მორალური და პოლიტიკური გამარჯვების მოპოვების შემდეგ, იგი წყვეტს კავშირებს საბჭოეთთან, რაც იყო აუცილებელი პირობა დასავლეთთან დაახლოებისათვის. ახლო აღმოსავლეთის პრობლემის პოლიტიკური მეთოდებით მოგვარების სადათისეული გეგმა პასუხობდა ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს.

სადათის უარი გაეთვალიწინებინა ეგვიპტის საგარეო პოლიტიკაში საერთო არაბული ინტერესები და ეგვიპტის გამოსვლა ისრაელის წინააღმდეგ ბრძოლის საერთო ფრონტიდან, არაბულ სახელმწიფოთა ლიგის მიერ აღქმული იქნა, როგორც ღალატი. ამ გარემოებამ გამოიწვია ეგვიპტის სრული იზოლაცია არაბულ სამყაროდან, რამაც დააჩქარა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება ქვეყანაში, ხელი შეუწყო ისლამური ფუნდამენტალიზმის გაღვივებას და სადათის მკველობას. ნასერის მემკვიდრის მმართველობის პერიოდში განხორციელებულმა კარდინალურმა ცვლილებებმა საგარეო და საშინაო პოლიტიკაში (შეერთებულ შტატებთან კავშირი და ისრაელთან მშვიდობის დამყარება), ძლიერი დარტყმა მიაყენა ეგვიპტის პრესტიჟს არაბულ სამყაროში, ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციაში შემავალი ქვეყნების და განსაკუთრებით საბჭოთა კავშირის თვალში და აგრეთვე მიუმხრობლობის მოძრაობაში, რომლის ერთ-ერთი დამაარსებელი ნასერი იყო, ეგვიპტის იზოლაცია გამოიწვია.

ისრაელთან მშვიდობიანი მოწესრიგების პოლიტიკის სისწორე აღიარეს არაბულმა ქვეყნებმა მხოლოდ 80-იან წლებში, როცა დაინახეს, რომ ასეთი პოლიტიკით ეგვიპტემ შეძლო 1967 წელს დაკარგული მიწების დაბრუნება. შეიძლება დავეთანხმოდ იმ მკვლევართა მოსაზრებას, რომ კემპ-დევიდის ხელშეკრულებებმა საფუძველი ჩაუყარეს ღრმა ისტორიულ პროცესს, რომლის ხელმოწერის შემდეგ არ იქნა მოფიქრებული და განხორციელებული სხვა რეალური გეგმა არაბ-ისრაელის კონფლიქტის მოგვარების საქმეში. პრინციპი «მშვიდობა ტერიტორიის სანაცვლოდ», რომელიც წარმატებულად გამოიყენეს ეგვიპტე-ისრაელის სამშვიდობო შეთანხმების ხელმოსაწერად, დღესაც წარმოადგენს ძირითად კომპონენტს ახლო აღმოსავლეთის პრობლემის მოგვარების საქმეში. ამიტომ კემპ-დევიდი მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ ეს არის პირველი მცდელობა მშვიდობიანი მოლაპარაკებების გზით პრობლემის მოგვარებისა.

ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ახალმა პრეზიდენტმა მუჰამად ჰოსნი მუბარაქმა შეინარჩუნა საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები, მაგრამ ანვარ სადათის მკვლელობის შემდეგ ქვეყნის მდგომარეობა რთული იყო, როგორც პოლიტიკური ისე ეკონომიკური და სოციალური თვალსაზრისით. სადათის მიერ გატარებულმა «ღია კარის» პოლიტიკამ მართლაც გამოიღო დადებითი შედეგები, რაც სოციალისტური ტიპის ეკონომიკიდან საბაზრო-ეკონომიკურ მიმართულებაზე გადასვლით გამოიხატა: გზა

გაეხსნა უცხოურ ინვესტიციებს და კერძო ბიზნესის განვითარებას. მაგრამ ამან გამოიწვია ქვეყნის საგარეო ვალების დაგროვება, უმუშევრობის გაზრდა. ქვეყნის შიგნით, მუბარაქის შემრიგებლური პოლიტიკის მეშვეობით, დაიწყეს ფუნქციონირება სადათის რეჟიმის დროს დახურულმა ოპოზიციურმა ჟურნალ-გაზეთებმა, განთავისუფლდა დაპატიმრებული ბევრი ოპოზიციის ლიდერი. ქვეყნის საშინაო პოლიტიკაში კურსი აიღეს ეკონომიკის აღორძინებზე. მუბარაქმა განაცხადა, რომ გააგრძელებს «ღია კარის» პოლიტიკას, რომელმაც მოუტანა რეალური შედეგი ქვეყანას და საზოგადოებას.

საგარეო-პოლტიკურ ასპარეზზე ძირითად ამოცანად მან დაასახელა ეგვიპტის დაბრუნება არაბულ სახელმწიფოთა ლიგაში და აქტიური თანამშრომლობა არაბულ ქვეყნებთან. მუბარაქმა აგრეთვე აღნიშნა, რომ მხარს უჭერს კემპ-დევიდის შეთანხმებათა პრინციპებს და ისრელთან სამშვიდობო შეთანხმებას.

მუბარაქის პერიოდში ეგვიპტე აგრძლებს ისრაელთან გათვალისწინებული სამშვიდობო ხელშეკრულებით ვალდებულებების შესრულებას და წარმოადგენს აშშ-ს ძირითად სტრატეგიულ მოკავშირეს არაბულ აღმოსავლეთში და განვითარებად ქვეყნებს შორის ამერიკული დახმარების უმსხვილეს მიმღებს. ამავე დროს ეგვიპტის მიერ საერთო არაბული ინტერესების გათვალისწინებით, ისრაელითან ურთიეთობები «ცივი მშვიდობის» ხასიათს ღებულობს. 1989 წელს ეგვიპტე დაბრუნდა არაბულ სახელმწიფოთა ლიგის რიგებში.

აშშ-სთან მჭიდრო კავშირებმა, იასირ არაფატთან დაახლოებამ, ისრაელთან სამშვიდობო შეთანხმებამ ხელი შუწყო ეგვიპტეს ეთამაშა შუამავლის როლი არაბ-ისრაელის კონფლიქტის მოგვარების საქმეში.

საგარეო პოლიტიკაში ანტიებრაული დოქტრინის დოგმების უარყოფით, კაირო ეწინააღმდეგება მის გამოვლენას სხვა არაბულ ქვეყნებში. მუბარაქმა მხარი დაუჭირა აგრეთვე ქუვეითის განთავისუფლების საერთაშორისო ძალისხმევას და აშშ-ს სამხედრო ოპერაციას ერაყის წინააღმდეგ. ყველა თავის ქმედებებს ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის მოგვარების საქმეში აშშ ტრადიციულად ეგვიპტესთან კოორდინაციით ახორციელება. ამავე დროს კაირო ცდილობს გაატაროს დამოუკიდებელი პოლიტიკა და თანამშრომლობს აღნიშნული კონფლიქტის მოგვარების საქმეში ევროკავშირის ქვეყნებთან და რუსეთთან. ეგვიპტეს, როგორც ახლო აღმოსავლეთის რეგიონალურ სისტემაში

ყველაზე გავლენიან ქვეყანას, შეაქვს და მომავალშიც შეიტანს თავის მნიშვნელოვან წვლილს ამ ისტორიული მნიშვნელობის კონფლიქტის მოგვარების საქმეში. ჰოსნი მუბარაქის ქვეყნის მართვის ძირითადი სტრატეგა შეიძლება შემდეგი სახით ჩამოყალიბდეს:

- ქვეყნის ეკონომიკის ლიბერალიზაცია და განვითარება;
- აშშ-სთან სტრატეგიული თანამშრომლობის გაგრძელება;
- ახლო აღმოსავავლეთის სამშვიდობო პროცესში აქტიური მონაწილეობა;
- ტერორიზმის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლა ახლო აღმოსავლეთის რეგიონსა და მთელს მსოფლიოში;
- არაბულ სამყაროში წამყვანი პოზიციების შენარჩუნება საერთო არაბული ნაციონალიზმის გაძლიერებით და დაპირისპირებული არაბული ქვეყნების შერიგების გზით.

დიდი ყურადღება მიიპყრო ეგვიპტეში 2005 წელს ჩატარებულმა საპრეზიდენტო არჩევნებმა დასავლეთის მმართველი წრეების მხრიდან. მათ მიაჩნიათ, რომ კაირო არის მათი ყველაზე მნიშვნელოვანი პარტნიორი არაბულ და ისლამურ სამყაროში, ხოლო პირველი პირდაპირი საპრეზიდენტო ალტერნატიული არჩევნები «დიდ პოზიტიურ ნაბიჯად» ჩათვალეს. აშშ-სთან პრივილეგირებული ურთიერთობების შენარჩუნება და განვითარება XXI საუკუნის დასაწყისში, გამოცხადებულია ეგვიპტის საგარეო პოლიტიკის მთავარ ამოცანად.

ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ მუჰამად ჰოსნი მუბარაქის ეპოქა ეგვიპტეში კვლავ გრძელდება. როგორც აჩვენა ამ გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწის 25 წლიანმა მმართველობამ, მის მთავარ მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს ქვეყნის სულ უფრო მზარდი ავტორიტეტი, ეკონომიკური და სამხედრო-პოლიტიკური დონის ამაღლება, რომელიც თავის მხრივ უმეტესად უზრუნველყოფს სტაბილურობას მთელს ახლო აღმოსავლეთში. თუ გავითვალისწინებთ რეგიონალური პრობლემების მთელ სირთულეს, ასეთი პოლიტიკური გამოცდილების არსებობის აუცილებლობა სავსებით სარწმუნო და ძლიერი არგუმენტია. ეგვიპტის თანმიმდევრული და ზომიერი პოლიტიკა საერთაშორისო ასპარეზზე მსოფლიო საზოგადოებაში კვლავ დიდი ავტორიტეტით სარგებლობს.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

გამოყენებული წყაროები:

1. შ.კურდღელაშვილი, ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკა, ისტორიული ნარკვევი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. IV, თბ., 1975
2. Арабская Республика Египет, Россия в системе международных отношений. Департамент Ближнего Востока и Северной Африки МИД Российской Федерации. The Official Website of MFA of Russia. 05-11-2003 http://www.mid.ru/ns-rafr.nsf/...OpenDocument
3. Интифада террора. Волна палестинского насилия, Отдел информации и интернета. МИД Государства Израиль, Иерусалим, 2004
4. Кувейт и Ирак: демаркация границы. (ред. проф. Г.Л. Бондаревского). Исследовательский центр по изучению Кувейта. (На арабском – проф. Абдала Юсуф Аль-Гунайми), М., 1994
5. Роль ООН в поддержании международного мира и безопасности на примере конфликта между Ираком и Кувейтом. Исследовательский центр по изучению Кувейта, М., 1999
6. Российско-египетские отношения, Россия в системе международных отношений. Департамент Ближнего Востока и Северной Африки МИД Российской Федерации. The Official Website of MFA of Russia. 05-11-2003 http://www.ln.mid.ru/ns-rafr.nsf/89414576079db559432569d8002421fe/432569a40037340...
7. Bar Lev Line, ENCYCLOPEDIA WIKIPEDIA, YOM KIPPUR WAR http://en.wikipedia.org/wiki/Bar-Lev_Line
8. Declaration of Independence November 15th,1988. Government. The Official Web Site of Palestinian National Authority. http://www.pna.gov.ps/Government/gov/Declaration_of_Independence.asp
9. Document 8: U.S. Interests Section Egypt, Cable 3243 to State Department, Soviet View on Causes and Timing of Egyptian Decision to Resume Hostilities, 26 October 1973

   Source: NPMP, NSCF, box 1175, 1973 War (Middle East) 26 October 1973-File No.21

The October War and U.S. Policy. THE NATIONAL SECURITY ARCHIVE.
http://www.gwu.edu/~nsarchiv/NSAEBB/NSAEBB98/octwar-08.pdf

10. Document 13: Memorandum from William B.Quandt to Brent Scowcroft, Arab-Israeli Tensions, 6 October 1973 Source: NPMP, NSCF, box 1173, 1973 War (Middle East), 6 October 1973, File No. 1
The October War and U.S. Policy. THE NATIONAL SECURITY ARCHIVE. http://www.gwu.edu/~nsarchiv/NSAEBB/NSAEBB98/octwar-13.pdf/

11. Document 44: Excerpts from Backchannel U.S.-Egyptian messages, 20-26 October 1973
Source: NPMP, HAKO, box 130, Saunders-Memorandum-Sensitive
The October War and U.S. Policy, THE NATIONAL SECURITY ARCHIVE, USA
http://www.gwu.edu/~nsarchiv/NSAEBB/NSAEBB98/octwar-44.pdf

12. Documents 61A and 61B: Hotline Messages from Brezhnev to Nixon, 23 October 1973
Source: NPMP, HAKO, box 69, Dobrynin/Kissinger Vol. (October 12-November 27, 1973)
The October War and U.S. Policy, THE NATIONAL SECURITY ARCHIVE, USA
http://www.gwu.edu/~nsarchiv/NSAEBB/NSAEBB98/octwar-61b.pdf
http://www.gwu.edu/~nsarchiv/NSAEBB/NSAEBB98/octwar-61a.pdf

13. Document 65: Dobyrnin to Kissinger, enclosing letter from Brehznev to Nixon, 24 October 1973 Source: NPMP, HAKO, box 69, Dobrynin/Kissinger Vol. 20 (October 12-November 27,1973) The
October War and U.S. Policy, THE NATIONAL SECURITY ARCHIVE, USA
http://www.gwu.edu/~nsarchiv/NSAEBB/NSAEBB98/octwar-65.pdf

14. Document 2B: Memorandum from Kissinger to the President, "Meeting with Hafiz Ismail on May 20," 2 June 1973. Source: NPMP, HAKO, box 132, Egypt/Ismail Vol VII May 20-September 23, 1972
The October War and U.S. Policy, THE NATIONAL SECURITY ARCHIVE, USA
http://www2.gwu.edu/~nsarchiv/NSAEBB/NSAEBB98/index2.htm#13

15. EGYPT.THE WORLD FACTBOOK. CIA.
http://www.cia.gov/cia/publications/factbook/geos/eg.html

16. Egypt, The Revolution and the Early Years of the New Government: 1952-56.

Library of Congress. A Country Study
http://lcweb2.loc.gov/cgi-bin/query/r?frd/cstdy:@field(DOCID+eg0042)

17. EGYPT - A Country Study, FOREIGN MILITARY ASSISTANCE, Federal Research Division, December 1990. The Library of Congress, Washington D.C.,2003
http://lcweb2.loc.gov/frd/cs/egtoc.html

18. Encyclopædia Britannica Online, Article- Irredentist
http://www.britannica.com/eb/article-9042819?query=Irredentist&ct=

19. ENCYCLOPEDIA NATION MASTER, USA - YOM KIPPUR WAR
http://www.nationmaster.com/encyclopedia/Yom-Kippur-War

20. Egypt – Country Profile. Security Consulting Intelligence Agency
STRATEGIC FORECASTING, Washington, DC. 5/1/2002
http://www.stratfor.com/country/country_view.php?ID=378fCategory_id=1

21. Hosni Mubarak, Encyclopedia of Orient. 01.10.2001
http://i-cias.com/e.o./mubarak.htm

22. Israel–Egypt- A Review of Bilateral Ties, Israel's Bilateral Relations
Israel Ministry of Foreign Affairs - Official Website, 1 Jan 2003
http://www.mfa.gov.il/MFA/Foreign+Relations/Bilateral+relations/Israel–Egypt-+A+Review+of+Bilateral+Ties.htm

23. Jordanian-Israeli Peace Treaty (26th October 1994). DOCUMENTS/ The Ministry of Foreign Affairs of the Hashemite Kingdom of Jordan. Amman, 2004
http://www.mfa.gov.jo/uploads/treaty.pdf

24. Y. Lukacs. The Rogers PLAN: Address by Secretary of State Rogers, 9 December, 1969, Document on the Israel-Palestinian Conflict, 1967- 1983.
Cambridge University Press. London Washington, D.C.

25. Y. Lukacs, Documents on the Israeli-Palestinian Conflict, 1967-1983.
The InternationalCenter for Peace in the Middle East.CAMBRIDGE University Press, 1986

26. Johnson Lyndon B., 288 - Commencement Address at Glassboro State College. Public Papers of the President. Gerhard Peters - The American Presidency
Project.Department of Political Science, University of California. June 4th, 1968.

http://www.presidency.ucsb.edu/ws/index.php?pid=28902&st=&st1=

27. Near East, Foreign Relations, Vol XVII, 1961-1963. Office of the Historian Bureau of Public Affairs (US Department of State, Washington D.C.) January 17, 1995. www.dosfan.lib.uic.edu/ERC/frus/summaries/950117_FRUS_XVII_1961-1963.html

28. OnWar.com. Armed Conflict Events Data, Yom Kippur War 1973, December 16, 2000 http://www.onwar.com/aced/data/yankee/yomkippur1973.htm

29. OPERATION NICKEL GRASS, ENCYCLOPEDIA NATION MASTER http://www.nationmaster.com/encyclopedia/Operation-Nickel-Grass

30. PLO Declares Palestinian State, November 15, 1998 CNN Interactive. VIDEO ALMANAC - 1988/ 3,9H Quick Time Movie (320x240) http://www.cnn.com/resources/video.almanac//1988

31. Political Parties and Leaders: AKEL. CIA. THE WORLD FACTBOOK. http://www.cia.gov/cia/publications/factbook/geos/cy.html

32.P President Jimmy Carter Library & Museum. The Camp David Accords. Twenty-Five Documents After Twenty-Five Years. Thirteen Days After Twenty-Five Years, 2003 http://www.jimmycarterlibrary.org/documents/campdavid25

33. Remarks About the Death of President Anwar el-Sadat of Egypt October 6, 1981. THE PUBLIC PAPERS OF PRESIDENT RONALD W. REAGAN THE RONALD REAGAN PRESIDENTIAL LIBRARY National Archives and Records Administration http://www.reagan.utexas.edu/archives/speeches/publicpapers.html

34. Resolution 242: The situation in the Middle East (22 Nov) SECURITY COUNCIL RESOLUTIONS – 1967 http://www.un.org/documents/sc/res/1967/scres67.htm http://daccessdds.un.org/doc/RESOLUTION/GEN/NR0/240/94/IMG/NR024094.pdf?OpenElement

35. Resolution 338: Cease-Fire in the Middle East (22 Oct) Department of Public Information. SECURITY COUNCIL RESOLUTIONS -1973 The official Web Site of the United Nations. New York, 2004

http://daccessdds.un.org/doc/RESOLUTION/GEN/NR0/288/65/IMG/NR028865.pdf?OpenElement

36. Resolution 339: Cease-Fire between Egypt and Israel (23 Oct)
SECURITY COUNCIL RESOLUTIONS -1973
Department of Public Information.
The official Web Site of the United Nations. New York, 2004
http://daccessdds.un.org/doc/RESOLUTION/GEN/NR0/288/65/IMG/NR028865.pdf?OpenElement

37. Resolution 340: UN Emergency Force for the Middle East (25 Oct)
SECURITY COUNCIL RESOLUTIONS -1973
Department of Public Information.
The official Web Site of the United Nations. New York, 2004
http://daccessdds.un.org/doc/RESOLUTION/GEN/NR0/288/65/IMG/NR028865.pdf?OpenElement

38. Sadat Assassinated – October 6, 1981. Grandstand attacked.
CNN Interactive: VIDEO ALMANAC -1981/ 2,7 M Quick Time Movie (320x240).
http://www.cnn.com/resources/video.almanac//1981

39. Dr. Savranskay Svetlana. Document 4: Kissinger/Ambassador Dobrynin, 10 October 1973. Source: Box 28, October 1973. National Security Archive Electronic Briefing Book № 123, The Kissinger TELCONS: The Dobrynin File.
http://www.2.gwu.edu/~nsarchiv/NSAEBB/NSAEB123/dobrynin.htm

40. Smith Louis J.,- Editor, David S. Patterson - General Editor. Volume XX Arab-Israeli Dispute (1967-1968). Foreign Relations of the United States 1964-1968. Office of the Historian, Bureau of Public Affairs, U.S. Government Printing Office.Washington 2001
http://www.state.gov/r/pa/ho/frus/johnsonlb/xx/2774.htm

41. The Department of State Bolletin, Volume LXII, № 153. January S, 1970

42. The North Atlantic Treaty Organisation. The 26 NATO member Countries.
http://www.nato.int/structur/countries.htm

43. Treaty of Peace between the Arab Republic of Egypt and the State of Israel, 26 March 1979, Article I, Article V, Article VI Treaties.
The Official Website of Ministry of Foreign Affairs/ Arab Republic of Egypt
http://www.mfa.gov.eg/MFA_Portal/enGB/Foreign_Policy/Treaties/Treaty+of+Peace+between+the+Arab+Republic+of+Egypt+and+the+State+of+Israel+26+March+1979.htm

44. 1.The Framework for Peace in the Middle East- Associated Principles; 2. Framework for the Conclusion of a Peace Treaty between Egypt and Israel - Camp David Documents, The Official Website of Ministry of Foreign Affairs/ Arab Republic of Egypt
http://www.mfa.gov.eg/MFA_Portal/enGB/Foreign_Policy/Treaties/Camp+David+Documents

45. The Sharm el-Sheikh Memorandum on Implementation Timeline of Outstanding Commitments of Agreements Signed and the Resumption of Permanent Status Negotiations - September 4, 1999/ Israel Ministry of Foreign Affairs. 2004
http://www.mfa.gov.il/MFA/MFAArchive/1990_1999/1999/9/Sharm+el-Sheikh+Memorandum+on+Implementation+Timel.htm

46. Weiner Rebecca, Cuba: Relations with Israel. The Virtual Jewish History.
http://www. jewishvirtuallibrary.org/jsourse/vjw/Cuba.html

47. Woodrow Wilson International Center for Scholars Washington, DC. September 30, 2003
Uri Bar-Noi, Lecturer of Soviet history and diplomacy at the Open University of Israel
The Soviet Union And The Six-Day War: Revelations From The Polish Archives
CWIHP (Cold War International History Project) e-Dossier Series No. 8

48. World Proved Reserves of Oil and Natural Gas, Most Recent Estimates.
Energy Information Administration,
Official Energy Statistics from the U.S. Government. October 19, 2005
http://www.eia.doe.gov/emeu/international/reserves.html

49. Yom Kippur War – COMMANDERS & STRENGTH
http://www.nationmaster.com/encyclopedia/Yom-Kippur-war

50. Discours de Yasser Arafat devant l`Assamblée générale des Nation Unies à Gèneve Proche-Orient la déchirure. LE MONDE DIPLOMATIQUE.
http://www.monde-diplomatique.fr/cahier/proche-orient/chrono

51. Octobre-Novembre: Agression d'Israel, de la France et de Grande Bretagne contre l'Egypte, après la nationalization pur Nasser du canale d'Suez, le 26 juillet.
Proche-Orient, la déchirure, LE MONDE DIPLOMATIQUE.
http://www.monde-diplomatique.fr/cahier/ proche-orient/chron.

52. ალ-ჯუმჰურიათ მისრ ალ-'არაბია, ინთიხაბათ არ-რუ'ასათ, 9.25.2005
http://www.sis.gov.eg/election/html/ab42.htm

53. თადხილათ ამრიქა ფი ალ-ბულდან ალ-ისლამია. მანშურათ ალ-ვიქალათ ალ-'ალამია. Secret/ Egypt. No Foreign Dissem, Classified by 004050/ Ambassador – Designate to the United States. ბაირუთ 1990 (არაბულ ენაზე)

54. მუჰამად ჰუსნი მუბარაქ. მა'ლუმათ ად-დავლა. ალ-ჯაზიირა.ნით
AL- JAZEERA.NET
http://www.aljazeera.net/in-depth/countries/viewcountries.asp?countryID=50

გამოყენებული ლიტერატურა:

55. აზიისა და აფრიკის ქვეყნების ისტორიის საკითხები I, (ეთნოკონფესიონალური ურთიერთობები), თსუ, თბ., 1983

56. ლ.კიკნაძე, კოპტების როლი თანამედროვე ეგვიპტის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, ავტორეფერატი, თსუ, თბ., 2002

57. ალ. მენთეშაშვილი, «XX საუკუნის გამოჩენილი პოლიტიკოსები და დიპლომატები», თსუ, თბ., 2005

58. ზ.მენთეშაშვილი, «ისრაელის პოლიტიკური განვითარების თავისებურებანი». ახლო და შუა აღმოსავლეთი I, ისტორია და თანამედროვეობა, თსუ, თბ., 2005

59. საგარეო პოლიტიკის, კვლევისა და ანალიზის ცენტრი.
საგარეო საქმეთა სამინისტრო, ბიულეტენი №12(33), 2000.

60. თ.ქაროსანიძე, «მუსლიმი ძმები» და ეგვიპტის საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი II მსოფლიო ომის დროს. აღმოსავლეთი და კავკასია №3, თსუ, თბ., 2005

61. თ.ქაროსანიძე, «მუსლიმთა ასოციაცია» და შუქრი მუსტაფა. პერსპექტივა XXI, თბ., 2003

62. ო.ქაჯაია, ეგვიპტე: წარსული და აწმყო, თბ., 1988

63. ლ.ღირსიაშვილი, ისრაელ-პალესტინის კონფლიქტი: ორი ერი, ერთი მიწა. პოლიტიკური კვლევების ცენტრის ჟურნალი «ახალი აზრი», № 2(8) ივნისი, 2003
64. ა.ციცაშვილი, (პოლიტოლოგიის პროფესორი), არჩევნები ისრაელში. სპორტის ეროვნული სახეობა თუ ქვეყნის თანაზიარობა? საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი «ციონი», თელ-ავივი, № 1, 2001
65. Абрамова И., Египет. Экономические реформы и сотрудничество с Россией. Азия и Африка сегодня. № 3(536) 2002
66. Агарышев А., Гамаль Абдель Насер. 2-ое издание. М. 1979
67. Антонов А., Египет: борьба с исламским экстремизмом. «Компас» № 38-39, ИТАР-ТАСС, 28.09.1999
68. Аллея Славы, Биография. Кирпиченко Вадим Алексеевич. http://www.glory.rin.ru/cgi-bin/person.
69. Арабские вооруженные силы: много хорошего оружия, мало хороших солдат. Washington ProFile, The World Security institute (WSI) Project, 11 Апреля 2002 http://www.washprofile.org/en/node/2933?PHPSESSID=15d9d5199ac9670f8. . . .
70. Асеевский А., ЦРУ: шпионаж, терроризм, зловещие планы, ПОЛИТИЗДАТ, М. 1984
71. Ашкелонский Д.,1973: Война Судного дня, ЦАХАЛ Раздел Ближний Восток. Проект War Online. http://www.waronline.org/IDF/Articles/Zaloga/1973.htm
72. Ашукин Н.С., Ашукина Н.Г., Крылатые слова, Издание четвертое. «Художественная Литература» М., 1987
73. Бабкин С., корр. ИТАР-ТАСС в Рабате, Итоги встречи Министров внутренних дел арабских стран «Компас» № 6, ИТАР-ТАСС, 10.02.2000
74. Бай Е., Никсон Был слишком пьян, чтобы беседовать с бринанским Премьером, ИЗВЕСТИЯ.ru On-line Вашингтон, 28 мая 2004 http://www.izvestia.ru/world/article124662
75. Баранов А.В., Начало операции «Голубь» и установления израильского господства в воздухе. Арабо-израильские войны 1960-х гг. «Эпохи и люди: диалог цивилизаций» Сражения, изменившие ход истории, 5 Том.

http://www.licey.net/history/war/index.php?page=22_golub.php&left=left5.php

76. БЛИЖНЕВОСТОЧНЫЙ КОНФЛИКТ 1973 ГОДА,
Военный форум / Московский Государственный Университет
http://war.h11.ru/73.htm#_1

77. Борисов А.Б., Политическая эволюция Египта: прошлое, настоящее, будущее.
Ближний Восток: Проблемы региональной безопасности (сборник статей),
Выпуск восьмой; Институт изучения Израиля и Ближнего Востока, РАЕН, М., 1999

78. Борисов А.Б., Политическая элита Египта: пути эволюции, Политическая элита
Ближнего Востока. Институт изучения Израиля и Ближнего Востока, ИВ РАН, М., 2000

79. Боровой Я., Война камней в прицеле автомата.НОВОЕ ВРЕМЯ, № 36, 9 сентября 2001
http://www.newtimes.ru/artical.asp.?n=2913&art_id=1481

80. Брутенц К.Н., Тридцать лет на Старой площади, Международные отношения, М., 1998

81. Бренер А.,Египет: сколько длится век фараонов? «Немецкая Волна», 29 сентября 1999
http://www.africana.ru/konkurs/raboti/Brener/Egypt.htm

82. В Египте умер лидер группировки «Братья Мусульмане». Правда, 01.09.2004
http://news.pravda.ru/abroad/2004/01/09/50344_html

83. Видясова М.Ф., М.Ш.Умеров. Программа приватизации в Египте и ее
общественный резонанс.Ближний Восток и современность.
Институт изучения Израиля и Ближнего Востока, Выпуск III, М., 1997

84. Вишневский М., Вашингтонские экскурсы в Африку. Политика и экономика. Азия и
Африка сегодня, № 5 (538) 2002

85. Внешняя разведка в 70-х годах: ЕГИПЕТ. События в истории Внешней разведки.
Служба внешней разведки Российской Федерации,
http://svr.gov.ru/history/stage10.htm

86. Гали Бутрос Бутрос, Биографический указатель, ХРОНОС.
http://www.hrono.ru/biograf/bio-g/gali_butros.html

87. Гарднер Д., Египет: «Дорога на Хургаду» Власть. Международный общественно-
политический журнал «Зеркало Недели» On The Web. № 35(48), 2-8 Сентября 1995 года
http://www.zerkalo-nedeli.com/ie/show/48/39374

88. Гашев Б.Н., Социальные ограничители экономической реформы в Египте. Арабский мир в конце XX в. Материалы I-ой конференции арабистов ИВ РАН, М. 1996, 2 января 2004 http://www.middleeast.narod.ru/research/egypt5.htm

89. Гашев Б.Н., К итогам Каирской экономической конференции. Арабские страны Западной Азии и Северной Африки. (Новейшая история, экономика и политика). Институт изучения Израиля и Ближнего Востока ИВ РАН М., 1997

90. Гильбо Жан Клод, Дорогами крестовых походов. К истокам конфликта между исламом и христианством. LE FIGARO (INOSMI.ru) ,5 мая 2005 http://www.inosmi.ru/translation/2199416.html

91. Гинор И., Судный день Советского Союза начался на Востоке, Гидеон РЕМЕЗ, Иерусалим, ONLINE ВРЕМЯ НОВОСТЕЙ. ИД Время, N°186, 06 октября 2003 года http://www.vremya.ru/print/81681.html

92. Говоров Ю.Л., Переодизация египетской революции (1957-70). История стран Азии и Африки в новейшее время. Кемеровский Государственный Университет. Кемерово,1997 http://www.history.kemsu.ru/PUBLIC/govorov/gov_2_13_0.htm

93. Гольд М., 25 лет без права перестрелки. «Еврейский Обозреватель» © Еврейская Конфедерация Украины, 7/74, Апрель 2004 http://www.jewukr.org/observer/eo2003/page_show_ru.php?id=567

94. Горбатов.О.М., Черкасский.Л.Я. Борьба СССР за обеспечение прочного и справедливого мира на Ближнем Востоке (1967-1980), М., 1980

95. Грановский О., Армия Обороны Израиля на 1973г. Высшее политическое и военное руководство Израиля во время войны 29.06.04 http://www.waronline.org/IDF/Articles/IDF73/idf73_leadership.htm

96. Громыко А.А., Памятное. Глава XIII, Ближневосточный перекресток. Книга Вторая, М., 1988

97. Дальногоров С., Египетский исход в никуда, Общественно-политический еженедельник НЕЗАВИСИМОЕ ОБОЗРЕНИЕ, 1 октября 2003 http://www.nob.ru/article.phtml

98. Дудченко В., Война Судного дня: кровавая ничья, Журнал «Тайный советник» № 041, 25.10.2004

99. Египет: Переизбрание Мубарака и ситуация в стране (По материалам ИТАР-ТАСС и иностранной печати) «Компас» № 44, ИТАР-ТАСС, 28.10.1999

100. Египет освободил из тюрьмы организатора убийства президента Садата. АГЕНТУРА.ru 29.09. 2003
http://www.agentura.ru/Right?id=20030929120800

101. Егорин А.З., ЕГИПЕТ НАШЕГО ВРЕМЕНИ, ИВ РАН, М., 1998

102. Егорин А.Е., Н.С.Хрущев - Г.А.Насер: история отношений, Обозреватель – Observer. № 19, 1993
http://www.nasledie.ru/oboz/n19_93/19_20.htm

103. Елистратова Т.А., Причины победы радикального течения в египетской революции 23 июля 1952 г. Арабские страны Западной Азии и Северной Африки. (Новейшая история, экономика и политика). Институт изучения Израиля и Ближнего Востока ИВ РАН М., 1997

104. Жаховская О., Анвар Садат: время трудных решений. «Белорусская деловая газета»
http://bdg.press.net.by/1999/1999_10_06.649/anwars1.shtml

105. Израиль находился на грани ядерной войны с СССР в 1973 г. 25 сентября, 2004 Русский информационно-культурно центр в государстве Израиль.
http://www.homeru.ru/news/Article831.html

106. Известные люди мира, Картер Джеймс Эрл. Президент США (1977-81)
http://www.persona-rin.ru

107. Иоффе Л., Египет и Израиль в Войне на Истощение, 1967-70 г.г. ЦАХАЛ. Проект War Online.
http://www.waronline.org/IDF/Articles/attrition_war3.htm

108. ВИстория. Государство Израиль, «Израильский центра информации», Иерусалим, 2003
http://www.il4u.org.il/facts/1-3.htm

109. ИСТОРИЧЕСКАЯ ХРОНИКА, 1994. Палестинский информационный центр PALESTINE-INFO.ru, 2003

http://www.palestine-info.ru/code/AFF/aff_khron.php

110. Картер Дж.: Будем исходить из договоров в Кэмп-Дэвиде LA STAMPA (INOSMI.ru), 18 марта 2002
http://www.inosmi.ru/abstract/143394.html

111. Катин В., «Сидит в кювете и богатеет...» Советские лидеры на Арабском Востоке НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА. Люксембург. 11 июля 2001.
http://www.ng.ru/style/2001-07-11/8_dike.html

112. Капитонов К. А., Лев-царь людей. ИТОГИ, № 14 (2000)7 марта 2004
http://www.itogi.ru/paper2000.nsf/Article/itogi_2000_03_31_144530.html

113. Капитонов К.А., ЗА КУЛИСАМИ СОБЫТИЙ - ОПЕРАЦИЯ «УБИТЬ ФАРАОНА» АГЕНТУРА.ru 24.11.2000
http://www.agentura.ru/text/press/opponent/faraon.txt?line=16-781

114. Капитонов К.А., ХОСНИ МУБАРАК – ГОСПОДИН ЧЕСТНОСТЬ, Союз-Ближний Восток. 10 апредя 2003
http://souz.co.il/clubs/read.html?article=1808Club_ID=10

115. Капитонов К.А., Ближний Восток в лицах. Институт изучения Израиля и Ближнего Востока, М., 1998

116. Капитонов. К.А., Гора из долларов. Из истории египетской военной разведки, АГЕНТУРА.ru Тель-Авив, 9 апреля 2003
http://www.agentura.ru/dossier/egypt/history/print

117. Капитонов К.А., Заговор против президента. АГЕНТУРА.ru 12.11.2003
http://www.agentura.ru/dossier/russia/people/kapitonov/zagovor/print

118. Капитонов К.А., Как «свояк» обманул Моссад. НЕЗАВИСИМОЕ ВОЕННОЕ ОБОЗРЕНИЕ, Тель-Авив, 17 января 2003
http://www.nvo.ng.ru/spforces/2000-01-17/7_mossad.html

119. Карасев Н.Ф., Ограбление под маской пртнерства. Империализм: события, факты, документы, Мысль, М., 1985

120. Кирхмайер В., Огнедышащий ислам и западная близорукость (Михаэль Туманн Еженедельник «Цайт») Пресса. DEUTSCHE WELLE / DW-WORLD.DE 04.01.2003

http://www.dw-world.de/russian/0,3367,4395_A_739318,00.html

121. Киселев В.И., Проблема безопасности в зоне арабо-израильского конфликта (Материалы из монографии «Проблемы безопасности в Азии» (М.,Европеум-Пресс 2001), Восток и политика. Отдел комплексных проблем международных отношений Института востоковедения РАН http://www.vostokoved.ru/books/kiselev.htm

122. Киселев В.И., Некоторые аспекты терроризма на Ближнем Востоке. Восток и политика. (Научная конференция «Терроризм – угроза в XXI веке и ситуация на Востоке»), Отдел комплексных проблем международных отношений. ИВ РАН, 20-22 марта 2002 http://www.vostok-ir.narod.ru/articles/kiseliov1.htm

123. Князев А.Г., Египет после Насера (1970-1981), М., 1986.

124. Князев А.Г., К вопросу о создании в Египте новой правящей партии (1971-1978). Арабские страны. История и современность. М.,1981

125. Колоколов Б., А.Н.Косыгин и его миссия в Каир. «Международная жинь», № 9, 1997

126. Кузьмин О. (Корр. ИТАР-ТАСС в Тель-Авиве), «УАЙ-2. Взгляд из Иерусалима», КОМПАС № 37. ИТАР-ТАСС 16.09.99

127. Лазарев А., США и Израиль: трудные отношения, Нью-Йорк http://www.vestnik.com/issues/98/0512/koi/lazarev.htm

128. Лялькина А., Дни Садата. Международный общественно-политический журнал «Зеркало Недели» On The Web. № 40 (364) Суббота, 13 - 19 Октября 2001 года http://www.zerkalo-nedeli.com/ic/print/32510

129. Мамед-заде П.Н.,К вопросу о небходимости консолидации сил и проведения реформ на Арабском Востоке. Институт изучения Израиля и Ближнего Востока http://www.iimes.ru/rus/stat/2004/17-05-04.htm

130. Мамед-заде П.Н., Москва – Каир: развитие отношений в рамках укрепления российско-арабского диалога. Институт изучения Израиля и Ближнего Востока. 20/03/2004 http://www.iimes.ru/rus/stat/2004/20-03-04.htm

131. Мамед-заде П.Н., Религиозный фактор и международный имидж Египта, Институт изучения Израиля и Ближнего Востока, 31/04/2004

http://www.iimes.ru/rus/stat/2004/31-03-04.htm

132. Маркедонов. С.М., Возможен ли военно-политический союз России и Израиля? Институт политического и военного анализа. ИПВА, 20.07.2002 http://www.ipma.ru/publikazii/regionpolitika/268-print.html

133. Марченко В., (сотрудник дип.миссии РФ в Израиле), Война Судного дня и американо-израильские отношения: тридцать лет спустя, Журнал «ВЕСТНИК» Online, № 22 (333) 29 октября 2003 http://www.vestnik.com/issues/2003/1029/win/marchenko.htm

134. Международник-журналист, арабист, Капитонов К., People's History http://www.peoples.ru/state/correspondent/kapitonov/index.html

135. МЕИР ГОЛДА. МОЯ ЖИЗНЬ. Война Судного дня. Перевод с иврита Р.Зерновой ,Общая редакция Я. Цура .OCR Васильченко Сергей. «Аурика»,Чимкент 1997; ил. «Женщина-миф», «Библиотека Алия», 1985

136. Ментешашвили З. Переговорные Саммиты в Париже, Шарм Аш-Шейхе и Кэмп-Дэвиде. საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია I, თსუ, თბ., 2004

137. Мирзоев Э., Серый Кардинал «Аль-Каэды»,Журнал ВЕСТНИК Online. № 23(308), Москва, 13 ноября 2002 http://www.vestnik.com/issues/2002/1113/win/mirzoev.htm

138. Мурхидж Б., Позиция некоторых арабских стран в ирано-кувейтском конфликте. Арабские страны Западной Азии и Северной Африки. (Новейшая история, экономика и политика). Институт изучения Израиля и Ближнего Востока ИВ РАН М., 1997

139. Медведко Л.И., Россия и Ближний Восток: сто лет в сопряжении войн и мира. Ближний Восток: Проблемы региональной безопасности (сборник статей), Институт изучения Израиля и Ближнего Востока, РАЕН, М., 2000

140. Мусский И.А., «100 великих дипломатов», Издательство Вече, М., 2001. Гали Бутрос Бутрос, Дипломатический словарь. МЕЖДУНАРОДНИК.ru http://www.mezhdunarodnik.ru/dictionary/?id=51

141. Никитин А., В Холодной войне победителей не было. М.С.Горбачев считает, что Холодная война завершилась на равных летом-осенью 1989 года. 05.01.2003

http://www.cprf.ru/nikitin/4783.shtml

142. Новиков И., Оружие Массового Поражения Государства Израиль. Институт изучения Израиля и Ближнего Востока. 29 января 2004
http://www.iimes.ru/rus/stat/2004/29-01-01.htm

143. Носенко Т.В., Разделенный город Иерусалим. «Международная жизнь». №5 М. 1999

144. Олимпиев А., Арабо-израильская война 1973 года. Хроника событий по историческим документам, Обозреватель – Observer, № 5(172) 2004
http://www.nasledie.ru/oboz/05_04/5_12.HTM

145. Оников Л.А., Шишлин. М.В. (редакт.), Краткий Политический Словарь, ПОЛИТИЗДАТ, М.,1989

146. Осипов А.И., (США и арабские страны 70-е начале 80-х годов), Политические и дипломатические маневры США в вопросах ближневосточного урегулирования М., 1983.

147. Ослабление советского влияния на Ближнем Востоке Окончательный уход СССР из Египта. Кэмп-Дэвид. 36. «Эпохи и люди: диалог цивилизаций», Сражения, изменившие ход истории, 5 Том.
http://www.licey.net/history/war/index.php?page=23_ishod.php&left=left5.php

148. Откуда исходит угроза Миру. Журнал Ордена Трудового Красного Знамени. Военное издательство Министерства обороны СССР. М., 1982

149. Пачепа Ион Михай, Арафат – человек КГБ. THE WALL STREET JOURNAL, (INOSMI.ru), 22 Septebmer 2003
http://www.inosmi.ru/translations/194235.html

150. Подозреваемый в шпионаже журналист выслан из Израиля.«Эхо Москвы», 23 июля 2004
http://www.lenta.ru/mideast/2004/07/23/expel

151. Портников В., Автор программы - Имя Собственное. Анвар Садат. РАДИО СВОБОДА 09.11.2002
http://www.svoboda.org/ii/world/1102/ii.110902-1.asp

152. Почкарев А., Ближневосточный триумф «Летучих лисиц». Газета «КРАСНАЯ ЗВЕЗДА». Министерство обороны Росийской Федерации,17 августа 2002

http://www.redstar.ru/2002/17_08/4_01.html

153. Примаков.Е.М., История одного сговора. (Ближневосточная политика США в 70-е начале 80-х годов). М., 1985

154. Проханов А., Оптимизм традиции (Диалог с Чрезвычайным и Полномочным Послом АРЕ в РФ д.-р Реда Ахмет Шехата) «Завтра», № 49(210). 9/12/1997 http://www.zavtra.ru/cgi/vei/data/zavtra/97/210/51embassador.htm/title

155. Пырлин Е.Д., Проблема ближневосточного урегулирования в контексте российско-американских отношений. (Воспоминания и мысли участника переговорного процесса по ближневосточному урегулированию), Ближний Восток: Проблемы региональной безопасности (сборник статей) .Институт изучения Израиля и Ближнего Востока, Российская Академия Естественных Наук, М., 2000

156. Р.и У.Черчилль. Шестидневная война, «Библиотека-АЛИЯ», Иерусалим, Израиль, 1989 OCR Сергей Васильченко . LIB.ru, Ближний Восток http://www.lib.ru./MEMUARY/MEADEAST/six_day.txt

157. Рубин М. О., Эволюция позиции Египта по ближневосточному урегулированию (1970 – 2003 гг.) / В.С.Денисенко. (РУДН, Институт дистантного образования.) Научный руководитель: Е.М.Савичева, 23.10.2003 http://www.humanities.edu.ru/db/msg/38678

158. Россия, Ближнее и Дальнее зарубежье Азии, РЭА им Г.В.Плеханова, АСМАН, ИВ РАН, М., 1997

159. САДАТ АНВАР, President of Arab Republic of Egypt. Нобелевские лауреаты. © Электронная версия, (By L. Molchanov), 4 мая 2001 http://www.presidents.h1.ru/site/presidents/Egypt/sadat.html

160. Садат А.– Лица Ближнего Востока. Фонд содействия развитию арабистики и сотрудничества с арабскими странами. http://www.fundarabist.ru/Gov/History/Sadat.htm

161. Сейранян Б.Г., Хосни Мубарак.Начало политической деятельности. Арабские страны Западной Азии и Северной Африки. (Новейшая история, экономика и политика). Институт изучения Израиля и Ближнего Востока ИВ РАН М., 1997

162. Сергеев А.К., Египет: внутренная политика и социально-экономическое положение на современном этапе. Востоковедный сборник (выпуск второй). Украинская баннерная сеть Middleast.org.ua, 2 января 2004
http://middleeast.narod.ru/research/egypt3.htm

163. СССР и страны Африки, М.,1977

164. Султанов Э., Интервью Президента САР Башара Асада. «Ближний Восток – сердце мира, а его центр-Сирия», КОММЕРСАНТ-Ъ, № 73(П) (3157), от 25.04.2005
http://www.kommersant.ru/doc.html?DocID=573165&Issue=233

165. Султанов Чапай Али Оглы, Послевоенные нефтяные кризисы, Персональный сайт
http://sultanov.azeriland.com/oil/part_06.html

166. Судный день Израиля, 8 октября 2003
http://www.respublika.ru/docs/tv/3/5017.html

167. Сумбаев С., Равиль Хайхутдинов- Война Судного дня грозила стать мировой Газета «КРАСНАЯ ЗВЕЗДА». Министерство обороны Российской Федерации, 23 Октября 2003
http://www.redstar.ru/2003/10/23_10/3_03..html

168. Супонина Е., Москва знала, что Садат работал на немецкую разведку. «Время Новостей» Online, ИД Время, Москва. № 186, 6 октября 2003
http://www.vremya.ru/print/81683.html

169. С архивов о Войне Судного дня снят гриф секретности. ИЗВЕСТИЯ.ru On-line 08.10.2003
http://www.izvestia.ru/world/article39492

170. Суэцкий Кризис 1956.Вторая арабо-израильская война, Англо-франко-израильская война против Египта. Операция «Кадеш» и «Мушкетер», Сточасовая война История войн.
http://historiwars.narod.ru/Index/XXv/aiw/aiw1956.htm

171. США не охотятся за иракской нефтью. Им нужен Хуссейн. Washington ProFile, The World Security institute (WSI) Project, № 17 (248) 20 Фефраля 2003
http://www.washprofile.org/ru/node/407

172. Тарас А., Миллер Д.- Коммандос: Формирование, подготовка, выдающиеся операции спецподразделений. Специальные силы в неоколониальных войнах (1946-1990)

Операция «Мушкетер»: Египет, 1953. Проект «Военная литература»: 1999.
http://militera.lib.ru/research/miller/index.html

173. Третьяков В., «Мир на Ближнем Востоке должен стать стратегическим выбором для всех - Хосни Мубарак». НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА, 28 апреля 2001
http://www.ng.ru/printed/world/2001-04-28/1_hosni.html

174. Трифонов Е., Израиль, Трагедия одиночества, которое нельзя назвать незаслуженным. НОВОЕ ВРЕМЯ, № 17-18/ 2001

175. Фальков М., За кулисами визита Примакова. SIBNET Online. 2002
http://www.sibnet.tm/article.php?sid=7059

176. Фальков М., (интервью с Александром Дроздовым, полковником СВР в отставке). Палестинская «гонка» ЦРУ-КГБ.
http://www.russ.ru/politics/20020627-fal.html

177. Фальков М., Исламкая «ловушка» ЦРУ (Николай Патрушев, директор ФСБ), апрель 2001
http://www.russ.ru/politics/20020628-fal.html

178. Фельтхэм Р. Дж., Настольная книга дипломата, 2-ое издание (Перевод с английского В.Е.Улаховича), Минск 2001
(Diplomatic Handbook, R.G. Feltham.LONGMAN, London & New York 1998)

179. Хазанов. А.Н., Политика России на Ближнем и Среднем Востоке. Ближний Восток: проблемы региональной безопасности; сборник статей. Институт изучения Израиля и Ближнего Востока, РАЕН, М, 2000

180. Хамзин К.З., Пять лет мира: иордано-израильские отношения в 1994-1999 гг. Ближний Восток и современность, № 9, ИВ РАН, Москва, 2000

181. Ханданян А., Африканский «Кавказ». Учительская газета № 28(9953) 07-08-2003.
http://www.ug.ru/?action=print&toid=1084

182. Хосни Мубарак: Египет должен извлечь уроки из Войны Судного дня, Центральный Еврейский Ресурс, 05.10.2003
http://www.sem40.ru/lenta/news-dir/60106.html

183. Хосни Мубарак, Первые лица. КОММЕРСАНТ-Ъ, № 72(3159) от 27.04.2005
http://www.kommersant.ru/doc.html?docId=573790

184. Цыганков А.Е., СССР – Египет в середине 50-х годов: Начало военного сотрудничества Арабские страны Западной Азии и Северной Африки (Новейшая история, экономика и политика) Выпуск 3, Москва 1998
Институт изучения Израиля и Ближнего Востока. Институт востоковедения РАН,

185. Чернов М., Черно-зеленый рейх? Империя или Халифат. Журнал Эксперт, № 31(338). 26 августа 2002
http://archive.expert.ru/expert/02/02-31-38/data/podv3.htm

186. Шапиро Ш., Стабильность на Ближнем Востоке? Вклад спецслужб в предотвращении конфликтов.Университет им. Бара Илана, Раамат-Ган. GLOBAL AFFAIRS, 27 Марта 2003
http://www.globalaffairs.ru/articles/2107.html

187. Щенников В., Будни разведчика, Секреты Секретных Служб. Азия и Африка Сегодня. № 1, 1999

188. Щенников В., Будни разведчика, Секреты Секретных Служб. Азия и Африка Сегодня. № 4 (501),1999

189. Шлыков В., ЧТО ПОГУБИЛО СОВЕТСКИЙ СОЮЗ? Американская разведка о советских военных расходах. Генштаб и экономика. Межрегиональный Фонд информационных технологий. ВОЕННЫЙ ВЕСТНИК, ВЫПУСК № 8, АПРЕЛЬ 2001, Москва
http://www.mfit.ru/defensive/vestnik/vestnik8_2.html

190. Шмелева. Т.А., Роль Египта как страны посредника в процессе ближневосточного урегулирования.Институт изучения Израиля и Ближнего Востока, 29 июля 2003
http://www.iimes.ru/rus/frame_stat.htm

191. Шмелева. Т.А., Иракский кризис и египетско-иранские отношения. 13 января 2003
http://www.iimes.ru/rus/stat/2003/13-01-03.htm

192. Шмидт Кристиан, Миротворцы Второго сорта? Роль европейцев на Ближнем Востоке. Deutshe Botschaft. Moskau.
http://www.deutshebotschaft-moskau.ru

193. Шукуров А., Конфликты: Война по расписанию.Журнал КОНТИНЕНТ, № 19 (106), 8-19 октября, Алматы 2003 г.
http://www.continent.kz/2003/19/13.htm

194. Д-р. Эпштейн А., Арабо-израильский конфликт и попытки его урегулирования. (Опубликовано в книге «Общество и политика современного Израиля») Москва – Иерусалим: «Мосты культуры», The Open University of Israel, Raanana, 2002 http://hedir.openu.ac.il/kurs/politic/conflict.html

195. Эпштейн Р., Правые и левые в свете исторической перспективы. Сайт Аналитической группы МАОФ, 2001-08-05 http://maof.rjews.net/print.php3?id=504&type=f&sid=486

196. Эттингер Ш,, Очерки истории еврейского народа. Часть вторая. Иерусалим, Библиотека «Алия», 1990

197. Эхо Кемп-Дэвида.Кемп-Дэвид: рукопожатие бывших врагов 09.02.2002 http://www.elib.ru/Encycl/History/SENSATION/sens13.html

198. Яковлев Н.Н., ЦРУ против СССР, Издательство «Правда» М. 1983

199. Al-Ahram Weekly. 1950-59., Issue № 462. 30 Dec. 1999 – 5 Jan. 2000. http://www.ahram.org.eg/weekly/1999/462/1950.htm

200. J.B. Alterman., Egypt: Stable, but for How Long? The Center for Strategic and International Studies & The Massachusetts Institute of Technology. The Washington Quarterly, Volume 23, Number 4. Autumn 2000 http://www.twq.com/autumn00/alterman.pdf

201. A.M. Said Aly. Egypt-U.S. Relations end Egyptian Foreign Policy. POLICYWATCH, The Washington Institute for Near East Policy. № 448, March 24, 2000

202. D. Andromidas, Did Bush Sabotage Clinton's Middle East Peace Efforts? EIR International, January 19, 2001

203. D. Andromidas, Sharm Al-Sheikh Summit Leaves Mideast on a Course toward War. EIR International, October 27, 2000

204. Sh. Aniveri (A former director-generale of the Foreign Ministry), More pro-Arab Than The Kremlin. THE JERUSALEM POST (Online Edition). Jun 15, 2005 http://www.jpost.com/servlet/Satellite? pagename…

205. N. Al-Ashhab, Russia in Mideast: A Necessary Counterbalance. The Middle East's Leading English Language Daily ARAB NEWS, 28, June 2005

http://www.arabnews.com/services/print/print.asp?artid=66024&d=28&m=6&y=2005

206. R. W. Baker, Sadat and After. Struggles for Egypt`s political soul. Harvard University Press. Cambridge, Massachusetts. 1990

207. J.Baylis and S. Smith., The Globalization of World Politics. An Introduction to International Relations. Second Edition. OXFORD University Press. 2001

208. Dr. Y. Beilin. Head of the Israeli Delegation to the Steering Committee of the Multilateral Peace Talks. A Vision of The Middle East, 15 December 1993, Tokyo

209. I. Berman., New Horizons for the American-Israeli Partnership. Journal of International Security Affairs (JINSA), The American Foreign Policy Council, Summer 2004 http://www.afpc.org/NewHorizons.pdf

210. J.A. Bill, Robert Springborg. Politics in the Middle East. College of William and Mary. MacQuarie University. Fifth Edition. Addison-Wesley Education Publishers Inc, Longman, New York, 2000

211. A. Braun. The Middle East in Global Strategy. Westiew Press/ Boulder, Cololorado. Mansell Publishing Limited, London 1987

212. P. Brookes, Egypt`s Nuclear Options.THE HERITAGE FOUNDATION. January 10, 2005 http://www.heritage.org

213. Z. Brzezinski.The Israeli-Palestinian conflict will never be resolved without a U.S. Apeaceful Intervention. THE WASHINGTON POST, Page A17, December 24, 2001 http://www.washingtonpost.com/ac2/wp-dyn/A19437-2001Dec23?/angyage=eprinter

214. Z. Brzezinski. Moral Duty, National Interest. THE NEW YORK TIMES. http://www.inosmi.ru.stories/02/10/07/3168/140485.html

215. W.J.Burns., Economic Aid and American Policy toward Egypt (1955-1981). State University of New York Press, ALBANY, 1985

216. W. Burr, The October War and U.S. Policy, THE NATIONAL SECURITY ARCHIEVE, USA, October, 2003 http.// www.gwu.edu/~nsarchiv/NSAEBB/NSAEBB98/index2.htm#1

217. CIA's Analysis Of The Soviet Union, 1947-1991, Center for the Study of Intelligence, Central Intelligence Agency, Washington D.C., 2001

218. Camp David Accords: Celebrating. 25 Years of a Framework for Peace in the Middle East. THE CARTER CENTER.
http://www.cartercenter.org

219. S.A.Cook. Egypt - Still America`s Partner ? THE MIDDLE EAST QUARTERLY, June 2000
http://www.meforum.org/article/58

220. C.A. Daigle, The Russian Are Going: Sadat, Nixon And The Soviet Presence in Egypt,1970-1971. Journal MERIA (Middle East Review of International Affairs),Volume 8, No 1, Israel, 1 March 2004.
http://meria.idc.ac.il/journal/2004/issue1/jv8n1a1.html

221. Egypt Nuclear Overview, Egypt Profile. Center for Nonproliferation Studies at the Monterey Institute of International Studies, Nuclear Threat Initiative (NTI), June 2, 2003
http://www.nti.org/e_research/profiles/Egypt/index.html

222. EGYPT Country Profile. History in brief, THE ECONOMIST.com, December 9th 2003
http://www.economist.com/countries/Egypt/profile.cfm?folder=History%20in%20brief

223. D.Eldar., Egypt and Israel: A Reversible Peace. THE MIDDLE EAST QUARTERLY. Volume X: № 4, Fall 2003.
http://www.meforum.org/article/565

224. Exercise of Bright Star. Military. THE GLOBAL SECURITY.org
http://www.globalsecurity.org/military/ops/bright-star.htm

225. F.Ezzedine, Mubarak in Washington. Assessing the US-Egyptian Bilateral Relationship. Middle East Report Online. MERIP, June 30, 1999
http://www.merip.org/mero/mero0003099.htm

226. C.Gasteyger, Moscow and Mediterranean. Foreign Affairs, 198, Vol. 64.4

227. B.B. Ghali, The Middle East: The Foreign Policy of Egypt in the Post-Sadat Era. THE FOREIGN AFFAIRS, Spring 1982
http://www.foreignaffairs.org/the-middle-east-the-foreign-policy-of-egypt-in -the-post-sadat-era.htm

228. Dr. Osama Al-Ghazali Harb., Egypt and its Role: Lessons of the October War. The International Politics Journal AL-SIYASSA AL-DAWLIYA. October 2003

http://www.siyassa.org.eg/esiyassa/AHRAM/2003/ID/1/EDIT1.HTM

229. D. Gold. ed. Arms Control in the Middle East, JCSS Study № 15, 1990

230. A. Goldshmidt Jr., Modern Egypt: The Formation to Nation-State. Westview Press 1988

231. H. Goodman, W.Seth Carus. The Future Battlefield and the Arab-Israeli Conflict. Transaction Publishers: New Brunswick (USA) and London (UK), 1990

232. T.Heggy., The Intelligent American`s Guide to Islamism. The Egyptian Version: The Muslim Brotherhood. IN THE NATIONAL INTEREST.6.16.2005
http://www.inthenationalinterest.com/Articles/June%/202005/June2005HeggyPFV.htm

233. Heikal M.H., Autumn of Fury. New York: Random, 1983.

234. Heikal M.H., The sphinx and the commisar. The rise and fall of Soviet influence in the Middle East,New York 1978

235. Heikal M. H., The Road to Ramadan, New York, 1975

236. El-Hussini M. N., Soviet–Egyptian Relations. 1945–1985. London, 1987

237. Israel-Egypt: A Review of Bilateral Ties The Jewish Virtual Library. American-Israeli Cooperative Enterprise (AICE) (January 2003)
http://www.jewishvirtuallibrary.org/jsource/Peace/egyptisrael.html

238. Israel, The Conflict and Peace, Information and Internet Division.Ministry of Foreign Affairs. State of Israel, Jerusalem, 2003

239. Israel Nuclear Overview, Israel Profile. Center for Nonproliferation Studies at the Monterey Institute of International Studies, Nuclear Threat Initiative (NTI), June 2, 2003
http://www.nti.org/e_research/profiles/Israel/index.html

240. J. Joffe, Mediation in the Middle East, The Center for Strategic and International Studies & The Massachusetts Institute of Technology. The Washington Quarterly,Volume 25, Number 4,
Autumn 2002
http://www.twq.com/02autumn/joffe.pdf

241. Major M.C. Jordan, United States Marine Corps. The 1973 Arab-Israeli War: Arab Policies, Strategies, and Campaigns, CSC, THE GLOBAL SECURITY, 1997
http://www.globalsecurity.org/military/library/report/1997/Jordan.htm

242. A. Keats (CDI Research Assistant), In the Spotlight: Al-Jihad (Egyptian Islamic Jihad), Terrorism Project. CENTER FOR DEFENSE INFORMATION, Washington D.C. Sept. 17, 2002
http://www.cdi.org/terrorism/aljihad-pr.cfm

243. R. Khalaf., Egypt 2000, Economic Outlook. FINANCIAL TIMES Survey (FT.com)
http://news.ft.com/reports/egypt2000

244. H.A. Kissinger, DIPLOMACY. Simon & Schuster. London & New York, 1995

245. H.A. Kissinger: Realists vs. Idealists. International Herald Tribune (IHT Online), 12 May, 2005
http://www.iht.com/bin/print_ipub.php?file=/articles/2005/05/11/opinion/edkissinger

246. E.B.Landau., Egypt`s Nuclear Dilemma. Strategic Assessment. Jaffe Center for Strategic Studies. Tel Aviv University (JCSS), Volume 5, № 3, November 2002

247. Edited by Y. Lukacs and A.M.Battah. The Arab-Israeli Conflict. Two Decades of Change. Steven L.Spiegel. The Impact of the Six Day War on the Soviet-American Competition, Westview Press Boulder & London, 1988

248. N.Abou Al-Maga, Peace with Israel 20 years on. Al-Ahram Weekly, Issue № 422, 1-7 April 1999.
http://www.weekly.ahram.org.eg/1999/423/eg3.htm

249. Maher A.S., Foreign Minister of Egypt. Saban Centre for Middle East Policy.
A Brookings Leadership Forum. THE BROOKINGS INSTITUTION, November 28, 2001
http://www.brook.edu/comm/transcripts/20011128a.htm

250. A. Mannes, A Reformer in Egypt.Tarek Review.Egyptian Political Essays, POLICY REVIEW December 2002
http://www.policyreview.org/DEC02/mannes_print.html

251. C.R.Mark, Egypt-United States Relations. Foreign Affairs, Defence and Trade Division, Congressional Resesarch Servise, Library of Congress, CRS Issue Brief for Congress. October 10, 2003
http://www.fas.org/asmp/resources/govern/crs-ib93087.pdf

252. C.R.Mark, Israel: U.S. Foreign Assistance. Foreign Affairs, Defence and Trade Division, Congressional Resesarch Servise, Library of Congress, CRS Issue Brief for Congress. July 12, 2004

http://www.fas.org/man/crs/IB85066.pdf

253. G. Meir Biography, The Hagshama Department of the World Zionist Organization, Jerusalem. 7 March 2004
http://wzo.org.il/en/resources/view.asp?id=1649

254. Y. Meital, Domestic Challenges and Egypt's U.S. Policy, Journal MERIA (Middle East Review of International Affairs) Vol. 2, No. 4 - November 1998
http://www.biu.ac.il/SOC/besa/meria/journal/1998/issue4/jv2n4a1.html

255. MUBARAK - President of Arab Republic of Egypt, © Egypt State Information Service, 15.03.2001
http://www.sis.gov.eg/Egyptinf/Politics/Preside/html/mubarak.htm

256. G. Nassar. Into the breach, dear friends. Maj. Gen. Hassan El-Gretli was Chief of Operations during the October War. Al-Ahram Weekiy On-line. 8-14 October 1998. Issue № 398
http://www.ahram.org.eg/weekly/1998/398/oct12.htm

257. Newspapers Report Mubarak Victory. BBC NEWS/ Middle East, 9 September 2005
http://news.bbc.co.uk/2/hi/middle_east/4229242.stm

258. J.S. Nye Jr., With Foreword by Stanley Hoffmann. Understanding International Conflicts. An Introduction to Theory and History. Fourth Edition, Harvard University 2003

259. Official Website of the President of Arab Republic of Egypt. Muhammad Hosni Mubarak, THE EGYPTIAN PRESIDENCY
http://www.presidency.gov.eg/html/the_president.html

260. OPERATION NICKEL GRASS, Yom Kippur War. THE GLOBAL SECURITY
http://www.globalsecurity.org/military/ops/yom_kippur.htm

261. R. Owen, State, Power and Politics in the Making of the Modern Middle East, Second Edition, ROUTLEDGE, London & New York, 2000

262. D. Peretz, The Middle East Today, Praeger Publishers, Fifth Edition, New York 1984

263. A. Perlmutter., The Life and Times of Menahem Begin, New York 1987

264. Political History of Israel. Menahem Begin, LIKUD. 2001
http://www.isrus.co.il./win_d/polit5.html

265. W.B. Quandt, Editor. The Middle East. Ten Years After Camp David. Brookings Institution Press, Washington, D.C. 1988

266. W.B. Quandt., The United States and Egypt. An Essay on Policy for the 1990s. A Brookings Institution Book. The American University in Cairo Press. 1990

267. S. Raghotham. A Revolution in Space Affairs? Strategic View. The Centre for Defence & International Security Studies (CDISS), Oxfordshire, U.K.27 May 2005
http://www.cdiss.org/Pages/StrategicView.asp

268. S. Reed. The Battle for Egypt. THE FOREIGN AFFAIRS. September/October 1993
http://www.foreignaffairs.org/19930901 faessay5207/stanley-reed/the-battle-for-egypt.html

269. M.G. Roskin (Lycoming College), Nicholas O.Berry (Ursinus College). The New World of International Relations. Third Edition. PRENTICE HALL Inc., Upper Saddle River, New Jersey, Simon&Schuster, 1997

270. D.B. Ross., Think Again: Yassir Arafat. The Magazine of Global Politics, Economics and Ideas, FOREIGN POLICY, July-August 2002
http://www.foreignpolicy.com/issue_julyaug_2002/ross.html

271. B. Rubin., Middle East: Search for Peace. America and the World 1985.
THE FOREIGN AFFAIRS
http://www.foreignaffairs.org/19860201faessay1782/bar.../middle-east-saerch-for-peace.htm

272. B. Rubin Prof., U.S. Middle East Policy Database. The United States and Middle East: 1981-1982. Middle East Review of International Affairs (MERIA), 2003
http://meria.idc.ac.il/us-policy/data1982.html

273. A.Z.Rubinstein, Red Star on the Nile, The Soviet-Egyptian Influence Relationship Since the June War, Princeton University Press, 1977

274. A.Salem, Sadat`s Peace Legasy and Hopes for Arab Liberalism. Policy watch № 647: Special Forum Report. The Washington Institute for Near East Policy.
http://www.washingtoninstitute.org/print.php

275. Sadat Anwar: Architect of a New Mideast. Man of the Year 1977. TIME, January 2, 1978
http://www.time.com/time/special/moy/1977.html

276. Anwar Al-Sadat Biography. The Center for the Public Domain and The University of North Carolina - Chapel Hill, 04.05 2002
http://www.ibiblio.org/sullivian/bios/Sadat-bio.html

277. Anwar Al-Sadat Biography. A Division of the American-Israeli Cooperative Enterprise.Jewish Virtual Library. 25/9/2001
http://us-israel.org/jsource/biography/sadat.html

278. Sadat A. In Search of Identify: An Autobiography, New York: Harper & Row, 1978

279. R. Satloff (Executive Director). U.S. Policy toward Egypt, The Washington Institute for Near East Policy., April 10, 1997
http://www.washingtoninstitute.org/print.php

280. Ze'ev Schiff., A History of The Israel Army. 1874 To The Present. SIDGOWICK & JACKSON, London, 1987

281. A. Sharon, with David Chanoff. The Autobiography of ARIEL SHARON. A TOUCHSTONE BOOK. Published by Simon & Schuster Inc. New York, London, Tokyo, Singapure, 1989

282. I. Shenker., Golda Meir: Peace and Arab Acceptance Were Goals of Her 5 Years as Premier. THE NEW YORK TIMES On The Web/ On This Day. December 9, 1978
http://www.nytimes.com/learning/general/onthisday/bday/0503.html

283. Shoukri Gh. Egypt: Portrait of a President, 1971-1981. The Counter-Revolution in Egypt. Sadat's Road to Jerusalem. London,1981

284. Dr. Said Amin Shalabi. Egyptian Foreign Policy over 50 years (1952-2002). The International Poilitics Journal AL-SIYASSA AL-DAWLIYA (ARE)
http://www.siyassa.org.eg/esiyassa/ahram/2002/7/1/FEAT1.htm

285. J.M.Sharp (Middle East Policy Analyst), U.S. Foreign Assistance to the Middle East: Historical Backgroun, Recent Trends and the FY2006 Request. Foreign Affairs, Defence and Trade Division. Congressional Resesarch Servise, Library of Congress, CRS Issue Brief for Congress, June 13, 2005
http://www.fas.org/sgp/crs/mideast/RL32260.pdf

286. M.H.Shulewitz, The Forgotten Millions. The Modern Jewish Exodus from Arab Lands. Cassell, London and New York, 1999

287. P. Sluglett and M. Farouk-Sluglett., The Arab World and Its Neighbours. THE TIMES GUIDE TO THE MIDDLE EAST, TIMES Books, Harprer Collins Publishers, London 1996.

288. G.Sperling. More wise world from Jimmy Carter. THE CHRISTIAN SCIENCE MONITOR, April 30, 2002
http://www.csmonitor.com/2002/0430/plls01-cogs.html

289. G.M. Steinberg. ISRAEL LOOKS OVER THE HORIZON: RESPONDING TO THE THREATS OF WEAPONS PROLIFATION. Jerusalem Viewpoints. Jerusalem Center for Public Affairs, № 457, 1 July 2001

290. D.P. Steury. Editor, History Staff. Part III: Arms Control, Soviet Objectives and Force Planning, 1968-83, NIE 11-8-72, Intention and Capabilites: Estimates on Soviet Strategic Forces, 1950-1983.
Center for the Study of Intelligence. Central Intelligence Agency, Washington D.C.1996

291. N. Tal, Islamic Terrorism in Egypt: The Challenge and the Response. (JCSS) Jaffe Center for Strategic Studies. Tel Aviv University, March 1998, Volume 1, № 1
http://www.tau.ac.il/jcss/sa/v1n1p4_n.html

292. Talbot S., Khrushchev Remembers. L., 1971

293. The Israel Withdrawal from South Lebanon and Western Bekaa, Arab Israeli Conflict. Consolidation With The Lebanese Republic The League of Arab States.
http://www.arableagueonline.org/arableague/english/detailsen.jsp?art_id=1294&level_id=285

294. The Madrid conference. 1991: Bush opens historic Mid East peace conference On This Day, 30 October 1991 BBC NEWS.
http://news.bbc.co.uk/onthisday/hi/dates/stories/october/30/newsid_2465000/2465725.stm

295. The Main Events and Issues During the Ninth Knesset / Knesset English Homepage.
The official site for the Israeli Parliament. 5.05.2005
http://www.knesset.gov.il/history/eng/eng_hist9.htm

296. The Nobel Peace Prize 1978 Mohamed Anwar al-Sadat, Menachem Begin, The Nobel Prize
http://nobelprize.org/peace/laureates/1978/index.html

297. They said about October. THE DAILY TELEGRAPH
http://.ahram.org.eg/weekly/1998/398/oct08.htm.30/01/01

298. U.S. Strategic Reach in the Middle East. Interhemispheric Resource Center and Institute for Policy Studies. (IRS). Vol 1 № 17, November 1996
http://www.fpif.org

299. L.S. Vandenbroucke, The Israeli Strike Against OSIRAQ, Air University Review, Air & Space Power Chronicles.Sep-Oct. 1984
http://www.airpower.au.af.mil/airchronicles/aureview/1984/sep-oct/vanden.html

300. What was the Gaza and Jericho Agreement of 1994? & What was the "Oslo II" Interim Agreement in 1995? Israel 1991 to Present Gaza and Jericho 1994 & OSLO II Agreement. PALESTINE FACTS.org, January 2002
http://www.palestinefacts.org/pf_1991to_now_gaza_jericho.php

301. J. Waterbury., The Egypt of Nasser and Sadat.The Political Economy of Two Regimes, Princeton University Press 1983

302. Weapons of Mass Destruction.(DEFense CONdition). Federation of American Scientists
http://www.fas.org/nuke/guide/USA/c3i/defcon.htm

303. Why Anwar Sadat was indispensable. GUARDIAN UNLIMITED, Octobes, 2003
http://www.guardian.co.uk/print/0.3858.4768530-11.875.00.html

304. P. Angevin. La presse èggyptienne sous pression. L`Egypte sous la férule de Moubarak L`EXPRESS, 4/06/1998
http://www.lexpress.fr/Express/Info/Monde/Dossier/egypt/dossier.asp?id=240634

305. V. Hugeux, Patrick Angevin. Les terroristes sont indignes de l`islam – Mohammed Sayyed Tantaoui, L`EXPRESS, 9/10/1997
http://www.lexpress.fr/Express/Info/Monde/Dossier/egypt/dossier.asp?id=240637

306. J.Villeneuve, Les Palestinien hésitent à défendre Arafat. Le raïs face à une grave crise politique. Proche-Orient. LE FIGARO, Ramallah, 3 Août 2004
http://www.lefigaro.fr/cgi/edition/genimprime?cle=20040803.FIG0131

307. F.Antonio, Edicola. Mubarak: «Per servire la pace potrei andare a Gerusalemme», CORRIERE DELLA SERA, 9 settembre, 2003
http://corriere.it/ edicola./index.jsp?path=ESTERI&doc=MUBARAK

308. Ich habe Arafat gehasst - Reaktionen.SPIEGEL Online, 11 November 2004

http://www.spiegel.de/politik/ausland/0,1518,327333,00.html

309. W. Koydl, Verrat am Frieden. Ausland. SÜDDEUTSCHE ZEITUNG GmbH 15.04.2004 http://www.sueddeutsche.de/ausland/artikel/280/30250

310. აბდ ალ-ლაჰ იმამ, ჰაკიკათ ას-სადათ. საბიკ ‘ასრაჰი. მადბული ას-საღირ. ალ-კაჰირა, 1997 (არაბულ ენაზე)

311. აბდ ალ-ლაჰ იმამ, ალი საბრი იათაზაქარ: ბისირაჰათ ‘ან ას-სადათ. დარ ალ- ხაიალ, ალ-კაჰირა, 1997 (არაბულ ენაზე)

312. ფარუკ ჰასანი, დ. მუსტაფა ალ-ფაკი, დ.სამირ სარფანი. მუბარაქ ვა ალ-‘ალამ ალ-‘არაბი. ალ-ჰაი‘ათ ალ-მისრიათ ალ-‘ამათ ლილქითაბ, ალ-კაჰირა, 1979 (არაბულ ენაზე)

313. დ. მილად ჰანნა, მისრ ლიქული ალ-მასრიინ. დარ სი’ად ას-საბაჰ. ალ-კაჰირა, 1993 (არაბულ ენაზე)

314. ‘ადილ ჰამუდა, აიამ ას-სადათ ალ-ახირა, ალ-ქითაბ ალ-ავვალ, დარ სფინქს, ალ-კაჰირა, 1992 (არაბულ ენაზე)

315. აჰმად ბაჰა‘ ად-დინი, მუჰავარათ მა‘ა ას-სადათ.Dდარ ალ-ჰილალ. ალ-კაჰირა, 1978 (არაბულ ენაზე)

316. რისალა მინ საიდ რაის ალ-ჯუმჰურია ბიმუნასაბათი იჰთიფალ ბიიაუმ ად-დიბლუმასი. ად-დიბლუმასი № 78, მარის 2002(არაბულ ენაზე)

317. დ. აბდ ალ-ჰამიდ რამადანი. მისრ ფი ‘ასრ ას-სადათ (ბიჯამი‘აალ-მანუფია), მაქთაბათ მადბული, ალ-კაჰირა, 1986 (არაბულ ენაზე)

318. არ-რაის მუბარაქ, ლი-ჯამაჰირ ალ-უმმა, ალ-გუმჰურია.ნეთ, მინ 5 აბრილ 2002 http://www.algomhuria.net.eg/algomhuria/today/fpage/

319. იუსუფ შარიფი, ალ-‘უბურ ფი ავრაკ მარასილ ‘ასქარი. ად-დიბლუმასი, № 85 უქთუბირ 2002 (არაბულ ენაზე)

320. დ. ას-საიდ ამინ შალაბი, დუბრინინ ვა რუბ‘ კარნ მინ ალ-‘ალაკათ ალ-ამრიკია ვა ას-სუფიათია. მინ ათ-თარიჰი ას-სიასი ვა ად-დიბლუმასი. ად-დიბლუმასი № 97, სიბთიმბირ 2003 (არაბულ ენაზე)

321. აჰმად აშ-შაიბ, სადიკი არ-რაის. ას-სავა ლილნაშარ. ალ-კაჰირა, 1988 (არაბულ ენაზე)

322. მუსა საბრი, ას-სადათ, ალ-ჰაკიკათ ალ-უსტურა. მაქთაბ ალ-მისრი ალ-ჰადის. ალ-კაჰირა, 1985 (არაბულ ენაზე)

323. აბდ ას-სითარ ატ-ტავილა, ანვარ ას-სადათ ლეზი ‘არაფთაჰი. ალ-კაჰირა, 1992 (არაბულ ენაზე)

324. სამირ ‘აბდუ. ათ-თაჰლილ ან-ნაფსი ლი-ას-სადათ. დარ ალ-ქითაბ ალ-არაბი ალ-კაჰირა, ად-დიმაშკ, 1996 (არაბულ ენაზე)

325. ჯამალ ‘არიფი, შაჰადა ‘ალა მავლიდ ჯამი‘ათ ად-დუვალ ალ-‘არაბია. ალ-ვასა‘იკ ას-სირრია. ლიდავრ მისრ ვა სურია ვა ას-სა‘უდია. ად-დავლია ლილი‘ლამ ვა ან-ნაშრ (I.S.P.), ალ-კაჰირა, 1995 (არაბულ ენაზე)

326. დ. ჰაფიზ ღანიმი, ას-სადათ ვა მას‘ულიათ ალ-ბინა‘ ვა ათ-თაჰრირ. აზ-ზიქრი ას-სანია ლიჰარაქა ათ-თასჰიჰ ფი 15 მაიუ. ალ-კაჰირა, 1973 (არაბულ ენაზე)

327. ბუტრუს ბუტრუს ღალი, ტარიკ მისრ ილა ალ-კუდს. კისსა ას-სირა‘ მინ აჯლი ას-სალამ ფი აშ-შარკ ალ-ავსატ, ალ-კაჰირა, 1997 (არაბულ ენაზე)

328. მაჰმუდ ფავზი, ჰუქამ მისრ: ას-სადათ. ალ-კაჰირა, 1997 (არაბულ ენაზე)

329. სამირ ზაქი აბდ ალ-კავი, ას-სადათ: ბაინა იაუმ ავვალ ვა იაუმ ალ-აჰირ. მაქთაბ ალ-მასრი, ალ-კაჰირა, 1981 (არაბულ ენაზე)

330. ჰასანაინ ქარიმ: ალ-მუ‘არადათ ალ-‘ირაკია ბი-ალხარიკ ვა ალ-თასაბაბ ბიისაბათ ბუშ ბიაზმათ კალბიათ თუ‘ადი ლივაფათათ
ალ-კუდს ალ-არაბი, ალ-კაჰირა - ლუნდუნ, 10/10/2002
http://www.alquds.co.uk/alquds/display.asp?fname=/alquds/articles/data/2002/10/10-23/r81.htm

331. რაშიდ ქამილი, ას-სადათ: ალ-მუბადარათ ვა ალ-მინასსა, სუზანა ლილნაშარ, ალ-კაჰირა, 1994 (არაბულ ენაზე)

332. დ. ასმათ აბდ ალ-მაჯიდი, ზამან ალ-ინქისარ ვა ალ-ინთისარ. მუზაქარათ დიბლუმასია ‘ან აჰდას მისრია და ‘არაბია ვა დავლია. დარ ან-ნაჰარ, ბაირუთ; დარ აშ-შურუკ, ალ-კაჰირა, 1999 (არაბულ ენაზე)

333. მისრ ვა ამრიქა. ალ-აჰრამ. მარქაზ ად-დირასა ას-სიასია ვა ალ-ისთრათიჯია, ალ-კაჰირა, 1976 (არაბულ ენაზე)

334. მუბარაქ, თაჰრირ სინა‘ ‘ამა 1982, ალ-გუმჰურია.ნეთ, მინ 25 აბრილ 2002
http://www.algomhuria.net.eg/algomhuria/today/fpage/

335. ვალიდ აბი მურშიდ, ფალასტინ: მინ ალ-ჰალლი ად-დავლი ილა ას-საფკა ას- სანა'ია, აშ-შარკ ალ-ავსატ, 26 ნისან 2004 http://www.asharqalawsat.com/default.asp?issue=9281&page=leader&article=230624

336. მაქრამ მუჰამად აჰმადი, ჰივარ მა'ა არ-რაის, დარ ალ-ჰილალ, ალ-კაჰირა, 1992 (არაბულ ენაზე)

337. გამალ აბდ ან-ნასირ, მაჰფუმ ალ-'ამალ ას-სიასი. ალ-კაჰირა, 1965 (არაბულ ენაზე)

338. დ. ვალიდ აბდ ან-ნასირ. სავრა 23 უილიუ ვა ი'ადა რასმ ხარიტა ალ-'ალამ ად-დიბლუმასი № 82, იულიუ 2002 (არაბულ ენაზე)

339. მაზინ ან-ნაკიბი, ბინიამინ ნითინიაჰუ . . . ირჰაბი თაჰთა ალ-ადვა', მაქთაბათ მადბული, ალ-კაჰირა, 1997 (არაბულ ენაზე)

340. მუჰამად ჰასანაინ ჰაიქალი, უქთუბირ 73, ას-სილაჰ ვა ას-სიასა. მარქაზ ალ- აჰრამ, ალ-კაჰირა, 1993 (არაბულ ენაზე)

341. მუჰამად ჰასანაინ ჰაიქალი, 'ავასიფუ ალ-ჰარბ ვა 'ავასიფუ ას-სალამ. მუფავადათ ას-სირრია ბაინა ალ-'არაბ ვა ისრაილ. ალ-ქითაბუ ას-სანი. არ აშ-შურუკ. ალ-კაჰირა, 1996 (არაბულ ენაზე)

342. მუჰამად ჰასანაინ ჰაიქალი, ალ-მუფავადათ ას-სირია ბაინა არაბ ვა ისრაილ სალამ ალ-ავჰამ, უსლუ – მა კაბლაჰა ვა მა ბა'დაჰა, ალ-ქიტაბუ ას-სალის. ალ-კაჰირა, 1996 (არაბულ ენაზე)

343. იუსუფ ჰილალი, ას-სადათ: 'ამალიათ იღთიალ მაჯჰულა. მადბული საღირ. ალ-კაჰირა, 1997 (არაბულ ენაზე)